

ომბუდსმენი კვლავ მკაცრ განცხადებებს აკეთებს

A2



სიტყვის თავისუფლება "პრესის ჯალათის" პირით

A3



დაბრუნება წარსულთან

A8

www.24saati.ge

# 24 საათი

ყოველდღიური

© გაზეთი 24 საათი | სამშაბათი, 6 ივნისი, 2006 წელი. №123 (1275) | ფასი 50 თეთრი

"24 საათის"
ელექტრონული ვერსია
იხილეთ Web-გვერდზე
www.24saati.ge

**ამბები**

ბრძოლა მერის პირდაპირი არჩევითობისთვის A2

**სამართალი**

სტრასბურგის მიერ პრიორიტეტულად მიჩნეული საქმე A4



ძვირფასო მკითხველებო!

"ომისა და მშვიდობის გაშუქების ინსტიტუტის" (IWPR) კავკასიის პროგრამა იწყებს ყოველკვირეული ინგლისურენოვანი გამოცემის "კავკასიის საინფორმაციო სამსახურის"(CRS) ქართულ ენაზე ბეჭდვას. ყოველი გამოშვება კავკასიის რეგიონების აქტუალური მოვლენებისა და პროცესებისადმი მიძღვნილ სტატიებს მოიცავს.

ჩვენს ინტერნეტ-გვერდზე www.iwpr.net განთავსებულია გამოცემის ინგლისური და რუსული ვერსიები.

"კავკასიის საინფორმაციო სამსახურზე" ხელმოწერა ნებისმიერ ენაზე უფასოა. ხელმოწერის გაფორმებისთვის ან ანულირებისთვის ეწვიეთ ინტერნეტგვერდს:
http://www.iwpr.net/sub-form.html

A5

საერთაშორისო იურიდიული ოფისი "გაპი" სტრასბურგის ადამიანის უფლებათა ევროპის სასამართლოში კლიენტთა ინტერესების დაცვას ახორციელებს თავისი წარმომადგენლით საფრანგეთში.

## ამინდი

| | 6/06 | 7/06 |
|---|---|---|
| თბილისი | 34 | 32 |
| ქუთაისი | 31 | 30 |
| სოხუმი | 28 | 26 |
| გორი | 30 | 28 |
| ონი | 25 | 22 |
| ზუგდიდი | 32 | 30 |
| ახმეტა | 33 | 31 |
| გაგრა | 26 | 25 |
| სამტრედია | 33 | 31 |

**უცხოური ვალუტის ოფიციალური კურსი ლართან მიმართებაში**

| | |
|---|---|
| აშშ დოლარი | 1.7955 |
| ევრო | 2.3260 |
| ბირვანქა სტერლ. | 3.3820 |
| რუბლი | 0.0672 |

ამბები A 2
პოლიტიკა A 3
სამართალი A 4
პროექტი A 5
თვალსაზრისი A 6
რევიუ A 7
რევიუ A 8

# განსხვავებული მოლოდინი

## სააკაშვილისა და პუტინის საგანგებო შეხვედრის წინ

*საქართველოსა და რუსეთის პრეზიდენტების მომავალი შეხვედრისაგან ორ ქვეყანას შორის უკიდურესად გამწვავებული ურთიერთობის განმუხტვას ელიან. ქართული მხარე აცხადებს, რომ პრინციპულ საკითხებში დათმობაზე წასვლას არ აპირებს. დათმობაზე წასვლის სურვილი ჯერჯერობით არც მოსკოვში გამოუთქვამთ. მომავალი შეხვედრის შესაძლო შედეგებზე ექსპერტები განსხვავებულ მოსაზრებებს გამოთქვამენ.*

დიმიტრი ავალიანი

მიხეილ სააკაშვილისა და ვლადიმირ პუტინის შეხვედრა 13 ივნისს სანკტ-პეტერბურგში გაიმართება. ამაზე პრეზიდენტები სატელეფონო საუბრის დროს შეთანხმდნენ. **"კიდევ ერთხელ მზად ვართ რუსეთს მეგობრობის ხელი გავუწოდოთ. უმაღლეს დონეზე კონსტრუქციული დიალოგის სრულმასშტაბიანი განახლება ორივე ქვეყნის ინტერესებში შედის და მე, ჩემი მხრიდან, ყველაფერს გავაკეთებ იმისთვის, რომ ჩვენმა შეხვედრამ შედეგი გამოიღოს,"** - განაცხადა საქართველოს პრეზიდენტმა.

მისი თქმით, საქართველო მზადაა რუსეთთან ყველაზე ახლო და მჭიდრო ურთიერთობა დაამყაროს. **"საქართველოს ტერიტორიის აბსოლუტურ ხელშეუხებლობასა და ტერიტორიული მთლიანობის საკითხების მშვიდობიანი გზით გადაწყვეტას, ურთიერთობაში ყველა ხელოვნური ბარიერისა და სიძნელეის მოხსნას უნდა ეფუძნებოდეს. ამ პრინციპული პოზიციიდან ერთი ნაბიჯითაც არ გადავუხვევთ,"** - ამბობს საქართველოს პრეზიდენტი.

რუსი პოლიტიკური და სამხედრო ექსპერტის პაველ ფელგენგაუერის აზრით, საკუთარი პოზიციების დათმობას არც რუსეთი აპირებს. **"ეს არის ბოლო მცდელობა, თავიდან აცილებულ იქნეს ორ ქვეყანას შორის კონფლიქტის ესკალაცია და წინასაომარი სიტუაცია განიმუხტოს,"** - აცხადებს "24 საათთან" საუბრისას იგი.

**"თუმცა, ერთადერთი, რისი გაკეთებაც საქართველოს შეუძლია რუსეთთან ურთიერთობის გასაუმჯობესებლად, კაპიტულაციაა. ანუ უარის თქმა ნატო-ში გაწევრიანების გეგმებზე, თანხმობა რუსული ბაზების შენარჩუნებაზე, გიორგაძის მოსვლა ხელისუფლებაში და ა. შ. სანაცვლოდ კი რუსეთი საკუთარ ბაზარზე ღვინოს და "ბორჯომს" თუ დაუშვებს. სხვა დათმობებზე საუბარი ზედმეტია. კონფლიქტების ზონებში რუსეთი ნებისმიერ შემთხვევაში არსებულ სტატუს კვოზე უარს არ იტყვის,"** - მიაჩნია ფელგენგაუერს.

**"ჩემი ინფორმაციით, საქართველოს კონფლიქტის ზონებში არსებული სიტუაციით აშშ ძალიან შეშფოთებულია და მას ერთ-ერთ ყველაზე საშიშ მდგომარეობად მიიჩნევს მსოფლიოში,"** - აცხადებს ექსპერტი.

გაგრძელება A3 გვერდზე

# პავაროტისა და პარმის რჩეული

## ლიზა მარტიროსიანი - ქართველი სოპრანო

სოფო კილასონია

ოთხი დღის წინ ქართულმა ვოკალურმა სკოლამ კიდევ ერთი და მნიშვნელოვანი წარმატება მოიპოვა. ეს წარმატება მიეწერება ლიზა მარტიროსიანს - სოპრანოს, რომელიც ტოსკანინის სახელობის პარმის საერთაშორისო კონკურსის ლაურეატი გახდა. სწორედ იმ კონკურსისა, რომელიც ერთ-ერთი ყველაზე ურთულესი საზღვარია მათთვის, ვისაც საკუთარ პროფესიად და ცხოვრების წესად საოპერო ხელოვნება აურჩევია.

ლიზა მარტიროსიანი, რომელმაც ჯერ თბილისის კონსერვატორიასთან არსებული სამუსიკო სკოლის ვოკალური განყოფილება, შემდეგ კი კონსერვატორია დაამთავრა, დღეს, როცა მსოფლიოს წამყვან საოპერო სცენებზე დგას, ურთულეს პარტიებს ასრულებს, გამოჩენილ დირიჟორებთან და ლუჩანო პავაროტისთან ერთად კონცერტებს მართავს, საკუთარ პერსონას "ქართველ სოპრანოდ" წარუდგენს პუბლიკას და დღემდე მჭიდრო ურთიერთობა აქვს ადამიანთან, რომელმაც პირველმა აღიარა და შემდგომ, როგორც ვხვდები, ყველა ეტაპზე და ყველა მნიშვნელოვანი შემოქმედებითი სვლის დროს მისი ყველაზე გულითადი გულშემატკივარი გახლდათ. ბატონი ნოდარ ანდღულაძისა და ახალბედა ვოკალისტის პირველი შეხვედრიდან არაერთი წელი გავიდა, თუმცა ლიზას წარმატებების შესახებ ყველაზე დიდი სიხარულით ჩვენი მაესტრო მესაუბრება. მან იტალიასა და დასავლეთ ევროპის სხვა ქვეყნებში უკვე აღიარებული მომღერლის შესახებ ყველა დეტალი იცის, თუმცა მოწაფის ბოლო წარმატებამ ბატონი ნოდარი განსაკუთრებულად გაახარა. ეს იმიტომ, რომ პარმის კონკურსი განსაკუთრებული მოვლენაა. თანაც წელს ჟიურის თავმჯდომარე ცნობილი ტენორი ხოსე კურა ყოფილა.

გაგრძელება A7 გვერდზე



# საფონდო ბირჟა სტაბილურად ვითარდება

## მაისში სავაჭრო ბრუნვამ 33 მილიონ 200 ათასი ლარი შეადგინა

*საქართველოს საფონდო ბაზარი სტაბილურად, მაგრამ საკმაოდ ნელი ტემპით ვითარდება. ექსპერტების შეფასებით, ყველაზე კარგი მაჩვენებელი საფონდო ბირჟის არსებობის მანძილზე 2006 წლის მაისში დაფიქსირდა. მაშინ ბირჟის სავაჭრო ბრუნვამ 33 მილიონ 200 ათასი ლარი შეადგინა. გაიყიდა 37 კომპანიის აქციები, დაიდო 571 გარიგება. ბრუნვის რეკორდული ზრდის მიზეზად EBRD-ის მიერ "საქართველოს ბანკის" წილის გასხვისება სახელდება, რომელიც ბირჟის მეშვეობით განხორციელდა და ეს პროცესი საკმაოდ გამჭვირვალე იყო.*




# შავი ზღვა - ახალი ხედვის ძიებაში

## "კონფლიქტების მოგვარება საერთაშორისო საზოგადოებრიობის ძალისხმევას მოითხოვს"

*შავი ზღვის ქვეყნების ლიდერები ორშაბათს რუმინეთის დედაქალაქ ბუქარესტში შეიკრიბნენ, რათა ემსჯელათ რეგიონისთვის მტკივნეულ ისეთ პრობლემებზე, როგორიცაა ტრეფიკინგი, კერძოდ, ადამიანებითა და ნარკოტიკებით უკანონო ვაჭრობა, გარემოს დაცვა, კონფლიქტების დარეგულირება და, რაღა თქმა უნდა, ალტერნატიული ენერგორესურსები...*

შავი ზღვის ექვსი ქვეყნის პრეზიდენტი გუშინ ბუქარესტში ერთდღიანი სამიტის ფარგლებში ცდილობდა უფრო მჭიდრო თანამშრომლობის დასახვას და, როგორც რუმინეთის საგარეო საქმეთა მინისტრი რაზვან უნგურეანუ აღნიშნავდა, "შავი ზღვის რეგიონის ახალი ხედვის" ჩამოყალიბებას.

სამიტის დასაწყისში რუმიენთის საგარეო საქმეთა მინისტრმა განაცხადა, რომ ექვსი ქვეყნის - რუმინეთის, საქართველოს, უკრაინის, მოლდოვას, აზერბაიჯანისა და სომხეთის ახალი საერთო ხედვა "დაფუძნებული იქნება ახალ რეალობებზე და უკეთეს პირობებს შექმნის რეგიონის განვითარებისთვის".

დღის წესრიგში შესული საკითხები მეტად მრავაფეროვანი იყო და მოიცავდა როგორც გარემოს დაცვის პრობლემებს, ასევე საერთაშორისო დანაშაულთან, მათ შორის ტერორიზმთან ერთიანი ბრძოლის პერსპექტივებს. თუმცა, როგორც თავიდანვე მოსალოდნელი იყო, სამიტის მთავარი განხილვის საგანი სამი თემა გახდა - (რუსეთისგან) ალტერნატიული ენერგორესურსების უსაფრთხო მიწოდების უზრუნველყოფა; საერთაშორისო დამნაშავეობის შემცირება; და საბჭოთა კავშირის დაშლის შედეგად წარმოშობილი კონფლიქტების მოგვარება. ამ უკანასკნელი საკითხის აქტუალობას ის ფაქტიც ზრდიდა, რომ სამიტის ფარგლებში დაგეგმილი იყო აზერბაიჯანისა და სომხეთის პრეზიდენტების პირისპირ შეხვედრები.

გაგრძელება A3 გვერდზე

# რუსეთის კრიტიკა ერთი კვირით "აიკრძალა"

გიორგი ასანიშვილი

საქართველოს პარლამენტი რუსეთის კრიტიკაზე ერთკვირიან მორატორიუმს აცხადებს. ქართველ კანონმდებლებს, სანკტ-პეტერბურგში სააკაშვილ-პუტინის შეხვედრის წინ, რუსეთის მისამართით მკვეთრი განცხადებების გაკეთება და ამ მიზეზით, დაძაბულობის შესაძლო ესკალაცია მიზანშეწონილად არ მიაჩნიათ. ამიტომ, ბიუროს გუშინდელ სხდომაზე მიღებული გადაწყვეტილების თანახმად, დეპუტატებს ოფიციალური მოსკოვის კრიტიკისგან თავის შეკავება მოეთხოვებათ.

შესაბამისად, გადავადდა კონფლიქტის ზონაში განთავსებული რუსი სამშვიდობოების მიერ ფუნქციების შესრულების მიმდინარეობის საკითხის განხილვა. ბიუროს წევრები შეთანხმდნენ, რომ ახლო მომავალში საკანონმდებლო ორგანო მხოლოდ სამშვიდობო გეგმის შესახებ იმსჯელებს, რუსი ცისფერჩაფხუტიანების შესაძლო გაყვანის თაობაზე დებატები კი სააკაშვილ-პუტინის შეხვედრის დასრულების შემდეგ გაიმართება.

პარლამენტის თავმჯდომარე ნინო ბურჯანაძე არ მალავს, რომ იგეგმებოდა მკაცრი განცხადებების გაკეთება ცხინვალის რეგიონში რუსების მიერ განხორციელებულ როტაციასთან დაკავშირებით, მაგრამ მას შემდეგ, რაც საქართველოსა და რუსეთის პრეზიდენტების შეხვედრის შესახებ გახდა ცნობილი, ასეთი ნაბიჯის გადადგმა მიზანშეუწონლად ჩაითვალა. ამავე დროს, ნინო ბურჯანაძე გამოთქვამს ვარაუდს, რომ საქართველოსა და რუსეთის ლიდერების შეხვედრა მხოლოდ პოზიტიური განცხადებებით არ შემოიფარგლება და კონკრეტული შედეგებით დასრულდება.

**"არსებობს ყველა წინაპირობა იმისა, რომ საქართველოსა და რუსეთის პრეზიდენტების შეხვედრამ ბევრი საკითხი დადებითად გადაწყვიტოს. რუსეთს ჯერ კიდევ შეუძლია, ძალზე პოზიტიური როლი ითამაშოს რეგიონში მიმდინარე პროცესებში. იმედი გვაქვს, რომ ზემოხსენებული შეხვედრა გადაწყვეტს ჩვენთვის ძალზე მტკივნეულ პრობლემებს, მათ შორის - კონფლიქტის ზონებთან დაკავშირებულ საკითხებს"**, - იმედოვნებს ბურჯანაძე.

# განსასჯელი პოლიციელის ჩვენებები

*თბილისის საქალაქო სასამართლოში ამირან რობაქიძის მკვლელობის საქმის არსებითი გამოძიება დაიწყო. გუშინდელ პროცესზე მოსამართლემ საბრალდებო დასკვნა წაიკითხა, რის შემდეგაც სასამართლოს ჩვენება მისცა განსასჯელმა პოლიციელმა.*

ამირან რობაქიძის მკვლელობის ფაქტთან დაკავშირებით სისხლის სამართლის პასუხისგებაში მიცემულია საპატრულო პოლიციის თანამშრომელი გრიგოლ ბაშალეიშვილი. გამოძიებამ მის წინააღმდეგ სისხლის სამართლის საქმე გაუფრთხილებლობით სიცოცხლის მოსპობის მუხლით აღძრა. ამ კვალიფიკაციას არ ეთანხმებიან რობაქიძის ოჯახის წევრები, რის გამოც, მათ სასამართლოს მიმართეს და ბაშალეიშვილის დაპატიმრება და მისი განზრახ მკვლელობაში დადანაშაულება მოითხოვეს. თუმცა, მათი ეს მოთხოვნა მოსამართლე ჯემალ კოპალიანმა არ დააკმაყოფილა.

საბრალდებო დასკვნის თანახმად, 2004 წლის 23 ნოემბერს საპატრულო პოლიციის თანამშრომლებმა გააჩერეს შავი ფერის ავტომანქანა, რომელშიც იმყოფებოდნენ ამირან რობაქიძე და მისი მეგობრები. მოგვიანებით საპატრულო პოლიციამ გამოიძახა დამატებითი ჯგუფი, რომელშიც ირიცხებოდა გრიგოლ ბაშალეიშვილი. ღონისძიების დროს მოხდა გაუფრთხილებლობით გასროლა, რა დროსაც ორივე თირკმლისა და აორტის დაზიანების შედეგად ადგილზე გარდაიცვალა ამირან რობაქიძე.

გრიგოლ ბაშალეიშვილის განცხადებით, მან თავდაპირველად წინასწარ გამოძიებას საგანგებოდ ცრუ ჩვენება მისცა, მოსალოდნელი შურისძიების თავიდან აცილების მიზნით, თუმცა, მოგვიანებით გადაიფიქრა, ობიექტური ჭეშმარიტების დადგენა მოისურვა და რეალური ჩვენების ჩაბარება გადაწყვიტა.

ბაშალეიშვილი აღიარებს, რომ ოპერაციის დროს მას ამირან რობაქიძის ხელში იარაღი და, მით უმეტეს, ავტომატური ცეცხლსასროლი იარაღი არ შეუნიშნავს. ბაშალეიშვილის ჩვენებით, ცეცხლსასროლი და ცივი იარაღი მან შეამჩნია მხოლოდ მოგვიანებით. მისი თქმით, იარაღი ამოღებული იყო დაკავებულთა ავტომანქანიდან და ელაგა ახალგაზრდების კუთვნილ "ბმვ"-ს მარკის ავტომანქანის საბარგულზე.

გაგრძელება A4 გვერდზე

# ბრძოლა მერის პირდაპირი არჩევითობისთვის

## ადგილობრივი არჩევნებისთვის ოპოზიცია ერთიანდება

*სახალხო ფორუმის ლიდერი, აკაკი ასათიანი პუტინი-სააკაშვილის შეხვედრას პოლიტიკურად არამართებულად მიიჩნევს და რუსეთთან გამწვავებულ ურთიერთობას საქართველოს ხელისუფლების არასწორი პოლიტიკის შედეგს უწოდებს. ამის გარდა, "სახალხო ფორუმი" უერთდება ოპოზიციის მოთხოვნას დედაქალაქის მერის პირდაპირი არჩევის შესახებ. თბილისის მერის პოსტზე ოპოზიციის ერთიანი კანდიდატურის წარდგენას აკაკი ასათიანი მართებულად მიიჩნევს და თვითმართველობის საარჩევნო კანონის პარლამენტში განხილვას მოითხოვს.*

ნათია მსხილაძე

მიუხედავად იმისა, რომ "სახალხო ფორუმის" გუშინდელი პრესკონფერენციის მთავარი თემა სულ სხვა იყო, აკაკი ასათიანმა ჟურნალისტებთან შეხვედრა მიმდინარე პოლიტიკური მოვლენების კომენტირებით დაიწყო. 13 ივნისს სანკტ-პეტერბურგში დაგეგმილი საქართველოსა და რუსეთის პრეზიდენტების შეხვედრისაგან პოლიტიკური მოძრაობა "სახალხო ფორუმის" ლიდერი, აკაკი ასათიანი რეალურ შედეგს არ ელის. **"პუტინი-სააკაშვილის შეხვედრა პოლიტიკურად არამართებულია, რადგან რუსეთთან გამწვავებული ურთიერთობა სწორედ, საქართველოს ხელისუფლების არასწორი პოლიტიკის შედეგია. საქართველოს ხელისუფლების არასწორი პოლიტიკის შედეგია ისიც, რომ რუსეთში ცხინვალის რეგიონის მიერთებაზე საუბარს უკვე აშკარად და ხმამაღლა ბედავენ"** ,- აღნიშნა ასათიანმა.

მხოლოდ ამის შემდეგ ილაპარაკა "სახალხო ფორუმის" ლიდერმა იმის შესახებ, რომ ისინი ხელისუფლებას საარჩევნო კოდექსის შეცვლისა და მერებისა და გამგებლების პირდაპირი წესით არჩევითობისკენაც მოუწოდებს.

როგორც აკაკი ასათიანმა განმარტა, თუ საარჩევნო კანონმდებლობა არ შეიცვლება, "სახალხო ფორუმი" არჩევნების შესაძლო ბოიკოტირების შესახებ, ოპოზიციის ინიციატივას შეუერთდება.

იმ შემთხვევაში, თუ პარლამენტი საარჩევნო კანონმდებლობას შეცვლის და თვითმმართველობის შესახებ ახალ კანონს მიიღებს, "სახალხო ფორუმი" მზად არის, თბილისის მერის პოსტზე ოპოზიციის ერთიან კანდიდატურას მხარი დაუჭიროს.

**"დღეისთვის საქართველოში მოქმედი საარჩევნო კანონის პირობებში, ქალაქის მერის არჩევნებში მონაწილე რომელიმე ცალკეული პოლიტიკური პარტიის კანდიდატს გამარჯვების შანსი არ ექნება. ერთადერთი მართებული გადაწყვეტილება ოპოზიციის ერთიანი კანდიდატურის წარდგენაა. წინააღმდეგ შემთხვევაში, არჩევნებში მონაწილეობას აზრი არ აქვს, რადგან ეს იქნება არჩევნების დემოკრატიული ანტურაჟი და, ბუნებრივია, მასში მონაწილეობის არანაირი სურვილი არ გვაქვს"**, - აღნიშნა ასათიანმა.

# რუსი დეპუტატების ჯგუფი თბილისში

გუშინ, 5 ივნისს, თბილისში სამდღიანი ვიზიტით რუსი დეპუტატების ჯგუფი ჩამოვიდა, რომლებმაც საქართველოს პარლამენტის წარმომადგენლებთან კონსულტაციები გამართეს. როგორც რუსეთის სათათბიროს საგარეო ურთიერთობების და დსთ-ს საქმეების კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილემ ახმედ ბილალოვმა და კომიტეტის წევრმა ანდრე ჟუკოვმა განაცხადა, ისინი შეხვდებიან პარლამენტის თავმჯდომარეს ნინო ბურჯანაძეს, ვიცე-სპიკერ მიხეილ მაჭავარიანს, პარლამენტის თავდაცვისა და უშიშროების კომიტეტის და საგარეო ურთიერთობათა კომიტეტების თავმჯდომარეებს გივი თარგამაძესა და კონსტანტინე გაბაშვილს.

რუსი დეპუტატები ასევე შეხვდებიან სახელმწიფო მინისტრს კონფლიქტების მოგვარების საკითხებში გიორგი ხაინდრავასა და საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილეს გიორგი მანჯავიძეს. ოთხშაბათს დეპუტატები კახეთს ეწვევიან, სადაც ღვინის ისტორიასა და წარმოების კულტურას გაეცნობიან.

*ჯი-ეიჩ-ენი*

# თავისუფალი სიტყვა

*ახალი მედიაპროექტი რადიო "უცნობის" ეთერში გადის ყოველი სამუშაო დღის 13 საათზე. გადაცემა მიჰყავს ჟურნალისტ თამარ ჩიქოვანს. სტუდიის სტუმარია "ახალი მემარჯვენეების" ლიდერი დავით გამყრელიძე.*

**თამარ ჩიქოვანი:** ცოტა ხნის წინ "ახლები" 5 წლის გახდნენ. "ჩვენს პრიორიტეტს წარმოადგენს საქართველოში თავისუფალი მოქალაქეებისგან შემდგარი დემოკრატიული სახელმწიფოს ჩამოყალიბება. ამისთვის საჭიროა... რა არის საჭირო ბ-ნო დავით, რომ საქართველოში ჩამოყალიბდეს თავისუფალი ადამიანებისგან შემდგარი სამოქალაქო საზოგადოება? მართალია თქვენს დადგენილებაში ეს პუნქტებად არის ჩამოყალიბებული მაგრამ მაინც... პირველი პუნქტია, რომ შეიცვალოს ხელისუფლება, როგორ უნდა მოხდეს ეს?

**დავით გამყრელიძე:** სწორედ თავისუფალმა სიტყვამ და თავისუფალმა მედიამ უნდა შეუწყოს ხელი თავისუფალი საზოგადოების ჩამოყალიბებას. სამწუხაროდ, დღეს ჩვენს სახელმწიფოში ზოგადად ხელისუფლება და პრეზიდენტი ბარიერად იქცა თავისუფლებისკენ მიმავალ გზაზე. აქედან გამომდინარე, ჩვენ მთავარ პრიორიტეტად გამოვაცხადეთ შეიცვალოს ხელისუფლება, ოღონდ ჩვენ არ გვინდა ისევე მოხდეს, რაც ცოტა ხნის წინ იყო. შევარდნაძე შეცვალა ბევრად უფრო აგრესიულმა და უტიფარმა "ახალგაზრდა შევარდნაძემ", ანუ სააკაშვილმა. ჩვენ რეჟიმისა და კონსტიტუციის ცვლილებაზე ვსაუბრობთ. სხვა შემთხვევაში იმდენად მაცდურია პრეზიდენტის სავარძელი, რომ ძნელად მოსაძებნი იქნება ის პიროვნება, რომელსაც საქართველო შეიყვარებს. (საქართველოში აუცილებლად უნდა შეიყვარონ, ასეა ხოლმე. ანუ, ჯერ მესიად უნდა აღიარონ და მერე აირჩიონ პრეზიდენტად). როცა ამ სავარძელში მოკალათდებიან, მერე პრეზიდენტებს ხალხი ჭიანჭველებად ეჩვენებათ ხოლმე. ჩვენი სურვილი მიიღწევა იმ შემთხვევაში, თუკი მოვახერხებთ ისეთი კონსტიტუციური ცვლილების შემუშავებას, როცა ძლიერი აღმასრულებელი ხელისუფლება დაბალანსდება, გაწონასწორდება ძლიერი საკანონმდებლო ორგანოთი. ამის გარანტი იქნება დამოუკიდებელი სასამართლო სისტემა. ამის გარეშე ვერ შედგება თავისუფალი სამოქალაქო საზოგადოება, სადაც ყველა კარგად იგრძნობს თავს. გვინდა სხვა პოლიტიკურ ძალებთან ერთად ვიბრძოლოთ, რათა კონსტიტუციური რეფორმები მოხდეს. ამ რეფორმაშივე უნდა იყოს ჩადებული, რომ თვითმართველობა მხოლოდ ქაღალდზე არ დარჩეს. ადგილობრივი ხელისუფლება თვითმმართველობით წარმოდგენილი რეალურად იყოს აღჭურვილი კომპეტენციებით, ფულით და ქონებით. მაშინ მოსახლეობას ეცოდინება, თუ რისთვის უნდა მიაკითხოს ადგილობრივ ხელისუფლებას და რისთვის პარლამენტს. უხერხულია, მაგრამ ფაქტია, რომ დღეს ბევრს, გონია, რომ გზის და სკოლის პრობლემა დეპუტატმა უნდა გადაუწყვიტოს. თუმცა გასაკვირიც არ არის, რადგან ამ პრობლემებს ხშირად თავად პრეზიდენტი წყვეტს. დღეს არ არსებობს თვითმართველობა და უფრო "წინ გადადგმული ნაბიჯია", როდესაც გაუქმდა სოფლის საკრებულოები. თვითმმართველობის მთავარი დანიშნულებაა მოქალაქეების უფრო მეტი სიახლოვე მათ მიერვე არჩეულ ხელისუფლებასთან.

**თამარ ჩიქოვანი:** ის, რომ ჩვენთან ყველა საკითხს პირველი პირები წყვეტენ, ამას ადასტურებს შარშან ნოემბერში პრეზიდენტის მიმართვა მინისტრებისადმი, რომ მათ უნდა ეპასუხათ ყველა ზარისთვის. სამწუხაროდ ეს აქცია მხოლოდ ორკვირიანი აღმოჩნდა.

**დავით გამყრელიძე**: მე როგორც მოქალაქეს მინდა, რომ სახელმწიფო ინსტიტუტები სწორად ჩამოყალიბდეს. მე არ მიმაჩნია, რომ მინისტრმა მოქალაქეების ზარებს უნდა უპასუხოს. მას უზარმაზარი პოლიტიკური პასუხისმგებლობა აკისრია. ამისთვის არსებობს დეპარტამენტები და მისაღებები. ეს არის იაფფასიანი პოპულიზმი, რომელიც ახასიათებს ჩვენს პრეზიდენტს და ხელისუფლებას. სააკაშვილი მუდამ ამ ფორმით მოქმედებს.

# ომბუდსმენი კვლავ მკაცრ განცხადებებს აკეთებს

*ქვეყნის საკანონმდებლო ორგანოში სახალხო დამცველის მოხსენებამ და მკაცრმა განცხადებებმა გუშინ კიდევ ერთხელ დაიმსახურა მოწონება. "ადამიანის უფლებების დარღვევის კუთხით, ქვეყანაში საგანგაშო მდგომარეობაა", - ასეთი იყო სოზარ სუბარის მოხსენების მოკლე შინაარსი.*



*სოზარ სუბარი: "საქართველოს ხელისუფლებაში ერთადერთი ნათელი წერტილი, რომელიც ფაქტებით საუბრობს და ობიექტურ დასკვნებს აკეთებს".*

**"საქართველოს ხელისუფლებაში ერთადერთი ნათელი წერტილი, რომელიც ფაქტებით საუბრობს და ობიექტურ დასკვნებს აკეთებს",** - ასე შეაფასეს ომბუდსმენის ანგარიში საპარლამენტო ოპოზიციური პარტიებისა და არასამთავრობო სექტორის წარმომადგენლებმა, რომლებმაც სოზარ სუბარს მისთვის უცნობი, ადამიანის უფლებების დარღვევების კიდევ სხვა, ბევრი კონკრეტული ფაქტი გააცნეს და ამ ფაქტებზე რეაგირება და დახმარება სთხოვეს. გუშინ, ომბუდსმენთან შეხვედრის ბოლოს კიდევ ერთხელ დადგა შინაგან საქმეთა მინისტრისა და სასჯელაღსრულების დეპარტამენტის თავმჯდომარის პასუხისმგებლობის საკითხის დასმის აუცილებლობა. როგორც გაირკვა, სახალხო დამცველი ერთი კვირის შემდეგ წარმოადგენს დასკვნას, რომელიც სწორედ ბაჩო ახალაიას საქმიანობას ეხება.

საპარლამენტო ოპოზიციამ სახალხო დამცველთან შეხვედრის შემდეგ სპეციალური განცხადება მიიღო, რომლითაც ვანო მერაბიშვილის თანამდებობიდან გადაყენებას და ბაჩო ახალაიას სისხლის სამართლის პასუხისგებაში მიცემას მოითხოვს.

**"ჩვენი განსაკუთრებული შეშფოთება გამოწვეულია იმ გარემოებით, რომ მთელ რიგ შემთხვევებში დანაშაული ჩადენილია შინაგან საქმეთა სამინისტროს მაღალი თანამდებობის პირებისა და პოლიციის თანამშრომლების მიერ, რაც უფრო საგანგაშოა. პრაქტიკულად, ყველა ქვემოთ დასახელებული ფაქტი ფალსიფიცირებულია ან საერთოდ არ არის გამოძიებული: სანდრო გირგვლიანის მკვლელობა, ამირან რობაქიძის მკვლელობა, 2 მაისის სპეცოპერაცია, პატიმრების მასობრივი ცემა-წამება და შეურაცხყოფა და 27 მარტს საპყრობილეში მათი ხოცვა-ჟლეტა, ყოფილი დეპუტატის ვალერი გელაშვილის სიკვდილამდე ცემის ფაქტი, აგრეთვე, რევაზ ცალანის უმოწყალოდ ცემა, გორში ოსური წარმოშობის საქართველოს მოქალაქეების მიმართ სადისტური მოპყრობა"**, - ეს გახლავთ არასრული ჩამონათვალი იმ შემთხვევებისა, რომლებიც, გუშინდელი შეხვედრის მონაწილეების მტკიცებით, ხორციელდება ხელისუფლების, კერძოდ კი, შინაგან საქმეთა სამინისტროს უწყების უშუალო მონაწილეობით.

**"ფაქტობრივად, არ არსებობს ინსტანცია, რომელსაც მოქალაქე საკუთარი უფლებების აღდგენისთვის მიმართავს. სასამართლო ხელისუფლება უზურპირებულია პროკურატურის მიერ. სასამართლოებში შექმნილ უმძიმეს ვითარებას ადასტურებს ამერიკის ასოციაციის მიერ გაკეთებული მოხსენებაც. ქვეყანაში არსებობს სახიფათო ტენდენციები ძალადობის პოლიტიკურ რანგში აყვანისა და ავტორიტარული რეჟიმის დამყარებისა"**, - ასეთი შეფასებები კეთდებოდა გუშინ ომბუდსმენთან შეხვედრისას.

სახალხო დამცველის განცხადებით, პოლიცია ძალის გადაჭარბებასა და იარაღის საეჭვო გამოყენებაში ხშირად არის შემჩნეული. სუბარის აზრით, ეს არ არის მხოლოდ სამართალდამცველთა არასაკმარისი ცოდნისა და არაკვალიფიციურობის ბრალი. სხვათა შორის, სახალხო დამცველის წარმომადგენლებისგან შექმნილმა ჯგუფმა გასულ წელს 1600 გასვლა განახორციელა წინასწარი დაკავების საკნებში. ამ ვიზიტების შემდეგ გაკეთდა შესაბამისი დასკვნა, რომლის მიხედვითაც, წინასწარი დაკავების ადგილებში აღარ ხდება დაკავებულთა მასობრივი ცემატყეპა. თუმცა, როგორც ომბუდსმენი განმარტავს, სამაგიეროდ, ფიზიკური და სიტყვიერი შეურაცხყოფისა და ძალადობის ფაქტებმა ქუჩაში გადაინაცვლა.

რაც შეეხება პენიტენციურ სისტემაში არსებულ ვითარებას, სოზარ სუბარის განცხადებით, გაუგებარია, რატომ არ შესრულდა შეთანხმება და რატომ არ გადავიდა რეალურად ციხის საავადმყოფო ჯანდაცვის სამინისტროს დაქვემდებარებაში. სახალხო დამცველის განცხადებითვე, არ არის შესრულებული, ასევე, ის დაპირება, რომლის მიხედვითაც 31-ე ქარხანასთან არსებული საავადმყოფო უნდა გარემონტებულიყო და მას ციხის საავადმყოფოს ფუნქციები შეესრულებინა.

სუბარის განმარტებით, მიუხედავად გაფორმებული ხელშეკრულებისა, პატიმრების ციხის საავადმყოფოში გადაყვანა მაინც არ არის დამოკიდებული ჯანდაცვის სამინისტროს წარმომადგენელ ექიმებზე, რადგან აღნიშნულ საკითხებთან დაკავშირებით გადაწყვეტილებას კვლავ ციხის ადმინისტრაცია იღებს და არა პატიმრების სასარგებლოდ.

**"ციხის ადმინისტრაცია არ ემორჩილება ექიმების გადაწყვეტილებებს, ამა თუ იმ პატიმრის ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუარესების გამო, მათი ციხის საავადმყოფოში გადაყვანის თაობაზე",** - აცხადებს ომბუდსმენი.

ციხის ბუნტი, არასწორად დაგეგმილი სპეცოპერაციები, დამნაშავე პოლიციელების დაუსჯელობის პრაქტიკა, არაობიექტურად გამოძიებული საქმეები, ბავშვთა სახლებში არსებულ კატასტროფული ვითარება - ეს ის თემებია, რომლებზეც სოზარ სუბარმა ისევე, როგორც ცოტა ხნის წინ, პარლამენტის ადამიანის უფლებათა დაცვის კომიტეტში გამართულ შეხვედრაზე, გუშინაც ვრცლად ისაუბრა.

სოზარ სუბარისთვის გაუგებარია, რატომ დატოვა თანამდებობა შინაგან საქმეთა სამინისტროს საზოგადოებასთან ურთიერთობის დეპარტამენტის ყოფილმა ხელმძღვანელმა გურამ დონაძემ საკუთარი პატაკის საფუძველზე.

**"ჯერ კიდევ დეკემბერში ჩემს ანგარიშში ვახსენე გურამ დონაძის მიერ უფლებამოსილების გადამეტების ფაქტები - ისეთები, როგორიც არის მის მიერ ჟურნალისტების ფიზიკური შეურაცხყოფა, არასწორი დამოკიდებულება საკუთარ კოლეგებთან. მაშინვე აღვნიშნავდი, რომ სწორედ ამგვარი ფაქტების გამო, გურამ დონაძეს თანამდებობა უნდა დაეტოვებინა. ეს იყო ჩემი რეკომენდაცია, თუმცა აბსოლუტურად გაუგებარია, რატომ დატოვა დონაძემ თანამდებობა საკუთარი პატაკის საფუძველზე",** - აცხადებს სოზარ სუბარი. ომბუდსმენმა გუშინ კონკრეტული ფაქტებიც დაასახელა. თუმცა, დონაძის მიერ დაზარალებულების ვინაობა, უბრალოდ, იმ მიზეზით არ დაუსახელებია, რომ თავად დაზარალებულებს არ სურთ დეტალების საჯაროდ გახმაურება.

სახალხო დამცველი საქართველოს პარლამენტს უმრავლესობის წარმომადგენლის ბადრი ნანეტაშვილის უფლებამოსილების შეწყვეტის რეკომენდაციით მიმართავს.

მისი განცხადებით, თუ დეპუტატ ვალერი გელაშვილის შემთხვევაში ერთი პიროვნების ჩვენება გახდა საფუძველი იმისათვის, რომ მას უფლებამოსილება შეწყვეტოდა, მაშინ ტელეკომპანია "თრიალეთის" ერთ-ერთი მფლობელის და ხელმძღვანელის, ბადრი ნანეტაშვილის შემთხვევაშიც უნდა მოხდეს იგივე, მით უმეტეს, რომ ნანეტაშვილის ბიზნესში საქმიანობის შესახებ საკმარისი მტკიცებულებები არსებობს.

**"თუ ეს შეეხო ერთ დეპუტატს, მაშინ უნდა გავრცელდეს ყველა დეპუტატზე",** - ასეთია ომბუდსმენის პოზიცია.

სახალხო დამცველი ირწმუნება, რომ უახლოეს მომავალში ნათელი მოეფინება ცხინვალის რეგიონში 27 მაისს მომხდარ ინციდენტს, რომლის დროსაც ქართველმა სპეცრაზმელებმა 40-მდე ოსი ეროვნების მოქალაქე დააკავეს, გორის პოლიციის შენობაში გადაიყვანეს და სასტიკად გაუსწორდნენ.

**"რა თქმა უნდა, სპეცრაზმი ზემოხსენებულ ოპერაციას შინაგან საქმეთა მინისტრის პირადი ბრძანების გარეშე ვერ ჩაატარებდა, მაგრამ ოფიციალურად ამის მტკიცება არ შემიძლია",** - აცხადებს ომბუდსმენი. ის უახლოეს დღეებში კონფლიქტის ზონაში ჩასვლას და ამ ინციდენტის ბოლომდე, დეტალურად შესწავლას აპირებს.

*24 საათი*

# ფულის გამოძალვაში ეჭვმიტანილი დაცვას არასამთავრობოებს სთხოვს

*გურჯაანის რაიონულმა პოლიციამ სს "ჭანდრის ღვინის ქარხნის" დირექტორის განცხადების საფუძველზე, სოფელ ჭანდრის მკვიდრი, სხვადასხვა დანაშაულებისთვის მრავალჯერ ნასამართლევი, ყოფილი მხედრიონელი დიმიტრი ჯოხაძე დააკავა.*

ზვიად რუაძე
*კახეთიდან*

გურჯაანის რაიონის სოფელ ჭანდარში ამბობენ, რომ დიმიტრი ჯოხაძე ხშირად სძალავდა ფულს იმ თანასოფლელებს, რომლებიც ჭანდრის მცირე ბიზნესს ეწეოდნენ. თუმცა ამის შესახებ დაზარალებულები ღიად არ საუბრობენ. ერთადერთი, ვინც დიმიტრი ჯოხაძის დანაშაულებრივი ქმედება გამოააშკარავა, სს "ჭანდრის ღვინის ქარხნის" დირექტორი გელა ზაკალაშვილია. **"მან ჯერ ჩემს ძმას დაურეკა, რომელიც ქარხნის სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარეა და ფული მოსთხოვა. ამის შემდეგ მე დავუკავშირდი ჯოხაძეს და ვთხოვე, განემარტა, თუ რის საფუძველზე ითხოვდა ამ თანხას, მაგრამ მან უხეშად მიპასუხა და დამემუქრა - თუ ფულს არ მოიტან, შუბლს გაგიხვრიტავ და ოჯახის წევრებს დაგიხოცავო. მერე უკვე თავად დამირეკა ორჯერ და მუქარები გააგრძელა. ამის შემდეგ იძულებული გავხდი, პოლიციისთვის მიმემართა,"** - ამბობს გელა ზაკალაშვილი.

დანაშაულში ეჭვმიტანილმა დიმიტრი ჯოხაძემ კი დაკავებამდე ერთი თვით ადრე მიმართა "ადამიანის უფლებათა საინფორმაციო და სადოკუმენტაციო დაცვის ცენტრის" კახეთის კოორდინატორს გელა მთივლიშვილს, რომელიც ამავდროულად გაზეთ "იმედის" მთავარი რედაქტორია. **"ჩვენ ჯოხაძემ ერთი თვით ადრე წერილი მოგვწერა, რომ თუ მას დააკავებდნენ, ძმები ზაკალაშვილების ბრალი იქნებოდა, რადგან დაპირისპირებული იყო მათთან და პოლიციით ემუქრებოდნენ. ნარკოტიკს ჩაადებინებდნენ და ისე დააჭერინებდნენ",** - ამბობს ჩვენთან სატელეფონო საუბარში გელა მთივლიშვილი. საგულისხმოა, რომ შარშან, როცა გელა მთივლიშვილს ფიზიკურად გაუსწორდნენ, ამ ყველაფერს ჟურნალისტმა პოლიტიკური ზეწოლის კვალიფიკაცია მისცა. პროკურატურის მიერ მოძიებული მასალებიდან კი ირკვევა, რომ მთივლიშვილის ცემა, მისივე მხრიდან დიმიტრი ჯოხაძის ქალიშვილის სიტყვიერ შეურაცხყოფას უკავშირდებოდა.

სს "ჭანდრის ღვინის ქარხნის" სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარე გია ზაკალაშვილი დანაშაულში ეჭვმიტანილის დიმიტრი ჯოხაძის განცხადებებს უსაფუძვლოს უწოდებს.

დიმიტრი ჯოხაძე ამბობს, რომ გია და გელა ზაკალაშვილები მის მეგობარ გია ფურცელაძეს, ჭანდრის ქარხნის ერთ-ერთ აქციონერს, ქარხანაში მუშაობის საშუალებას არ აძლევენ.

**"არსებობს ოფიციალური სატელეფონო ჩანაწერი, სადაც ჯოხაძე პირდაპირ თხოულობს ფულს, რადგან მას, როგორც თავად მითხრა, "თავანი" აქვს მისატანი. რაც შეეხება გია ფურცელაძეს, მან თავისი კუთვნილი აქციები რამდენიმე თვის წინ მართვის უფლებით გადაუფორმა თედო პეტრიაშვილს, რომელიც ჩვეულებრივად ესწრება საერთო კრებებს. თუ რაიმე პრეტენზიები აქვთ ფურცელაძეს და მის წარმომადგენელს, უნდა მიემართათ სასამართლოსთვის და არა შავი სამყაროს წარმომადგენლისთვის,"** - ამბობს გია ზაკალაშვილი.

**"არიან მოწმეები, რომლებიც ადასტურებენ, რომ დიმა ჯოხაძე ზაკალაშვილებს ფულს ნამდვილად სძალავდა. სხვათა შორის, ანალოგიური ფაქტის შესახებ იგივე პიროვნებაზე ინფორმაცია გასულ წელს გელა მთივლიშვილმაც მომაწოდა,"** - აცხადებს კახეთის სამხარეო პოლიციის უფროსი თეიმურაზ ანჯაფარიძე.

საგულისხმოა, რომ დიმიტრი ჯოხაძე საცხოვრებელი ბინების და სოფლის წყალსადენი მილების მოპარვისთვის, ასევე ნორკოტიკების მოხმარებისთვის არაერთხელ იხდიდა სასჯელს. მხედრიონობის დროს კი მან პოლიციის ორი მაღალჩინოსანი ჯუმბერ მღებრიშვილი და შალვა ქელეხსაშვილი გაიტაცა და სასტიკად აწამა, რადგან დედამისი - იზო ჯაჯანაშვილი ერთ-ერთი საწარმოს ფულის მიტაცების ფაქტზე დააკავეს.

ამ დროისთვის დიმიტრი ჯოხაძეს წინასწარი აღმკვეთი ღონისძიება შეუფარდეს, რასაც დღეს "ადამიანის უფლებათა საინფორმაციო და სადოკუმენტაციო დაცვის ცენტრის" და "ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის" ადვოკატები სააპელაციო სასამართლოში გაასაჩივრებენ.

## მოკლედ

### კონდოლიზა რაისი ირანის სულიერი ლიდერის მუქარას ეხმაურება

ირანის სულიერი ლიდერის აიათოლა ალი ხამენეის განცხადებით, აშშ-ის მიერ ირანში შეჭრის შემთხვევაში სპარსეთის ყურიდან ნავთობის მიწოდება შეწყდება.

ხამენეიმ აშშ და მისი მოკავშირეები გააფრთხილა, რომ ისინი ვერ შეძლებენ ყველა ნავთობგადაზიდვის უსაფრთხოების უზრუნველყოფას სტრატეგიულად მნიშვნელოვან ორმუზის სრუტის გავლით, რომელიც სპარსეთისა და ომანის ყურეებს აერთიანებს.

ირანის ატომური კრიზისი დღეს ერთ-ერთი ძირითად საერთაშორისო პრობლემას წარმოადგენს. უახლოეს დღეებში თეირანში ჩასვლას გეგმავს ევროკავშირის წარმომადგენელი საგარეო პოლიტიკისა და უსაფრთხოების საქმეში ხავიერ სოლანა, რომელიც სიტუაციის დარეგულირების შესახებ წინადადებას წარმოადგენს.

ისლამის რესპუბლიკის პრეზიდენტი მაჰმუდ აჰმადინეჟადი ამავე დროს დაჟინებით აცხადებს, რომ ირანი არ აპირებს ატომური საწვავის წარმოებაზე უარის თქმას, როგორც მის "კანონიერ და ბუნებრივ" უფლებას. აშშ-ის სახელმწიფო მდივანმა კონდოლიზა რაისმა ირანის სულიერი ლიდერის მუქარაზე განაცხადა, რომ ეს პირველ რიგში პრობლემას თვით ირანს შეუქმნის, რადგან მისი ეკონომიკა პირდაპირ არის დამოკიდებული ნავთობის ექსპორტიდან მიღებულ შემოსავლებზე. **ჯი-ეიჩ-ენი**

### მოსკოვში სეტყვამ და ძლიერმა ქარმა რამდენიმე ხე და განათების ბოძი მოგლიჯა

კვირას, გვიან ღამით, საათნახევრის განმავლობაში მოსკოვში 10 მმ ნალექი მოვიდა. მოსკოვში სეტყვამ და ძლიერმა ქარმა რამდენიმე ხე და განათების ბოძი მოგლიჯა, რიგ ქუჩებზე ჩაიკეტა მოძრაობა.რუსეთის დედაქალაქის ხუთ ქუჩაზე სადენების დაზიანების გამო შეწყვეტილია ტრამვაისა და ტროლეიბუსების მოძრაობა. მოსკოვის მთავრობას დამატებით ავტობუსების გამოყოფა დასჭირდა მგზავრთა ნაკადის დასაკმაყოფილებლად. სინოპტიკოსები მიიჩნევენ, რომ დღის განმავლობაში მოსკოვში კვლავ იწვიმებს. **ჯი-ეიჩ-ენი**

### ისრაელის პრემიერ-მინისტრი მზად არის, პალესტინის ლიდერს შეხვდეს

ისრაელის პრემიერ-მინისტრი ეჰუდ ოლმერტი მზადაა შეხვდეს პალესტინის ლიდერ მაჰმუდ აბასს. ამის შესახებ ჟურნალისტებს ოლმერტმა შარმ ეშ-შეიხში ეგვიპტის პრეზიდენტ ჰოსნი მუბარაქთან შეხვედრის შემდეგ განუცხადა. ოლმერტი მზად არის შეხვდეს აბასს ახლო აღმოსავლეთში გართულებულ სამშვიდობო პროცესზე სასაუბროდ. თუმცა ისრაელის პრემიერი უარს აცხადებს შეხვდეს რადიკალური მოძრაობა "ჰამასის" წარმომადგენლებს. ისრაელში "ჰამასი" ტერორისტულ ორგანიზაციად არის მიჩნეული. რაც შეეხება მაჰმუდ აბასს, ის პარტია "ფატხის" ლიდერია, რომელმაც იანვარში არჩევნებში მარცხი განიცადა. ოლმერტი არ აზუსტებს შეხვედრის გამართვის თარიღს. თუმცა, ხაზს უსვამს, რომ ისრაელი საზღვრის დემარკაციას ცალმხრივ რეჟიმში მხოლოდ იმ შემთხვევაში მოახდენს, თუ მოლაპარაკებები პალესტინასთან შედეგიანი არ იქნება. რაც შეეხება შეხვედრას ეგვიპტის პრეზიდენტთან, იგი საათნახევრის განმავლობაში დახურულ კარს მიღმა მიმდინარეობდა. შეხვედრის დეტალები ჯერჯერობით არ არის ცნობილი. ეს ისრაელის პრემიერის პირველი ვიზიტია არაბულ ქვეყნებში. **ინტერპრესნიუსი**

### თურქეთი ევროკავშირის კრიტიკას იმსახურებს

თურქეთი ევროკავშირის კრიტიკას იმსახურებს. კრიტიკა იმ რეფორმების პროცესის შენელებას ეხება, რომელთა გატარებაც ევროინეგრაციის პროცესს თან სდევს. აღსანიშნავია, რომ ეს კრიტიკა ევროკავშირში თურქეთის გაწევრიანების თაობაზე მოლაპარაკებების რაუნდის დაწყებამდე ერთი კვირით ადრე გაისმა.

თურქეთის ევროკავშირში გაწევრიანების შესახებ საუბარი აქტიურად 2005 წლის 3 ოქტომბერს დაიწყო. ამ გზაზე თურქეთს 35 პუნქტის მიხედვით ტექნიკური მოლაპარაკებების გამართვა მოუწევს. პირველი მოლაპარაკება 12 ივნისს ლუქსემბურგშია დაგეგმილი. მოლაპარაკებების თემა განათლება და მეცნიერებაა. მოსალოდნელ მოლაპარაკებებს ანკარაში უმნიშვნელოვანესს უწოდებენ. თურქეთის საგარეოპოლიტიკური უწყების ხელმძღვანელის აბდულა გიულის განცხადებით, ლუქსემბურგში დაგეგმილი შეხვედრა შეიძლება იქცეს "გადამწყვეტ წერტილად" თურქეთ-ევროკავშირის ურთიერთობებში. თურქეთს უკვე დიდი ხანია აკრიტიკებენ რეფორმების შენელების გამო. ბრიუსელი გამოთქვამს პრეტენზიებს, რომ ოფიციალური ანკარა შიდა პრობლემებითა და საპრეზიდენტო თუ საპარლამენტო არჩევნებით უფრო დაკავებული, ვიდრე რეფორმების გატარებით.

ბრიუსელის ამ პრეტენზიებს თურქეთის საგარეო საქმეთა მინისტრი არ იზიარებს. აბდულა გიულის განცხადებით, ამჟამინდელმა ხელისუფლებამ უფრო მეტი რამის გაკეთება შეძლო, ვიდრე "მათმა წინამორბედებმა, ყველამ ერთად".

ექსპერტთა შეფასებით, თურქეთის ევროპულ სტრუქტურებში ინტეგრაციას 10-15 წელი შეიძლება დასჭირდეს. **ინტერპრესნიუსი**

24 საათი: მთავარი რედაქტორი მამუკა ფაჩუაშვილი. პაატა ვეშაპიძე (მმართველი რედაქტორი). რედაქტორები: მაია ჭალაგანიძე (Weekend), ნიკა თარაშვილი (პოლიტიკა), დავით ნინიკაშვილი (ბიზნესი), ბიძინა მაყაშვილი (რევიუ), კახა ფაჩუაშვილი (სპორტი).
რეკლამის და მარკეტინგის მენეჯერი ირაკლი ლეჟავა . კომპიუტერული ცენტრი: თამაზ ჩხაიძე (მენეჯერი), დიმიტრი შალუტაშვილი, თენგიზ ქირია, ნინო ყაველაშვილი

# შავი ზღვა - ახალი ხედვის ძიებაში

პირველი გვერდიდან



ფორუმში პრეზიდენტების გარდა მონაწილეობდნენ ბელგიის, ლიტვის, ბულგარეთის, თურქეთისა და საბერძნეთის საგარეო საქმეთა მინისტრები.

თავდაპირველად, ალიევი და კოჩარიანი ერთმანეთს კვირას საღამოს, საკუთარი და ბელგიის საგარეო საქმეთა მინისტრებისა და ეუთო-ს წარმომადგენელების თანდასწრებით შეხვდნენ. მოგვიანებით, მათ პირისპირ შეხვედრაც გამართეს. გუშინ კიდევ ერთი შეხვედრა გაიმართა აზერბაიჯანისა და სომხეთის ლიდერებს შორის. ჯერჯერობით უცნობია, შეძლეს თუ არა პრეზიდენტებმა საერთო ენის გამონახვა, თუმცა, როგორც მიმომხილველები აღნიშნავენ, უკვე ის არის იმედისმომცემი, რომ საფრანგეთში, რამბეუს სასახლეში ჩაშლილი მოლაპარაკებების შემდეგ მხარეები აგრძელებენ ჩიხში მოქცეული პროცესიდან გამოსავლის ძიებას.

ბუქარესტის სამიტზე გაყინულ კონფლიქტებზე საუბარს უმნიშვნელოვანესი ადგილი დაეთმო. რუმინეთის პრეზიდენტის ტრაიან ბაშესკუს თქმით, გაყინული კონფლიტების მოგვარება არ წარმოადგენს მხოლოდ ორმხრივი თუ რეგიონული ზრუნვის საგანს და მთელი საერთაშორისო საზოგადოებრიობის ძალისხმევას მოითხოვს. **"კონფლიქტები დნესტრისპირეთში, აფხაზეთში, მთიან ყარაბაღსა და სამხრეთ ოსეთში ერთმანეთისგან სრულიად განსხვავებულია და, შესაბამისად, მათი მოგვარებაც განსხვავებულად უნდა მოხდეს,** - აღნიშნა ბაშესკუმ, - **თანაც არ არსებობს გაყინული კონფლიქტების მოგვარების რაიმე უნივერსალური მოდელი. ისინი ერთგვარი გამოცდაა, რომელში ჩაჭრის უფლებაც არა აქვთ როგორც შავი ზღვის ქვეყნებს, ასევე ევროატლანტიკურ თანამეგობრობას".**

ასევე უმნიშვნელოვანესი უწოდა კონფლიქტების დარეგულირების თვალსაზრისით "შავი ზღვის ქვეყნების საერთაშორისო ფორუმს" საქართველოს პრეზიდენტმა მიხეილ სააკაშვილმა. აღსანიშნავია, რომ სამიტში მონაწილე ყველა ლიდერმა საჭიროდ ჩათვალა ვრცლად ესაუბრა კონფლიქტურ რეგიონებზე.

ფორუმში პრეზიდენტების გარდა მონაწილეობდნენ ბელგიის, ლიტვის, ბულგარეთის, თურქეთისა და საბერძნეთის საგარეო საქმეთა მინისტრები. ერთადერთი შავიზღვისპირა ქვეყანა, რომელიც მხოლოდ ელჩის დონეზე იყო წარმოდგენილი - რუსეთი იყო. მიწვევის მიუხედავად, სამიტში მონაწილეობაზე ვლადიმირ პუტინმა უარი განაცხადა.

როგორც საქართველოს პრეზიდენტმა აღნიშნა, მსგავსი შეხვედრები საჭიროა ენერგორესურსების მოზიდვისა და ეკონომიკური საკითხების გადაწყვეტის მიზნით.

შეხვედრის ჩატარების ინიციატივა რუმინეთის პრეზიდენტს ტრაიან ბაშესკუს ეკუთვნოდა. საერთო შეფასებებით, იგი მიზნად ისახავდა რეგიონში დიალოგის გააქტიურებას და შავი ზღვის აუზის ქვეყნებს შორის ნდობის ამაღლებას, რაც სტაბილურობის უზრუნველყოფის ერთ-ერთი მთავარ ფაქტორია.

ორგანიზატორების განცხადებით, ფორუმი მონაწილეებს საშუალებას მისცემს რეგიონში ახალი ეკონომიკური პროექტების რეალიზაციის პერსპექტივები განიხილონ.

# განსხვავებული მოლოდინი

პირველი გვერდიდან

ამიტომაც, მისი აზრით, აშშ მოლაპარაკებაზე ორივე მხარის იძულებას ცდილობს. ფელგენგაუერი აცხადებს, რომ რუსეთის პრეზიდენტის თანხმობა სააკაშვილთან შეხვედრაზე ერთი მიზეზით არის განპირობებული - მას უნდა დასავლეთს დაანახოს, რომ მოლაპარაკებას ცდილობს, მაგრამ არაფერი გამოსდის. თუმცა, იგივე მიზანი ამოძრავებს საქართველოს პრეზიდენტსაც, - მიიჩნევს ექსპერტი.

**"წინა შეხვედრებიდან ვერცერთმა ვერაფერი გადაწყვიტა. შეიძლება ამჯერად პრეზიდენტები რაიმე სამუშაო ჯგუფის შექმნაზე შეთანხმდნენ არსებული პრობლემების გადასაწყვეტად, მაგრამ მე ამის არ მჯერა,"** - აცხადებს ფელგენგაუერი.

პოლიტტექნოლოგიების ცენტრის ექსპერტი ვიტალი პორტნიკოვი აღნიშნავს, რომ პუტინისათვის შეხვედრის მთავარი მიზანი იქნება **"მიანიშნოს ქართველებს, რომ მოლაპარაკებას რუსეთი არა სააკაშვილთან, არამედ ვინმე სხვასთან აპირებს. უფრო სწორედ: ჩვენ მზად ვართ სააკაშვილსაც ველაპარაკოთ, მაგრამ მასთან არაფერი გამოგვდის. ასე რომ, ძმებო, დაფიქრდით."**

**"ნდობის აღსადგენად გულწრფელი საუბარია აუცილებელი. პირადი კონტაქტების ფაქტორსაც დიდი მნიშვნელობა აქვს პოსტსაბჭოთა პოლიტიკაში,"** - აცხადებს, რუსეთისა და საქართველოს პრეზიდენტების მომავალი შეხვედრის პერსპექტივებზე საუბრისას, პოლიტიკური და სამხედრო ანალიზის ინსტიტუტის ექსპერტი სერგეი მარკედონოვი. თუმცა, მისი აზრით, შეხვედრა წარმატებული მხოლოდ მაშინ იქნება, **"თუ მოლაპარაკებებზე აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის საკითხები პირველხარისხოვანი აღარ იქნება და უკანა პლანზე გადაიწევს."**

უფრო ოპტიმისტურად უყურებს მომავალ მოლაპარაკებებს რესპუბლიკური პარტიის წარმომადგენელი, პოლიტოლოგი პაატა ზაქარეიშვილი. იგი მომავალ შეხვედრას "ძალიან მნიშვნელოვანს" უწოდებს, რომელიც, რომ არა დასავლეთის პოზიცია, ვერ შედგებოდა.

**"ალბათ, სამშვიდობოების გაყვანის საკითხის დაყენება გადავადდება. სამაგიეროდ, რუსეთი აღარ გაამწვავებს კოსოვოს პრეცედენტის თემას კონფლიქტებთან მიმართებაში. შესაძლოა, იქნება საუბარი იმაზე, რომ რუსეთს ხელი არ შეეშალოს საქართველოში ეკონომიკური ინტერესების განხორციელებაში,"** - ასე აფასებს შეხვედრის პერსპექტივას ზაქარეიშვილი.

ზაქარეიშვილის აზრით, შეხვედრაზე აუცილებლად იქნება საუბარი ნატო-ში საქართველოს ინტეგრაციის თემაზე, რაც რუსეთისათვის ყველაზე გამაღიზიანებელია. მისი აზრით, რუსეთი ამ პროცესის შეფერხებას შეეცდება. გარდა ამისა, ერთ-ერთი საკითხი, რაზეც შესაძლოა პრეზიდენტები შეთანხმდნენ, არის რიტორიკის სტილის შეცვლა საქართველოს მხრიდან. **"რუსეთისთვის ამას დიდი მნიშვნელობა აქვს. ისეთი მწვავე განცხადებები, რომლითაც საქართველოს გარდა რუსეთს ვერავინ ესაუბრება, სერიოზულად ლახავს რუსეთის რეპუტაციას,"** - მიაჩნია პოლიტოლოგს.

ზაქარეიშვილი ფიქრობს, რომ ქართული პროდუქციის რუსულ ბაზარზე დაშვების საკითხი ერთბაშად ვერ გადაწყდება: **"ეს პრობლემა შეიძლება თანდათანობით გადაწყდეს, მომავალში დაიდოს ახალი ხელშეკრულება ქართული პროდუქციისადმი მკაცრი მოთხოვნებით და რუსეთში ხარისხიანი ღვინის შეტანა დაიწყოს".**

**"აშშ მიესალმება საქართველოსა და რუსეთის პრეზიდენტების შეხვედრას,** - ნათქვამია საქართველოში აშშ-ს საელჩოს მიერ გუშინ გავრცელებულ განცხადებაში, - **აშშ მხარს უჭერს საქართველოს ტერიტორიულ მთლიანობას, საყოველთაოდ აღიარებულ საზღვრებში, და აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთში კონფლიქტების მშვიდობიანი მოწესრიგების პოლიტიკას".**

თბილისში პუტინისა და სააკაშვილის შეხვედრისაგან რუსეთის მიერ სწორედ საქართველოს ტერიტორიულ მთლიანობასთან დაკავშირებით მკაფიო პოზიციის ჩამოყალიბებას მოელიან. საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის ფორმალურ მხარდაჭერაზე განცხადებებს ბოლო პერიოდამდე რუსეთიც აკეთებდა. თუმცა, ურთიერთობის უკიდურესად გამწვავების ფონზე, გასულ კვირაში რუსეთის საგარეო საქმეთა სამინისტრომ ამ პოზიციის შეცვლაზე მიანიშნა. კერძოდ, რუსულ დიპლომატიურ რიტორიკაში "ერთა თვითგამორკვევის უფლების" თემა გაჩნდა. თავად ვლადიმირ პუტინმა კი გასულ პარასკევს, საერთაშორისო საინფორმაციო სააგენტოების ხელმძღვანელებთან გამართულ შეხვედრაზე, ყოფილ იუგოსლავიაზე საუბრისას, ფაქტობრივად, სახელმწიფოების ტერიტორიული მთლიანობის პრიორიტეტს დაუჭირა მხარი.

**"არის ჩვენთვის პრიორიტეტული დღეს არსებული სახელმწიფოების ტერიტორიული მთლიანობის დაცვა, თუ პრიორიტეტია ისტორიული სამართლიანობის და პოლიტიკური მიზანშეწონილობის ძნელად დასადგენი ცნებები?"** - იკითხა პუტინმა. მან აღნიშნა, რომ ახალი დამოუკიდებელი სახელმწიფოების შექმნის პრეცედენტები **"ნეგატიურ ზეგავლენას"** არა მხოლოდ პოსტსაბჭოთა სივრცეზე, არამედ ევროპაზეც მოახდენს. **"მე ეს მაშფოთებს. და მე მინდა, რუსეთის ეს შეშფოთება სხვებმაც გაიზიარონ,"** - განაცხადა პუტინმა.

**"ასეთი განსხვავებული განცხადებები საგარეო უწყებისა და პრეზიდენტის მხრიდან მოწმობს, რომ რუსეთის ხელისუფლებას ამ საკითხთან დაკავშირებით საერთო, ჩამოყალიბებული პოზიცია არ გააჩნია,"** - აცხადებს "24 საათთან" საუბრისას სერგეი მარკედონოვი და ამგვარ მდგომარეობას "არალოგიკურს" უწოდებს.

# სიტყვის თავისუფლება "პრესის ჯალათის" პირით

## ვლადიმირ პუტინის განცხადებით, სიტყვის თავისუფლება რუსეთში დემოკრატიის გარანტია

თეა მაისურაძე




ვლადიმირ პუტინის კონგრესზე მისვლა სკანდალის მიზეზი გახდა.

გუშინ რუსეთში მსოფლიოს გაზეთების კონგრესი გაიხსნა - ტრადიციული ღონისძიება, რომელსაც მსოფლიოს გაზეთების ასოციაცია (World Association of Newspapers, WAN) ყოველწლიურად სხვადასხვა ქვეყანაში ატარებს. გუშინ კრემლში გამართული გახსნის ოფიციალური ცერემონიალის პარალელურად, მთავარი რედაქტორების მსოფლიო ფორუმიც ჩატარდა.

ვლადიმირ პუტინის ფორუმში მონაწილეობა ბოლო წუთამდე კითხვის ნიშნის ქვეშ იდგა - რუსული ელიტა შიშობდა, რომ უცხოელი ჟურნალისტები მოულოდნელი კომენტარებით რუსეთში არსებულ ვითარებაზე ქვეყნის მეთაურს უხერხულ მდგომარეობაში ჩააგდებდნენ. თუმცა, ამ ღონისძიებას პრეზიდენტი პუტინი არ გამოკლებია და სკანდალითაც აღნიშნა საერთაშორისო ფორუმი. პუტინის მისვლას დარბაზში რუსი ნაციონალ-ბოლშევიკების საპროტესტო აქცია მოჰყვა. "პუტინი პრესის ჯალათი! პუტინი რუსეთის ჯალათი", - ასეთი შეძახილები მოჰყვა ვლადიმირ პუტინის სხდომათა დარბაზში გამოჩენას. თუმცა, უხერხულობამ მხოლოდ წუთნახევარს გასტანა - სწორედ ამდენი დრო დასჭირდათ უშიშროების თანამშრომლებს "ნაცბოლთა" აქტივისტების დარბაზიდან გასაყვანად.

რუსეთის პრეზიდენტმა წარბშეუხრელად მოისმინა მის წინააღმდეგ ბრალდებები და რაც არ უნდა გასაკვირი იყოს, ამის შემდეგ საკუთარ სიტყვაში თავად მოუწოდა ჟურნალისტებს მეტი თავისუფლებისაკენ: **"ჩვენ შევიკრიბეთ იმ ადგილას, რომელსაც ოდესღაც კომუნისტური პარტიების შეკრების რეზიდენციას უწოდებდნენ და დღეს ჩვენ აქ საკმაოდ კრიტიკულ ჭრილში ვმსჯელობთ სიტყვის თავისუფლებაზე, მასპინძლები ვუსმენთ ჩვენი სტუმრების აზრს, რაც 10-12-15 წლის წინ ძნელი დასაჯერებელი იყო,"** - აღნიშნა პუტინმა.

რუსეთის პრეზიდენტმა განაცხადა, რომ 90-იან წლებში თავისუფალი პრესის გარეშე შეუძლებელი იქნებოდა მასშტაბური ცვლილებები, ხოლო დღესდღეობით მასმედიის თავისუფლება წარმოადგენს ქვეყნის დემოკრატიული განვითარების გარანტს. პუტინმა ხაზგასმით აღნიშნა, რომ რუსმა ხალხმა "დემოკრატიის სასარგებლოდ გონივრული არჩევანი გააკეთა". მისივე თქმით, მოსკოვში ასეთი კონფერენციის გამართვა და მრავალი სტუმრის მოსვლა ამ ღონისძიებაზე არის "რუსეთისადმი გულწრფელი და დიდი ინტერესის დამადასტურებელი". პუტინმა მოუწოდა ჟურნალისტებს, რომ მოეხერხებინათ კომერციული ინტერესებისა და პრესის იდეალების შერწყმა და არ დაეშვათ ოლიგარქების დიქტატი მასმედიაში.

ფორუმს ესწრებოდა 1500 რედაქტორი, გამომცემელი და მენეჯერი 111 ქვეყნიდან.

ფორუმის მთავარი მოვლენა ირანელი დისიდენტი ჟურნალისტის, აკბარ განჯის გამოჩენა იყო, რომელმაც მთელი 5 წელი გაატარა ციხეში და ყველასათვის მოულოდნელად მოიპოვა თავისუფლება. მოსკოვში ირანელმა ჟურანისტმა პრემია "ოქროს კალამი თავისუფლებისათვის" მიიღო.

სამდღიანი ფორუმის ფარგლებში გაიმართება დისკუსია მრგვალი მაგიდის გარშემო. ერთ-ერთი მათგანში მონაწილეობას მიიღებენ დანიელი ჟურნალისტები, რომლებმაც მუჰამედის კარიკატურები შექმნეს და ასევე ისლამური სამყაროს მასმედიის მთავარი რედაქტორები.

აღსანიშნავია, რომ სხვა მრგვალ მაგიდასთან, გასულ კვირას გაიმართა მსჯელობა რუსეთში თავისუფალი სიტყვის საკითხზე. საყურადღებოა, რომ თვით რუსეთის შიგნით არის მწვავე დისკუსია პრესისა და სიტყვის თავისუფლების შესახებ.

რუსეთის სახელმწიფო ტელევიზიის "როსია"-ს წამყვანის ნიკოლაი სვანიძის განცხადებით, რუსული მასმედია "დაიღალა პლურალიზმისაგან". **"შესაძლოა ჩვენი სტუმრებისათვის აშშ-დან და ევროპიდან ეს ძნელი გასაგებია, მაგრამ კლასიკური საბჭოთა ტელემაყურებელი ალტერნატივას ვერ შეეგუა. მრავალფეროვანი არჩევანი ღლის ადამიანს, რადგან ბევრი ფიქრი უწევს,"** - განაცხადა სვანიძემ.

სვანიძის განცხადებით, რუსები არ ეყრდნობიან არაზუსტ სიტუაციებს, მათ სურთ ზუსტად იცოდნენ რა ხდება და რა უნდა გააკეთონ ამ თვალსაზრისით.

სახელმწიფო ტელევიზიის "რუსეთის" წამყვანის განცხადებას არ დაეთანხმნენ რუსეთის რეგიონალური დამოუკიდებელი მასმედიის წარმომადგენლები: **"ჩვენი მკითხველი არ იღლება იმით, რომ მას ჩვენ აზრთა სხვადასხვაობას ვთავაზობთ, ისინი ამაზე მადლობელნი არიან"** - განაცხადა "ალტაპრესის" გამომცემლობის დირექტორმა პურგინმა.

ფორუმის დასაწყისში საერთაშორისო საგაზეთო ასოციაციის მეთაურმა, ტიმოთი ბოლდინგმა, რომლის ეგიდითაც ეს ფორუმი ჩატარდა, გამოხატა თავისი კრიტიკული დამოკიდებულება რუსეთში სიტყვის თავისუფლებისადმი. **"რუსეთში პრესისათვის არსებული პირობები და ტენდენცია არ არის დამაკმაყოფილებელი"** - აღნიშნა მან.

საინტერესოა, რომ უკანასკნელ ხანებში არ არის აღნიშნული ჟურნალისტზე არც ერთი თავდასხმის შემთხვევა, ასევე მასმედიის წარმომადგენელთა დაკავების ან კიდევ პროფესიული მოვალეობის შესრულების დროს დაღუპვის ფაქტი. ეს, რა თქმა უნდა, არ არის იმის ინდიკატორი, რომ რუსი ჟურნალისტებისათვის უფრო სასურველი სამუშაო გარემო შეიქმნა და მათ მუშაობა უადვილდებათ. როგორც ზოგიერთი რუსი ჟურნალისტი აცხადებს, ხელისუფლება უბრალოდ არ აძლევს რეპორტიორებს საშიშ ადგილებში მუშაობის საშუალებას და ეს ხდება არ იმიტომ, რომ ისინი ჟურნალისტთა ჯანმრთელობაზე და მათ სიცოცხლეზე ზრუნავენ, არამედ იმიტომ, რომ ისინი ინფორმაციის საჯაროობას ერიდებიან. **"ჟურნალისტებს პრაქტიკულად უკვე აღარ შეუძლიათ პოსტ-საბჭოთა სივრცეში არსებულ ცხელ წერტილებში მუშაობა. უკვე მეექვსე წელია რაც მათ ჩეჩნეთში არ უშვებენ, შესაბამისად მათ სიცოცხლეს ამ მხრივ საფრთხე არ ემუქრება,"** - აღნიშნა ექსტრემალური ჟურნალისტიკის ცენტრის ხელმძღვანელმა ოლეგ პარფიონოვმა. თუმცა, მისი თქმით, გახშირდა ჟურნალისტთა თვალთვალისა და დევნის ფაქტები. ექსტრემალური ჟურნალისტიკის ცენტრმა ერთი წლის განმავლობაში 9 ასეთი შემთხვევა დააფიქსირა, როდესაც ჟურნალისტების საქმიანობის შესახებ იურიდიული და სასამართლო გამოძიება მიმდინარეობდა. ოლეგ პარფიონოვი მიიჩნევს, რომ რუსეთის სხვადასხვა რეგიონებში ჟურნალისტთა თავისუფლების ხარისხი არაერთგვაროვანია. **"რუსეთის ტერიტორიაზე ისეთი რეგიონებიც არის, რომლებიც ძალიან ჰგავს ჩრდილოეთ კორეას, კუბას, თურქმენეთს - მაგალითად კალმიკია და ბაშკირეთი. თუმცა არის ისეთი რეგიონებიც, რომლებიც უფრო თავისუფალია და სადაც არ არის სახელმწიფო გაზეთი, მაგალითად ასეთია პერმის ოლქი,"** - მიიჩნევს ოლეგ პარფიონოვი.

ჟურნალ "სტრანა"-ს მთავარი რედაქტორი სერგეი სოკოლოვი კი მიიჩნევს, რომ ჟურნალისტებისათვის დღეს სამუშაო გარემო ბევრად უფრო მიმზიდველია, რადგან თუ ადრე მათთვის საფრთხე მოდიოდა ისევე როგორც ხელისუფლებიდან, ასევე კრიმინალური სამყაროს წარმომადგენლებისაგან, დღესდღეობით ასეთი საფრთხეები ძალიან შემცირდა, ხოლო რაც შეეხება ჟურნალისტური საქმიანობის გამოძიებას, ეს არავითარ საფრთხეს არ წარმოადგენს: **"ყველაზე დიდმა ოლიგარქებმა და ბიზნესმენებმაც კი იციან, რომ ჟურნალისტი თავის პროფესიულ მოვალეობას ასრულებს. თუ ის წერს და არ ვაჭრობს ინფორმაციით, მაშინ რა პრეტენზიები შეიძლება არსებობდეს ამ ადამიანის მიმართ?! ბოლოს და ბოლოს ეს დიდი პროფესიონალური თამაშია".**

ამრიგად, მიუხედავად პრეზიდენტ პუტინის სიტყვებისა, რომლის მიხედვითაც რუსეთში სიტყვის თავისუფლება "ზეიმობს" და ეს დემოკრატიის მნიშვნელოვანი გარანტია, საპირისპირო არგუმენტებიც მრავლად მოიძებნება. აშშ-ს "ჟურნალისტების დამცველმა კომიტეტმა" ბოლო პერიოდში შეადგინა იმ ქვეყნების სია, სადაც ყველაზე რთული სამუშაო გარემო პირობებია ჟურნალისტებისათვის. საყურადღებოა, რომ კუბის, თურქმენეთის, ჩინეთის და ერითრეის გვერდით რუსეთიც აღმოჩნდა.



## მკვლელობა ძირკოკში

გუშინ მკვლელობა მოხდა გურჯაანის რაიონის სოფელ ძირკოკში. 55 წლის ვალერი დათუაშვილმა თანასოფლელი, 29 წლის ნოდარ მანიჟაშვილი მოკლა. როგორც გარდაცვლილის ახლობლები ამბობენ, მოკლულს მკვლელობაში ბრალდებულ დათუაშვილთან არანაირი კავშირი არ ჰქონდა. მომხდარის მიზეზს კი ასე ხსნიან:

**"ჩემი შვილი ახლობლის დაკრძალვაზე იყო სოფელში ჩამოსული. შებინდებული იქნებოდა, როცა გარდაცვლილის ოჯახიდან გამოდიოდა. ნოდარს დაუნახავს, როგორ ემუქრებოდა ვალერი იარაღით თანასოფლელს და მისი შეჩერება უცდია. ამ დროს დათუაშვილი მოტრიალებულა და ჩემი შვილისთვის დაუხლია იარაღი. არანაირი შელაპარაკება არ ყოფილა. მანამდე კი ვალერი დათუაშვილს რამდენჯერმე გაუსვრია თოფი",** - თვითმხილველთა მონაყოლს ჰყვება გარდაცვლილის მამა როლანდ მანიჟაშვილი.

მცდელობის მიუხედავად, ნოდარ მანიჟაშვილის გადარჩენა ექიმებმა ვერ მოახერხეს, რადგან მას რამდენიმე სასიკვდილო ჭრილობა ჰქონდა მიყენებული.

რაც შეეხება მკვლელობაში ბრალდებულ ვალერი დათუაშვილს, იგი წლების წინ რუსეთში ბიზნესს ეწეოდა, იყო ვეჯინის ღვინის ქარხნის დირექტორი; 2002 წლის საპარლამენტო არჩევნებში კენჭს გურჯაანის რაიონიდან იყრიდა. ბოლო ორი წლის განმავლობაში, ძირითადად, თბილისში ცხოვრობდა. როგორც ძირკოკელები ამბობენ, მისი პრეტენზიების ატანა ხშირად უწევდათ, რადგან ნასვამ მდგომარეობაში მყოფი ვალერი დათუაშვილი იარაღს უმიზეზოდ ხშირად ისროდა.

ვალერი დათუაშვილი გურჯაანის პოლიციის წინასწარ დაკავების იზოლატორშია გადაყვანილი. პოლიციამ იგი იმ დროს დააკავა, როცა მიმალვას ცდილობდა.

*24 საათი*

## ავარია იანეთთან

4 ივნისს იმერეთში, სოფელ იანეთთან ავტოკატასტროფა მოხდა, რომელსაც ორი ადამიანი ემსხვერპლა - 32 წლის გიორგი თოდუა და მისი 3 წლის ქალიშვილი დეა თოდუა. ტრასაზე ერთმანეთს დაეჯახა ორი ავტომანქანა - "ფოლკსვაგენი" და "აუდი". ერთ-ერთში ისხდნენ ფინანსური პოლიციის უფროსი დავით კეზერაშვილი, მისი მეუღლე, დაცვის წევრი და მძღოლი, ხოლო მეორე მანქანაში - გიორგი თოდუა, რომელიც პოლიციის მთავარ სამმართველოში მუშაობდა და მისი ოჯახის წევრები. ავტოკატასტროფის შედეგად მძიმედ დაშავდნენ დეა და თეონა პაპასკირები, რომლებიც ქუთაისის საავადმყოფოს რეანიმაციულ განყოფილებაში გადაიყვანეს.

ქუთაისში, დასავლეთ საქართველოს ინტერვენციის მედიცინის ეროვნულ ცენტრში მკურნალობენ ფინანსური პოლიციის ხელმძღვანელი დავით კეზერაშვილი და მისი მეუღლე. ცენტრის დირექტორის კახა ნურანიძის განცხადებით, კეზერაშვილს დაჟეჟილი აქვს წვივი და სამი ნეკნი დაზიანებული. მის მეუღლეს სოფიკო კეზერაშვილს კი მარჯვენა ხელის ერთ თითზე და ქვედა ტუჩზე ნაკერების დადება დასჭირდა. როგორც ჟურნალისტებთან საუბარში ქუთაისის საავადმყოფოს მედპერსონალმა განაცხადა, დავით კეზერაშვილსა და მის მეუღლეს გამოკვლევას კიდევ ერთხელ ჩაუტარებენ, გაარკვევენ, ექვემდებარებიან თუ არა ისინი ტრანსპორტირებას, რის შემდეგ მათ თბილისში გადმოიყვანენ.

ქუთაისის კლინიკურ და ბავშვთა საავადმყოფოებში იმყოფება კიდევ 6 ადამიანი, მათ შორის - ორი მცირეწლოვანი ბავშვი, რომლებიც ავარიის დროს დაშავდნენ, მათი ჯანმრთელობის მდგომარეობა დამაკმაყოფილებელია. ექიმების განცხადებით, დაშავებულთა სიცოცხლეს ამ დროისათვის საფრთხე არ ემუქრება. დაშავებულ ბავშვებსაც, ასევე, თბილისში გადმოიყვანენ. **ინტერპრესნიუსი**

## ხაბულიანის მკვლელობა გახსნილია

ქართველი ძიუდოისტის, შინაგან საქმეთა ყოფილი მინისტრის, დილარ ხაბულიანის ძმისშვილის, 22 წლის სეკო ხაბულიანის მკვლელობა შინაგან საქმეთა სამინისტრომ გახსნილად გამოაცხადა. ბარნოვის ქუჩაზე, კაფე "პრაღაში" რამდენიმე დღის წინ ცეცხლსასროლი იარაღით მოკლულ ხაბულიანის საქმეზე რამდენიმე ვერსია არსებობდა. საბოლოოდ კი, ოპერატიული ინფორმაციის საფუძველზე, სამართალდამცველებმა მკვლელის ვინაობა დაადგინეს და მასზე ძებნაც გამოაცხადეს. აღნიშნული დანაშაულისთვის პოლიცია ეძებს მკვლელობაში ეჭვმიტანილ მიხეილ სვანიძეს, რომლის ფოტოც შს სამინისტრომ ოფიციალურად გამოაქვეყნა.

როგორც გარდაცვლილის ნათესავებმა განაცხადეს, მათ იმ დრომდე, სანამ შინაგან საქმეთა სამინისტრო მკვლელობაში ეჭვმიტანილს დაადგენდა, დანაშაულში ეჭვმიტანილი ეგონათ ხაბულიანის მეზობელი ზურაბ სვანიძე, თუმცა გარდაცვლილის ოჯახის წევრები და ნათესავები იზიარებენ შინაგან საქმეთა სამინისტროს ვერსიას. სამართალდამცველების ინფორმაციას არ იზიარებენ სვანიძის ახლობლები. მათი მტკიცებით, მიხეილ სვანიძე ზურაბ სვანიძის ბიძაშვილია, რომელსაც ცოტა ხნის წინ კონფლიქტი ჰქონდა ხაბულიანთან. სწორედ ეს გახდა სვანიძის მკვლელობაში ეჭვმიტანილად გამოცხადების საბაბი. პოლიციის ინფორმაციით, ამ დროისთვის მიხეილ და ზურაბ სვანიძეები მიმალვაში იმყოფებიან. **ინტერპრესნიუსი**

## ევროსაბჭოს კომისარი საქართველოს ეწვევა

ევროპის საბჭოს ადამიანის უფლებათა ოფისის კომისარი საქართველოსა და უკრაინის შესახებ მოხსენებას მოამზადებს. ევროსაბჭოს კომისარი თომას ჰამარბერგი 2006 წელს უკრაინასა და საქართველოში ვიზიტს გეგმავს. ამის შესახებ მან სანკტ-პეტერბურგში განაცხადა. ჰამარბერგი მეექვსე, ყოველწლიურ კონფერენციაში - "ომბუდსმენი და ადამიანის უფლებები" - მონაწილეობს.

"ეს ქვეყნები ევროპის საბჭოს წევრები არიან, შესაბამისად, იქ ევროპის საბჭოს ყველა გადაწყვეტილება და დეკლარაცია უნდა მუშაობდეს", - განაცხადა მან სანკტ-პეტერბურგში გამართულ პრესკონფერენციაზე. თომას ჰამარბერგმა, ასევე, განაცხადა, რომ საქართველოსა და უკრაინის მონახულების შემდეგ გეგმავს მოხსენების მომზადებას, სადაც "განსაკუთრებული ყურადღება მიექცევა ეროვნული, მათ შორის, რუსულენოვანი უმცირესობების მდგომარეობას". **ინტერპრესნიუსი**

## დაკავებულია კიდევ ერთი ეჭვმიტანილი

მიუხედავად იმისა, რომ 2 მაისის სპეცოპერაციის დროს გარდაცვლილთა ყაჩაღური დაჯგუფების წევრობა დღემდე ეჭვს იწვევს, შინაგან საქმეთა სამინისტოს მიერ გავრცელებული ინფორმაციით, აღნიშნული ჯგუფის კიდევ ერთი თანამზრახველი დააკავეს. იგი გლდანში მცხოვრები ედუარდ სინდოიანია.

"ეჭვმიტანილმა 2 მაისს ჩოგბურთის კორტებთან ლიკვიდირებულ ალექსანდრე ხუბულოვთან, ზურაბ ვაზაგაშვილთან და დაკავებულ ბუბა ფუთურიძესთან ერთად განუხორციელებელი ყაჩაღური თავდასხმა მოამზადა. დაკავებულმა სინდოიანმა აღნიშნული ფაქტი აღიარა", - განმარტავენ შს სამინისტროში.

შეგახსენებთ, ჩოგბურთის კორტების მიმდებარე ტერიტორიაზე ჩატარებული სპეცოპერაციის დროს ლიკვიდირებულია ორი ახალგაზრდა - ალექსანდრე (საშა) ხუბულოვი და ზურაბ ვაზაგაშვილი, ხოლო ბუბა ფუთურიძე მძიმედ დაიჭრა.

შს სამინისტროს ინფორმაციით, აღნიშნული ჯგუფის წევრები 2 მაისს ყაჩაღურ თავდასხმას ამზადებდნენ, რისი განხორციელებაც, სპეცოპერაციის გამო, ვერ მოხერხდა. **ინტერპრესნიუსი**

## უაქციზო სიგარეტი და იარაღი ერთ ოჯახში

ფინანსური პოლიციის საგამოძიებო დეპარტამენტის ქვემო ქართლის სამმართველოს თანამშრომლებმა გარდაბნის რაიონის სოფელ ნაზარლოში ფაშა ველიევის ოჯახში ჩატარებული ჩხრეკის შედეგად უაქციზო სიგარეტი და იარაღი ამოიღეს.

ველიევის ოჯახში ჩხრეკა ოპერატიულ ინფორმაციაზე დაყრდნობით ჩატარდა. 400 კოლოფ სიგარეტთან ერთად სახლში ჩხრეკის შედეგად აღმოჩენილ იქნა "აკს"-ის ტიპის ავტომატური ცეცხლსასროლი იარაღი, 5 მჭიდითა და 265 ტყვიით, ასევე - გადაჭრილი სანადირო თოფი. წინასწარი მოკვლევით გაირკვა, რომ იარაღი ფაშა ველიევის შვილს ნაზი ველიევს ეკუთვნოდა.

როგორც ფინანსური პოლიციის საგამოძიებო დეპარტამენტის ქვემო ქართლის უფროსის მოადგილემ ლექსო დალაქიშვილმა განაცხადა, სისხლის სამართლის საქმე იარაღის უკანონო შენახვაზე აღიძრა. რაც შეეხება უაქციზო სიგარეტს, ვალიევები, ადმინისტრაციული სამართალდარღვევის კოდექსის პირველი ნაწილის თანახმად, 500 ლარით დაჯარიმდებიან. **ინტერპრესნიუსი**

## ყალბი ფული გოჭების სანაცვლოდ

ფინანსური პოლიციის საგამოძიებო დეპარტამენტის თბილისის სამმართველომ ყალბი 2 400 აშშ დოლარის გასაღების ფაქტზე წინასწარი გამოძიება დაიწყო. ფინანსურ პოლიციას მიმართა მოქალაქემ, რომელიც შინაური ცხოველების რეალიზაციას ეწევა. ამ პირს დაუკავშირდა ვინმე დავითი, რომელმაც თავი თბილისში მდებარე ერთ-ერთი რესტორნის დირექტორად გაასაღა, მას 71 ცალი გოჭი შეუკვეთა და 2 400 დოლარი გადაუხადა. მოგვიანებით მოქალაქემ აღმოაჩინა, რომ დოლარის კუპიურები ყალბია. დაწყებულია წინასწარი გამოძიება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 212-ე მუხლით, რაც "ყალბი ფულის გასაღებას" გულისხმობს. დამნაშავის ვინაობა ჯერჯერობით დაუდგენელია. **ინტერპრესნიუსი**

# განსასჯელი პოლიციელის ჩვენებები

პირველი გვერდიდან


მოკლულის ოჯახის წევრები შსს ყოფილი მაღალჩინოსნების დასჯას მოითხოვენ.

პროცესს ესწრებოდა ამირან რობაქიძის ერთ-ერთი მეგობრის გიორგი ქურდაძის დედა ლია კიკვაძე, რომელმაც განაცხადა, რომ ახალგაზრდების ჯგუფი 23 ნოემბერს მასთან სახლში აღნიშნავდა გიორგობის დღესასწაულს. მას არც სახლიდან გასვლამდე და არც შემდეგ არ შეუნიშნავს ახალგაზრდების ხელში რაიმე სახის ცეცხლსასროლი იარაღი.

აქედან გამომდინარე, დაზარალებულის ნათესავები და ახლობლები მიიჩნევენ, რომ აღნიშნული საქმე საგანგებოდ გაყალბებულია. დაზარალებულის ადვოკატმა ალეკო ალადაშვილმა სასამართლოს სთხოვა, გამოითხოვონ ის ვიდეომასალა, რომელიც ვიდეოპატრულის არქივში ინახება. ადვოკატი მიიჩნევს, რომ ვიდეოპატრულმა ობიექტურად აღწერა შემთხვევის ადგილზე მომხდარი მოვლენები, რაც მოგვიანებით საგანგებოდ დამახინჯდა.

რობაქიძის ოჯახის წევრები შინაგან საქმეთა სამინისტროს ყოფილი მაღალჩინოსნების დასჯას მოითხოვენ. ამირან რობაქიძის დედის ია მეტრეველის განცხადებით, საპატრულო პოლიციის თანამშრომლებმა მისი შვილი აბსოლუტურად უსაფუძვლოდ მოკლეს და შემდეგ დანაშაულის ინსცენირება თავად მოაწყვეს. მისივე თქმით, ცრუ ინფორმაციის გავრცელებას, დაჭრილებისთვის და გარდაცვლილისთვის ცეცხლსასროლი იარაღების ჩადებას ხელმძღვანელობდა თბილისის საპატრულო პოლიციის მაშინდელი უფროსი ზურაბ მიქაძე. ამიტომ, ამირან რობაქიძის ოჯახი ზურაბ მიქაძისა და გურამ დონაძის მიმართ სისხლის სამართლის საქმის აღძვრას მოითხოვს.

ამირან რობაქიძის მკვლელობასთან დაკავშირებით ახალ წერილს ამზადებს სახალხო დამცველის ოფისი. სოზარ სუბარის თქმით, სახალხო დამცველის ახალ წერილში დასახელებულია იმ პოლიციელთა გვარები, რომლებიც შემთხვევის ადგილზე იმყოფებოდნენ და რომლებისთვისაც ინციდენტის დეტალები ცნობილია.

სოზარ სუბარის თქმით, რობაქიძის მკვლელობის ადგილზე იმყოფებოდნენ საპატრულო პოლიციის ყოფილი და ამჟამინდელი უფროსები და მათ საკუთარი თვალით ნახეს, როგორ გაყალბდა მტკიცებულებები.

გარდა ამისა, როგორც ომბუდსმენი აცხადებს, საპატრულო პოლიციის თანამშრომლებმა სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში ცვლილებების შეტანამდე ერთი კვირით ადრე შეცვალეს ჩვენებები, რითაც ცრუ ჩვენების მიცემისთვის მოსალოდნელი პასუხისმგებლობა შეგნებულად აიცილეს თავიდან.

*24 საათი*

# სტრასბურგის მიერ პრიორიტეტულად მიჩნეული საქმე

*არასამთავრობო ორგანიზაციის წარმომადგენლები, ადვოკატები და, სხვათა შორის, სახელისუფლებო სტრუქტურების წარმომადგენლებიც მიიჩნევენ, რომ ბოლო პერიოდში უკანონო პატიმრობის შემთხვევებმა იმატა. თითქმის ყველა ადვოკატი თუ დამოუკიდებელი ექსპერტი მიიჩნევს, რომ ეს პრობლემა დღეს რეალურად არსებობს და თუ ხელისუფლებამ და სამართალდამცველმა სტრუქტურებმა სამართალწარმოებაში დამკვიდრებული მეთოდი არ შეცვალეს, შედეგი სავალალო იქნება.*

საქმე, რომლის დეტალებსაც ქვემოთ შემოგთავაზებთ, რამდენიმე თვის წინ შეიკრა.

19 აგვისტოს, ბახმაროში გამართული დოღიდან რამდენიმე დღის შემდეგ, 22 აგვისტოს, ოზურგეთში დააკავეს მამა-შვილი შალვა და ლადი დოლიძეები. ჩოხატაურის პოლიციაში 200-გვერდიანი საქმე, ფაქტობრივად, უკვე შედგენილი იყო, როცა მამა-შვილი დააკავეს და ცეცხლსასროლო იარაღისა და საბრძოლო მასალის მართლსაწინააღმდეგო შეძენა, შენახვა, ტარება-გადაზიდვასა და ხულიგნობაში დაადანაშაულეს.

ბრალდებულმა შალვა დოლიძემ და მისმა ადვოკატმა ცხრა თვის მანძილზე ყველა სახელისუფლებო სტრუქტურას მიმართეს, რათა საქმის გამოძიებისას დაშვებული არაერთი უკანონობა გასწორებულიყო, მაგრამ უშედეგოდ. ცოტა ხნის წინათ შალვა დოლიძის წერილი პრეზიდენტის კანცელარიაშიც შევიდა, მაგრამ რეაგირება არც მას მოჰყოლია.

სამაგიეროდ, პასუხი მოვიდა ევროსასამართლოსგან. შალვა დოლიძისა და ვლადიმერ დოლიძის უკანონო პატიმრობის შესახებ განაცხადი ადვოკატმა ეკა ბესელიამ სტრასბურგის სასამართლოში 3 ნოემბერს გააგზავნა. ევროსასამართლომ დოლიძეების საქმე წარმოებაში 14 ნოემბერს მიიღო და ევროსასამართლოსგან საქართველოს ხელისუფლებას უკვე მოუვიდა ამის შესახებ შეტყობინება. თანაც, ევროსასამართლომ საქმეს პრიორიტეტი მიანიჭა, რაც იმას ნიშნავს, რომ ქართული სამართალწარმოების მიერ დაშვებული სერიოზული ხარვეზების გამო, საქმეს განსაკუთრებული მნიშვნელობის სტატუსი მიეცა და სტრასბურგელი მოსამართლეები დოლიძეების საქმეს დაჩქარებული წესით განიხილავენ.

დოლიძეების სასამართლო პროცესი ამჟამად, ციხის რესპუბლიკურ საავადმყოფოში, ფორსმაჟორულ ვითარებაში მიმდინარეობს. იმის გამო, რომ შალვა დოლიძე უმძიმესი ავადმყოფია, სტრასბურგის სასამართლომ საქართველოს ხელისუფლება დაავალდებულა, შალვა დოლიძე განსაკუთრებულ რეჟიმში - საავადმყოფოში მოათავსოს.

როგორც დოლიძეების ადვოკატი აცხადებს, საგამოძიებო მოქმედებები, რომელთა ჩამოთვლაც ახლა შორს წაგვიყვანდა, საპროცესო ნორმების უხეში დარღვევითაა ჩატარებული. ზოგ შემთხვევაში, არც კი ჩატარებულა ისეთი უმნიშვნელოვანესი საგამოძიებო მოქმედებები, რომელიც კანონით, საქმის აღძვრისა და ბრალის წაყენების საფუძველი უნდა გამხდარიყო. მეტიც, გამოძიებას არ მოუპოვებია ნივთმტკიცება - დანაშაულის ჩადენის იარაღი, რომლითაც, როგორც გამოძიება ირწმუნება ჰაერში გასროლა მოხდა.

გახმაურებულ საქმეში - დოლიძეების საქმეში არსებული სამართლებრივი ხარვეზების შესახებ "24 საათი" არაერთხელ წერდა, ამჯერად, ადვოკატის მიერ მიგნებულ კიდევ ერთ დეტალს შემოგთავაზებთ.

როგორც აღმოჩნდა, დოლიძეების საქმე 2005 წლის 21 აგვისტოს ჩოხატაურის შს რაიგანყოფილების საუბნო ჯგუფის უბნის ინსპექტორმა თეიმურაზ უჯმაჯურიძემ აღძრა. რაც იმას ნიშნავს, რომ უბნის ინსპექტორი უჯმაჯურიძე არ იყო უფლებამოსილი პირი ჩაეტარებინა პროცესუალური საგამოძიებო მოქმედებები და, შესაბამისად, მის მიერ შეკრებილ მასალებს არ გააჩნია კანონიერი ძალა.

ადვოკატ ეკა ბესელიას მიერ სასამართლო პროცესზე ამ საკითხის დაყენების შემდეგ, ბრალმდებელმა პროკურორმა წარმოადგინა ცნობა, რომელსაც ხელს აწერს შსს-ს კადრების სამმართველოს უფროსი ზურაბ მიქაძე, სადაც განმარტებულია, რომ "გასული წლის 9 აგვისტოს, ზაფხულის სეზონთან დაკავშირებით, გურიის რეგიონში არსებულ საკურორტო და სარეკრიაციო ზონებში დანაშაულის მატების შესაძლებლობის გამო, საჭირო გახდა ძალთა მობილიზება საგამოძიებო მოქმედებათა განხორციელების თვალსაზრისით.

მიზანშეწონილად იქნა მიჩნეული, შესაბამის ნორმატიულ აქტებზე დაყრდნობით ჩოხატაურის შს რაიგანყოფილების ჯგუფის უბნის ინსპექტორის, უმაღლესი იურიდიული განათლების მქონე პოლიციის ლეიტენენტ თემურ უჯმაჯურიძეს დაკისრებოდა გამომძიებლის მოვალეობის შესრულება."

თუმცა, ადვოკატი ეკა ბესელია აცხადებს, რომ ზურაბ მიქაძის განმარტება არასწორია და იგი კანონს ეწინააღმდეგება. ადვოკატის განმარტებით, არსებულ სიტუაციაში, მხოლოდ კანონით სპეციალურად უფლებამოსილ პირს ჰქონდა უფლება შეეცვალა, დაკისრებოდა და განაწილებოდა არმყოფი მოხელის მოვალეობანი. ეკა ბესელია განცხადებით, **"სისხლის სამართლის საპროცესო კიდექსის 58-ე მუხლის მიხედვით, გამომძიებელი არის სახელმწიფო თანამდებობის პირი, რომელიც თავისი კომპეტენციის ფარგლებში უფლებამოსილია აწარმოოს სისხლის სამართლის საქმეთა წინასწარი გამოძიება. მოქმედი კოდექსით პოლიციელი ვერ ჩაატარებს საგამოძიებო მოქმედებებს და ეს არის სისხლის სამართლის კანონმდებლობის რეფორმის მნიშვნელოვანი სიახლე."**

გარდა ამისა, ეკა ბესელია აცხადებს, რომ გურიის სამხარეო შს მთავარი სამმართველოს უფროსის მოდგილე ტრაპაიძე, რომელმაც უბნის ინსპექტორ უჯმაჯურიძეს გამომძიებლის მოვალეობის შერულება დააკისრა არ იყო უფლებამოსილი პირი, რადგან საკადრო ცვლილების შესახებ განკარგულების გამცემი ან უფროსი ან უფროსის მოვალეობის შემსრულებელი უნდა ყოფილიყო. ამ მოთხოვნის საფუძველი "საჯარო სამსახურის შესახებ კანონის" მუხლებია და ასევე, შს მინისტრის 2005 წლის №303 ბრძანება.

**"ტრაპაიძის გამოცემული განკარგულება ეწინააღმდეგება კანონმდებლობას - "საჯარო სამსახურის შესახებ კანონს", კანონს "ნორმატიული აქტების შესახებ", სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსს და ასევე, შს მინისტრის ბრძანებას. შესაბამისად, ტრაპაიძის განკარგულების მიჩნევა კანონიერად ყოვლად დაუშვებელია. ზურაბ მიქაძე შეგნებულად თუ უნებლიეთ ცდილობს, შეცდომაში შეიყვანოს ადრესატი, მაგრამ მისი განმარტებითი წერილი ვერ გამოდგება დაცვის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტების უარსაყოფად, რადგან წერილი ეწინააღმდეგება იმ ნორმატიულ მასალას, რომელიც თანდართულია წერილზე,"** - აცხადებს ეკა ბესელია, რომელიც სასამართლოსგან ტრაპაიძის განკარგულების უკანონოდ ცნობას მოსთხოვს.

**"ჩემს პრაქტიკაში მსგავსი პრეცედენტი არ ყოფილა. ეს უსერიოზულესი საკითხია, რომელიც სასამართლომ ობიექტურად უნდა შეაფასოს. სასამართლომ არ უნდა დააკანონოს უკანონობა და არ უნდა დაეთანხმოს ბრალდების პოზიციას, რომლის მიხედვითაც, უბნის ინსპექტორს შეუძლია გამომძიებლის ფუნქცია შეითავსოს. მაშინ პროკურორებად გამომძიებლები ამუშაონ, მოსამართლეების დეფიციტია და მოსამართლის ფუნქცია თანაშემწეებს შეასრულებინონ. ასეთი მიდგომა სრულ ქაოსს გამოიწვევს. ამიტომაც, სასამართლომ ქაოსსა და წესრიგს შორის უნდა გააკეთოს არჩევანი, რა თქმა უნდა, კანონის სასარგებლოდ. ჩვენ გვაქვს საფუძვლიანი არგუმენტები, რომელიც კანონზეა დამყარებული და მოსამართლემ ის უნდა მიიღოს. უბნის ინსპექტორის, უჯმაჯურიძის მიერ საქმეში შეკრებილი მასალები დაუშვებელი მტკიცებულებებია, რადგან მან გამომძიებლის ფუნქცია უკანონოდ შეითავსა და სასამართლომ ის დაუშვებლად უნდა ცნოს. რაც შეეხება ტრაპაიძეს, მან თავის უფლებამოსილებას გადაამეტა, ეს კი თანამდებობრივი დანაშაულია,"** - აცხადებს ეკა ბესელია.

*24 საათი*



# აზერბაიჯანის თეატრების დაშვებული ფარდები

*სავალალო მდგომარეობაში მყოფი თეატრების დახმარების მიზნით შემუშავებულ ახალ კანონს აზერბაიჯანში ეჭვის თვალით უყურებენ.*

ნიგარ მუსაევა, ბაქო

ბაქოს რუსული დრამატული თეატრის ცივი და ბნელი დარბაზი ნახევრადაც არ იყო შევსებული. მაყურებელთა უმრავლესობას ბაქოს ინტელიგენციის წარმომადგენლები, ტრადიციულად ქალაქის ყველაზე ლოიალურად განწყობილი თეატრის მოყვარულები შეადგენდნენ. დანარჩენები კი ახალგაზრდები იყვნენ, რომლებსაც ქალაქის ქუჩებში სიარული მობეზრდათ და აქ განსხვავებულ ატმოსფეროში მოხვედრის მიზნით შემოვიდნენ.

ჯერ კიდევ საბჭოთა პერიოდში დადგმულ ჩეხოვის „თოლიას“ ახალგაზრდები თვალს ,,კოკა-კოლას“ სმითა და ტკბილეულობის ხრაშუნით ადევნებდნენ.

საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ ხელოვნების სხვა დარგების მსგავსად აზერბაიჯანში თეატრალური სამყაროც რთულ მდგომარეობაში აღმოჩნდა. ფინანსური კრიზისის გამო მსახიობები ხელფასებს ვერ იღებენ, არც სცენები და კოსტიუმების განახლებულა და არც ძველი შენობები შეუკეთებიათ.

„ბოლო ათი წლის განმავლობაში მაყურებელმა, ფაქტობრივად, თეატრის მიმართ პატივისცემა დაკარგა. ადრე თეატრში წასვლა განსაკუთრებული რიტუალი იყო, საუკეთესო ტანსაცმელში გამოწყობილი ხალხი იქ აზრთა გაცვლა-გამოცვლისთვის მიდიოდა. დღეს კი ეს ჩვეულებრივ მოვლენად აღიქმება – თეატრში შეიძლება ჯინსებით გამოცხადდე და უწესოდ მოიქცე“, – თქვა თეატრის მოყვარულმა 36 წლის ნაილა ასკეროვამ.

„საუკეთესო ტანსაცმელს ვინ ჩაიცვამს, როცა სპექტაკლის დროს ჭერიდან ბათქაში ცვივა?“ – იკითხა ერთ-ერთმა თეატრის მოყვარულმა ნუშაბა ფეიზულაევამ.

შელანძღული იერის მიუხედავად რუსული დრამატული თეატრი, ალბათ, ბაქოს ერთ-ერთი ყველაზე ღირსშესანიშნავი ადგილია; საბავშვო წარმოდგენები, რომლებიც აქ ყოველ კვირა დღეს იმართება, დედებსა და ბავშვებს შორის ყველაზე დიდი პოპულარობით სარგებლობს. მაყურებლის მოზიდვის თვალსაზრისით სხვა თეატრებს უფრო მეტი პრობლემა აქვს. ხშირად სახელმწიფო აკადემიური დრამატული თეატრი წარმოდგენის ბილეთებს უნივერსიტეტის სტუდენტებსა და სახელმწიფო მოხელეებს ურიგებს.

აზერბაიჯანში ამჟამად 30 თეატრია და მათი უმეტესობა დედაქალაქში მდებარეობს. მათ რიცხვში ქალაქ აღდამის, შუშასა და ერევნის „დევნილი თეატრებიც“ შედის. პირველი თეატრი აზერბაიჯანში 133 წლის წინ გაიხსნა. აზერბაიჯანის პროფესიონალური მუსიკალური თეატრის ისტორია 1908 წლიდან იწყება, როცა ბაქოში „მუსლიმანური აღმოსავლეთის პირველ ოპერად“ წოდებული უზეირ ჰაჯიბეკოვის „ლეილ და მაჯნუნი“ დაიდგა.

დღეს ქვეყნის ყველა თეატრი სახელმწიფო ბიუჯეტიდან ფინანსდება. თეატრების შენობები, რომლებიც სულ მცირე 20 წლის მანძილზეა აშენებული, სერიოზულ შეკეთებას საჭიროებს. კედლებიდან ბათქაში ცვივა, სკამები გაცვეთილია, ფასადები კი – მოძველებული.

მსახიობების მატერიალური პირობები მძიმეა. 25 წლის ალექსანდრე ვოინოვი თარჯიმნად მუშაობს და ხანდახან სპექტაკლებშიც თამაშობს. იგი მსახიობად სრული დატვირთვით მუშაობაზე ოცნებობს, მაგრამ ამის შესაძლებლობას მცირე ხელფასი (თვეში მხოლოდ 30 აშშ დოლარი) არ აძლევს.

„ამ თანხით ცხოვრება შეუძლებელია. ვხედავ, როგორ უჭირთ ჩვენს თეატრებში მსახიობებს. მათი უმეტესობა, ცნობილი მსახიობებიც კი, იძულებულია დამატებითი ფულის შოვნის გზები გამოძებნოს“, – განაცხადა ვოინოვმა.

ამჟამად აზერბაიჯანის პარლამენტი ახალ კანონს განიხილავს, რომელიც თეატრებს რთული მდგომარეობის დაძლევაში უნდა დაეხმაროს. თუმცა მისდამი დამოკიდებულება წინააღმდეგობრივია.

ახალი კანონის მიღების იდეა იანვარში გაჩნდა, როცა აზერბაიჯანში აბულფას გარაევის ხელმძღვანელობით კულტურისა და ტურიზმის სამინისტრო შეიქმნა. ახალმა მინისტრმა პირობა დადო, რომ ბაქოს რამდენიმე თეატრის შეკეთებას სახელმწიფო დააფინანსებდა.

აზერბაიჯანში ერთი კერძო თეატრიც კი არ არსებობს. საბჭოთა კავშირის არსებობის ბოლო წლებში გახსნილი თეატრალური სტუდიები სახელმწიფო თეატრებად მას შემდეგ გადაკეთდა, რაც სახელმწიფო მათ სუბსიდიების მიცემას დაპირდა. კანონის მიღების შემთხვევაში მომავალში შესაძლოა მდგომარეობა შეიცვალოს.

„ქვეყანაში საკმარისზე მეტი სახელმწიფო თეატრი გვაქვს. მომავალში შესაძლოა მათი რიცხვი შემცირდეს“, – განაცხადა პარლამენტის კულტურის საკითხთა კომიტეტის თავმჯდომარემ და ახალი კანონის ერთ-ერთმა ავტორმა ნიზამი ჯაფაროვმა.

ახალი კანონი, რომელიც თეატრის შტატის სტრუქტურას განსაზღვრავს, თეატრებს საკუთარი ბიზნესის განხორციელებისა და სპონსორების მოძიების შესაძლებლობას მისცემს.

ჯაფაროვის განცხადებით, თეატრებმა დაფინანსების საკუთარი წყაროები უნდა ეძიონ, სახელმწიფომ კი მხოლოდ ის სპექტაკლები უნდა დააფინანსოს, რომლებიც იდეოლოგიურ კომპონენტს შეიცავს.

„სპექტაკლები სახელმწიფოს ინტერესებს უნდა პასუხობდეს, მაგალითად, სახელმწიფო პოლიტიკასთან დაკავშირებულ საკითხებს, სხვა ქვეყნებთან დამოკიდებულებასა და ხალხის სოციალურ თუ ეკონომიკურ პრობლემებს უნდა შეეხებოდეს. ასეთი წარმოდგენები ჩვენს სახელმწიფო თეატრებში წელიწადში ერთხელ ან ორჯერ მაინც უნდა იდგმებოდეს“, – განაცხადა ჯაფაროვმა.

თუმცა ჯაფაროვი ხაზგასმით აღნიშნავს, რომ ის ცენზურის დაწესებაზე არ საუბრობს, ამ ახალ წამოწყებას კრიტიკული გამოხმაურება უკვე მოჰყვა. ცნობილი მსახიობის ფუად პოლადოვის განცხადებით, კანონპროექტს ბევრი დადებითი მხარე აქვს.

„მაგრამ აბსოლუტურად ვერ დავეთანხმები იმ აზრს, რომ შემოქმედებით პროცესში სახელმწიფო და საკანონმდებლო ორგანო უნდა ერეოდეს. არავის აქვს უფლება, თეატრს უთხრას, რომელი სპექტაკლი დადგას. ეს არასწორია და ასეთი მიდგომა თეატრის საქმიანობაზე უარყოფით გავლენას მოახდენს“, – აღნიშნა პოლადოვმა.

რუსული დრამატული თეატრის დირექტორს მარატ იბრაგიმოვს კანონის ეკონომიკური შედეგები აშფოთებს, რადგან მისი განცხადებით, აზერბაიჯანში თეატრისთვის დაფინანსების მოპოვების მცირე შესაძლებლობა არსებობს.




სამირ ალიევი

*ბაქოს რუსული დრამატული თეატრის სპექტაკლებს ბოლო წლებში ძალიან ცოტა მაყურებელი ჰყავს*

ამ მოსაზრებას ადამიანის უფლებათა ცნობილი დამცველი და თეატრის მოყვარული არზუ აბდულაევაც იზიარებს.

„ამჟამად ამ ქვეყანაში თავისუფალი ეკონომიკა და ინდივიდის თავისუფლება არ არსებობს. ამ ვითარებაში კი თეატრის თავის ნებაზე მიშვება ძალიან ნაადრევია. გაზეთებში გამოქვეყნებული სტატიების მსგავსად, სპექტაკლებიც „შეკვეთით“ იდგმება. ამიტომ სახელმწიფომ თეატრების მხარდაჭერა უნდა გააგრძელოს და სუბსიდიები გაზარდოს“, – განაცხადა აბდულაევამ.

ოპოზიციური პარტია „მუსავათის“ მხარდამჭერი პოლიტოლოგი ჰიკმეტ ჰაჯიზადე კანონის სარგებლიანობის შესახებ არსებულ სკეპტიციზმს იზიარებს.

„პრინციპში, რა თქმა უნდა, სახელმწიფოს ხელოვნების მიმართ თავისი პოლიტიკა უნდა ჰქონდეს. მაგრამ არ მგონია, ამისთვის კანონის არსებობა იყოს აუცილებელი. გარკვეული სახის სახელმწიფო პროგრამა გაცილებით უკეთ იმუშავებდა. თუმცა ნებისმიერი პროგრამა ფართო საზოგადოებასთან კონსულტაციების შემდეგ უნდა შემუშავდეს“, – განაცხადა ჰაჯიზადემ.

ჰაჯიზადეს განცხადებით, აზერბაიჯანის თეატრების უმთავრესი პრობლემა არა თანხების უქონლობა, არამედ ღარიბი რეპერტუარია.

„ჩვენს სცენაზე მეტისმეტად ბევრი კლასიკური პიესა იდგმება. მხოლოდ შექსპირის, ჩეხოვისა და ჯალილ მამედყულიზადეს სპექტაკლების გაუთავებლად დადგმა არ შეიძლება. ადრე თუ გვიან მაყურებელს მოსწყინდება და თეატრში სიარულს თავს დაანებებს. სინამდვილეში ასეც ხდება. სპექტაკლები აქტუალურ თემებზე უნდა იდგმებოდეს და ახლანდელ დროებას პასუხობდეს. ეს საზოგადოების დაინტერესების ერთადერთი გზაა“, – განაცხადა ჰაჯიზადემ.

ხელოვნებათმცოდნე ჯაჰანგირ სელიმხანოვს სხვა ეჭვები აქვს. მისი აზრით, შესაძლოა კანონი, უბრალოდ, უგულებელყონ.

„ყველაზე თვალსაჩინო მაგალითი მუზეუმების შესახებ კანონია, რომელიც უკვე რამდენიმე წელია არსებობს, მაგრამ მას ყურადღებას არავინ აქცევს. ვშიშობ, თეატრების შესახებ ახალ კანონსაც იგივე ბედი ეწევა“, – დასძინა სელიმხანოვმა.

www.iwpr.net

# არაერთგვაროვანი რეაქცია „მის ჩეჩნეთის“ კონკურსის მიმართ

*სილამაზის კონკურსი მკაცრი რეალობის პირობებში დადებით მოვლენად აღიქმება, თუმცა კონსერვატიული მოსახლეობის გაღიზიანებას იწვევს.*

კაზბეკ ცურაევი, ლეილა ბაისულტანოვა, გროზნო

გასულ კვირას „მის ჩეჩნეთის“ გამართვას ბევრი კმაყოფილებით შეხვდა, რადგან ეს მოვლენა ომის შედეგად განადგურებულ რესპუბლიკაში ახალი ცხოვრების დასაწყისის ნიშნად აღიქვეს. თუმცა, სილამაზის კონკურსმა საზოგადოების ნაწილის გაღიზიანებაც გამოიწვია. მათ ამ ღონისძიებას ,,მუსლიმანობის შეურაცხყოფა“ და ,,მოჩვენებითი ფანდი“ უწოდეს.

სილამაზის კონკურსი 28 მაისს რესპუბლიკის სახელმწიფო ფილარმონიის საკონცერტო დარბაზში გაიმართა. 15-დან 24 წლამდე ასაკის სამასი კონკურსანტიდან „ჩეჩნეთის სილამაზე – 2006“-ის ფინალში მონაწილეობის მისაღებად ცხრამეტი გოგონა შეირჩა.

„გვინდა, რომ ჩეჩნეთი წვერიან შეიარაღებულ მამაკაცებთან აღარ იყოს ასოცირებული. საიდუმლო არ არის, რომ რესპუბლიკაში ქალები ჩრდილში არიან მოქცეული. ახლა ჩვენი ქვეყნის სიმბოლო ლამაზი გოგონა გახდება და ამით ყველას ვაჩვენებთ, რომ სხვა სახელმწიფოებს არაფრით ჩამოვრჩებით“, – ნათქვამია კონკურსის შესახებ ჩეჩნეთის მთავრობის მიერ გავრცელებულ პრესრელიზში.

პრესრელიზში ხაზგასმითაა აღნიშნული, რომ „ჩეჩნეთის სილამაზე – 2006“ მხოლოდ სილამაზის კონკურსი არ არის.

„ეს ახალგაზრდებისთვის სანიმუშო გოგონას მონახვის მცდელობაა, რომელიც სულიერ ღირებულებებს, ჯანსაღი ცხოვრების სტილს, კულტურასა და სიკეთეს გაუწევს პროპაგანდას“, – ნათქვამია პრესრელიზში.

თუმცა ბევრი ჩეჩენი ქალების სილამაზის საჯაროდ ჩვენების წინააღმდეგი იყო. მათი განცხადებით, ეს მუსლიმანურ ტრადიციებს ეწინააღმდეგება. ღონისძიების ორგანიზატორებმა რესპუბლიკის მუსლიმანი სასულიერო პირები რეპეტიციაზე დასასწრებად და კონკურსის მართებულობის დასადასტურებლად მიიწვიეს. მუსლიმანი სასულიერო პირების მოთხოვნით, ჟიურის შემადგენლობაში მხოლოდ ქალები და ინტელიგენციის წარმომადგენლები შევიდნენ. ამავე დროს, ყველა კონკურსანტი დაუქორწინებელი იყო; კონკურსი ბიკინებით გამოსვლის ტრადიციულ ნომერს არ შეიცავდა.

მიუხედავად ამისა, ერთ-ერთმა მონაწილემ, როზა ხალაევამ ნათესავების დაჟინებული მოთხოვნით კონკურსში მონაწილეობაზე უარი თქვა.

„იმისთვის, რომ კონკურსში მონაწილეობის მიღების უფლება მოეცათ, ნათესავების დარწმუნებას დიდი დრო მოვანდომე. მაგრამ ისინი არასდროს დამთანხმდებოდნენ, რომ არ მეთქვა, კონკურსს მთავრობა უჭერს მხარს და ის ჩვენი სამშობლოს ტრადიციების განმტკიცებას ემსახურება მეთქი“, – განაცხადა ერთ-ერთმა კონკურსანტმა ტელეკომპანია „ორტ“-სთან საუბრისას.

კონკურსის ფინალისტებმა სიმღერები და ეროვნული ცეკვები შეასრულეს, ჩეჩენი ხალხის ტრადიციებისა და კულტურის ცოდნის დემონსტრირება მოახდინეს. გამოსვლებს შორის შესვენების დროს აუდიტორიას რუსული შოუ-ბიზნესის ვარსკვლავები ართობდნენ. შოუს პოპულარული რუსი მსახიობი დიმიტრი ხარატიანი უძღვებოდა.

კონკურსში 15 წლის სკოლის მოსწავლემ ზამირა ჯაბრაილოვამ გაიმარჯვა. „მის ჩეჩნეთის სილამაზის“ ტიტულთან ერთად მას „ტოიოტას“ მარკის ავტომანქანაც ერგო, რომლის მართვის უფლებაც გოგონას ჯერ არ აქვს.

ზამირამ დიდი აპლოდისმენტები დაიმსახურა, როცა განაცხადა, რომ მან დღე ლოცვით დაიწყო. როგორც მაყურებლებლისთვის გახდა ცნობილი, ზამირა გროზნოს ერთ-ერთი სკოლის მეათე კლასის მოსწავლეა, ვაინახის ანსამბლში ცეკვავს და უმცროსი ძმა ჰყავს. ისინი დედამ აღზარდა, რადგან მამა, რომელიც მილიციაში მსახურობდა, რამდენიმე წლის წინ სროლების დროს დაიღუპა. ბოლო გამოსვლაში კონკურსის გამარჯვებულმა ღონისძიების პოლიტიკური ასპექტის მიმართ პატივისცემა გამოხატა.

„მადლობას ვუხდი დედას და ასევე აწ გარდაცვლილ პრეზიდენტს ახმად კადიროვს ამ ომის შეჩერებისთვის“, – განაცხადა ზამირამ.

ფინალში გასულ დანარჩენ ორ გოგონას, 15 წლის დებს – ფატიმა და ჯანორა ხაზუევებს კადიროვის ფონდმა საჩუქრად „ჟიგულის“ მარკის ავტომობილი გადასცა. აღნიშნული ფონდი, რომელიც პრომოსკოვური ორიენტაციის ლიდერის ხსოვნის საპატივცემოდ შეიქმნა, კონკურსის ერთ-ერთი ორგანიზატორი იყო. დანარჩენ კონკურსანტებს სხვადასხვა პრიზი – მანქანა, საზღვარგარეთ მოგზაურობის საგზური ან სამკაულები გადასცეს.

ეს ჩეჩნეთის პირველი სილამაზის კონკურსი არ ყოფილა. მსგავსი ღონისძიება 1988 წელს დღეს უკვე არარსებულმა კომკავშირის კომიტეტმა გამართა. გამარჯვებული გროზნოს მცხოვრები ინგუში ლეილა ფარგიევა გახდა. ხოლო XX საუკუნის დასაწყისში, ნავთობმაგნატის ქალიშვილმა, ჩეჩენმა დარა ჩერმოევამ პარიზში გამართულ სილამაზის კონკურსში გაიმარჯვა.

კონკურსის ორგანიზატორებმა პირობა დადეს, რომ ზამირას, სხვა მუსლიმანური რესპუბლიკების წარმომადგენელ გოგონებთან ერთად რუსეთის სილამაზის კონკურსებში მონაწილეობისას საცურაო კოსტიუმით გამოსვლა არ მოუწევს.

კონკურსის უმწიკვლო იმიჯი ღონისძიების დასრულების შემდეგ ქალაქ გუდერმესის რესტორანში გამართული სადილის დროს მომხდარი შემთხვევის შესახებ გავრცელებულმა ინფორმაციამ გააქარწყლა.

მომხდარი ყველაზე დეტალურად მოსკოვურმა გაზეთმა „კომერსანტმა“ აღწერა. გაზეთის მიერ გავრცელებული ინფორმაციით, მოკლული პრეზიდენტის ახმად კადიროვის ვაჟმა, ჩეჩნეთის 29 წლის პრემიერ-მინისტრმა რამზან კადიროვმა, რომელიც მსახიობ დიმიტრი ხარატიანის გვერდით იჯდა, განაცხადა, რომ „ჩეჩენი ქალები ყველაზე ლამაზები არიან და ბრილიანტებითა და ოქროთი უნდა ავავსოთ“. მან პირობა იქვე შეასრულა. როცა კონკურსანტები კავკასიური ცეკვის ,,ლეზგინკას“ შესასრულებლად დაცვის წარმომადგენლებთან ერთად გამოვიდნენ, კადიროვის თანაშემწემ მოცეკვავეებს თავზე ათასრუბლიანი და ასდოლარიანი კუპიურები დააყარა.

„კომერსანტის“ კორესპონდენტის განცხადებით, მან მარმარილოს იატაკზე დაყრილი დაახლოებით 30 ათასი დოლარის ოდენობით კუპიურები დაინახა.

ხელისუფლების წარმომადგენლებს აღნიშნულ ინფორმაციასთან დაკავშირებით კომენტარი არ გაუკეთებიათ.

სილამაზის კონკურსის გამართვის იდეას თავდაპირველად ჩეჩნეთის მუსლიმანი სასულიერო პირები ეწინააღმდეგებოდნენ.

„ჩეჩნეთის რესპუბლიკის მუსლიმანთა სულიერმა საბჭომ კონკურსის მიმართ თავისი უარყოფითი დამოკიდებულება ბევრჯერ გამოხატა. სასულიერო პირთა პროტესტის მიუხედავად რესპუბლიკაში სილამაზის კონკურსის გამართვა ჩვენს წეს-ჩვეულებებს, ჩეჩნეთის მორალურ პრინციპებსა და საუკუნოვან ტრადიციებს ეწინააღმდეგება“, – განაცხადა ჩეჩნეთის მუფტის პირველმა მოადგილემ დაუდ სელმურზაევმა.

თუმცა, მუსლიმანმა სასულიერო პირებმა ხელისუფლებასთან საუბრის შემდეგ აზრი შეიცვალეს.

ჩეჩნეთში სილამაზის კონკურსთან დაკავშირებით არაერთგვაროვანი დამოკიდებულება აქვთ. ზოგი მიიჩნევს, რომ ეს ,,სუფთა ჰაერის ჩაყლაპვაა წლების განმავლობაში მიმდინარე კონფლიქტის შემდეგ“, სხვების განცხადებით კი ,,კონკურსმა ეროვნული ტრადიციები გაამასხარავა“.

„ბოლო წლების განმავლობაში ჩვენს ქალებს სასიხარულო ძალიან ცოტა რამ თუ ჰქონდათ. ქალაქის აღმშენებლობა დაიწყო, ახლა ცენტრალური გამზირის აღდგენაზე მუშაობენ და ჩვენ უკვე ბედნიერები ვართ. სილამაზის კონკურსი სასიხარულო მოვლენა ყველაზე მეტად ჩვენი ქალებისა და გოგონებისთვის არის“, – განაცხადა გროზნოს მკვიდრმა მარეტ მურტაზალიევამ.

არასამთავრობო ორგანიზაცია „საზოგადოებრივი განვითარების ინსტიტუტის“ წარმომადგენელი იდრის ამაევი ამ მოსაზრებას არ იზიარებს და კონკურსს „ჩეჩნური ტრადიციების პანაშვიდს“ უწოდებს.

„ჩეჩნეთში ქალების მიმართ მომხმარებლური მიდგომა შეინიშნება, თითქოს ისინი საჩვენებლად გამოყვანილი ცხენები იყვნენ“, – განაცხადა მან.

გროზნოს ნავთობის ინსტიტუტის მეორე კურსის სტუდენტი ზიავდი ჩადიევიც კრიტიკულადაა განწყობილი.

„ჩვენ საკუთარი ეროვნული ტრადიციები გვაქვს, მუსლიმანები ვართ. ჩვენი გოგონები პოდიუმებზე არასდროს გამოსულან. ამის წინააღმდეგი ვარ. თუმცა ეს სილამაზის კონკურსი კავკასიის მასშტაბით რომ გამართულიყო, ვფიქრობ, ყველაფერი სხვაგვარად იქნებოდა“, – განაცხადა ჩადიევმა.

www.iwpr.net

# სომხეთი: ლენინის მოლოდინში

*სომხურმა სოფელმა საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ კომუნიზმი აირჩია.*

მარიანა გრიგორიანი, გაიანე მკრტიჩიანი, ლერნამერძი

საბჭოთა პერიოდში სოფელი ლერნამერძი სომხეთში ერთ-ერთი იმ იშვიათ ადგილთაგანი იყო, სადაც ლენინის ძეგლი არ იდგა. ლერნამერძელთა განცხადებით, ისინი საკმაოდ პასიური კომუნისტები იყვნენ – მათ შორის აქტივისტად მხოლოდ შვიდი ითვლებოდა.

თუმცა, მას შემდეგ, რაც სომხეთი დამოუკიდებელი გახდა და მთელი ქვეყნის მასშტაბით დიდი ბელადის ძეგლები თუ ბიუსტები აიღეს, 1996 წელს ლერნამერძის (ეს დასახელება სომხურად „მთების მახლობლად მდებარეს“ ნიშნავს) მოსახლეობამ სოფლის ცენტრში ლენინის ბაზალტის ბიუსტი დადგა.

ბიუსტი, რომელიც ორ ტონას იწონის, დღეს სოფლის სიამაყის წყაროა. ლერნამერძელთა თქმით, კომუნიზმის ფასი მათ მხოლოდ მას შემდეგ გააცნობიერეს, რაც ის დაკარგეს.

„1990 წელს, საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ სწორი გზის მოძებნა გვინდოდა. ამის გასაგებად ექვსი წელიწადი დაგვჭირდა და ბოლოს მივხვდით, რომ ამქვეყნად მხოლოდ ერთი სიმართლე – სოციალიზმი არსებობს. კომუნისტური იდეოლოგია ვაღიარეთ და ის დღესაც გვწამს“, – განაცხადა ერევნის მახლობლად, არარატის ველზე მდებარე სოფელ ლერნამერძის ადგილობრივი კომუნისტური ორგანიზაციის მდივანმა აზარ ბარსეღიანმა.

„როგორც კი ლენინი დაბრუნდება, წყაროებში წყალი აჩუხჩუხდება და ხალხი უკეთესად იცხოვრებს“, – თქვა ლერნამერძის 41 წლის მცხოვრებმა არარატმა.

ლერნამერძს სომხეთში „პატარა კუბასაც“ უწოდებენ. კომუნისტური სულისკვეთება აქ თითქმის ყველა სახლში სუფევს. სოფელში 103 ოჯახი და 530 ადამიანი ცხოვრობს. სოფლის უხუცესისა და ერთგული კომუნისტის სააკ მირზოიანის განცხადებით, 103 ოჯახიდან 102 კომუნისტურ იდეოლოგიას აღიარებს.

„პატარა კუბა“ ტურისტთა ყურადღების ცენტრშიც მოექცა. რუსეთიდან, ვიეტნამიდან, საფრანგეთიდან, ბელორუსიდან, საბერძნეთიდან, კვიპროსიდან და სხვა ქვეყნებიდან ჩამოსული ტურისტები თავიანთ შთაბეჭდილებებსა და კეთილ სურვილებს ლერნამერძის შთაბეჭდილებების წიგნში გამოხატავენ, რომლის პირველ გვერდზეც ლენინის პორტრეტია გამოსახული.

წითელი ქვით ნაშენი სახლის ერთ-ერთ კედელზე 61 წლის აზატი ლენინის დიდ ფოტოს ფრთხილად კიდებს. განჯინის მინის კარის უკან კომუნიზმის თაყვანისცემის პატარა სიმბოლო – ლენინის მომცრო ბიუსტი დევს.

„ლენინის ძეგლი ძალას გვმატებს, ის ჩვენი რწმენისა და წინსვლის წყაროა“, – თქვა 41 წლის არტურ პილოსიანმა.

ლერნამერძელები ყველა მნიშვნელოვან ღონისძიებას ამ ,,სიძლიერის წყაროს“ მახლობლად მართავენ. ისინი დიდი ბელადის დაბადებისა და გარდაცვალების დღეს, ოქტომბრის რევოლუციის წლისთავსა და სხვა სოციალისტურ დღესასწაულებსაც აღნიშნავენ.

ლენინის ამაყი და უდრეკი გამოხედვის ფონზე ბავშვებს პიონერთა რიგებში იღებენ და ადგილობრივი კომკავშირის ორგანიზაციის წევრებს ნიშნავენ.

ასეთი ღონისძიებების დროს ის 50 წითელი ყელსახვევიც კი არ არის ყველასთვის საკმარისი, რომლებსაც აზატი სახლში გულმოდგინედ ინახავს.

„პრესაში ხშირად დაგვცინიან და ამბობენ, რომ ჩვენ „ბავშვებს ყელზე კომუნიზმის ნარჩენებს ვახვევთ“. არა! ბავშვების სუფთა სულების დასაცავად მათ ყელსახვევს ვუკეთებთ“, – განაცხადა აზატმა.

14 წლის ალბერტ მირზოიანი ქვეყნის სხვა რეგიონებში მცხოვრები თანატოლებისგან განსხვავებით ლენინის ბიოგრაფიას ზემწევნით იცნობს. მან ზეპირად იცის იმ კომუნისტური დღესასწაულების დეტალებიც, რომლებსაც აქ დიდი ზარზეიმით აღნიშნავენ.

„იცით, როგორ ველოდებით 1 მაისს? ეს ჩვენი საყვარელი დღესასწაულია. ამ დღეს ერევანში მივდივართ და საზეიმო ღონისძიებებში ვმონაწილეობთ“, – აღტაცებით გვიყვება ალბერტი.

15 წლის არმენ ბარსეღიანი თავის წითელ ყელსახვევს სიამაყით გვაჩვენებს. ამბობს, რომ მას ყველაზე მეტად წითელი დროშები და ბუშტები მოსწონს. მისი აზრით, ისიც მოსაწონია, რომ დღესასწაულის აღნიშვნაში მთელი სოფელი მონაწილეობს – მოხუცებიც და ახალგაზრდებიც.

38 წლის ლუდა ჰარუთიუნიანი მეზობლად მდებარე სოფელში – ვოსკეჰატში ცხოვრობს. ,,ლერნამერძში ჩასვლისას ისეთი გრძნობა გიჩნდება, თითქოს ხალხი ისევ ძველ დროში ჩარჩა, როცა ყველა კარგად ცხოვრობდა. ამ სოფლის ზეიმები სკოლაში სწავლის პერიოდს მახსენებს, როცა მოსწავლეები წითელი ყელსახვევებით დავაბიჯებდით“, – ამბობს იგი.

„ამ სოფლის მცხოვრებლები ძალიან მეგობრულები არიან და ვფიქრობ, კომუნიზმისა და სოლიდარობის იდეაც სწორედ ეს არის“, – განაცხადა ლერნაძორის სკოლის დირექტორმა ზავენ გრიგორიანმა, რომელიც მეზობლად მდებარე სოფელ ალავნატურში ცხოვრობს.

ბოლო დრომდე ლერნამერძელ მოსწავლეებს სკოლაში წითელი ყელსახვევები ეკეთათ.

თუმცა, სოფლის მაცხოვრებელთა განცხადებით, „ზემოდან ბრძანების“ მიღებისა და ახალი დირექტორის მოსვლის შემდეგ მოსწავლეები წითელ ყელსახვევებს აღარ იკეთებენ, რადგან ყელსახვევების ტარება ოფიციალური „სასკოლო პროგრამის ნაწილს“ არ წარმოადგენს. თუმცა ახალი დირექტორის ზავენ გრიგორიანის განცხადებით, ლერნამერძელთა მტკიცე სულისკვეთება ვერც ყელსახვევების და ვერც ლენინისა თუ სოციალიზმის შესახებ პოეზიის აკრძალვამ გატეხა.

„ყველა ერთნაირად ფიქრობს და რაც მთავარია, ყველა ერთიანია. და ეს ყველაფერი ბავშვებსაც გადაეცემა. ჩემი აზრით, ერთიანობით ბევრის მიღწევა შეიძლება“, – განაცხადა გრიგორიანმა.

ამ მოსაზრებას სოფელ ლერნამერძის მცხოვრებლებიც ეთანხმებიან. მათი განცხადებით, მომავლის რწმენა და კომუნიზმის სამართლიანობის იდეალები მათ იმ სოციალური სირთულეების გადალახვაში ეხმარება, რომელთაც საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ ყველა ოჯახი განიცდის.

თუმცა სომხეთის სხვა სოფლებთან შედარებით ცხოვრება აქ უფრო იოლი არ არის, განსაკუთრებით მას შემდეგ, რაც სოფლის მიწების პრივატიზება განხორციელდა.

ლერნამერძი არა მხოლოდ კომუნიზმისადმი ახლადგამოვლენილი თავდადებით, არამედ ტარხუნითაც არის განთქმული, რომელიც ურთულეს წლებში სოფლის მაცხოვრებელთათვის თავის გატანის საშუალება იყო.

ლერნამერძელთა განცხადებით, 90-იან წლებში აპრილიდან დეკემბრამდე ლერნამერძის ტარხუნა თბილისში იგზავნებოდა და სოფელს ნორმალური, სტაბილური შემოსავლის წყაროს უქმნიდა. დღეს ყველაზე დიდ მოგებას გადამყიდველები იღებენ, რომლებიც დიდი რაოდენობით ტარხუნას ძალიან დაბალ ფასებში იძენენ და შემდეგ რამდენჯერმე უფრო ძვირად ყიდიან.

„ზოგი ამბობს, კომუნისტების დროს თავისუფლება არ არსებობდაო. მაგრამ ხალხი საკუთარ სახლებს ახლა უფრო მიჯაჭვულია, ვიდრე კომუნისტების დროს“, – დაიჩივლა ლერნამერძის ერთ-ერთმა მაცხოვრებელმა.

სოფლის ერთ-ერთმა მკვიდრმა ამაყად განაცხადა, რომ ლერნამერძი სომხეთში ერთადერთი სოფელია, სადაც სოციალიზმი ჯერ კიდევ ცოცხლობს და მისი თანასოფლელები წინაპრების იდეალების ერთგული რჩებიან. მას სჯერა, რომ სოციალიზმი ისევ დაბრუნდება.

„თუ 70 წლის განმავლობაში არსებული ძლიერი სახელმწიფოს დაშლა გახდა შესაძლებელი, რატომ არ შეიძლება დაიშალოს ის ხელისუფლება, რომელიც ამ სახელმწიფოს ნარჩენ ქვიშაზეა აგებული? ჩემი აზრით, ბოლოს მაინც კომუნიზმი გაიმარჯვებს“, – დასძინა მან.

www.iwpr.net

institute for war & peace reporting
ომისა და მშვიდობის გაშუქების ინსტიტუტის კავკასიის საინფორმაციო სამსახური (CRS) გთავაზობთ უნიკალურ შესაძლებლობას გაეცნოთ კავკასიაში მიმდინარე მოვლენებს ადგილობრივ მიმომხილველთა თვალსაზრისით.
სამსახური ფუნქციონირებს IWPR-ის კავკასიის პროექტის ფარგლებში. პროექტის მიზანია მასობრივი ინფორმაციის ადგილობრივი საშუალებების მხარდაჭერა და მსოფლიო საზოგადოებისთვის რეგიონის შესახებ ინფორმაციის მიწოდება.
ომისა და გაშუქების ინსტიტუტის კავკასიის საინფორმაციო სამსახური მუშაობს დიდი ბრიტანეთის მთავრობის, ევროკავშირისა და ფინეთის მთავრობის მხარდაჭერით.
კავკასიის საინფორმაციო სამსახურის ქართულენოვანი გამოშვების გამოსაწერად მიმართეთ: geocrs@iwpr.ge

# საქართველო და რეგიონის ენერგეტიკული პერსპექტივები

ჯემალ ინაიშვილი
ზურაბ ჯაჯხერია
საქართველოს პარლამენტის წევრები

### ენერგეტიკული უსაფრთხოების გლობალური საკითხები

სანდო ენერგომომარაგება წარმოადგენს მსოფლიოს ეკონომიკური განვითარებისა და პოლიტიკური სტაბილურობის ერთ-ერთ უმთავრეს ფაქტორს. ენერგიით უზრუნველყოფასა და ეფექტურ მომარაგებაზე არის დამოკიდებული არა მარტო ეკონომიკური ზრდა, არამედ მოსახლეობის ცხოვრების ხარისხი, რადგან სწორედ ენერგეტიკა უზრუნველყოფს ცივილიზაციის მიღწევებით სარგებლობის საშუალებას.

არსებული პროგნოზებით, მსოფლიოში ენერგომოხმარება უახლოეს 15 წელიწადში მესამედით გაიზრდება, ხოლო 20 წლის პერსპექტივაში - 45%-ით. ნავთობზე მოთხოვნილება 2025 წლისთვის მიაღწევს 35 მლნ ბარელს დღეში (42%-ით ზრდა), გაზზე - 1,7 ტრლნ მ³ წელიწადში (60%-ით ზრდა).

ენერგეტიკული უსაფრთხოების საკითხების განხილვა აუცილებელია მხოლოდ ორ უაღრესად მნიშვნელოვან პრობლემის გათვალისწინებით: ა) კლიმატის გლობალური ცვლა; ბ) მოსახლეობის უღარიბესი ფენების უდიდესი ნაწილისთვის ეკოლოგიურად სუფთა და ეკონომიურად ხელმისაწვდომი ენერგიით სარგებლობის შესაძლებლობა.

მსოფლიო ენერგეტიკულ ბაზრებზე უკანასკნელ პერიოდში განვითარებულმა მოვლენებმა წინა პლანზე წამოწია ამ სფეროში უსაფრთხოების მდგომარეობისა და უზრუნველყოფის საკითხი. რეალობა აჩვენებს, რომ ენერგომომხმარებელ წამყვანი ქვეყნების რიგებს აქტიურად უერთდებიან მსოფლიოს განვითარებადი და ჭარბად დასახლებული რეგიონები. აღნიშნულმა ტენდენციებმა, ნავთობისა და ნავთობპროდუქტების მაღალმა და ხშირად ცვალებადმა ფასებმა გლობალურ ეკონომიკურ სტაბილურობას საფრთხე შეუქმნა.

მსოფლიო ენერგეტიკაში სწორედ სტაბილურობის მიღწევას ისახავდა მიზნად 1991 წელს ჰააგაში შექმნილი **ევროპის ენერგეტიკული ქარტია**, რომლის ძირითადი ამოცანები ასე ჩამოყალიბდა: ეფექტური, მყარი და სანდო ენერგეტიკული ბაზრების შექმნისკენ სწრაფვა; ენერგეტიკის სფეროში ურთიერთდამოკიდებულ ქვეყნებს შორის ნდობის დამყარების ხელშეწყობა. 1994 წელს ლისაბონში ხელი მოეწერა **ენერგეტიკული ქარტიის შეთანხმებასა და ოქმს ენერგეტიკული ეფექტურობისა და შესაბამისი ეკოლოგიური ასპექტების შესახებ.** 1998 წელს 30-ე რატიფიცირების შემდეგ ქარტიის შეთანხმება ძალაში შევიდა.

ქარტიის მიზნების მიღწევისათვის დადგენილია: ენერგეტიკულ სექტორზე კანონის უზენაესობის გაფართოება; მონაწილეთა მოქმედების ერთიანი წესების, პრინციპებისა და რეკომენდაციების შემუშავება; ენერგომატარებლების ტრანზიტის ერთობლივი წესების შემუშავება; მიერთებული ქვეყნებისათვის ენერგეტიკის სფეროში ნაციონალური პოლიტიკის შემუშავებაში დახმარება; ქარტიის პროცესის მოქმედების გეოგრაფიული არეალის გაფართოება; ქარტიის კონფერენციის - როგორც დასავლეთისა და აღმოსავლეთს შორის პოლიტიკური დისკუსიის სამთავრობათაშორისო ფორუმის როლის განვითარება.

ენერგეტიკული ქარტიის კონფერენციის წევრია 50-ზე მეტი ქვეყანა, ხოლო დამკვირვებლის სტატუსით სარგებლობს 20-მდე სახელმწიფო. აღსანიშნავია, რომ ეს ორგანიზაცია გახდა დასავლეთისა და ნატოს ახალი ენერგეტიკული პოლიტიკის შემუშავებისა და განხორციელების მნიშვნელოვანი საფუძველი, თუმცა ენერგომატარებლებით მდიდარი ზოგიერთი ქვეყანა (რუსეთი, ირანი, ვენესუელა) ცდილობს ამ სფეროში გამჭვირვალე და ალტერნატივაზე დამყარებული ურთიერთობების ჩამოყალიბების ტორპედირებას მოახდინოს.

ცხადია, რომ გლობალური ენერგეტიკული უსაფრთხოება ვერ მიიღწევა საერთაშორისო თანამეგობრობის მუდმივი ძალისხმევის გარეშე, რაც უპირველესად მოიცავს მსოფლიო ეკონომიკის წამყვანი ქვეყნების ენერგორესურსებით სანდო და ეფექტურ უზრუნველყოფას; ენერგომომარაგების დივერსიფიკაციას ახალი წყაროების, ტრანსპორტირების ალტერნატიული სქემებისა და მოწინავე ტექნოლოგიების ხარჯზე; ენერგეტიკული რესურსებით სარგებლობის ეფექტურობის ამაღლებას.

ენერგეტიკულ უსაფრთხოებაზე ნეგატიურად მოქმედებს ენერგომომხმარებელი რეგიონების ტოტალური დამოკიდებულება ენერგომატარებლების იმპორტიორებზე. ცნობილია, რომ იმპორტი ძირითადად ხორციელდება არასტაბილური ან ნაკლებდაცული ზონებიდან, სადაც სახეზეა სოციალური დაძაბულობა, ეთნიკური კონფლიქტები და ტერორიზმის საფრთხე. საერთო შეფასებით, იმ ქვეყნებს, რომლებიც ფლობენ ნავთობისა და გაზის უდიდეს მარაგებს, ხშირ შემთხვევაში, არა აქვთ საზოგადოების მმართველობის გამართული საფუძვლები და ასეთ სახელმწიფოებში განსაკუთრებით ირღვევა კანონის უზენაესობის პრინციპი. სწორედ ეს არის განვითარებული ქვეყნების შეშფოთების ერთ-ერთი უმთავრესი მიზეზი. დასავლეთი და განსაკუთრებით ევროპა მეტნაკლებად მუდამ აცნობიერებდა რუსეთთან დაკავშირებულ ენერგეტიკულ გამოწვევებს. ამ ქვეყნის როლი მნიშვნელოვანია და, სავარაუდოდ, მომავალში გაიზრდება, მაგრამ დაუშვებელია ევროპა და ახალი დემოკრატიის ქვეყნები უალტერნატივოდ მუდმივად იყვნენ მიბმულნი რუსეთის ჯერ-ჯერობით ნაკლებადპროგნოზირებადი მომწოდებლისადმი. ანალიტიკოსების აზრით, რუსეთის მოქმედებას განსაზღვრავს ორი უმთავრესი ტენდენცია: 1) ადვილად შეაღწიოს სხვა ქვეყნების ბაზარზე; 2) ხელი შეუშალოს ამერიკულ და სხვა საერთაშორისო კომპანიების შესვლას საკუთარ ბაზარზე.

დღეს რუსული კომპანიები ფლობენ სოლიდურ ავუარებს და ფინანსურ რეზერვებს, ამიტომ მათ არ სჭირდებათ ახალი მსხვილი კომპანიების კაპიტალდაბანდებები, თუმცა პერსპექტივაში 2008 წლიდან, ექსპერტთა შეფასებით, ენერგეტიკის განვითარებისათვის ყოველწლიურად აუცილებელი იქნება 200 მლრდ დოლარის ოდენობის კაპიტალდაბანდებები. ნიშანდობლივია ნავთობის გიგანტის "Юкос"-ის ირგვლივ განვითარებული მოვლენები, როცა სახელმწიფომ ამ კომპანიის ნაციონალიზაცია განახორციელა ("Юкос"-ის ყველაზე დიდი მომპოვებელი "Юганскнефтегаз"-ი და სახელმწიფო კომპანია "Роснефт"-ი გაერთიანდნენ "Газпром"-ში, რომელსაც შემდგომში შეუერთდა "Сибнефт"-ი). ამით კრემლმა საკუთარ კონტროლს დაუქვემდებარა რუსეთის ნავთობის ინდუსტრიის 30%. 2005 წელს სახელმწიფოს წილი ამ კომპანიაში ავიდა 51%-მდე.

2006 წლის დასაწყისში უკრაინის მიმართ განხორციელებულმა ენერგეტიკულმა პოლიტიკამ დაადასტურა, რომ რუსეთი ენერგომატარებლების ფასს პირდაპირ უკავშირებს კრემლთან მისი ყოფილი სატელიტების ლოიალობის საკითხს. დღეს "Газпром"-ი, რეალურად, ბიზნესისა და პოლიტიკის პოსტსაბჭოთა ჰიბრიდია, რომლის მეშვეობითაც რუსეთი ცდილობს განახორციელოს საკუთარი იმპერიული გეგმები.

მსგავსი პრაქტიკა ჩვეულებრივია დღევანდელი რუსეთისათვის, რომლის მთავარი მახასიათებელი ბიზნესსა და პოლიტიკაში არის გაუმჭვირვალობა, ანგარიშვალდებულების ნაკლებობა და ჯანსაღი მმართველობის უქონლობა.

უფრო ფართო, გლობალურ ენერგეტიკულ სივრცეში მმართველობის მსგავსი მოდელები და სხვა შემაშფოთებელი ტენდენციები მრავლადაა, რაც ცივილიზებული მსოფლიოს სამართლიან შეშფოთებას იწვევს.

**ევრაზიაში** დასავლეთი ძირითადად ცდილობს დაეყრდნოს ყაზახეთისა და აზერბაიჯანის გარდამავალი დემოკრატიის რეჟიმებს, რომლებიც ნავთობში საკუთარი ეკონომიკის მთავარ მამოძრავებელ მნიშვნელს ხედავენ და ცნობილნი არიან მზარდი პოტენციური შესაძლებლობებით. ამ გეოპოლიტიკურ სივრცეში ისინი ირანისა და რუსეთის სერიოზულ ალტერნატივად განიხილებიან. კრიტიკულად გადასაფასებელია მხოლოდ ამ მიმართულებით დასავლეთის მოქმედების ტემპები (მხედველობაში გვაქვს სტრატეგიული მიმართულებებით დაგეგმილი ფინანსურ-ეკონომიკური პროექტები და დემოკრატიული ფასეულობების ინპლემენტაცია).

**ახლო აღმოსავლეთში** დასავლეთისთვის ენერგორესურსების ყველაზე დიდი მიმწოდებლები არიან ცუდად მართვადი, რეპრესიული და კორუმპირებული რეჟიმები. ამ სიის სათავეშია საუდის არაბეთის სამეფო. ოდესღაც ურყევი სტაბილურობით განდიდებული საუდების დინასტია დღეს იძულებულია გაუმკლავდეს მეამბოხე ისლამისტებისა და მოსახლეობისგან მომდინარე მზარდ შიდა გამოწვევებს. არაფრით განსხვავდებიან ამ ქვეყნისგან პოლიტიკურად უპასუხისმგებლო, ნავთობით მდიდარი ომანი და არაბეთის გაერთიანებული საემირატოები. ირანის მაგალითზე კი მზარდ და სახიფათო კომფრონტაციასთან გვაქვს საქმე. ეს ქვეყანა მტრულად არის განწყობილი ისრაელთან და ზოგადად დასავლეთის სამყაროსთან, მხარს უჭერს და აფინანსებს ტერორისტულ დაჯგუფებებს. რუსეთის ცდილობს ირანის პრობლემა გამოიყენოს დასავლეთის წინააღმდეგ, რაც სერიოზულად მოქმედებს უსაფრთხოებაზე და ატარებს მაპროვოცირებელ ხასიათს დასავლეთის (ნატოს) ქვეყნებისათვის.

**აფრიკისა და ლათინური ამერიკის** ქვეყნებს, ძირითადად ნიგერიასა და ვენესუელას, საკუთარი სერიოზული მინუსები აქვთ, თუმცა, აშშ მათ იყენებს ენერგომატარებლების ახლო აღმოსავლეთის მომწოდებელთა ალტერნატივად. ვენესუელის პოპულისტური ხელისუფლება უგო ჩავესის (Hugo Chavez) მეთაურობით პოზიორობს როგორც ანტიამერიკანიზმის ცენტრი ლათინურ ამერიკაში. ჩავესი სოლიდურად ხარჯავს ნავთობისგან (ძირითადად აშშ-ს ხარჯზე) მიღებულ დოლარებს, რათა მეზობელი ქვეყნების პოლიტიკური მხარდაჭერა იყიდოს. ნიგერია, რომელიც მოიპოვებს მსოფლიო ნავთობის 3% და მე-5 ადგილზე დგას აშშ-სთვის ნავთობის მიმწოდებელთა სიაში, იშლება ეთნიკური დაპირისპირების გამო, რომლის მიზეზია ნავთობის ინდუსტრიაზე კონტროლის ხელში ჩაგდება.

გაზით მდიდარი ქვეყნები დემოკრატიის განვითარების თვალსაზრისით ვერ არიან ჯეროვან დონეზე. დასავლეთმა და საერთაშორისო ორგანიზაციებმა უფრო აქტიურად უნდა მოახერხონ ენერგომატარებლების მთავარი მომწოდებელი ქვეყნების მმართველობის სისტემური გარდაქმნა.

**საქართველო** - როგორც მსოფლიო პროცესებში მზარდად ინტეგრირებადი გეოსტრატეგიული რეგიონის ნაწილი საერთაშორისო არენაზე წამყვან მოთამაშეთა გეგმებში თანდათან პოულობს თავის განსაკუთრებულ და სასიცოცხლო ფუნქციას, ამიტომ მისი დამოკიდებულება რომელიმე ერთი, კონკრეტული სახელმწიფოს ენერგორესურსებზე, სადაც თავისუფალი ბაზარი და საკუთრების უფლება გარანტირებული არ არის - მნიშვნელოვანწილად აფერხებს ქვეყნის განვითარებას. ეს მთელი სამხრეთკავკასიისა და შუა აზიის რეგიონებისთვის არის ნეგატიური ეკონომიკური და პოლიტიკური იმპულსის მიმცემი, რადგან საქართველო აღმოსავლეთ-დასავლეთისა და ჩრდილოეთ-სამხრეთის ენერგეტიკული დერეფნების ერთ-ერთი მთავარი ნაწილია. ამიტომ ქვეყნის ხელისუფლება აცნობიერებს იმ როლს, რომელიც მას ენიჭება კასპიის ზღვისა და შუა აზიის რეგიონებიდან დანარჩენი მსოფლიოსათვის ენერგეტიკული რესურსების ტრანზიტის პროცესში.

### საქართველოსთვის შესაძლო პერსპექტივები

საქართველოს პრეზიდენტის მ. სააკაშვილის მიერ ენერგეტიკული უსაფრთხოების პრობლემებთან დაკავშირებით გაჟღერებულ ხედვებთან მიმართებაში აზერბაიჯანის პრეზიდენტმა წამოაყენა მეტად საყურადღებო მოსაზრებები კასპიის ენერგეტიკული რესურსების ტრანსპორტირებაში ამ ქვეყნისთვის სრულიად ახალი სატრანზიტო ფუნქციების ათვისების შესახებ. კერძოდ: - ყაზახეთის გაზის გატარება კასპიის ზღვის ფსკერზე აზერბაიჯან-საქართველოს-თურქეთის მონაწილეობით საბერძნეთსა და ცენტრალური ევროპისკენ; - ყაზახეთის გაზის გატარება კასპიის ზღვის ფსკერზე აზერბაიჯან-საქართველო-თურქეთის მიმართულებით ბულგარეთის, რუმინეთის, საბერძნეთის, უკრაინის, პოლონეთისა და ბალტიისპირეთის სახელმწიფოების მომხმარებლებისათვის.

აზერბაიჯანული მხარის შეფასებით, 2012 წლისთვის პრაქტიკულად შესაძლებელი იქნება ამ მარშრუტით 100 მილიარდი მ³ გაზის ტრანსპორტირება მხოლოდ ყაზახეთის საბადოების რესურსებით. გარკვეული პოლიტიკური გადაწყვეტილებების მიღების შემთხვევაში, შესაძლებელია ირანის გაზის აზერბაიჯანის ტრანზიტით და ანალოგიური სქემით ასევე 100 მილიარდი მ³ გაზის ევროპისკენ ექსპორტირება.

ძალზე რეკლამირებული ირან-სომხეთის მშენებარე გაზსადენი უფრო რუსეთის პოლიტიკური და ინტერესების სფეროა, ვიდრე რეალური კომერციული წამოწყება, რადგან აღნიშნული გაზსადენის განივკვეთი არ იძლევა არა მარტო სხვა ქვეყნების, არამედ თვით სომხეთის მოსახლეობის გაზით უზრუნველყოფის საშუალებას და მხოლოდ ამ ქვეყნის ატომური ელექტრო სადგურის დაკმაყოფილებას თუ შესძლებს.

აზერბაიჯანელი ექსპერტების აზრით, თვით თურქმენეთში შესაძლებელია შეიცვალოს აზრი მათი გაზის მხოლოდ რუსეთის გაზსატრანსპორტო სისტემით ექსპორტირების შესახებ, რაც უფრო პერსპექტიულსა და დროულს გახდის ევროპისთვის აზერბაიჯან-საქართველოს სატრანზიტო-ენერგეტიკული მილსადენების მშენებლობას. ექსპერტთა გათვლით, მშენებლობის ეკონომიკური და ფინანსური უზრუნველყოფა შესაძლებელი იქნება: - საერთაშორისო კონსორციუმის შექმნის გზით; - საკუთარი ფინანსური რეზერვების (აზერბაიჯანი, საქართველო. თურქეთი, უკრაინა) მობილიზებით და საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტების მონაწილეობით;

აზერბაიჯანული ექსპერტები აღნიშნავს, რომ განსხვავებით გასული საუკუნის 90-იანი წლების ენერგეტიკული პროექტებისა, ამ რეგიონის ქვეყნებს არ მოუწევთ ევროპის ხელახალი დარწმუნება ამ პროექტებში მისი მონაწილეობის პერსპექტიულობის შესახებ. ეს განსაკუთრებით ცხადია რუსეთის მიერ ბოლო პერიოდში განხორციელებული ენერგეტიკული ექსპანსიის შემდეგ. აზერბაიჯანის უმაღლესი თანამდებობის პირთა განცხადებით, საქართველოსა და აზერბაიჯანის თანამშრომლობა სტრატეგიულ ღირებულებებზეა დამყარებული და არსებული რეალური შესაძლებლობების გამოუყენებლობა დაუშვებელია.

### ახალი ენერგეტიკული ალტერნატივა ევროპისთვის

რეალიზებულია ან რეალიზაციის სტადიაშია აზერბაიჯანიდან და ყაზახეთიდან ენერგომატარებლების საქართველოს გავლით დასავლეთისთვის მიწოდების პროექტები ("ბაქო-თბილისი-სუფსა", "ბაქო-თბილისი-ჯეიჰანი", "ბაქო-თბილისი-ერზერუმი").

მიუხედავად რუსეთის სერიოზული წინააღმდეგობისა, რეალობად იქცა სამხრეთ კავკასიის ენერგეტიკული დერეფნის იდეა, რომლის შემდგომი განვითარების აუცილებლობა დადასტურდა მ. წ. ზამთარში რუსეთის მიერ უკრაინისა და საქართველოს წინააღმდეგ განხორციელებულმა ენერგეტიკულმა შანტაჟმა. ევროკავშირი დარწმუნებულია ენერგეტიკული უსაფრთხოების ახალი კონცეფციის შემუშავების აუცილებლობაში.

კასპიური ენერგომატარებლები სასიცოცხლოა უკრაინისათვის. ამ ტენდენციებზე გადმოდის ყაზახეთი, რომელიც ყოველწლიურად ზრდის ნავთობმოპოვების მოცულობას. ამდენად, მიზანშეწონილია ბაქო-სუფსის მილსადენის გამტარუნარიანობის გაზრდა. პროექტის სავარაუდო მონაწილენი: ყაზახეთი, აზერბაიჯანი, საქართველო, უკრაინა.

**აზერბაიჯანის მხარე უკვე ახმოვანებს პერსპექტიულ პროექტებს:**

ა) ყაზახეთის გაზის გატარება კასპიის ზღვის ფსკერზე აზერბაიჯან-საქართველო-თურქეთის გავლით საბერძნეთსა და ცენტრალური ევროპისკენ,

ბ) ყაზახეთის გაზის გატარება აზერბაიჯან-საქართველო-შავი ზღვის ფსკერით უკრაინის, პოლონეთისა და ბალტიისპირეთის სახელმწიფოების საჭიროებისათვის (შესაძლებელია 100 მლრდ მ³ გაზის ტრანსპორტირება),

გ) შესაბამისი პოლიტიკური კლიმატის შემთხვევაში, შესაძლებელია ირანის გაზის ანალოგიური სქემით ევროპისკენ ტრანსპორტირება (დაახლოებით 100 მლრდ მ³),

დ) პერსპექტივაში ისახება თურქმენეთის გაზის სამხრეთ კავკასიის გავლით ტრანსპორტირების საკითხიც.

2005 წ. 26 აპრილს აზერბაიჯანის, საქართველოსა და თურქეთის ხელისუფლების წარმომადგენლებმა ბაქოში ხელი მოაწერეს პოლიტიკურ დეკლარაციას **"აღმოსავლეთ-დასავლეთის ენერგეტიკული სატრანსპორტო დერეფნის განვითარებისა და გაფართოების შესახებ".**

### აზერბაიჯან-რუსეთის ენერგეტიკული ურთიერთობები

ნავთობის ტრანსპორტირების ჩრდილოეთის მარშრუტი ("ბაქო-ნოვოროსიისკი") ეკონომიკურად გაუმართლებელია. მიზეზი: მაღალი სატრანზიტო ტარიფი (15.67 აშშ დოლარი 1 ტონაში) და ნოვოროსიისკში აზერბაიჯანის მაღალხარისხოვანი ნავთობის შერევა რუსულ ნავთობთან, რაც ხარისხს აქვეითებს და მოქმედებს ფასზე. რუსეთი პერმანენტულად მოითხოვს ტრანსპორტირებული ნავთობის მოცულობის გაზრდას წელიწადში 7.0 მლნ ტონამდე.

აზერბაიჯანის გაზის წლიური მარაგის 50% შედგება რუსეთიდან იმპორტირებული გაზისაგან. ექსპერტთა აზრით, რუსულ გაზზე დამოკიდებულება გაგრძელდება 2010-2012 წწ-მდე. 2005 წლის ბოლოსთვის ტარიფი შეადგენდა 60.0 დოლარს 1000 მ³-ში, მაგრამ 2006 წელს ის უკვე შეიცვალა მატებისკენ.

აზერბაიჯანის ნავთობისა და გაზის სექტორში წამყვანი პოზიციები უკავიათ ნავთობის სახელმწიფო კომპანიას (არნსკ) და საერთაშორისო საოპერაციო კომპანიას (ასსკ), რომელთა მეშვეობითაც ხორციელდება ყველა მნიშვნელოვანი საბადოს დამუშავება და საერთაშორისო მნიშვნელობის პროექტების რეალიზაცია (მათ შორის, მილსადენის "ბაქო-თბილისი-ჯეიჰანი" და გაზსადენი "ბაქო-თბილისი-ერზერუმი").

2004 წელს აზერბაიჯანში მოიპოვეს 15.549 მლნ ტონა ნავთობი და 5 მლრდ მ³ გაზი (კიდევ 4,6 მლრდ მ³ შემოტანილია რუსეთიდან). 2005 წლის დაახლოებითი მაჩვენებლები: ნავთობი - 19.75 მლნ ტონა, გაზი - 5.5 მლრდ მ³ (კიდევ 4,5-5,5 მლრდ მ³ რუსეთიდან).

მოპოვების პერსპექტული პროგნოზი ასეთია:

**ნავთობი:** 2006 წ. - 28.55 მლნ ტ, 2007 წ. - 42.15 მლნ ტ, 2008 წ. - 61.05 მლნ ტ, 2009 წ. - 61.15 მლნ ტ., **გაზი:** 2009-2016 წწ. - 13 მლრდ მ³

### ენერგეტიკული პროექტების შესახებ

მშენებარე ბაქო-თბილისი-ერზერუმის გაზსადენის საპროექტო გამტარუნარიანობა შეადგენს 20 მლრდ მ3 ბუნებრივ გაზს. ტექნიკურად შესაძლებელია ამ მაჩვენებლის გაზრდა 30 მლრდ მ3-მდე.

მიუხედავად იმისა, რომ თურქეთს არა აქვს ცენტრალური მაღალი წნევის ტრანზიტული გაზსადენი, დღეს არსებული სისტემის გამოყენებითაც შესაძლებელია ერზრუმამდე მიტანილი გაზის ამ ქვეყნის ევროპულ ნაწილში (ბულგარეთის საზღვრამდე) ტრანსპორტირება. ამასთან, ფუნქციონირებს თურქეთ-ბულგარეთის დამაკავშირებელი გაზსადენი, რომლის დიამეტრია 48 დიუმი. ამჟამად ამ მილით მიეწოდება რუსული გაზი უკრაინა-მოლდოვა-რუმინეთი-ბულგარეთის გაზსადენით და მისი გამტარუნარიანობაა 14 მლრდ მ² წელიწადში.

აღსანიშნავია, რომ თურქეთ-საბერძნეთის გაზსადენი ამჟამად მშენებლობის სტადიაშია. დასრულების ვადებია 2006-2007 წლები. 300 კმ გაზსადენის საპროექტო გამტარუნარიანობა შეადგენს 11,5 მლრდ მ³ წელიწადში.

მაღალია თურქეთ-ბულგარეთ-რუმინეთ-მოლდოვა-უკრაინის გაზსადენის გაერთიანებული ქსელის მშენებლობის პრაქტიკული პერსპექტივა და ტექნიკური შესაძლებლობები. ამისთვის საჭიროა: აღნიშნულმა ქვეყნებმა უარი თქვან რუსული გაზის მიწოდებაზე, რაც საკმაოდ რთულია არსებული გრძელვადიანი კონტრაქტების პირობებში. აქ დაისმება კითხვა: რომელი (ვისი) გაზის მიწოდება იქნება შესაძლებელი და როდის?

საგანგებო მსჯელობის საგანი იქნება თურქეთის, ბულგარეთის, რუმინეთის, მოლდოვასა და უკრაინის არსებული გაზსაცავების სიმძლავრეები.

ცხადია, რომ სუამისა და "დემოკრატიული არჩევანის" ქვეყნების ახალი ენერგეტიკული პოლიტიკა მოიაზრება როგორც ნატოს სტრატეგიულ ინტერესებთან მიბმული პერსპექტივა. ახალი ენერგეტიკული შესაძლებლობა წარმოადგენს სერიოზულ ფაქტორს ამ ქვეყნების დამოუკიდებლობისა და დემოკრატიული განვითარებისათვის, ასევე ეკონომიკური სტაბილურობისა და ენერგეტიკული უსაფრთხოების უზრუნველყოფისათვის, რაც თავისთავად შედის ნატო-სა და ევროკავშირის სტრატეგიულ ინტერესებში.

ახალი ენერგეტიკული პერსპექტივების მასშტაბები გაცილებით იზრდება იმ შემთხვევაში, თუ სუამისა და "დემოკრატიული არჩევანის" ქვეყნების სატრანზიტო პოტენციალით მაქსიმალურად დაინტერესდება თურქმენეთი და ყაზახეთი. ევროპული ქვეყნების გაზით მომარაგების ალტერნატიული ენერგეტიკული მარშრუტების ამოქმედება თურქმენული და/ან ყაზახური გაზის გარეშე, მხოლოდ აზერბაიჯანული რესურსებით, ფაქტიურად შეუძლებელია. მა ქვეყნებს უნდა მიეცეთ გარანტიები გაზის გატანასთან დაკავშირებით და დაიწყოს მოლაპარაკებები მოწოდების პირობებზე.

აუცილებელია ამ პროექტებით დაინტერესებული სახელმწიფოების (პოლონეთი, ლატვია, ლიტვა, ესტონეთი), ანუ ევროპის ახალი დემოკრატიის ქვეყნების მხარდაჭერის აქტუალიზაცია და პოზიტიური გამოყენების პერსპექტივის გააზრება. მათი გააქტიურება ევროგაერთიანების სტრუქტურებისა და საერთაშორისო ფინანსური ინსტიტუტების ფარგლებში მომგებიანად აისახება ახალი ენერგოპროექტების პოლიტიკური და ეკონომიკური ასპექტების განვითარებაზე.

# ივლისში თბილისს საკუთარი "ევროპარკი" ექნება

*ივლისიდან თბილისში გრანდიოზული გასართობ-დასასვენებელი კომპლექსი "ევროპარკი" დაიწყებს ფუნქციონირებას. "ევროპარკს" ქართულ კომპანია შპს "ევროპარკი" აშენებს და იგი თურქეთის საუკეთესო საკურორტო ქალაქებში არსებული ეგრეთ წოდებული "აქვალენდების" ანალოგი გახლავთ, რომელსაც მრავალფეროვანი დასასვენებელი თუ გასართობი ინფრასტრუქტურა ექნება.*



მიუხედავად იმისა, რომ "ევროპარკის" ოფიციალურ გახსნამდე ჯერ კიდევ საკმაო დრო დარჩა (კომპანია "ევროპარკი" კომპლექსის გახსნას ივლისის დასაწყისისათვის გეგმავს), კომპლექსის ტერიტორია უკვე ძალზე შთამბეჭდავად გამოიყურება - აგებულია საოცრად ლამაზი ძირითადი კონსტრუქციები და აუზები. ტერიტორია კი, რომელზეც "ევროპარკი" იქნება გადაჭიმული 38 ათას კვადრატულ მეტრზეა გაშლილი და თუ ამ ციფრს გავითვალისწინებთ, ადვილი წარმოსადგენია პარკის გრანდიოზულობა. აქ იქნება საცურაო აუზების, წყლის რომბების, ბუნგალოების, ბარებისა და რესტორნების, დისკოტეკების, ღია კაფეების, VIP აუზის მთელი კომპლექსი. ერთი სიტყვით "ევროპარკში" ზაფხულის სეზონისათვის ყველა სახის გასართობი, დასასვენებელი და გამაჯანსაღებელი კომფორტი იქნება შექმნილი. "ევროპარკის" მთელი წლის განმავლობაში, მათ შორის ზამთრის სეზონში, ფუნქციონირების უზრუნველსაყოფად სამომავლოდ პარკს დახურული აუზი, საუნა, სპორტული დარბაზი, კინოდარბაზი და სხვა გასართობი მიემატება. გარდა ამისა, პარკის ტერიტორიაზე ხელოვნურად იქნება შექმნილი ზაფხულის კლიმატი და სტუმრებს ცივი ტემპერატურის დროსაც კი შეეძლებათ ღია აუზებითა და წყლის სასრიალო ლაბირინთებით სარგებლობა.

შპს "ევროპარკის" თურქი მენეჯერი სედათ დალგიჩი აღნიშნავს, რომ **"თბილისის "ევროპარკს", რომლის აშენებაც ხუთი მილიონი დოლარი დაჯდა, ერთდროულად ორი ათასი ადამიანის მიღება შეუძლია. აქ ერთი შემოსასვლელი ბილეთით მთელი დღის განმავლობაში შეიძლება დაისვენო. სპეციალური გასართობები იქნება ბავშვებისათვის, ასევე მათ გართობაზე სპეცპერსონალი იზრუნებს. ასე რომ, მშობლებს შესაძლებლობა ექნებათ სრულყოფილად დაისვენონ. "აკვაპარკის" სამუშაო საათების დასრულების შემდეგ კი მუშაობას დილამდე გააგრძელებს რესტორანი, ბარები და დისკოტეკა. აღსანიშნავია, რომ დისკო-ბარს თურქი კვალიფიციური დისკ-ჟოკეი მოემსახურება. სამზარეულო იქნება როგორც ქართული ასევე თურქული და ევროპული. მენეჯმენტი მთლიანად თურქებით იქნება წარმოდგენილი, თუმცა "ევროპარკში" დასაქმებული იქნებიან ქართველებიც."**



მენეჯერის თანაშემწის ხათუნა კილაძის თქმით, თბილისის **"ევროპარკში" დაახლოებით 75-100 ქართველი იქნება დასაქმებული. ყველა საჭირო ინვენტარი კი დაწყებული გამწვანებიდან და დამთავრებული ავეჯით, თურქეთიდან არის ჩამოტანილი. მნიშვნელოვანია, რომ "ევროპარკს" ექნება საკუთარი პარკინგი ავტომობილებისათვის."**

კომპანიის იურისტი სალომე სალუქვაძე აღნიშნავს, რომ "აკვაპარკი" ძირითადად არის ღია კონსტრუქციის, მაგრამ იქნება დახურული პავილიონებიც მათთვის, ვისაც წელიწადის ცივ დროს ან უამინდობისას სურს გაერთოს და დაისვენოს. მისივე თქმით, და ეს განსაკუთრებით აღსანიშნავია, **"მშენებლობისას უსაფრთხოების აბსოლუტურად ყველა ზომა დაცულია."**

**P.S.** შპს "ევროპარკის" წარმომადგენლების ინფორმაციით ასეთივე გასართობ-დასასვენებელი კომპლექსი ბათუმშიც შენდება. ასე რომ, გაჩნდება ადგილი, სადაც წელიწადის ნებისმიერ პერიოდში, დღისა თუ ღამის ნებისმიერ დროს შესაძლებელი იქნება სხვა სამყაროში გადაინაცვლო, დაისვენო და გაერთო. დაინტერესებულ მკითხველს კი ვაცნობებთ, რომ "ევროპარკი" ნაძალადევის რაიონში, მეტროსადგურ "დიდუბის" ზედა გამოსასვლელიდან სულ რაღაც 500 მეტრის დაშორებით მდებარეობს და ივლისიდან უკვე სრულფასოვან ფუნქციონირებას იწყებს.

# პავაროტისა და პარმის რჩეული

პირველი გვერდიდან

ჟიურისაც რომ თავი დავანებოთ, იქ პუბლიკა განსაკუთრებით პრეტენზიულია. საოპერო ხელოვნებას არაერთი ცნობილი მომღერალი ახსოვს, რომლებმაც ამ კონკურსზე ღიმილისმომგვრელი მარცხი განიცადეს. თუმცა ეს ლიზას არ ეხება.

ნოდარ ანდღულაძე: "საერთოდ არ ვიცოდი, თუ აპირებდა კონკურსზე გასვლას, რადგან ბოლო ხანებში ძალიან ბევრს მღერის როსინის ოპერებს როგორც იტალიაში, ისე იტალიის გარეთ. თანაც ურთულეს ოპერებს, ურთულეს კანტატებს, რომლებსაც ერთი-ორი თუ მღერის ქართველ ვოკალისტებს შორის. მათ შორის, მაგალითად, იანო ალიბეგაშვილი. დირიჟორმა ძედამ, რომელსაც იანოსთანაც ჰქონდა ახლო შემოქმედებითი კავშირი და რომელიც როსინის მუსიკის სპეციალისტია, ლიზაც "აღმოაჩინა". ბოლო წლებში არ ყოფილა შემთხვევა, რომ მას ჩვენი სოპრანო რომელიმე დიდ პარტიაში არ დაეკავებინოს. ისეთ ოპერაშიც კი, როგორიცაა "მოგზაურობა რეიმსში," რომელშიც 15 პირველხარისხოვანი მომღერალია საჭირო, ლიზამ ნიმფას ურთულესი პარტია შეასრულა. მას როსინის ოპერები იტალიაში, საფრანგეთში, გერმანიაში აქვს ნამღერი. რაც შეეხება ისეთ ნაწარმოებებს, როგორიცაა ვერდის "ტრავიატა" და "რიგოლეტო", ისინი ლიზასთვის სირთულეს არ წარმოადგენს. ვირტუოზულობის მხრივ, ის გაცილებით რთულ ნაწარმოებებს ძლევს. დაახლოებით ასეთია მისი შემოქმედებითი პორტრეტი..."

მისი შემოქმედებითი ბიოგრაფია კი მნიშვნელოვანი მოვლენებით არის მდიდარი. სოპრანომ, რომელიც ჯერ მხოლოდ 27 წლისაა, მრავალ ცნობილ მომღერალთან მოასწრო შემოქმედებითი ურთიერთობა და მსოფლიოში ცნობილი მაესტროების აღიარება დაიმსახურა.

"- მისი პირველი ნაბიჯებისა და დიდი წარმატებების ისტორია ასეთია: ის კონსერვატორიასთან არსებული ექსპერიმენტული სკოლის, ჩემს მიერ დაარსებული ვოკალური განყოფილების მოსწავლე იყო. იქ ჩემი ყოფილი სტუდენტები ასწავლიან. ძალიან მნიშვნელოვანი სკოლაა, მისი გამოშვების 50 პროცენტი კონსერვატორიაში უპრობლემოდ აბარებს. სწორედ ეს სკოლა აქვთ გავლილი ჩვენს ცნობილ შემსრულებლებს (სამწუხაროდ, ახლა ამ სკოლას ხურავენ). ამას გარდა, ახალგაზრდები რესპუბლიკურ თუ საკავშირო კონკურსებში მუდამ იმარჯვებენ.



ნოდარ ანდღულაძე: ის ყოველმხრივ აღჭურვილი მომღერალია, სრულყოფილება.

ლიზა თამარ სარვაჟიშვილთან სწავლობდა. კონსერვატორიის მისაღები გამოცდების წინ მან გოგონა მომიყვანა. მაშინვე აღმოვაჩინე, რომ ერთი მითითებაც საკმარისი იყო, რათა მას გაეგო და გამოესწორებინა შეცდომა. საოცარია: როცა მისაღებ გამოცდაზე მოვისმინე, ისეთი შთაბეჭდილება დამრჩა, თითქოს მასთან დიდი ხნის მანძილზე მქონდა ნამუშევარი. მას შემდეგ მასზე მოწესრიგებული სტუდენტი კონსერვატორიას არ ჰყოლია. მესამე კურსზე უკვე სოლო კონცერტი ჰქონდა. შემდეგ ნიკა მემანიშვილის დადგმაში, "ევრიდიკეში" მთავარი პარტია შეასრულა. ამ წარმოდგენის ჩანაწერი ვენაში წაიღეს. იქ თურმე არ იჯერებდნენ, რომ ოპერას სტუდენტები ასრულებდნენ. მანამდე რესპუბლიკურ კონკურსზე მეორე პრემია აიღო, საკავშირო კონკურსზე "იმედის" პრიზი მიიღო. შემდეგ ბარსელონაში წავიდა კონკურსზე. იქ ლაურეატი არ გამხდარა, მაგრამ მოიპოვა მილანის "ლა სკალას" სტეპენდია სიენას ზაფხულის მასტერკლასებისთვის. ერთი თვე შირლი ვერეტთან მუშობდა, შემდეგ - რაინა კაბაივანსკა..."

რაინა კაბაივანსკა ნოდარ ანდღულაძის ძველი მეგობარი, მისი დროის ლა სკალას სტაჟიორი გახლდათ. მათ დღემდე აქვთ მიწერ-მოწერა. ბატონი ნოდარის უნიკალურ ფოტოკოლექციაში ამ ქალბატონის პორტრეტს თვალსაჩინო ადგილი უკავია. ასე რომ, მისთვის ლიზა მარტიროსიანის შესრულების მანერა თუ სკოლა უცნობი ნამდვილად არ ყოფილა. მაშინ კაბაივანსკას ახალგაზრდა სოპრანოსთვის ურჩევია, რომ არაფერი შეეცვალა, ისე ემღერა, როგორც ანდღულაძემ ასწავლა. უბრალოდ, რეპერტუარის გამდიდრებაზე ეზრუნა, თუმცა ამ საქმეში ლიზა მარტო არ დაუტოვებია. უკანასკნელ მოვლენებამდე რაინა ლიზას კავშირების გაღრმავებაში ეხმარებოდა. ქართველი სოპრანოს საეტაპო გამოსვლებიც სწორედ მისი დახმარებით მოხერხდა.

"- მან გამონაკლისი დაუშვა და ლიზა დატოვა ბოლონიაში, შემდეგ კი სხვადასხვა კონცერტებში მიაღებინა მონაწილეობა. აქ უკვე ლიზას ნოდარ ლადარია დაეხმარა. ის ვატიკანის ინსტიტუტის დოქტორია და მისი კავშირების წყალობით ლიზა ძალიან დიდხანს პადრე ანსელმო პერისთან ცხოვრობდა. ასე გაიხსნა გზა იტალიაში. რამდენიმე კონკურსზეც გავიდა. შემდეგ იყო პლასიდო დომინგოს კონკურსი ვაშინგტონში. იქ დიდი წარმატება ჰქონდა. განაცხადში იყო 900 მუსიკოსი, აირჩა 40, მეორე ტურში 25 ვოკალისტი გავიდა, მესამეში - 12, ლიზა ბოლო ტურში გავიდა და მაყურებლის სიმპათიის პრიზი მიიღო. მას დომინგოსთან ერთად უნდა ემღერა, მაგრამ 11 სექტემბერი იყო და კონცერტი გადაიდო, თუმცა რაინამ ლიზა პავაროტის კონცერტმაისტერთან ლეონე მაჯიერასთან დააკავშირა. ის დიდი მუსიკოსი, დიდი დირიჟორია. მაჯერას ისე მოეწონა ლიზა, რომ პავაროტის გააცნო."

ლიზამ ცნობილი ტენორის დიდი სიმპათიაც დაიმსახურა. ორკვირიანი მუშაობის შემდეგ ერთად გამართეს კონცერტი. დაიგეგმა, რომ კონცერტი გამართულიყო ლოს ანჯელესში, თანაც სამ დღეს გაგრძელებულიყო. მაგრამ მაშინ აშშ-მ ერაყში ჯარები შეიყვანა და პავაროტი, პროტესტის ნიშნად, შტატებში არ ჩავიდა. კონცერტის ადგილი შეიცვალა. ის იტალიის ქალაქ ჩეზენაში, ბონჩის სახელობის თეატრში გაიმართა. 2003 წლის ეს კონცერტი სოპრანოს ბიოგრაფიაში გადამწყვეტი აღმოჩნდა - ის პავაროტის რჩეული გახდა და სოლო კონცერტი მასთან ერთად გამართა.

მას შემდეგ კიდევ სამმა წარმატებულმა წელმა განვლო. სოპრანო ყველაზე ხშირად იტალიის ქალაქებში მღერის. გასტროლები გერმანიაში, საფრანგეთში, ესპანეთში, ჰონკონგში, ირლანდიაში... სულ ცოტა ხნის წინ მარტიროსიანი საუკეთესო გასტროლიორად აღიარეს. სხვადასხვა "პატარა" წარმატებები სამი დღის წინ დააგვირგვინა. დღეს ლიზა უკვე პარიზშია და როსინის ოპერის "ქურდი კაჭკაჭის" წამყვანი პარტიის შესასრულებლად ემზადება:

"- საერთოდ, ომის შემდგომი პერიოდი როსინის რენესანსად ითვლება. ეს მოვლენა კალასის სახელს უკავშირდება. ლეონკავალოსა და პუჩინის გამო როსინი კარგა ხანს დავიწყებული იყო. კალასმა ისტორიის ბორბალი უკან დააბრუნა და სულ სხვა განზომილება მისცა მას. ლიზამ კი თავისი თავი იპოვა ამ მუსიკაში... ის ყოველმხრივ შემკული მომღერალია. ეს არ არის ის შემთხვევა, როცა ვამბობთ ხოლმე, რომ აქვს კარგი ხმა, ტექნიკა, მუსიკალურია. არა, მას ყველაფერი აქვს, თან ყველაფერი მაღალ დონეზე, დიდი გემოვნებით. რაც მთავარია, ეს ყველაფერი ხორციელდება ყოველგვარი ფორსირების გარეშე. ჩვენთან, ოპერაში, არის და ყოველთვის იყო ამის საფრთხე. ვგულისხმობ იმ შემთხვევას, როცა მღერიან იმაზე მეტი ხმით, ვიდრე ეს საჭიროა, როცა მუსიკა აღარ ისმის და ისმის მხოლოდ ხმა. თითქოს ხმას ემსახურებოდეს მუსიკა და არა ხმას მოჰქონდეს ის მუსიკა, რასაც ასრულებს ვოკალისტი. მხოლოდ დიდ ოსტატებს შეუძლიათ დაიცვან ეს პრინციპი, კიდევ მათ, ვინც სრულყოფისკენ მიისწრაფიან ხელოვნებაში და არა მხოლოდ საკუთარი თავის პოპულარიზაციისთვის, სახელისთვის. ამ მხრივ ლიზა მარტიროსიანი მნიშვნელოვანი მოვლენაა. ის მეტად განათლებული ადამიანია. ჩვენთან ასპირანტურაც აქვს დამთავრებული და მუსიკის დარგებში, სტილისტიკაში აბსოლუტურად გარკვეულია.

ჩვენი თეატრის სცენაზე ლიზა მთავარი პარტიების შესრულებით განებივრებული არ ყოფილა. მისი აქაური მოღვაწეობა ძირითადად კონცერტებით შემოიფარგლებოდა. როგორც ვხვდებით, იყო ბარიერი, რომელიც მის შემოქმედებით წინსვლას საქართველოში ხელს უშლიდა, თუმცა ამ წინააღმდეგობას მის არტისტულ და ვოკალურ პრობლემებთან ნუ დავაკავშირებთ, საქმე სხვა რამეშია... თუმცა ახლა ამას დიდი მნიშვნელობა არა აქვს. ერთია მხოლოდ, რომ თბილისის პუბლიკას ლიზა ყველაზე კარგად ნიკა მემანიშვილისა და დავით საყვარელიძის მიერ გაცოცხლებულ "ევრიდიკეში" ახსოვს - ლიზა, ჯერ კიდევ სტუდენტი, უჩვეულოდ მომხიბლავი ხმისა და გარეგნობის, ერთთავად წითელ სამოსში გამოწყობილი გოგონა. დღეს იგი მსოფლიო საოპერო ხელოვნების არაერთმა მნიშვნელოვანმა ფიგურამ აღიარა. ურიგო არ იქნებოდა ჩვენც გვეხილა ჩვენი სოპრანო ზაქარია ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის თეატრის სცენაზე, რომელიც ამ ბოლო დროს საქართველოდან წასულ ვოკალისტებს ხშირად მასპინძლობს.



# აფიშა

**6 ივნისი**

**კინო**

**"ამირანი"**
"საილენტ ჰილი"
დასაწყისი: 14:00; 17:00; 20:00; 22:30

**"რუსთაველი"**
"შტანგა გოლი (ქართულად)"
დასაწყისი: 12:00; 14:00; 16:00; 18:00; 20:00; 22:00

**გალერეა**

**"კოპალა"**
"ჩემს სიზმრებში"
პარიზელი
მოქანდაკის დარეჯან ზურაბიშვილის სკულპტურა

**"ჰობი"**
თანამედროვე ქართველ მხატვართა გამოფენა

**"უნივერსი"**
ქართველი თანამედროვე სკულპტორების გამოფენა

## ახალი გამოცემა

ქართული ეთნომუსიკისა და უძველესი მუსიკალური საკრავების შესახებ ახალი გამოცემა მზადდება. ეთნომუსიკოსის ოთარ ჩიჯალაძის წიგნი "საკრავები ძველ საქართველოში" ქართული ხალხური სიმღერისა და საკრავების მუზეუმის სახსრებით დაიბეჭდება და უახლოეს მომავალში გამოვა.

როგორც მუზეუმის დირექტორმა რევაზ კოტრიკაძემ აღნიშნა, წიგნში განმარტებულია ძველი ქართული ინსტრუმენტების ტერმინები. თან ახლავს თითოეულის პრეისტორია და ილუსტრირებულია. წიგნი ქართულ-ინგლისურ ენაზე გამოიცემა. ახალი გამოცემა განკუთვნილია მუსიკალური დაწესებულების სტუდენტებისთვის, ეთნომუსიკოსებისა და ქართული ენის შემსწავლელთათვის.

## სანოტო კრებული

ახლო მომავალში გამოიცემა ახალი სანოტო კრებული, რომელიც ქართული ხალხური მუსიკალური საკრავებისთვის იქნება განკუთვნილი. ახალ კრებულს ქართული ხალხური სიმღერისა და საკრავების მუზეუმი ამზადებს, სახელწოდებით "ქართული ხალხური ინსტრუმენტული მუსიკის სანოტო კრებული". როგორც მუზეუმის დირექტორმა რევაზ კოტრიკაძემ განაცხადა, გამოცემა სანოტო მასალით და ხელნაწერებით იქნება დაკომპლექტებული. ჩონგურზე შესასრულებლად წარმოდგენილია ხორუმი, ფანდურისთვის კი მოხევური და მთიულური, სულ 30-მდე ნამუშევარი.

კრებულს თან ერთვის კომპაქტ-დისკი, რომელზეც გადატანილია XX საუკუნის ფირფიტები, კერძოდ, სხვადასხვა საკრავზე შესრულებული ხალხური მუსიკის ნიმუშები.

## ემიგრანტი მოქანდაკე "კოპალაში"

გალერეა "კოპალა" ქართველი ემიგრანტის დარეჯან ზურაბიშვილის ქანდაკებების გამოფენას უმასპინძლებს. ქანდაკებების კოლექცია სახელწოდებით "ჩემს სიზმრებში" თემატურად მშობლიური ფესვების მარადიულ ხსოვნას ასახავს და ხელოვანმა იგი საქართველოს მიუძღვნა.

ზურაბიშვილი 1921 წლს საქართველოდან საფრანგეთში გადახვეწილი ქართველი ემიგრანტების შთამომავალია. იგი დაიბადა და გაიზარდა საფრანგეთში, სამშობლოში კი პირველად 2001 წელს ჩამოვიდა. გალერეის წარმომადგენელთა თქმით, საქართველოში გამოფენის მოწყობა თავად დარეჯან ზურაბიშვილის ინიციატივით დაიგეგმა. ამ მიზნით ემიგრანტი ხელოვანი გალერეას თავად დაუკავშირდა და ქანდაკებების ჩამოტანის ორგანიზებაც თავად იტვირთა.

"შარშან საქართველოში ყოფნის დროს ზურაბიშვილი გალერეას ეწვია და გამოფენის მოწყობის იდეაც მაშინ გაჩნდა. საგამოფენო კოლექციის ნაწილი სწორედ სამშობლოში მოგზაურობის შთაბეჭდილებებს ასახავს", - განაცხადა "კოპალას" საზოგადოებასთან ურთიერთობის ხელმძღვანელმა ქეთი ბენდელიანმა.

გამოფენა 6 ივნისს გაიხსნება და 16 ივნისამდე გასტანს.

## მარკიზ დე სადის წერილი

საფრანგეთში გამართულ აუქციონზე გაიყიდა ფრანგი განმანათლებლის ვოლტერისა და რუსეთის იმპერატორის ეკატერინე მეორის ერთმანეთისადმი მიწერილი წერილები. 28 წერილი, რომელიც ამ მიმოწერის მეოთხედ ნაწილს შეადგენს, "სოთბის" აუქციონის პარიზის განყოფილებაში ერთ-ერთმა ევროპელმა კოლექციონერმა 580 ათას ევროდ შეიძინა. ვოლტერისა და ეკატერინე მეორის დანარჩენი წერილები მოსკოვის სახელმწიფო საცავებსა და პარიზში, საფრანგეთის ეროვნულ ბიბლიოთეკაში ინახება.

აუქციონზე სხვა ისტორიული წერილებიც იყო წარმოდგენილი. კარლ მარქსის ხელნაწერი 43,2 ათას ევროდ იყიდეს, ფსიქოანალიზის ფუძემდებლის ზიგმუნდ ფროიდის, მეგობარი ქალის ივეტა ჰილბერტისადმი მიწერილი წერილი 12 ათას ევროდ შეიძინეს, სკანდალურად ცნობილი მარკიზ დე სადის წერილი კი, რომელიც ციხიდან ცოლს მისწერა, 70 ათას ევროდ გაიყიდა.

# "ბითლზს" "ოაზისი" სჯობია?

ეს კითხვა ჯერ "სი ენ ენ"-მა დასვა, შემდეგ "ბი ბი სი"-მ და ბოლოს მას სხვა საინფორმაციო სააგენტოებიც შეუერთდნენ. მიზეზი ლონდონში გამართული უდიდესი კვლევის შედეგები გახლდათ, რომელსაც ყოველწლიურად NME.com და ბრიტანული ჰიტ სიმღერებისა და ალბომების გამოცემა ატარებს. სწორედ ამ კვლევის შედეგად გაირკვა, რომ მსმენელს "ოაზისის" სადებიუტო ალბომი Definitely Maybe "ბითლზის" Sgt. Pepper's Lonely Hearts Club Band-ს ურჩევნია. "ბითლზი" სიაში მესამე ადგილზეც გავიდა Revolver-ით და საუკეთესო ასეულში კიდევ სამი სხვა ალბომით მოხვდა.

გამოკითხვის შესახებ განცხადება ჰიტი ალბომებისა და სიმღერების გამომცემლობამ გასული წლის ნომერში გააკეთა. რედაქტორ დევიდ რობერტსის თქმით, კენჭისყრაში მონაწილეობა ყველა მსურველს შეეძლო. მათ უბრალოდ, ხმა უნდა მიეცათ ათი ალბომისთვის და რიგის მიხედვით დაეწყოთ ისინი. სულ შევიდა 40 ათასი ხმა. ხმების 95 პროცენტი დიდი ბრიტანეთიდან იყო.

რედაქტორისვე თქმით, ყველაზე დიდი მოულოდნელობა მაინც Libertines-ის წარმატება გახლდათ. ჯგუფის სადებიუტო ალბომი Up the Bracket მე-15 ადგილზე გავიდა. ასეთ წარმატებას, რობერტსის აზრით, ჯგუფი სუპერმოდელ კეიტ მოსს უნდა უმადლოდეს. მას შემდეგ, რაც Libertines-ის მომღერალმა პიტ დოჰერთიმ მოსთან გააბა რომანი.

საუკეთესო ასეულში ასევე შევიდა U2-ს The Joshua Tree (მე-11 ადგილი), მაიკლ ჯექსონის Thriller (35-ე), "როლინგ სტოუნზის" Exile on Main Street (42-ე), "უაით სთრაიფზის" Elephant (59-ე), ბრიუს სპრინგსტინის Born to Run (82-ე) და "იგლზის" Hotel California (მე-100).

ამ ფონზე "ოაზისის" პირველი ადგილი ცხადია, უდიდესი მიღწევაა. 1994 წლის აგვისტოში გამოსულ დისკში შედის ისეთი ჰიტები, როგორიცაა Live Forever და Supersonic. დისკის ჩაწერა ჯგუფს 85 ათასი გირვანქა სტერლინგი დაუჯდა. სამაგიეროდ, დებიუტში ჩადებულმა ფულმა გაამართლა და პირველივე კვირას Definitely Maybe



ბრიტანული ჩარტის სათავეში მოექცა.

სხვათა შორის, წელს ბრიტანული ალბომების ოფიციალურ ჩარტს 50 წლის იუბილე აქვს. დევიდ რობერტსის თქმით, ეს ბოლო ასეული ამიტომაც არის მნიშვნელოვანი. "ხშირად მსგავს გამოკითხვებში ახლად გამოსული ჩანაწერები შეჰყავთ ხოლმე, მსმენელს რომ ახალი ნაყიდი აქვს და კარგად ახსოვს. ჩვენი გამოკითხვა კი იმ ალბომებს ავლენს, რომელთაც მსმენელზე წარუშლელი შთაბეჭდილება მოახდინეს და დროს გაუძლეს. საუკეთესო ასეულის პირველ ოცეულში მხოლოდ ორი ალბომია ბოლო ხუთი წლის განმავლობაში გამოსული. ეს კი იმას ცხადყოფს, რომ გამოკითხვაში მონაწილეებმა ბევრი იფიქრეს, ახალი ალბომებისგან მიღებულ ცინცხალ ემოციებს არ დაჰყოლოდნენ და ის შთაბეჭდილებები გაიხსენეს, რაც წლების წინ მოსმენილი ჩანაწერებისგან დაამახსოვრდათ".

კიდევ ერთი დეტალი: საუკეთესო ოცეულში მხოლოდ ორი ამერიკული ჯგუფი მოხვდა. "ნირვანა" Nevermind-ით მეექვსე ადგილზე გავიდა, Strokes-ი კი მეოცეზე თავისი Is This It-ით.

საუკეთესო ათეული კი ასე გამოიყურება:

1. Definitely Maybe, "ოაზისი".
2. Sgt. Pepper's Lonely Hearts Club Band, "ბითლზი".
3. Revolver, "ბითლზი".
4. OK Computer, "რეიდიოჰედი".
5. (What's the Story) Morning Glory?, "ოაზისი".
6. Nevermind, "ნირვანა".
7. The Stone Roses, "სთოუნ როუზისი".
8. Dark Side of the Moon, "პინკ ფლოიდი".
9. The Queen Is Dead, "სმითსი".



# შპს „საქართველოს რკინიგზა" აცხადებს ტენდერს სამტრედიის ლოკომოტივის სტადიონის სპორტული კომპლექსის კაპიტალური შესაკეთებელი სამუშაოების შესყიდვის შესახებ

1) შპს "საქართველოს რკინიგზა" (ქ. თბილისი, 0112 თამარ მეფის გამზ. 15 ს/ს ბანკი "რესპუბლიკა", ანგარიშის №3407003205, კოდი 220101757), აცხადებს ტენდერს ერთ ლოტად სამშენებლო სარემონტო სამუშაოების შესასყიდად და იწვევს ტენდერში მონაწილეობის მისაღებად ყველა დაინტერესებულ იურიდიულ ან/და ფიზიკურ პირს (საქართველოს ან უცხო ქვეყნის იურიდიული ან/და ფიზიკური პირი).

***ლოტი 1 -სამტრედიის ლოკომოტივის სტადიონის სპორტული კომპლექსის კაპიტალური შეკეთება;***

1) დაინტერესებულ იურიდიულ ან/და ფიზიკურ პირებს გასაწევი სამუშაოების შესახებ სრული ინფორმაციის მიღება შეეძლებათ შპს "საქართველოს რკინიგზის" შესყიდვების სააგენტოში, პრეტენდენტის მიერ სატენდერო მოსაკრებლის 200 ლარის გადახდის შემდეგ, რეკვიზიტებზე ს/ს ბანკი "რესპუბლიკა", ანგარიშის №3407003205, კოდი 220101757. პრეტენდენტს სატენდერო დოკუმენტაციასთან ერთად გადაეცემა ობიექტის დეფექტური აქტები განსახორციელებელი სამუშაოების მოცულობის აღწერით, ასევე საბაზისო მოთხოვნები პრეტენდენტების მიმართ.

2) დაინტერესებულმა იურიდიულმა ან/და ფიზიკურმა პირებმა საკვალიფიკაციო მონაცემები და სატენდერო წინადადებები (პრეტენდენტებთან ტექნიკური მაჩვენებლების და სხვა მონაცემების დაზუსტების მიზნით), ქართულ ენაზე უნდა წარმოადგინონ დალუქული პაკეტებით 2006 წლის **28 ივნისს** 900 საათადან 1800 საათამდე , ორ ეგზემპლარად, შემდეგ მისამართზე: შპს "საქართველოს რკინიგზა", ქ. თბილისი, თამარ მეფის გამზ. №15, მე-3 სართული, შპს "საქართველოს რკინიგზის" შესყიდვების სააგენტო.

საკვალიფიკაციო მონაცემების შეფასება მოხდება საკვალიფიკაციო მონაცემების წარმომდგენი იურიდიული ან/და ფიზიკური პირების მონაცემების საკვალიფიკაციო მოთხოვნებთან შესაბამისობის დადგენის გზით, აგრეთვე ტექნიკური მაჩვენებლების და სხვა მონაცემების დაზუსტების შემდეგ მხედველობაში მიიღება მხოლოდ მათი შესაბამისობა შემსყიდველი ორგანიზაციის მოთხოვნებთან.

3) საკვალიფიკაციო მონაცემები უნდა შეიცავდეს ცნობებსა და ინფორმაციას:

4.1 ცნობები:

4.1.1 იურიდიული პირისათვის;

1. ამონაწერი სამეწარმეო რეესტრიდან;
2. ცნობა საგადასახადო ინსპექციიდან, რომ არ ხორციელდება მისი რეორგანიზაცია ან ლიკვიდაცია;
3. ცნობა სასამართლოდან რომ მის მიმართ არ მიმდინარეობს გაკოტრების ან სანაციის საქმე;
4. სატენდერო წინადადების უზრუნველყოფისათვის სატენდერო თანხის 1%-იანი საბანკო გარანტიის წარმოდგენა, **რომლის მოქმედების ვადა ერთი თვით უნდა აღემატებოდეს სატენდერო წინადადების მოქმედების ვადას.**

4.1.2. ფიზიკური პირისათვის:

ა) ცნობა სასამართლოდან, რომ მის მიმართ არ მიმდინარეობს გაკოტრების საქმის წარმოება;

ბ) პირადობის დამადასტურებელი მოწმობის ასლი;

გ) ინდ/მეწარმის რეგისტრაციის საბუთი;

დ) სატენდერო წინადადების უზრუნველყოფისათვის სატენდერო თანხის 1%-იანი საბანკო გარანტიის წარმოდგენა, **რომლის მოქმედების ვადა ერთი თვით უნდა აღემატებოდეს სატენდერო წინადადების მოქმედების ვადას.**

4.1.3. როგორც ფიზიკურ, ისევე იურიდიული პირისათვის:

- ინფორმაცია უკანასკნელი 5 წლის განმავლობაში განხორციელებული სამუშაოების შესახებ, მათ შორის რკინიგზის ობიექტებზე შესრულებული სამუშაოების შესახებ ასეთის არსებობის შემთხვევაში

პრეტენდენტები ვერ გაივლიან შერჩევას თუ მათ მიერ წარმოდგენილი საკვალიფიკაციო მონაცემები და სატენდერო წინადადება არ შეესაბამება სატენდერო დოკუმენტაციისა და სატენდერო განცხადების მოთხოვნებს.

დამატებითი ინფორმაცია დაინტერესებულ პირებს შეუძლიათ მიიღონ შპს „საქართველოს რკინიგზა"-ს შესყიდვების სააგენტოში, ტელ:56-33-51; 56-46-24

**სატენდერო კომისია.**

1. უცხო ქვეყნების წარმოამადგენლების მიერ საკვალიფიკაციო მონაცემები წარმოდგენილი უნდა იქნას შესაბამისი ქვეყნის სახელმწიფო ორგანოდან კანონით დადგენილი წესითა და ლეგალიზებული სახით.

# დაბრუნება წარსულთან

## ქართული ენციკლოპედია ახალ ისტორიას იწყებს

სოფო კილასონია

ზურაბ აბაშიძე ვერ იფიქრებდა, რომ მამის მთავარ მიზანსა და ამოცანას ჩაუდგებოდა სათავეში. გამოჩენილი და ყველასთვის კარგად ცნობილი დიპლომატი დღეს უკვე ირაკლი აბაშიძის კაბინეტში ძველის და საინტერესო ფოტოებით გარშემორტყმულ სივრცეში თან წარსულს იგონებს, თან "ქართული ენციკლოპედიის" მომავალს გეგმავს.

- წელს ენციკლოპედიის მთავარ რედაქციას 40 წელი უსრულდება, რაც, თავისთავად, თითქმის საიუბილეო თარიღია. თავის დროზე ეს ძალიან მნიშვნელოვანი ამბავი იყო. დამფუძნებლები ამაყობდნენ, რომ შესაძლებელი გახდა ამ პოლიტიკური გადაწყვეტილების მიღება. გადაწყვეტილება ქართული ენციკლოპედიის დაარსების შესახებ საბჭოთა კავშირის უმაღლეს ეშელონებში მიიღეს. მახსოვს, რომ ამ ინიციატივის წინააღმდეგი იყო საბჭოთა კავშირის მთავარი იდეოლოგი სუსლოვი. მან თქვა, რომ სულაც არ იყო საჭირო რესპუბლიკებში ეროვნული ენციკლოპედიების გამოცემა, რადგან არსებობდა საბჭოთა ენციკლოპედია და ეს საკმარისი იყო, მაგრამ ჩვენი რესპუბლიკის მაშინდელმა ხელმძღვანელობამ ვაჟკაცობა გამოიჩინა და ინიციატივა გაიტანა.

**- რა შეიძლება ითქვას ამ დაწესებულების წარსულზე, მის მუშობაზე, ყველაზე მნიშვნელოვან მოვლენებზე?**

- ამ ორმოცი წლის მანძილზე მთავარი ის მოხდა, რომ გამოიცა ქართული უნივერსალური ენციკლოპედიის თორმეტტომეული. ეს იყო ძალიან დიდი შრომის შედეგი - პირველად საქართველოს ისტორიაში, ქართული საზოგადოების ინტელექტუალური დონისა და ეროვნული ცნობიერების შენარჩუნებისა და ამაღლების უნიკალური საშუალება. ამ ორმოცი წლის მანძილზე ბევრი სხვა რამეც გაკეთდა. გამოიცა ისეთი უნიკალური ნაშრომები, როგორიცაა "ქართულ ძეგლთა აღწერილობის" ორი ტომი. გამოიცა ენციკლოპედია "საქართველოს" ხუთტომეულის პირველი წიგნი. ამჟამად მეორე ტომზე ვმუშაობთ. გამოიცა ენციკლოპედია "თბილისი", ასევე განმარტებითი და ორთოგრაფიული ლექსიკონები.



ზურაბ აბაშიძე.

რას ნიშნავს ენციკლოპედია, ამაზე აღარ ვსაუბრობთ. ვიცით, რომ ძალიან ბევრი ენციკლოპედიას ერის სარკეს, ერის პასპორტს უწოდებს.

**- დარწმუნებული ვარ, "ქართული ენციკლოპედიის" არსებობის, საჭიროების საკითხი რამდენჯერმე გადაისინჯა. ის არსებობას განაგრძობს და ახალ ეტაპს იწყებს ახალ გარემოში, სულ სხვა ეპოქაში...**

- გლობალიზაციის ეპოქაში ყველა იმ საქმიანობას, რომელიც ეროვნული ცნობიერების შენარჩუნებას, ქართული სახელმწიფოებრივი აზროვნების გამტკიცებას ემსახურება, უპირველესი მნიშვნელობა ენიჭება. ასე რომ, წინაპართა, მრავალი თაობის მიერ შენარჩუნებული უზარმაზარი კულტურის წარმოჩენა, დაცვა, შესწავლა და განსაკუთრებით მათი პოპულარიზაცია დღეს ფასდაუდებელ მნიშვნელობას იძენს.

**- ალბათ დიდი გეგმები გაქვთ...**

- დიახ. პირველ რიგში, ძალიან გვინდა, რომ შევქმნათ ენციკლოპედიის სახის ინტერნეტ-საიტი, სადაც იქნება ამომწურავი ინფორმაცია საქართველოს წარსულსა და აწმყოზე, მისი გეოგრაფიის, ისტორიის, კულტურის, მეცნიერებისა და გამოჩენილი ქართველების შესახებ.

**- მშვენიერი იდეაა, რადგან სრულიად ცარიელია ინტერნეტის ფართო შესაძლებლობების ის ნიშა, რომელსაც "საქართველო და ქართველები" უნდა ერქვას. ჯერ არ გამოჩენილა ის ორგანიზმი, რომელიც ამ დავალებას იკისრებდა.**

- ასევე გვსურს გამოვცეთ ქართული ენციკლოპედია რუსულ და ინგლისურ ენებზე.

**- აშკარად დროულია, რადგან ჩვენი მეზობელი ქვეყნები აქტიურად გამოსცემენ სწორედ უცხოენოვან ენციკლოპედიებს, სადაც ქართველები აღმოვაჩენთ ხოლმე ჩვენი კულტურის ძეგლებს, ოღონდ სხვათა ავტორობით მოხსენიებულს, შემდეგ კი ძალიან ვბრაზობთ, ოღონდ მხოლოდ ვბრაზობთ.**

- დიახ, მაგრამ ამ საკითხების გამწვავება არ ღირს. ასეთი რამ ყოველთვის ხდებოდა. უბრალოდ, საჭიროა კორექტულად, მეცნიერულ დონეზე გაეცეს ყველაფერს პასუხი.

**- გეგმებს, რომლის შესახებაც მიამბობთ, გარკვეული ფინანსური შესაძლებლობები ესაჭიროება. რას აპირებთ ამ თვალსაზრისით?**

- უნდა მოვიძიოთ გრანტები, გავიტანოთ ჩვენი პროექტები კონკურსებზე, უნდა მოვიძიოთ დაფინანსება. უკვე ვმუშაობთ ამ მიმართულებით.

დღეს ჩვენთან, ისე როგორც სხვა მრავალ დაწესებულებაში, მიმდინარეობს კადრების ოპტიმიზაცია. მტკივნეული პროცესია...

**- უცნაურია, მაგრამ უახლოეს წარსულში ენციკლოპედიის მუშაობა მეტად უფერულად მიმდინარეობდა. მიუხედავად ამისა, როგორც ჩანს, თანამშრომლები მაინც სრული შემადგენლობით დახვდნენ ახალ დირექტორს.**

- მართლაც საკვირველია ამ ადამიანების ენთუზიაზმი. ისინი 40 ლარს იღებდნენ და მაინც ერთგულნი რჩებოდნენ საკუთარი საქმისა. დღეს ეს ოპტიმიზაცია ხდება იმიტომ, რომ თანამშრომლებს სახელფასო მინიმუმი მაინც ჰქონდეთ, თუმცა ამ საზღვარს მაინც ვერ ვუახლოვდებით. ახალი მოთხოვნები ძალიან მკაცრია. ამიტომ გვიწევს ზოგიერთ თანამშრომელს დავემშვიდობოთ, თუმცა პრინციპად არ აგვირჩევია, რომ მაინცდამაინც ახალგაზრდებს მივანიჭოთ პრივილეგია. ვცდილობთ, პრაქტიკა და ახალი ენერგია შევაზავოთ, რათა განახლებულმა კოლექტივმა ახალი შემართებით დაიწყოს მუშაობა. თუმცა ეს პროცესი ძალიან რთულია.

ჩვენი საუბარი ისევ "ქართული ენციკლოპედიის" მთავარ ქმნილებას დაუბრუნდა და კიდევ რამდენიმე მოგონებით დასრულდა. ბატონი ზურაბი იხსენებს, რომ ქართული ენციკლოპედიის დამფუძნებლებს ბრძოლა უწევდათ არა მხოლოდ მისი შექმნისთვის, არამედ თორმეტტომეულის გამოცემის შემდეგაც. ცენზურა იყო ყველგან და ყველაფერში. თითოეული გვარი და თითოეული აბზაცი, თავისთავად ცხადია მოწმდებოდა.

**- მაშინ როგორ აღმოჩნდა ამდენი რეპრესირებული და მათთვის არცთუ ისე მისაღები პიროვნების ბიოგრაფია წიგნებში?**

- დიახ, აღმოჩნდა. ბევრი რამ შეძლეს. თუმცა ამაზე იყო რეაქცია.

ერთ-ერთ კრებაზე საქართველოს ცენტრალური კომიტეტის მეორე მდივანს ჩურკინს სიტყვა მოუთხოვია. ამ გამოსვლისა და მისი წყრომის მთავარი მიზეზი "ქარული საბჭოთა ენციკლოპედია", კერძოდ, მისი პირველი ტომი ყოფილა. მას აღუნიშნავს, რომ მხოლოდ "ა"-ში ორასზე მეტი მენშევიკი იყო შეტანილი. ბატონ ირაკლი აბაშიძეს გასცინებია: "ქართველებს ორასზე მეტი მენშევიკი რომ გვყოლოდა, თქვენ აქ არ დაგედგომებოდათო", - ეს სიტყვები ალბათ ჩუმად ითქვა და ასეც უნდა თქმულიყო. წინააღმდეგ შემთხვევაში "ა"-ს ვერ გასცილდებოდა პირველი ქართული ენციკლოპედიის მასშტაბი.

# ბინ ლადენი ვაშინგტონმა გამოზარდა

ცნობილი გერმანელი მწერალი, ნობელის პრემიის ლაურეატი გიუნტერ გრასი პრესასთან აშშ-სა და დიდი ბრიტანეთის პოლიტიკის წინააღმდეგ გამოდის. ორი დღის წინ მან განაცხადა, რომ ამ ქვეყნებმა სრულიად უაზრო პოლიტიკით ტერორიზმი გააცხარეს და ომის სახით მეტად სახიფათო თამაშები წამოიწყეს.

"წარმოუდგენელია ამაზე სახიფათო და ამაზე არაფერის მომტანი, უსუსური პოლიტიკა," - აღნიშნა გრასმა ბერლინის პენ-კლუბის 72-ე კონგრესზე სიტყვით გამოსვლისას. მისი თქმით, ვაშინგტონი მთელ რიგ სახელმწიფოებს დებს ბრალს ტერორიზმში და თანაც უსაფუძვლოდ. შემდეგ ყველა დანარჩენს უმტკიცებს, რომ იქ ფუნდამენტალიზმი ბობოქრობს. ამის შემდეგ კი იწყებს ამ ქვეყნების განადგურებას და გაქრობას. "სწორედ ვაშინგტონმა გამოზარდა ბინ ლადენიცა და ტერორიზმიც. ახლა კი უნდათ გამოიყენონ საკუთარი სამხედრო შესაძლებლობები, რათა თავიდან მოიცილონ ერთიც და მეორეც."

78 წლის მწერლის რადიკალური და ოდნავ აგრესიული გამოსვლა ბევრად შორს წავიდა. მან აშშ-ს პრეზიდენტსა და დიდი ბრიტანეთის პრემიერ-მინისტრს მლიქვნელები და მატყუარები უწოდა და იმ ეპისკოპოსებს შეადარა, რომლებიც აკურთხებდნენ იარაღს, რომელსაც ბიბლიასთან ერთად სხვადასხვა ქვეყანაში გზავნიდნენ და რომლითაც უამრავი ადამიანი ნადგურდებოდა.

პენ-კლუბის შეკრება, რომელიც ლიტერატორების თავისუფალი აზრის ქომაგად წარმოჩინდა, მისი ორგანიზატორების აზრით, "თანამედროვე ლიტერატურის სინდისია". მას 450 მწერალი ესწრებოდა. მათგან ასამდე უცხოელი და არა გერმანელი. კონგრესზე ასევე იმყოფებოდა გერმანიის პრეზიდენტი ჰერსტ კელერი.







## TV5MONDE

### 6 ივნისი

**06.00, 08.00,** 09.00(კანადა) **12.00,** 15.00(ბელგია) **16.00, 17.15, 20.00, 00.00,** 00.45(შვეიცარია), 03.00(აფრიკა), 04.10

TV5-ის საინფორმაციო გადაცემები. **11.00, 14.00, 19.00, 22.30** TV5-ის საინფორმაციო გამოშვებები. **06.30** ინდოეთი. დოკ. ფილმი. **08.30** ტელედილა. **10.30** ეკატერინე. სერიალი. **11.30** გადაცემა: გურმანი. **12.15** ინდოეთი. დოკ. ფილმი. **14.05** TV5-ის სამყარო. **15.30** ციფრები და ასოები. ტელეთამაში. **16.30** ბეტი ფიშერი და სხვა თავგადასვლები. მხ ფილმი. რეჟისორი კლოდ მილერიი. 2001. **18.35** კითხვები ჩემპიონისთვის. ტელეთამაში. **20.30** ჟან მულენი. რეჟისორი ივ ბუასე. 2002. **23.00** გადაცემა: თალასა. **04.40** გადაცემა: თვალსაზრისი.



მამა რაჟდენ ხარჭამაძე, დედა ლერა კორძაძე-ხარჭამაძე, მეუღლე ნანა მეფარიშვილი, შვილები: ლუკა, ანა, მამიდა ჟუჟუნა ხარჭამაძე, ბიცოლა ლიანა გოგელია, სიმამრი ოთარ მეფარიშვილი, ბიძაშვილები, მამიდაშვილები ოჯახებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

**ალექსანდრე (ალეკო) ხარჭამაძე**

**პანაშვიდები 4 და 5 ივნისს, 17 საათზე.**
**თბილისი. ნუცუბიძის 42, მე-2 კორპუსი, პირველი სადარბაზო.**
**გამოსვენება 6 ივნისს, ვაკის წმინდა სამების ტაძრიდან 14 საათზე.**

მეგობრები იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

**ალექსანდრე (ალეკო) ხარჭამაძე**

**და თანაგრძნობას უცხადებენ გარდაცვლილის ოჯახს**




## "დავით ტატიშვილის სამედიცინო ცენტრი"-ს მოწვევით

**2006 წლის 16 მაისიდან 23 მაისამდე ქ. თბილისში, გამაჯანსაღებელ ცენტრ "ნაუტილუსი"-ს ენდოსკოპიური და პლასტიკური ქირურგიის განყოფილების ბაზაზე, მსოფლიო სახელის მქონე ქირურგი ავიშაი ვეინბერგერი ჩაატარებს შემდეგი სახის ოპერაციებს:**

**- სახის კანის მცირე მოცულობის დაჭიმვა, ღაბაბის კორექციით**

**(40 წლამდე ასაკის პაციენტებში)**
**- სარძევე ჯირკვლის გადიდება სილიკონის პროთეზით**
**- სახის კანის კლასიკური დაჭიმვა**
**- სახის კანის კლასიკური დაჭიმვა + ზედა და ქვედა ქუთუთოს პლასტიკა**
**- სახის კანის კლასიკური დაჭიმვა + ზედა და ქვედა ქუთუთოს პლასტიკა + საკუთარი ცხიმის ინექციები**
**- ცხვირის პლასტიკური ოპერაციები**
**- დეფორმული და დიდი ზომის ყურების პლასტიკა**
**- ქუთუთოების პლასტიკა + წარბების აწევა**
**- სარძევე ჯირკვლის დაპატარავება**
**- სარძევე ჯირკვლის აწევა**
**- ლიპოსაქცია (ცხიმის ამოტუმბვა)**
**- შუბლის დაჭიმვა**
**- დაკიდებული მუცლის პლასტიკა**
**- მინიაბდომინოპლასტიკა (მუცლის ქვედა ნაწილის პლასტიკა)**
**+ ლიპოსაქცია**
**- ტუჩების გადიდება**
**- კანის ნაოჭების კორექცია**
**- ნიკაპის გადიდება პროთეზით**
**- სახის დაჭიმვა**
**- სახის დაჭიმვა (უფრო დიდი მოცულობის)**
**- კონტურული პლასტიკა ცხიმის ინექციებით**

**ინფორმაცია შეგიძლიათ მიიღოთ შემდეგ ტელეფონებზე:** 893 60 30 06, 893 65 38 39

## გამაჯანსაღებელი ცენტრი

## ნაუტილუსი



**გთავაზობთ:**

- ■ აღმოსავლური მედიცინის ცენტრი
- ■ სარეაბილიტაციო-რელაქსაციური SPA ცენტრი
- ■ მარადიული ახალგაზრდობის სამყარო "კედრის სახლი"
- ■ წონაში კლების ახალი უნიკალური პროგრამა

- ■ "STARMASTER"-ის და "NAUTILUS"-ის უახლესი თაობის ტრენაჟორებით აღჭურვილი ფიტნეს კლუბი
- ■ ულტრათანამედროვე რეაბილიტაცია და SPA ცენტრი
- ■ ულტრათანამედროვე გერმანული სამკურნალო აბაზანები და ტალახები, SPA კაფსულა
- ■ უახლესი გერმანული ვერტიკალური და ჰორიზონტალური სოლარიუმები

**მისამართი:** ი.ჭავჭავაძის 78
**ტელ:** 22 56 26, 23 56 26
E-mail: info@nautilus.ge, reception@nautilus.ge







## სიახლე გამაჯანსაღებელ ცენტრ "ნაუტილუსში"

გაიხსნა აღმოსავლური მედიცინის ცენტრი, სადაც მომსახურებას გაგიწევენ უმაღლესი კვალიფიკაციის მქონე სპეციალისტები: საერთაშორისო სუ ჯოკ აკადემიის მასწავლებელი **სიმონ გორელაშვილი, ანდრო სამხთუაშვილი, ლალი მუხიაშვილი** და სხვ.

მკურნალობა ტარდება შემდეგი მეთოდებით:

ჩინური მედიცინა, სუ ჯოკ თერაპია, ტვისტ თერაპია, ელექტროპუნქტურა, ლაზეროპუნქტურა, მანუალური თერაპია და სხვა.

გნებავთ განთავისუფლდეთ შემდეგი პრობლემებისაგან:

ნევროზი; უნებლიე შარდვა; ნევრიტები და ნევრალგიები; რადიკულიტი; დისკოზი; მხედველობის, სმენის, ყნოსვის, გემოვნების, დაქვეითება; რეინოს დაავადება; ბრონქიტი, ბრონქიალური ასთმა; კუჭის და თორმეტგოჯა ნაწლავის წყლულოვანი დაავადებები; დიფუზური და კვანძოვანი ჩიყვი; საკვერცხეების ცისტა, მენსტრუალური ციკლის დარღვევა, ძვალსახსროვანი სისტემის ტრავმული დაზიანებები, თმის ცვენა და სხვა.

მობრძანდით აღმოსავლური მედიცინის ცენტრ "ნაუტილუსში"!

**მის.: ი. ჭავჭავაძის გამზ. N78**
**ტელ.: 899 55 28 87; 22-56-26; 23-56-26**
**ელ. ფოსტა: info@nautilus.ge**

24 საათი B

© გაზეთი 24 საათი

# ბიზნესი

თქვენი რეკლამა "ბიზნესში"
☎ 995 32 31 93 90
995 32 31 93 86
899 26 20 19

გამოცემის ოფიციალური პარტნიორები:

## ავსტრალია ბირთვულ ენერგიას აითვისებს

## Heinz ფინანსურ პრობლემებს განიცდის




## ლაქშმი მიტალი Arcelor-ს აუცილებლად შეიძენს



# საფონდო ბირჟა სტაბილურად ვითარდება

### მაისში სავაჭრო ბრუნვამ 33 მილიონ 200 ათასი ლარი შეადგინა

ნინო ნატროშვილი

საქართველოს საფონდო ბაზარი სტაბილურად, მაგრამ საკმაოდ ნელი ტემპით ვითარდება. ექსპერტების შეფასებით, ყველაზე კარგი მაჩვენებელი საფონდო ბირჟის არსებობის მანძილზე 2006 წლის მაისში დაფიქსირდა. მაშინ ბირჟის სავაჭრო ბრუნვამ 33 მილიონ 200 ათასი ლარი შეადგინა. გაიყიდა 37 კომპანიის აქციები, დაიდო 571 გარიგება. ბრუნვის რეკორდული ზრდის მიზეზად EBRD-ის მიერ "საქართველოს ბანკის" წილის გასხვისება სახელდება, რომელიც ბირჟის მეშვეობით განხორციელდა და ეს პროცესი საკმაოდ გამჭვირვალე იყო. ასევე 2006 წლის მაისში მოხდა შპს "სამგორის" 97-პროცენტიანი წილის გასხვისება. გაიყიდა "კასპიცემენტის" წილიც, რომელიც გერმანელმა ინვესტორმა იყიდა. ეს გარიგებაც ბირჟაზე მოხდა. ამის მიუხედავად, არასაბირჟო გარიგებების მოცულობა მაინც დიდია. ფასიანი ქაღალდებით ვაჭრობა ბირჟის გვერდის ავლით, საბროკერო კომპანიების მეშვეობით ხორციელდება. საფონდო ბაზრის ლიბერალიზაციის მიუხედავად, პროცენტულად გარიგებების მეტი რაოდენობა არასაბირჟო ვაჭრობაზე ხდება. საფონდო ბირჟა საქართველოს ეკონომიკაში, ფაქტობრივად, კატალიზატორის როლს ასრულებს. საფონდო ბაზარზე განვითარებული პროცესები კარგად გვაჩვენებს, თუ რა ტემპით ვითარდება ქვეყნის ეკონომიკა და რამდენად გამჭვირვალედ მიმდინარეობს პრივატიზაციის პროცესი.




B2

## ფინეთი ევროკავშირს არყის წარმოების უფლებას ] ართმევს

B3

# ფრანგების საჩუქარი კახელებს

ზვიად რუაძე
კახეთიდან

საფრანგეთის, კერძოდ, ბურგუნდიის მხარის იონის დეპარტამენტის და კახეთის მეგობრობა, რომელიც რამდენიმე წლის წინ დაიწყო და, ძირითადად, კულტურულ ურთიერთობებს მოიცავდა, ახალ ფაზაში გადაიზარდა. რეგიონის სოციალური და ეკონომიკური სფეროს განვითარებისა და მხარდაჭერის მიზნით, ფრანგებმა რეგიონში ერთდროულად რამდენიმე პროექტის განხორციელება დაიწყეს.



ფრანგი ძროხები კახეთში.

B2

## ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის სამახსოვრო მონეტა






B4

### უცხოური ვალუტის ოფიციალური კურსი ლართან მიმართებაში

| | | |
|---|---|---|
| 1 ავსტრალიური დოლარი | AUD | 1,3424 |
| 1 აზერბაიჯანული მანათი | AZN | 2,0004 |
| 1 არაბული დირჰამი | AED | 0,4895 |
| 1 აშშ დოლარი | USD | 1,7980 |
| 1000 ბელორუსიული მანათი | BYR | 0,8387 |
| 1 ბულგარული ლეი | BGL | 1,1775 |
| 1 დანიური კრონი | DKK | 0,3088 |
| 1 ეგვიპტური გირვანქა | EGP | 0,3124 |
| 1 ევრო | EUR | 2,3027 |
| 10ესტონური კრონი | EEK | 1,4720 |
| 1000 თურქმენული მანათი | TMM | 0,3458 |
| 1 თურქული ლირა | TRY | 1,1736 |
| 10 იაპონური იენი | JPY | 0,1594 |
| 1 ინგლისური გირვანქა ს | GBP | 3,3511 |
| 1000 ირანული რეალი | IRR | 0,1964 |
| 10ისლანდიური კრონი | ISK | 0,2498 |
| 1 ისრაელის სეკელი | ILS | 0,3986 |
| 1 კანადური დოლარი | CAD | 1,6288 |
| 1 ლატვიური ლატი | LVL | 3,2691 |
| 10ლიტვური ლიტი | LTL | 6,6497 |
| 10 მოლდოვური ლეი | MDL | 1,3539 |
| 1 ნორვეგიული კრონი | NOK | 0,2963 |
| 1 პოლონური ზლოტი | PLZ | 0,5881 |
| 10000 რუმინული ლეი | ROL | 0,6040 |
| 1 რუსული რუბლი | RUB | 0,0669 |
| 1 სინგაპურული დოლარი | SGD | 1,1379 |
| 100 სომხური დრამი | AMD | 0,4215 |
| 1 ტაჯიკური რუბლი | TJR | 0,5579 |
| 1000 უზბეკური სუმი | UZS | 1,4715 |
| 10უკრაინული გრივნა | UAG | 3,5888 |
| 100 უნგრული ფორინტი | HUF | 0,8794 |
| 1 ქუვეითური დოლარი | KWD | 6,2189 |
| 10 ყაზახური ტენგე | KZT | 0,1490 |
| 10ყირგიზული სომი | KGS | 0,4435 |
| 1 შვედური კრონი | SEK | 0,2493 |
| 1 შვეიცარული ფრანკი | CHF | 1,4723 |
| 1 ჩეხური კრონი | CZK | 0,0818 |
| 1 ჩინური იუანი | CNY | 0,2241 |
| 1 ჰონ-კონგური დოლარი | HKD | 0,2318 |




# "ბერიას სახლი", შესაძლოა, კიდევ ერთხელ გაიყიდოს

მარიამ ჯაჭვაძე

კრწანისის ყოფილი სამთავრობო რეზიდენციის ტერიტორიაზე სამშენებლო სამუშაოები უახლოეს თვეებში დაიწყება. მშენებლობის პირველი ფაზა 24 ათას კვადრატულ მეტრზე დაახლოებით ასი საცხოვრებელი სახლის გაშენებას ითვალისწინებს, სადაც, როგორც ტერიტორიის დღევანდელი მესაკუთრე განმარტავს, ძალიან ბევრი ცნობილი ადამიანი იცხოვრებს.

სამთავრობო რეზიდენციის კომპლექსი 44 ჰექტარ მიწის ფართობზე განლაგებულ 10 კოტეჯს მოიცავს. მყიდველები - ბარი სეპტიმუსი (Creative Production Inc) და რონალდ ვალდმანი (Basel Group LLC) აშშ-ს უძრავი ქონების ოპერაციებით დაკავებული კომპანიების ერთ-ერთ ყველაზე მსხვილ კონსორციუმს წარმოადგენენ. მათ საქართველოში ერთობლივი ფირმა შპს "ბაზელი" 2004 წლის შემოდგომაზე დააფუძნეს.

B4

# საკუთრება აღთქმულ ქვეყანაში

### ძვირი ისრაელური ქონება - წარმატებული კაპიტალდაბანდება

გოჩა ქიმუცაძე

ეს ახალგაზრდა, 1948 წელს დაარსებული, მაგრამ მეტად ძველი ისტორიის მქონე ქვეყანა კაპიტალდაბანდების თვალსაზრისით მეტად საინტერესო გახლავთ. ისრაელში უძრავი ქონების შეძენის შემთხვევაში თქვენ ხდებით მეტად პრესტიჟული, ძვირფასი და პერსპექტიული კაპიტალის მფლობელი.

აქ შეგიძლიათ უძრავი ქონება შეიძინოთ განთქმულ ქალაქ იერუსალიმში, რომელსაც ებრაელები დედაქალაქად თვლიან, ან ოფიციალურ დედაქალაქ და ბიზნეს-ცენტრ თელ ავივში. თუ გნებავთ, შეგიძლიათ, კაპიტალი ქვეყნის უმსხვილეს პორტ ჰაიფაში, ან კიდევ განთქმულ საკურორტო ქალაქებში: მაღალმთიან ცფატში, ან ხმელთაშუა ზღვისპირა ჰადერაში და წითელი ზღვისპირა ეილათში დააბანდოთ.



B3

## "საქართველოს ნაციონალური ავიახაზები" ივნისის ბოლოდან კანადური CRJ-ით იფრენს

ავიაკომპანია "საქართველოს ნაციონალური ავიახაზები" ივნისის ბოლოდან ფრენებს კანადური CRJ-ით შეასრულებს. როგორც ავიაკომპანიის პრეზიდენტმა გიორგი კოდუამ განაცხადა, კანადური წარმოების თვითმფრინავს, CRJ-200-ს ავიაკომპანია თბილისში 27 ივნისს ჩამოიყვანს.

კოდუას განმარტებით, პირველ ეტაპზე ახალი თვითმფრინავი ფრენებს ავიაკომპანიის ტრადიციული მარშრუტებით - თბილისი-მოსკოვი, თბილისი-ოდესა, თბილისი-სანკტ-პეტერბურგი, ქუთაისი-მოსკოვი და თბილისი-დნეპროპეტროვსკის მიმართულებით შეასრულებს, ხოლო მომდევნო ეტაპზე აღნიშნულ რეისებს ევროპული ავიარეისები დაემატება.

როგორც ავიაკომპანიის პრეზიდენტი განმარტავს, CRJ-200 კომფორტული, 50-ადგილიანი ავიალაინერია. ავიაკომპანიას ის თბილისში 5-წლიანი ლიზინგის წესით, 25 მლნ აშშ დოლარად ჩამოჰყავს. **პრაიმ-ნიუს ბიზნესი**

## აზერბაიჯანული ნავთობის ფასი შემცირდა

ერთ ბარელი AZERI LT-ის სახეობის ნავთობის ფასმა 2 ივნისს $69,55 შეადგინა, რაც $0,53-ით ნაკლებია წინა ვაჭრობაზე დაფიქსირებულთან შედარებით. AZERI LT-ის სიმკვრივე API-ის მიხედვით 34,6 გრადუსს შეადგენს, გოგირდის შემცველობა - 0,14%. URAL-ის ფასმა ერთ ბარელზე $63,78 შეადგინა ($0,51-ით ნაკლები). URAL-ის სიმკვრივე API-ის მიხედვით 30,4-31,85 გრადუსს შეადგენს, გოგირდის შემცველობა - 1,8 პროცენტია. Brent-ის ფასმა ერთ ბარელზე $68,36 შეადგინა ($0,42-ით ნაკლები). Brent-ის სიმკვრივე API-ის მიხედვით 38,3 გრადუსს შეადგენს, გოგირდის შემცველობა - 0,36 პროცენტი. AZERI LT-ის კოტირება ასახავს აზერბაიჯანული ნავთობის ფასს ხმელთაშუა ზღვის პორტებში, სადაც მას აზერბაიჯანის საერთაშორისო საოპერაციო კომპანია გადაზიდავს სუფსას ტერმინალიდან. URAL-ის კოდიტება ნავთობის ნოვოროსიისკის პორტში გადაზიდული ნავთობის ფასს ასახავს. **პრაიმ-ნიუს ბიზნესი**

## საწვავის ფასი საქართველოში უცვლელია

საწვავის ფასი საქართველოს ბაზარზე, წინა კვირასთან შედარებით, ფაქტობრივად, არ შეცვლილა, აცხადებს "საქართველოს ნავთობპროდუქტების მწარმოებელთა, იმპორტიორთა და მომხმარებელთა კავშირის" თავმჯდომარე ვანო მთვრალაშვილი. როგორც კავშირში განაცხადეს, საცალო ქსელში საწვავის ფასი შეადგენს:

- აზერბაიჯანიდან იმპორტირებული ა-91 ბენზინი - 1,42-1,50 ლარი;
- ევროპიდან იმპორტირებული ა-91 ბენზინი - 1,65 ლარი;
- ევროპიდან იმპორტირებული ა-95 (პრემიუმი) ბენზინი - 1,70-1,75 ლარი;
- ევროპიდან იმპორტირებული ა-98 (სუპერი) ბენზინი - 1,80 ლარი;
- დიზელის საწვავი - 1,40-1,45 ლარი.

მთვრალაშვილის განცხადებით, ბოლო ერთი კვირის განმავლობაში სიტუაცია, ფაქტობრივად, არ შეცვლილა ნავთობის საერთაშორისო ბაზარზეც. კერძოდ, 1 ტონა ბენზინის ფასი მსოფლიო ბაზარზე მერყეობდა 720-725 აშშ დოლარის ფარგლებში, ხოლო დიზელის ფასი - 625-630 აშშ დოლარის ფარგლებში. მსოფლიოში ნავთობზე მაღალი ფასების შენარჩუნების მთავარ მიზეზებად ვანო მთვრალაშვილი ირანის გარშემო შექმნილ სიტუაციას და ზაფხულში მთელი მსოფლიოს მასშტაბით საწვავის მოხმარების ზრდას მიიჩნევს. **პრაიმ-ნიუს ბიზნესი**

## ირაკლი ჩოგოვაძე თურქეთის ქალაქ გაზიან-თეფის ეწვია

ეკონომიკური განვითარების მინისტრი ირაკლი ჩოგოვაძე ორდღიანი ვიზიტით თურქეთის ქალაქ გაზიან-თეფის ეწვია, სადაც თურქეთის რესპუბლიკის მთავრობის ინიციატივით ერაყის საერთაშორისო გამოფენა გაიმართება. გამოფენა ერაყის ეკონომიკურ და სოციალურ განვითარებას ეძღვნება.

ირაკლი ჩოგოვაძე ორდღიანი ვიზიტის ფარგლებში თურქეთის რესპუბლიკის სახელმწიფო მინისტრს ქუშად თუზმენს პირისპირ შეხვდება, მინისტრები შეხვედრისას იმ დეტალებს განიხილავენ, რომლის გათვალისწინებითაც ქართული მხარე ერაყის ეკონომიკური აღმშენებლობის საქმეში მონაწილეობას მიიღებს. **ინტერპრესნიუსი**

## ჩაქვი-მახინჯაურის საავტომობილო გვირაბი 2 დღით ჩაიკეტა

სენაკი-ფოთი-სარფის საავტომობილო გზის ჩაქვი-მახინჯაურის მონაკვეთზე არსებულ საავტომობილო გვირაბში ორშაბათს და სამშაბათს - დილის 7:00 საათიდან საღამოს 22:00 საათამდე - პროფილაქტიკური სამუშაოების ჩატარებასთან დაკავშირებით ავტოტრანსპორტის მოძრაობა იკეტება. ამის შესახებ საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროს საავტომობილო გზების დეპარტამენტში განაცხადეს. დეპარტამენტის ინფორმაციით, დროის ამ პერიოდში ავტოტრანსპორტის მოძრაობა გადართულ იქნება შემოვლით გზაზე. ასევე დეპარტამენტის ინფორმაციით, ჭუბერი-საკენი-ომარიშარის საავტომობილო გზის 1-52 კმ-ში (ხიდას უღელტეხილი) მოძრაობა დასაშვებია მხოლოდ მაღალი გამავლობის ავტოტრანსპორტისათვის მოცურების საწინააღმდეგო ჯაჭვების გამოყენებით. **პრაიმ-ნიუს ბიზნესი**

## მიხეილ სააკაშვილი შავი ზღვის ქვეყნების ფორუმზე გაემგზავრა

საქართველოს პრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილი სამუშაო ვიზიტით ბუქარესტში გაემგზავრა. ბუქარესტში საქართველოს პრეზიდენტი მონაწილეობას მიიღებს შავი ზღვის ქვეყნების ფორუმში '"თანამშრომლობა და დიალოგი - 2006". როგორც პრეზიდენტის ადმინისტრაციაში განაცხადეს, ფორუმის ძირითადი მიზანია შავი ზღვის რეგიონის გადაქცევა ევროპული ინტეგრაციის არედ, რომელსაც ექნება თავისუფალი საბაზრო ეკონომიკა, გამჭვირვალე და ეფექტური სამთავრობო სტრუქტურები. ამასთან, ფორუმი მიზნად ისახავს მჭიდრო კავშირების დამყარებას ატლანტიკურ თანამეგობრობასთან, რომელიც დაემყარება შავი ზღვის სივრცის უსაფრთხოებას, სტაბილურობას და თავისუფლებას. ბუქარესტის ფორუმს დაესწრებიან საერთაშორისო ორგანიზაციების, მათ შორის - გაერო-ს, ეუთო-ს, ნატო-ს, ევროკავშირის და ევროსაბჭოს წარმომადგენლები. **პრაიმ-ნიუს ბიზნესი**

# ფრანგების საჩუქარი კახელებს

პირველი გვერდიდან



უკვე ექვსი წელია, კახეთსა და ბურგუნდიის მხარეს შორის მეგობრობა გრძელდება. ყოველწლიურად ორივე რეგიონი ერთმანეთის კულტურულ და საგანმანათლებლო პროგრამებს ეცნობა. ამჯერად კი, კახეთის ეკონომიკური განვითარების მიზნით, იონის დეპარტამენტმა ახალი პროექტების განხორციელება დაიწყო. **"ჩვენ გვინდა, მხარი დავუჭიროთ თქვენი რეგიონის განვითარებას ეკონომიკურ და სოციალურ სფეროებში. და ამაში, როგორც კახეთის მეგობარმა რეგიონმა, წვლილიც შევიტანოთ,"** - განაცხადა იონის გენერალური საბჭოს სენატორმა ანრი დერენკურმა.

ფრანგი სტუმრების ყველაზე ხალისიანი ვოიაჟი დედოფლისწყაროს რაიონში შედგა. დელეგაციამ, რომლის შემადგენლობაში იონის დეპარტამენტის სამთავრობო და ფერმერთა წარმომადგენლები იმყოფებოდნენ, ქიზიყელ ფერმერებს საჩუქრად ფრანგული - "შაროლეს" ჯიშის ოცი ძროხა გადასცეს. **"შაროლე" არის, ძირითადად, სახორცე ძროხა. განსაკუთრებულია იმ მხრივ, რომ ზრდასრულ მდგომარეობაში მისი ხორცის სუფთა წონა თითქმის ერთ ტონას აღწევს. მოსავლელად კი ზუსტად ისეთივე პირობები სჭირდება, როგორც აქაურ ნებისმიერ პირუტყვს,"** - ამბობს ფრანგი ფერმერი ანდრეი ბროსე, რომელმაც საკუთარი ფერმიდან ორი "შაროლე", მეგობრობისა და თანადგომის ნიშნად, თავად ჩამოუყვანა დედოფლისწყაროელ ფერმერს ავთანდილ ლეკაშვილს.

სტუმრებმა კახელებს "შაროლეს" ხორცისგან ეროვნული რეცეპტით მომზადებული კერძებიც დააგემოვნებინეს. **"საფრანგეთიდან 460 კილო "შაროლეს" ხორცი ჩამოვიტანეთ, რათა კახელებმა მისი არაჩვეულებრივად გემრიელი ხორცი გასინჯონ. "შაროლესგან", მწვადის ჩათვლით, ნებისმიერი კერძი კეთდება, და თანაც, საჭმელად იმაზე ბევრად სასიამოვნოა, ვიდრე სხვა ნებისმიერი ჯიშის ძროხის ხორცი,"** - განაცხადა ანდრეი ბროსემ, რომელიც იქვე აღნიშნავდა, რომ ეს ხორცი კახურ ღვინოსთან ერთად კიდევ უფრო გემრიელია.

საგულისხმოა, რომ ფრანგებისგან დახმარება კახეთმა მედიცინისა და განათლების სფეროშიც მიიღო. სიღნაღში ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის კახეთის ფილიალს მეურვეობას გაუწევს, რომელიც ამ ეტაპზე შენობის სარემონტო სამუშაოებს მოიცავს. გურჯაანში კი ფრანგული დიაგნოსტიკური ცენტრის მშენებლობასაც ჩაეყარა საფუძველი. 2007 წლისთვის კურორტ "ახტალის" ტერიტორიაზე ევროსტანდარტების შესაბამისი სამედიცინო ცენტრი დაიწყებს ფუნქციონირებას. ამისთვის ფრანგული მხარე 500 ათას ევროს გაიღებს. პრეზიდენტის რწმუნებულმა კახეთის მხარეში პეტრე ცისკარიშვილმა განაცხადა, რომ საფრანგეთისგან ასეთი მასშტაბური დახმარება რეგიონის განვითარებისთვის უაღრესად მნიშვნელოვანია. **"დიაგნოსტიკური ცენტრის მშენებლობა და ტექნიკური აღჭურვილობა ნახევარი მილიონი ევრო დაჯდება. აქ იქნება ევროსტანდარტების შესაბამისი დიაგნოსტიკური აპარატურა. საუბარია იმაზეც, რომ ეს ცენტრი შემდგომში პოლიკლინიკად და, შესაძლებელია, სტაციონარადაც გადაკეთდეს. კახელებს საკუთარი ჯანმრთელობის დასაცავად დედაქალაქში წასვლა აღარ მოუწევთ,"** - ამბობს ცისკარიშვილი.

# საფონდო ბირჟა სტაბილურად ვითარდება

პირველი გვერდიდან

საქართველოს საფონდო ბირჟაზე ყველაზე ლიკვიდურ ფასიან ქაღალდებად "გაერთიანებული ტელეკომის", "საქართველოს ბანკის", "თელასის" და უნივერმაღ "თბილისის" აქციები ითვლება. .

ექსპერტების შეფასებით, ინვესტორებს ჯერ კიდევ არ აქვთ მოხსნილი კაპიტალის გამოჩენის კომპლექსი. ამიტომ ისინი არასაბირჟო გარიგებების შესახებ გადაწყვეტილებას უფრო ადვილად იღებენ, რადგან გარიგებაში მონაწილე სუბიექტების ვინაობა კონფიდენციალური რჩება. ბირჟაზე გარიგების შემთხვევაში კი ეს პროცესი გამჭვირვალეა.

დამოუკიდებელი თანამეგობრობის ქვეყნებიდან ყველაზე კარგად საფონდო ბაზარი რუსეთშია განვითარებული, რადგან იქ უფრო მეტი კომპანიაა და უფრო მეტი ემიტენტია ლიკვიდური. თანაც, ამ ბაზრზე მთელი მსოფლიოს მსხვილი ინვესტორები იყრიან თავს და საბირჟო გარიგებებში აქტიურად ერთვებიან. თუმცა რუსეთში ბირჟის გარეთ ფასიანი ქაღალდებით ვაჭრობის საკითხი მაინც აქტუალურია.

მეორე ქვეყანა დსთ-ს სივრცეში, სადაც საფონდო ბაზარი კარგადაა განვითარებული, ყაზახეთია. ექსპერტების შეფასებით, ამ ქვეყანაში გარიგებები საფონდო ბირჟის გვერდის ავლით არ ხდება.

"საფონდო ბაზარი საქართველოში დინამიურად ვითარდება. ბირჟაზე სულ უფრო მეტი ემიტენტი ვაჭრობს. იზრდება ლიკვიდური ფასიანი ქაღალდების რაოდენობა. ბირჟაზე გამოჩნდნენ უცხოელი ინვესტორებიც, რომლებიც ქართული კომპანიების აქციების შეძენით ინტერესდებიან. მაისში საქართველოს საფონდო ბაზარი ყველაზე აქტიური იყო. ფასიან ქაღალდებზე მოთხოვნის დიდი წილი "საქართველოს ბანკის" აქციებზე დაფიქსირდა," - განუცხადა "24 საათს" საქართველოს ბანკის აქტივიზაციისა და დაგროვილი ქონების მართვის სამსახურის უფროსმა გიორგი ფარესიშვილმა.

# ყაზახი ინვესტორები საქართველოში დაბანდებული თანხის მოცულობის გაზრდას აპირებენ

ყაზახეთსა და საქართველოს შორის საქონელბრუნვამ შარშან 60 მილიონი დოლარი შეადგინა, - განაცხადა ყაზახეთის პირველმა ვიცე-პრემიერმა კარიმ მასიმოვმა ყაზახურ-ქართულ ბიზნესფორუმზე სიტყვით გამოსვლისას. მისი თქმით, "ყაზტრანსგაზი" საქართველოს გაზგამანაწილებელი ქსელის განვითარებაში მონაწილეობს, რამდენიმე ყაზახური კომპანია საბანკო და ტურიზმის სფეროში ახორციელებს ინვესტიციებს, თითოეული მათგანი საქართველოში დაბანდებული თანხის მოცულობის მნიშვნელოვნად გაზრდას აპირებს.

კარიმ მასიმოვის განცხადებით, ქართული კაპიტალის მონაწილეობით ყაზახეთში ვაჭრობის, სოფლის მეურნეობის, გადამამუშავებელი მრეწველობისა და ჯანდაცვის სფეროში 89 საწარმო მოქმედებს.

ვიცე-პრემიერის განმარტებით, ყაზახეთს საერთაშორისო საზღვაოსატრანსპორტო მარშრუტებთან პირდაპირი გასასვლელი არა აქვს, ამიტომაც საქართველოს ტერიტორიაზე გამავალი საერთაშორისო სატრანსპორტო კორიდორების განვითარებით სერიოზულადაა დაინტერესებული.

"საქართველოსა და ყაზახეთის თანამშრომლობა, შესაძლოა, ამიერკავკასიის ქვეყნებთან ახლო აღმოსავლეთისა და ევროპის ქვეყნების სავაჭრო-ეკონომიკური თანამშრომლობის გააქტიურების ფარგლებში გადამწყვეტ რგოლად იქცეს," - აღნიშნა კარიმ მასიმოვმა. მისივე თქმით, ყაზახეთის მთავრობა მხარს დაუჭერს ყაზახი ბიზნესმენების მხრიდან საქართველოში პროდუქციისა და მომსახურების ექსპორტისა და ტრანზიტის ინიციატივას. **მედიანიუსი**

# "საქართველოს ბანკმა" ტურისტული სააგენტო "ინტერტური" შეიძინა

სალომე ძაძამია

"საქართველოს ბანკი" თავის კლიენტებს კიდევ ერთ სიახლეს სთავაზობს. დღეიდან "საქართველოს ბანკის" მომხმარებლებს მოგზაურობა და დასვენება უპროცენტო განვადებით შეეძლებათ. ბანკმა ტურისტული სააგენტო "ინტერტური" შეიძინა და ერთობლივ პროექტს ახორციელებს. "საქართველოს ბანკის" ფილიალებში გაიხსნება "ინტერტურის" კუთხე, სადაც შესაძლებელი იქნება ტურისტული, და არა მარტო, ბილეთების დაჯავშნა ნებისმიერი მიმართულებით.

"საქართველოს ბანკის" და "ინტერტურის" თანამშრომლობას უპრეცედენტო სიახლეც ახლავს. ყველა იმ ადამიანს, ვისი ანაზღაურებაც 300 ლარიდან იწყება, შეეძლება მოგზაურობა უპროცენტო განვადებით.



"ინტერტური" უძლიერესი სააგენტოა, მას ბაზრის 10 პროცენტი უჭირავს. ჩვენ თანმიმდევრულად ვცდილობთ, სამომხმარებლო ბაზრის სეგმენტის განვითარებაში მონაწილეობა მივიღოთ. ეს პროექტი სეზონისთვის აქტუალურია. ტურისტული სააგენტოსთვის ერთ-ერთი უმთავრესი მიმართულება ქსელის გაფართოებაა. "საქართველოს ბანკთან" თანამშრომლობით "ინტერტურს" საქმიანობის უფრო ფართო ასპარეზი ექნება, ვიდრე აქამდე ჰქონდა," - განაცხადა "საქართველოს ბანკის" სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარემ ლადო გურგენიძემ.

ტურისტული სააგენტო "ინტერტური", 10 წელია, არსებობს. როგორც "ინტერტურის" მარკეტინგის და გაყიდვების მენეჯერი გიორგი ჯავახიშვილი აცხადებს, მათ "საქართველოს ბანკის" სახით პარტნიორად ძლიერი ფინანსური ინსტიტუტი შეიძინეს.

"დღეს ურთიერთმომგებიანი გარიგება შედგა "საქართველოს ბანკსა" და ტურისტულ სააგენტო "ინტერტურს" შორის. "საქართველოს ბანკი" თავის მომხმარებელს ჩვენი მეშვეობით ახალ პროდუქტს სთავაზობს. ტურისტული ბაზრისთვის ქვეყნის დიდი ნაწილის მოცვა ძალიან მნიშვნელოვანია. ჩვენი პროექტის თანახმად, დასვენების მსურველი ყველა ადამიანი, ვისი ხელფასიც 300-400 ლარია, უპროცენტო განვადებით დაისვენებს და იმოგზაურებს. სესხის ვადა 3-დან 12 თვემდეა. კორპორატიული კლიენტებისთვის იმოქმედებს ფასდაკლების სისტემაც. ახალი პროექტი მხოლოდ მომხმარებლის ინტერესებს ითვალისწინებს," - განაცხადა "ინტერტურის" მარკეტინგის და გაყიდვების მენეჯერმა გიორგი ჯავახიშვილმა.

## მომავალი წლიდან კახეთში ვაზს შხამ-ქიმიკატების გარეშე დაამუშავებენ

მევენახეობის დარგის განვითარებას ახალი პროექტი მომავალი წლიდან დაიწყებს, რომელიც ვენახის თანამედროვე აპარატურით დამუშავებას ითვალისწინებს. როგორც ცნობილი გახდა, კახეთის რეგიონში ვაზი ქიმიური ნივთიერებების გამოყენების გარეშე დამუშავდება. პროექტი ორი წლის განმავლობაში კახეთის რეგიონში განახორციელებს დასახულ მიზნებსა და ამოცანებს. პროექტის ღირებულება 70 000 ლარია. **ჯი-ეიჩ-ენი**

## გასულ წელს 319 ათასი ტონა შაქრის საწარმოებელი ნედლეულის იმპორტი განხორციელდა

როგორც ცნობილი გახდა, საქართველოში 1996 წლიდან ჭარხლის შაქარი აღარ იწარმოება. სამინისტროში ჭარხლის ნედლეულით შაქრის წარმოების გაჩერებას მარტივად ხსნიან და მიაჩნიათ, რომ გლეხს არ ულირს ჭარხლის გაშენება, რადგან ის მწარმოებლისგან შესაბამის ანაზღაურებას ვერ მიიღებს.

გასულ წელს 150 000 ტონა იმპორტირებული ნედლეულის გადამუშავებით საქართველომ მიიღო 142 ათასი ტონა მზა პროდუქცია.

საქართველომ წარმოებული პროდუქციიდან 92 ათასი ტონა შაქრის რე-ექსპორტი 16 ქვეყანაში, მათ შორის, რუსეთში - 180 ტონა, აზერბაიჯანში - 61,5 ათასი ტონა და სომხეთში 22,5 ათასი ტონა განახორციელა. **ჯი-ეიჩ-ენი**

## "სამტრესტი" ფალსიფიკატორ ღვინის მწარმოებლებს დაასახელებს

სოფლის მეურნეობის სამინისტროს "სამტრესტი" უახლოეს მომავალში ფალსიფიკატორ ღვინის მწარმოებლებს დაასახელებს. როგორც ცნობილი გახდა, "სამტრესტი" ღვინის აკრედიტებული ლაბორატორიებიდან მიღებულ პასუხებს ამუშავებს, რის შემდეგაც ფალსიფიკატორების წინააღმდეგ შესაბამისი ღონისძიებები გატარდება.

როგორც მეღვინეები აცხადებენ, ღვინის ანალიზებს ორი აკრედიტებული ლაბორატორია ამოწმებს, რომელიც სხვადასხვა პასუხებს იძლევა. მეღვინეებს ლაბორატორიების ობიექტურ მუშაობაში ეჭვი ეპარებათ. **ჯი-ეიჩ-ენი**

## "რეგიონული ეკონომიკის მონიტორინგის" პროექტის პრეზენტაცია ეროვნული ბანკის ქუთაისის ფილიალში

6 ივნისს ქუთაისის სავაჭრო-სამრეწველო პალატაში საქართველოს ეროვნული ბანკის ქუთაისის ფილიალის მიერ მომზადებული "რეგიონული ეკონომიკის მონიტორინგის" პროექტის პრეზენტაცია გაიმართება. პროექტზე მუშაობა პოლონეთის ეროვნული ბანკის გამოცდილების გათვალისწინებით მიმდინარეობდა.

ეკონომიკურ მონიტორინგს, რამდენიმე წელია, წარმატებით ახორციელებენ პოლონეთის, უკრაინისა და ევროპის სხვა ქვეყნების ცენტრალური ბანკების შესაბამისი სამსახურები. მისი მიზანია ამა თუ იმ ქალაქსა და რეგიონში არსებული ეკონომიკური მდგომარეობის უშუალოდ ბიზნესსუბიექტების მონაწილეობით შეფასება და, აქედან გამომდინარე, ბიზნესის მოლოდინის შესწავლა.

საქართველოს ეროვნული ბანკის ქუთაისის ფილიალის მიერ საერთაშორისო გამოცდილებაზე დაყრდნობით განხორციელებული "რეგიონული ეკონომიკის მონიტორინგის" პირველი პროექტი ადგილზე არსებულ ფასებსა და ფასწარმოქმნის საკითხებზე, პარტნიორი ქვეყნების კონტრაქტორების მხრიდან დაწესებული სატარიფო თუ სხვა სახის ბარიერებზე დაკვირვების საშუალებას იძლევა. ამასთან, პროექტი იკვლევს რეგიონში საინვესტიციო გარემოს, დასაქმების დონესა და ა. შ.

ქუთაისში "რეგიონული ეკონომიკის მონიტორინგის" პრეზენტაციას მხარის ეკონომიკური და საფინანსო სტრუქტურების ხელმძღვანელების, ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლებისა და ბიზნესმენების გარდა, პოლონეთის ელჩი საქართველოში იაცეკ მულტანოვსკი დაესწრება. **მედიანიუსი**

## Heinz ფინანსურ პრობლემებს განიცდის




საკვები პროდუქტების მსოფლიოში ერთ-ერთი უმსხვილესი კომპანია Heinz დიდ ფინანსურ პრობლემებს განიცდის. მისი შემოსავლები მიმდინარე წლის მანძილზე 25%-ით შემცირდა, რის გამოც, კომპანია 2700 სამუშაო ადგილს გააუქმებს და 15 ტიპის საკვები პროდუქციის წარმოებასაც შეწყვეტს.

კომპანიის მოგება 206,5 მილიონი დოლარიდან 167,9 მილიონ დოლარამდე შემცირდა. კომპანიაში მიმდინარე ფინანსური სირთულეები საბაჟო მაჩვენებლების მომატებამ განაპირობა. " კომპანიამ შემოსავლების კვლავ გაზრდის მიზნით 2007-2008 წლისთვის სპეციალური სტრატეგია შეიმუშავა. ეს სტრატეგია კი ხარჯების შემცირებასა და დივიდენდების გაზრდას მოიცავს."- განაცხადა კომპანიის გენერალურმა დირექტორმა უილიამ ჯონსონმა. კომპანია Heinz-ში ფიქრობენ, რომ მათ მიერ შემუშავებული გეგმა 355 მილიონი დოლარის ეკონომიას უზრუნველყოფს.

## ფინეთი ევროკავშირს არყის წარმოების უფლებას ართმევს

აკრძალვა, სახელწოდებაზე "არაყი" იმ ალკოჰოლურ სასმელებს ეხებათ, რომლებიც წყლის ისტორიული რეცეპტით არ არის დამზადებული. ფინეთისთვის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი საკითხია, რომელსაც ის ევროკავშირს უყენებს.

ევროკომისიის წარმომადგენლები კი აცხადებენ, რომ ფინეთს არყის წარმოების ორსაუკუნოვანი ტრადიციები აქვს, რის გამოც, მათ შეუძლიათ ევროკავშირს სასმელი პროდუქციის "უმაღლესი სტანდარტები" შესთავაზონ.

ევროპის სხვადასხვა ქვეყნებში, ანალოგიური ტექნოლოგიით დამზადებულმა ალკოჰოლურმა სასმელებმა ახალი სახელწოდებები შეიძინეს. მათ შორის ისეთი, როგორიცაა - "გამჭვირვალე სპირტიანი სასმელი" ან "სპირტიანი წყალი".

ამათგან არაყი დაერქმევა და ამ ნიშნით, გაიყიდება არყის სახეობის ის მარკები, რომლებიც დამზადებულია ტრადიციული რეცეპტით და დამზადებულია ხორბლითა და კარტოფილით. ამის შედეგად, ევროკავშირში, დიდ ბრიტანეთში, ჩეხეთში, უნგრეთში და კიდევ სხვა ქვეყნებში, ისეთი იაფფასიანი არყის მარკები, როგორიცაა "КИРОВ", "Кгассная Плошадъ", "Москва" არყის სახელწოდებით ველარ ისარგებლებენ.

ფინეთის ეს ინიციატივა არყის ისტორიული მწარმოებლებისთვის საკმაოდ მნიშვნელოვანი და პერსპექტიულია. ასე რომ, სახელწოდება "არაყი" მიიღებს განსაკუთრებულ სტატუსს და დაცული იქნება ევროკომისიის სავაჭრო მარკის კანონმდებლობით. ევროკავშირში ფინეთის საინიციატივო წინადადებით გამოსვლა ივლისიდან დაიწყება 2006 წლის ბოლომდე დასრულდება.

## ფინანსური რვიანის შეხვედრა ეკონომიკური დისბალანსების საკითხებზე იმსჯელებს

"დიდი რვიანის" სამიტი სანკტ-პეტერბურგში 9-10 ივნისს გაიმართება. როგორც ცნობილია, `დიდი რვიანის" სამიტზე ფინანსური უწყებები განსაკუთრებულ ყურადღებას ენერგეტიკის მაღალ ფასებს და მსოფლიო ეკონომიკის დისბალანსს დაუთმობენ. ეს აზრი სპეციალურ პრესკონფერენციაზე იაპონიის ფინანსთა მინისტრმა სადაკადზუ ტანიგაკიმ გამოთქვა. იაპონიის მინისტრის აზრით, მომავალში ნავთობზე მაღალი ფასი კვლავ შენარჩუნდება. ამ პირობებში, "რვიანის" წარმომადგენლები ამ ტენდენციის გლობალურ მასშტაბებზე იმსჯელებენ, ამასთან ერთად, არანაკლებ მნიშვნელოვანია განვითარებადი ქვეყნების ეკონომიკური სიტუაციის საკითხებიც. იაპონიის მინისტრმა გამოთქვა აზრი იმის შესახებ, ინფორმაციული თვალსაზრისით, მინისტრები ნავთობის ფასთან მიმართებაში ღიად იმსჯელებენ.

# საკუთრება აღთქმულ ქვეყანაში

პირველი გვერდიდან

### ძვირი სიამოვნება







ისრაელი საკმაოდ ძვირი ქვეყანაა. მისი ეკონომიკა საგრძნობ აღმავლობას განიცდის და ბოლო დროს უძრავ ქონებაზე მოთხოვნილებამ საგრძნობლად იმატა. კერძოდ, მარტო გასული წლის განმავლობაში ისრაელში მილიარდნახევრამდე უცხოური კაპიტალი დაბანდდა. ისრაელურ უძრავ ქონებაზე მოთხოვნილება შემოთავაზებათა რიცხვს აშკარად აჭარბებს, მოსახლეობის სიმჭიდროვე საკმაოდ მაღალია და ფასები გამუდმებით იზრდება.

ისრაელურ უძრავ ქონებაზე ფასები რეგიონების მიხედვით მერყეობს. განსაკუთრებული სიძვირე იერუსალიმშია, სადაც 1 კვადრატული მეტრი საცხოვრებელი ფართი 5 ათასი დოლარიც კი ღირს. ამის მიზეზი ის გახლავთ, რომ განთქმულ ქალაქში უძრავი ქონების შეძენით ბოლო დროს ძალიან დაინტერესდნენ ამერიკასა და საფრანგეთში მცხოვრები მორწმუნე მდიდარი ებრაელები.

ასევე ძალიან სიძვირეა საკურორტო ზონებში, განსაკუთრებით კი განთქმულ წითელი ზღვისპირა ქალაქ ეილათში, რომელიც გარდა იმისა, რომ ტურისტული ცენტრია, თავისუფალი ეკონომიკური ზონაც გახლავთ. ამიტომაც არის, რომ ეილათში საცხოვრებელი ფართის ფასი იერუსალიმურს უახლოვდება. სხვა საკურორტო ადგილებში კი ცოტათი ნაკლებია და კვადრატული მეტრის ღირებულება 2,5-დან 4 ათასი დოლარის ფარგლებში მერყეობს. თავისთავად ცხადია, კიდევ უფრო ძვირია კეთილმოწყობილი, ფეშენებელური, ეზოიანი და აუზიანი ვილები.

რაც შეეხება თელ ავივს, ჰაიფას და სხვა მსხვილ ქალაქებს, აქ კვადრატული მეტრი საცხოვრებელი ფართი, უბნების პრესტიჟულობისა და განაშენიანების ტიპის მიხედვით, 800-დან 2 ათას დოლარამდე მერყეობს. უფრო სიიაფეა ნაკლებად მსხვილ ქალაქებსა და პროვინციებში, სადაც კვადრატულ მეტრ საცხოვრებელ ფართს 600-1500 დოლარის ფარგლებში შეიძენთ. ყველაზე იაფი კი უძრავი ქონება კონფლიქტურ კერებთან ახლოს მდებარე რეგიონებშია.

ცხადია, ყველაზე მომგებიანი - კაპიტალის საკურორტო ზონასა და დიდ ქალაქებში დაბანდებაა, სადაც ფასები გამუდმებით იზრდება და მომავალში შესაძლებლობა გექნებათ, თქვენი ქონების გაყიდვით შემოსავალი მიიღოთ. ამასთან, საკმაოდ სარფიანი საქმეა საკურორტო ადგილებში მდებარე ვილას ან კოტეჯის გაქირავება, ხოლო თუ მიწის ნაკვეთს შეიძენთ და მშენებლობას წამოიწყებთ, დიდძალ ფულს იშოვნით.

ისრაელში მიწის 73 პროცენტი სახელმწიფოს საკუთრებაშია და მისი მხოლოდ იჯარით აღება შეიძლება. ასე რომ, კერძო პირების მიერ გასაყიდი მიწა დიდი მოთხოვნილებით სარგებლობს და საშინლად ძვირია - კვადრატული მეტრის ფასმა კარგ ადგილებში 10 ათას დოლარსაც კი შეიძლება მიაღწიოს. ცხადია, შესაძლებელია, ქალაქგარეთ მდებარე, სასოფლო-სამეურნეო მნიშვნელობის შედარებით იაფი მიწის ნაკვეთი იმ იმედით შეიძინოთ, რომ ორიოდე წლის შემდეგ ხელისუფლება მშენებლობის ნებართვას მოგცემთ. მაგრამ ეს სარისკო საქმეა, შეიძლება, თქვენი მოლოდინი არ გამართლდეს და, თანაც, იმის საშიშროებაც არსებობს, რომ საცხოვრებელი კვარტლების გაფართოებისას მიწის ნაწილს მუნიციპალიტეტი კომუნალური საჭიროებისათვის წაიღებს.

ამასთან, უნდა გაითვალისწინოთ, რომ ისრაელში სამშენებლო ბიზნესის წამოწყების შემთხვევაში ვალდებული იქნებით, თქვენს მიერ აშენებული საცხოვრებელი ფართის ნახევარი ადგილობრივ მოქალაქეებს, ან ისრაელის რეზიდენტებს მიჰყიდოთ, ან მიაქირაოთ.

### მხოლოდ ლეგალური ფულით

ისრაელში უძრავი ქონების შეძენა შეუძლია ნებისმიერ უცხოელს, ვისაც ამის საშუალებას ფინანსური მდგომარეობა აძლევს. მხოლოდ, უნდა გაითვალისწინოთ, რომ ბინის, სახლის ან მიწის ნაკვეთის ყიდვა მხოლოდ საბანკო ანგარიშსწორებით შეიძლება. ანუ, ადამიანს, რომელიც ისრაელის მოქალაქე არ არის, ანგარიშზე სოლიდური თანხა უნდა ჰქონდეს და მასზე ფული ლეგალური წყაროდან გამუდმებით მიედინებოდეს.

თუ ყველაფერი წესრიგში გაქვთ, მაგრამ ძვირფას შენაძენზე ფული გაკლდებათ, ადგილობრივი ბანკიდან მომავალი ქონების დაგირავების სანაცვლოდ დაახლოებით წლიური 5-პროცენტიანი იპოთეკური სესხის აღებაც შეგიძლიათ.

ამ საკითხების მოგვარების შემდეგ საშუამავლო ფირმას უნდა მიმართოთ, რომელიც თქვენთვის სასურველ ქონებას გიპოვით, რაც მისი ღირებულების 2 პროცენტი დაგიჯდებათ. გარიგების იურიდიულ მხარესაც აღნიშნული ფირმა მოგიგვარებთ, რაშიც კიდევ ნაყიდი ქონების ღირებულების 1,5 პროცენტს გამოგართმევთ. გარდა ამისა, გარიგების გაფორმებისას სახელმწიფო ხაზინაში იხდით შენაძენის ღირებულების 4,5 პროცენტს.

მიმდინარე გადასახადი რეგიონების მიხედვით სხვადასხვაა და წელიწადში მიწის ნაკვეთზე 2-დან 7 დოლარამდე, საცხოვრებელ ფართზე კი 5-დან 15 პროცენტამდე მერყეობს. რაც შეეხება კომუნალურ გადასახადს, საშუალო სიდიდის ბინის მეპატრონეს თვეში 150-300 დოლარის გადახდა უწევს.

კომერციული ფართის მფლობელი დამატებით იბეგრება. ისრაელის სხვადასხვა რეგიონში შემოსავალზე გათვალისწინებული გადასახადიც ცვალებადია და 13-დან 22 პროცენტამდე მერყეობს. თუმცა, ადგილობრივი კანონმდებლობა გარკვეულ შეღავათებსაც ითვალისწინებს. მაგალითად, შედარებით ნაკლებს იხდის მრავალშვილიანი ოჯახი, ან კიდევ ადამიანი, რომელსაც 4 წლის განმავლობაში ერთდროულად ორი სახლი არ ჰქონია.

როგორც ვხედავთ, ისრაელში საკმაოდ დიდი გადასახადები და კიდევ უფრო მაღალი ფასებია. მიუხედავად ამისა, აღთქმულ ქვეყანაში ქონების შეძენა მხოლოდ წარმატებული ბიზნეს-სვლა იქნება

# ავსტრალია ბირთვულ ენერგიას აითვისებს

მერაბ ლორთქიფანიძე



ავსტრალიის პრემიერ მინისტრი ჯონ ჰოვარდი აცხადებს, რომ ქვეყანას სჭირდება ბირთვული ენერგეტიკის განვითარება და მოუწოდა შესაბამის სამსახურებს, ჩაერთონ ამ საკითხთან დაკავშირებულ საყოველთაო დებატებში. აღსანიშნავია, რომ ურანის მოძიებული მსოფლიო მარაგის დაახლოებით 40 პროცენტი ავსტრალიაზე მოდის. ჰოდა, ნავთობზე ფასების განუხრელი ზრდის პირობებში, ჰოვარდს ზედმეტ ფუფუნებად მიაჩნია ის ფაქტი, რომ მისი ქვეყანა ნაკლებად სარგებლობს საკუთარი ბუნებრივი სიმდიდრით.

გარდა ამისა, პრემიერი თვლის, რომ თბოსადგურების საწვავად ნავთობპროდუქტების გამოყენება აუნაზღაურებელ ზიანს აყენებს გარემოს. ჰოვარდი იმედოვნებს, რომ მალე ავსტრალიის მიერ მოხმარებული ენერგიის მნიშვნელოვანი წილი ატომურ ენერგეტიკაზე მოვა.

"ჩემი საქმიანობის მთავარ ამოცანად დასახული მაქვს ავსტრალიაში ატომური ენერგეტიკის განვითარება. მოვუწოდებ ყველას, ვისაც ეს საკითხი ეხება, ჩაერთოს დისკუსიაში, რომელმაც ჩვენი ქვეყნის მომავალი უნდა განსაზღვროს. მჯერა, რომ ბირთვულ ენერგეტიკას ჩვენში კარგი პერსპექტივა აქვს".

"ავსტრალიის ენერგეტიკის ბაზისის შეცვლას ჩვენ სხვადასხვა გარემოება გვაიძულებს. ნაწილობრივ ეს არის გარემოს დაცვის აუცილებლობა, ნაწილობრივ კი ნავთობზე ფასების უზომო ზრდა. ჩვენ ვალდებულები ვართ, ვიზრუნოთ ელექტროენერგიის გამომუშავების ისეთ საშუალებათა ინტენსიურ გამოყენებაზე, რომლებიც ნაკლებად იქნება დამოკიდებული იმპორტირებულ ნედლეულზე. ამგვარად ჩვენ უფრო იოლად შევძლებთ ელექტროენერგიის ფასების შენარჩუნებას", - ამბობს ჰოვარდი.

უნდა ითქვას, რომ ავსტრალიაში ძლიერაა განვითარებული ქვანახშირის მოპოვების და გადამუშავების ინდუსტრია. ამ მხრივ, ეს ქვეყანა მსოფლიოს ერთ-ერთი ლიდერიცაა. გარდა ამისა, ჰოვარდის კაბინეტი მხარს უჭერს ქვეყანაში ენერგიის განახლებადი წყაროების გამოყენებას. თუმცა, აქამდე ნაკლები ყურადღება ექცეოდა ბირთვული ენერგეტიკის პერსპექტივებს.

ჰოვარდის ინიციატივებს ყველაზე აქტიურად ეწინააღმდეგება ავსტრალიის ფინანსთა მინისტრი პიტერ კასტელო, ვინც თვლის, რომ ამ ეტაპზე ავსტრალიისთვის გაუმართლებელი იქნებოდა ბირთვულ ენერგეტიკაზე აქცენტის გადატანა. მისი მთავარი არგუმენტი ისაა, რომ ატომური ენერგია ქვანახშირისაზე თითქმის ორჯერ უფრო ძვირი ჯდება. თანაც, ქვეყანას ქვანახშირის უზარმაზარი რესურსი გააჩნია და ამიტომ, ამ ეტაპზე გაუმართლებელი იქნებოდა ენერგიის სხვა წყაროზე ორიენტირება.

აღნიშნულ საკითხზე ავსტრალიაში შარშან ჩატარდა გამოკითხვა, რომლის შედეგადაც გამოვლინდა, რომ ქვეყნის მოსახლეობის დაახლოებით 47 პროცენტი ემხრობა ატომური ენერგეტიკის განვითარებას. მოწინააღმდეგეთა რაოდენობა კი 40 პროცენტია. ლეიბორისტი ოპოზიციონერები და ექვსივე შტატის მთავრობა ეწინააღმდეგება ახალი ბირთვული რეაქტორების მშენებლობის პერსპექტივას და ურანის მომპოვებელი საბადოების რაოდენობის გაზრდას. ამჟამად ავსტრალიას ურანის სამი დიდი საბადო გააჩნია. ურანის მომპოვებელი კომპანიები დიდი ხანია, ცდილობენ საბადოთა რაოდენობის გაზრდის უფლების მოპოვებას, მაგრამ აქამდე ეს არ გამოსდიოდათ.

მეცნიერები ამბობენ, რომ ავსტრალიისთვის შეუძლებელია ბირთვული ენერგეტიკის მოკლე ვადებში მოდერნიზება. იმ დროში, სანამ ეს მოხერხდება, შეუძლებელი იქნება გარემოს მდგომარეობის გაუმჯობესება. უფრო მეტიც, მწვანეები აცხადებენ, რომ იმ შემთხვევაშიც, თუ ქვეყანა გაორმაგებს ბირთვული ენერგიის წარმოებას, გარემოს დაბინძურება მაინც მხოლოდ 5 პროცენტით შემცირდება.

## აშშ-ს ბირჟაზე კვლავ კლებაა

გუშინ ნიუ იორკის საფონდო ბირჟაზე ძირითად ინდექსთა კლება დაფიქსირდა. ამის ძირითადი მიზეზი ნავთობის ფასის მომატება გახლდათ. გარდა ამისა, ინვესტორთა განწყობაზე გავლენა მოახდინა დოლარის კურსის დაცემამაც.

საბოლოოდ, Dow Jones Index 0,26 პროცენტით, 11.218,74 პუნქტამდე შემცირდა. 0,3 პროცენტით შემცირებულმა Nasdaq Index-მა 2.212,81 პუნქტი შეადგინა, ხოლო S&P 500 Index-მა 0,1 პროცენტით, 1.285,21 პუნქტამდე მოიკლო.










## ნავთობის გაძვირება გაგრძელდა

გუშინ ლონდონისა და ნიუ იორკის ნავთობის ბირჟებზე წინა კვირაში დაწყებული "შავი ოქროს" ფიუჩერსებზე (სამომავლო კონტრაქტები) ფასების ზრდა გაგრძელდა. კერძოდ, 1 ბარელი Brent-ის მარკის ნავთობი 72,35 დოლარი ღირდა, Light-ის მარკის ნავთობი კი 73,75 დოლარი/ბარელამდე გაძვირდა. ასე რომ, უკანასკნელი სამი კვირის განმავლობაში ბარელი ნავთობის ფასი 73 დოლარს პირველად გადასცდა.

ნავთობის გაძვირება ირანის ბირთვული პროგრამის ირგვლივ კიდევ უფრო გართულებულმა სიტუაციამ განაპირობა. როგორც ცნობილია, გუშინწინ ირანის სულიერმა ლიდერმა აიათოლა ალი ჰამენეიმ განაცხადა, რომ თუ ამერიკა გონს არ მოეგება, სპარსეთის ყურიდან "შავი ოქროს" ექსპორტს საფრთხე შეექმნება.

საუდის არაბეთის ნავთობის მინისტრმა კი უახლოეს მომავალში ოპეკის მიერ ნავთობის მოპოვების მოცულობის შემცირება იწინასწარმეტყველა. მისი თქმით, ბაზარი გადატვირთულია და არსებული გაზრდილი ფასების პირობებში მყიდველებს მოპოვებული ნავთობის მთელი მოცულობის შეძენა უძნელდებათ.

## ძვირფასი ლითონების ფასმა ისევ მოიმატა

გუშინ ნიუ იორკის სასაქონლო ბირჟაზე ძვირფასი ლითონების ფიუჩერსებზე ფასების ზრდის ტენდენცია გაგრძელდა. პარასკევის შემდეგ ძვირფასი ლითონები 1,4-2 პროცენტით გაძვირდა.

კერძოდ, 1 უნცია ოქროს ფასმა 645,25 დოლარს მიაღწია, ვერცხლის - 12,4 დოლარს, პლატინის - 1261 დოლარს, პალადიუმის კი - 365 დოლარს.

ექსპერტთა აზრით, ამის მიზეზი დოლარის კურსის დაცემა და შემდგომი ინფლაციის შიში იყო. გარდა ამისა, გავლენა მოახდინა ნავთობის ფასის ზრდამაც.

## ლაკშმი მიტალი ARCELOR-ს აუცილებლად შეიძენს



მსოფლიოს უმსხვილესი მეტალურგიული კონცერნის Mittal Steel-ის თავკაცმა, მსოფლიოს ერთ-ერთმა უმდიდრესმა ადამიანმა, ინდოელმა ლაკშმი მიტალმა განაცხადა, რომ თავისი უმთავრესი კონკურენტის, ევროპული კომპანია Arcelor-ის აქციებს ნებისმიერ, ამ უკანასკნელის "სევერსტალთან" შერწყმის შემთხვევაშიც შეიძენს.

"სევერსტალთან" შერწყმა Arcelor-ისათვის, სერიოზული ბიზნესგარიგების გარდა, Mittal Steel-ის მიერ შთანთქმის თავიდან აცილების საშუალება იყო. როგორც ცნობილია, ამ შერწყმის განხორციელება ჩაშლის პირასაა და თუ ასე მოხდა, "სევერსტალის" თავკაცი, მისი აქციების 80 პროცენტის მფლობელი ალექსეი მორდაშოვი კომპენსაციის სახით 140 მილიონ ევროს მიიღებს.

ევროკომისიამ Mittal Steel-ის მიერ "არცელორ"-ის შეძენას უკვე მწვანე შუქი აუნთო. ეს გარიგების განსახორციელებლად საჭირო უკანასკნელი ნებართვა იყო. იქამდე ინდურ გიგანტს ნება მისცეს აშშ-ს, ლუქსემბურგი, ესპანეთის და ბელგიის მთავრობებმა.

მოგეხსენებათ, Mittal Steel-ი ევროპულის კომპანიის შესაძენად 28,5 მილიარდ ევროს იხდის. ანგარიშსწორება ნაწილობრივ ფულით და ნაწილობრივ აქციებით შედგება. თუმცა, ლაკშმი მიტალი მზადაა, საჭიროების შემთხვევაში, მეტი გადაიხადოს. Arcelor-ის ბევრ აქციონერს Mitaal Steel-ის წინადადება მოსწონს და "სევერსტალთან" შერწყმის წინააღმდეგია.

## ვენესუელაში "ანტიჰოლივუდი" შეიქმნა

ვენესუელაში შეიქმნა საკუთარი, ეროვნული კინოსტუდია, რომელსაც რესპუბლიკის პრეზიდენტმა უგო ჩავესმა "ჰოლივუდის დიქტატურისაკენ მიმართული ახალი კულტურული იარაღი უწოდა". "ფილმ ვილა" ("კინოქალაქი"), რომელიც 11 მილიონი დოლარი დაჯდა, კარაკასის გარეუბანში გაიხსნა.

მისი გახსნის ცერემონიალზე უგო ჩავესმა ჰოლივუდი დამნაშავე და ნარკოდილერი ლათინოამერიკელების იმიჯის ჩამოყალიბებაში დაადანაშაულა და ვენესეულელ ბავშვებს კაპიტალიზმის იდეების მქადაგებელი სუპერ-გმირების, როგორებიცაა სუპერმენი და ბეტმენი, ბოიკოტისაკენ მოუწოდა. სამაგიეროდ, ჩავესი მათ ახალ, სხვაგვარ გმირებს დაჰპირდა.

ერთ-ერთი პირველი კინოფილმი, რომელსაც კარაკასის კინოსტუდიაში გადაიღებენ, ვენესუელელ გენერალს ფრანსისკო დე მირანდას (1750-1816) მიეძღვნება, რომელიც მისისიპიდან ჰორნის კონცხადმე ესპანური და პორტუგალიური კოლონიებისაგან ერთიანი იმპერიის შექმნაზე ოცნებობდა.




# “ბერიას სახლი”, შესაძლოა, კიდევ ერთხელ გაიყიდოს

პირველი გვერდიდან

შეგახსენებთ, რომ საქართველოს ახალმა ხელისუფლებამ კრწანისის სამთავრობო რეზიდენცია 2004 წლის შემოდგომაზე გაყიდა, რასაც მაშინდელმა ეკონომიკური განვითარების მინისტრმა კახა ბენდუქიძემ საქართველოს უძრავი ქონების ისტორიაში ყველაზე მსხვილი გარიგება უწოდა.

რეზიდენციის ტერიტორიაში მყიდველმა, შპს “ბაზელმა” 15 მილიონი აშშ დოლარი გადაიხადა. უფრო ზუსტად, ამ თანხის ეტაპობრივად გადახდა ინვესტორს მომდევნო ერთი წლის განმავლობაში დაევალა. თუმცა გასული წლის ოქტომბერში “ბაზელმა” სახელმწიფოსგან დარჩენილი თანხის, 6 მილიონი ლარის, 2006 წლის 1 ივნისამდე გადავადება მოითხოვა. ინვესტორის მოთხოვნა დაკმაყოფილდა და, სანაცვლოდ, სახელმწიფო ბიუჯეტმა დამატებით 250 ათასი აშშ დოლარიც მიიღო. შეთანხმების თანახმად, შპს “ბაზელს” ბოლო ტრანში 31 მაისამდე უნდა გადაერიცხა. შეასრულა თუ არა რეზიდენციის ტერიტორიის დღევანდელმა მფლობელმა ეს შეთანხმება, ამის გასარკვევად “24 საათი” შალვა ქოჩლაძეს - “ბაზელის” აღმასრულებელ მენეჯერს დაუკავშირდა, თუმცა მან ჩვენთან საუბრის დროს კონკრეტული პასუხისგან თავი შეიკავა. **“ამ დღეებში ჩვენი კომპანია მოაწყობს პრეზენტაციას და ჟურნალისტებისთვის ყველა საინტერესო კითხვას იქ გაეცემა პასუხი. “ბაზელი” სახელმწიფოსთან დადებულ შეთანხმებას არ დაარღვევს და თანხას თვის ბოლომდე ჩარიცხავს,”** - განაცხადა შალვა ქოჩლაძემ.

მოგვიანებით “24 საათი” სახელმწიფო უზრუნველყოფის სამსახურს (კრწანისის რეზიდენცია გაყიდვამდე ამ სამსახურის ბალანსზე ირიცხებოდა) დაუკავშირდა, რომლის წარმომადგენლის მირიან მდივნის ინფორმაციით, ბოლო ტრანში “ბაზელმა” უზრუნველყოფის სამსახურს გუშინწინ, 30 მაისს გადაურიცხა.

ძნელი სათქმელია, რამ გამოიწვია შეუსაბამობა ამ ორი რესპონდენტის კომენტარებს შორის.

ასეა თუ ისე, “ბაზელი” რეზიდენციის ტერიტორიაზე პირველი მშენებლობების დაწყებას შემოდგომამდე გეგმავს. განაშენიანების პირველი ფაზის დეტალური დაგეგმარება, რომელიც, შალვა ქოჩლაძის თქმით, თანამედროვე სტანდარტების შესაბამისი, უიშვიათესი არქიტექტურული ნიმუში გახდება ქალაქში, დამტკიცებული და შეთანხმებულია ქალაქის ყველა შესაბამის სამსახურთან. მისი მშენებლობა 18-24 თვე გაგრძელდება. ამ საცხოვრებელი სახლების დამკვეთების ვინაობას ამ ეტაპზე “ბაზელი” არ აკონკრეტებს, თუმცა, როგორც შალვა ქოჩლაძემ “24 საათთან” საუბრის დროს აღნიშნა, **“არიან თბილისში მცხოვრები ქართველები და არიან ქვეყნის ფარგლებს გარეთ, მათ შორის, რუსეთში მყოფი ჩვენი თანამემამულეები, რომლებიც დაგვიკავშირდნენ და გვთხოვეს, მშენებლობის დროს გარკვეული ფართი გამოგვეყო. არიან საქართველოში მყოფი უცხოელებიც, რომლებსაც აქ საკუთარი ბიზნესი გააჩნიათ და მსხვილი კორპორაციების ხელმძღვანელები არიან.”**

გარდა ამისა, კრწანისის ყოფილი რეზიდენციის ტერიტორიაზე “გადმობარგების” სურვილი გამოთქვა საქართველოში საზღვარგარეთის სახელმწიფოების რამდენიმე საელჩომ. ოთხ მათგანთან - საბერძნეთის, საფრანგეთის, გერმანიისა და დიდი ბრიტანეთის საელჩოებთან “ბაზელი” მოლაპარაკებას დღეს უკვე აქტიურად აწარმოებს. სულ ცოტა ხნის წინ კი, აღნიშნული ტერიტორიით საქართველოში თურქეთის ელჩი დაინტერესდა.

კრწანისის რეზიდენციის ტერიტორიაზე მშენებლობის მომდევნო ფაზები სასტუმროების, გასართობი და სავაჭრო ცენტრების მშენებლობას ითვალისწინებს, თუმცა კონკრეტული პროექტები ამასთან დაკავშირებით ამ ეტაპზე არ არსებობს.

ერთი საინტერესო დეტალი: შარშან დეკემბერში, რეზიდენციის №1 აგარაკის, ე.წ. ბერიას სახლის გაყიდვას აპირებდა მისი ახალი მესაკუთრე შპს “ბაზელი”. მაშინ სახელდებოდა ამ ისტორიული შენობის სავარაუდო ფასი - 4 მილიონი აშშ დოლარი, მყიდველი კი - რუსეთში მოღვაწე ბიზნესჯგუფი იყო. თავის დროზე “24 საათი” ამის შესახებ დეტალურად წერდა. დღეს შალვა ქოჩლაძე აცხადებს, რომ “ბაზელს” შენობის გაყიდვასთან დაკავშირებით საბოლოო გადაწყვეტილება ჯერ არ მიუღია. **“ეს იმდენად ღირებული შენობაა, რომ ჩვენ მის გაყიდვას არ ვჩქარობთ. ვფიქრობდით, სახელმწიფოს მიმართ აღებული ყველა ვალდებულების დაფარვის შემდეგ, თუკი მყიდველი გამოჩნდებოდა, გაგვეყიდა. სიმართლე რომ გითხრათ, ახლაც არიან აგარაკით დაინტერესებული პირები, მაგრამ არ ვჩქარობთ. არ გვინდა, ნაჩქარევი გადაწყვეტილება მივიღოთ,”** - უთხრა “24 საათს” შალვა ქოჩლაძემ.

თავის დროზე, №1 აგარაკზე, ბერიას გარდა, მსოფლიოში ცნობილი ბევრი ადამიანი ცხოვრობდა. მათ შორის იყვნენ რუსეთის ექსპრეზიდენტი ბორის ელცინი, ინგლისის პრემიერ-მინისტრი მარგარეტ თეტჩერი, რომის ყოფილი პაპი იოანე პავლე მეორე, რობერტ კენედი, ბრეჟნევი და კიდევ მრავალი სხვა.

გავრცელებული ინფორმაციით, “ბაზელმა” რეზიდენციის ტერიტორიაზე რამდენიმე აგარაკი და დაუმთავრებელი შენობა გაყიდა, რასაც შალვა ქოჩლაძე კატეგორიულად უარყოფს. **“ცალსახად შემიძლია გითხრათ, რომ ჩვენ არც ერთი კვადრატული მეტრი ჯერჯერობით არ გაგვიყიდია.”**

ცნობისათვის: სამთავრობო რეზიდენციის კომპლექსი 44 ჰექტარ მიწის ფართობზე განლაგებულ 10 კოტეჯს მოიცავს. მყიდველები - ბარი სეპტიმუსი (Creative Production Inc) და რონალდ ვალდმანი (Basel Group LLC) აშშ-ს უძრავი ქონების ოპერაციებით დაკავებული კომპანიების ერთ-ერთ ყველაზე მსხვილ კონსორციუმს წარმოადგენენ. მათ საქართველოში ერთობლივი ფირმა შპს “ბაზელი” 2004 წლის შემოდგომაზე დააფუძნეს.




# სამახსოვრო მონეტა ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის ნავთობსადენის ამოქმედებასთან დაკავშირებით

საქართველოს ეროვნული ბანკის დაკვეთით, პოლონეთის ზარაფხანაში (Mennica Polska) ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის ნავთობსადენის ამოქმედებისადმი მიძღვნილი 3 ლარის ნომინალის ვერცხლისა და სპილენძი-ნიკელი-თუთიის შენადნობის სამახსოვრო მონეტები მოიჭრა, რომლებსაც საქართველოში უახლოეს მომავალში ჩამოიტანენ და მათი რეალიზაცია 19 ივნისიდან დაიწყება.

სამახსოვრო მონეტის გამოშვება წარმოადგენს იმ კონცეფციის ნაწილს, რომელიც საქართველოს ეროვნულმა ბანკმა მსოფლიო ნუმიზმატურ ბაზარზე გასვლის მიზნით შეიმუშავა. საინვესტიციო, საიუბილეო და სამახსოვრო მონეტების დამზადებისა და მათი რეალიზების ახალი კონცეფციის განხორციელება ევროპის თასების მფლობელთა თასის ფინალში თბილისის “დინამოს” გამარჯვების 25 წლის აღსანიშნავად საიუბილეო მონეტის მოჭრით დაიწყო. ივლისში საქართველოს ეროვნული ბანკი “ოქროს საწმისის” გამოსახულებით პირველ საინვესტიციო ოქროს მონეტას გამოუშვებს და ამით ქვეყნის პოპულარიზაციის გზაზე მნიშვნელოვან ნაბიჯებს გადადგამს.







ავერსი ასე გამოიყურება: მონეტის წრიული კომპოზიციის ცენტრში გამოსახულია რეგიონის გეოგრაფიული რუკა: ზღვა - სარკისებური ზედაპირით; ხმელეთი - კონტინენტი - ფაქტურიანი ზედაპირით; საქართველოს, აზერბაიჯანის, თურქეთის ტერიტორიები - მქრქალი ზედაპირით. მათი ტერიტორიები გამოყოფილია საზღვრებით. მონეტის ვერცხლის ვერსიაზე ნავთობსადენის და გაზსადენის მარშრუტი გამოსახულია ოქროსფრად. ქალაქები: ბაქო, თბილისი, ერზერუმი, ჯეიჰანი გამოსახულია რელიეფური წრეებით. მონეტის ჩვეულებრივ ვერსიაზე მარშრუტიც გამოსახულია ამობურცული რელიეფით.

კომპოზიციის ზედა ნაწილში რელიეფურად გამოსახულია ორენოვანი წარწერა: წრიულად - “ბაქო-თბილისი-ჯეიჰანი” (ქართულად) და “Baku-Tbilisi-Ceyhan” (ინგლისურად); მათი შეერთების წერტილები აღნიშნულია ორი მცირე წრით.

კომპოზიციის ქვედა ნაწილში რელიეფურად გამოსახულია ნომინალი “3” და ორენოვანი წარწერა: “ლარი” (ქართულად) და “Lari” (ინგლისურად);

რევერსი: მონეტის წრიული კომპოზიციის ცენტრში რელიეფურად გამოსახულია სამი ნავთობჭაბურღილი, რომლებიც მდებარეობს კასპიის ზღვის ზედაპირზე გამავალ პლატფორმაზე. ზღვა გამოსახულია სიმბოლურად - დაკლაკნილი ხაზებით. ფონზე ორი განსხვავებული ზედაპირის (სარკისებური და ფაქტურული) საშუალებით გამოსახულია ამომავალი მზის კომპოზიცია. ფაქტურულ ზედაპირზე ამოტვიფრულია მონეტის მოჭრის თარიღის აღმნიშვნელი წარწერა - “2006”. კომპოზიციის ზედა ნაწილში რელიეფურად გამოსახულია ორენოვანი წარწერა: წრიულად “საქართველოს ეროვნული ბანკი” (ქართულად) და “National Bank of Georgia” (ინგლისურად); მათი შეერთების წერტილი აღნიშნულია მცირე წრით.

კომპოზიციის ქვედა ნაწილში რელიეფურად გამოსახულია პროექტის აბრევიატურა “BTC” (ინგლისურად) და ფრთის სიმბოლური ორნამენტი. მონეტის ესკიზის ავტორი მამუკა გონგაძეა.

ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის ნავთობსადენის ამოქმედებისადმი მიძღვნილი სამახსოვრო მონეტა საქართველოს ეროვნული ბანკის ფულის მუზეუმსა და ეროვნული ბანკის ფილიალებში გაიყიდება. ვერცხლის მონეტის ღირებულება 46 ლარი, სპილენძის, ნიკელისა და თუთიის შენადნობისა კი - 5 ლარი იქნება.

## ამინდი

| | 6/06 | 7/06 | 8/06 |
|---|---|---|---|
| კიევი | 20 | 23 | 22 |
| რიგა | 15 | 17 | 20 |
| ვილნიუსი | 13 | 14 | 17 |
| მოსკოვი | 15 | 17 | 20 |
| მინსკი | 16 | 18 | 20 |
| პარიზი | 19 | 20 | 22 |
| რომი | 22 | 20 | 24 |
| ლონდონი | 21 | 22 | 24 |
| მადრიდი | 31 | 33 | 32 |
| ბონი | 20 | 22 | 22 |
| ვარშავა | 16 | 15 | 21 |
| ათენა | 28 | 26 | 26 |
| ბერნი | 17 | 20 | 24 |
| ამსტერდამი | 15 | 16 | 16 |
| ოსლო | 20 | 19 | 22 |
| ანკარა | 27 | 28 | 30 |
| ვარნა | 26 | 22 | 24 |
| დელი | 48 | 48 | 47 |
| ტოკიო | 26 | 23 | 25 |
| კოპენჰაგენი | 15 | 16 | 18 |
| ბაქო | 34 | 32 | 31 |
| ერევანი | 36 | 36 | 37 |
| ასტანა | 21 | 23 | 25 |
| ჰელსინკი | 9 | 12 | 16 |
| დუბლინი | 21 | 21 | 21 |
| ლისაბონი | 33 | 31 | 30 |
| პრაღა | 12 | 13 | 17 |
| სოფია | 23 | 19 | 20 |
| ბუდაპეშტი | 21 | 17 | 22 |
| ბუხარესტი | 27 | 22 | 25 |

# ჯეიჰანში აზერბაიჯანული ნავთობის პირველი პარტია ჩაიტვირთა

ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის ნავთობსადენიდან ჯეიჰანში ნავთობის პირველი პარტია ტანკერ "ბრითიში" ჩაიტვირთა. ჩატვირთულია დაახლოებით 600 000 ბარელი ნედლი ნავთობი.

ტანკერი ჯეიჰანის ახალი საზღვაო ტერმინალიდან 4 ივნისს გავიდა.

ჯეიჰანში პირველი ტანკერის ჩატვირთვით იწყება აზერბაიჯანული ნავთობის ტრანსპორტირება თურქეთის სრუტეების გვერდის ავლით მსოფლიოს ბაზრებზე. ნავთობს თავდაპირველად აზერი ჩირაგ-გიუნაშლის საბადოდან მოიპოვებენ, რომელიც კასპიის ზღვის აზერბაიჯანულ ნაწილში მდებარეობს. სავარაუდოდ, მომავალში მას კასპიის ზღვისპირეთის სხვა წყაროებიდან მოპოვებული ნავთობიც დაემატება.

აზერბაიჯანში ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის ოპერატორი კომპანიის - “ბრიტიში პეტროლეუმის" პრეზიდენტმა დევიდ ვუდვორდმა ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის ნავთობსადენის პროექტს “მსოფლიო დონის პროექტი" უწოდა. "აზერი-ჩირაგ-გუინაშლის ნავთობის პირველი ექსპორტი ჯეიჰანიდან წარმოადგენს სამი ქვეყნის მრავალი ათასი ადამიანის, ადგილობრივი მოსახლეობის, მუშების, კომპანიების, სხვადასხვა ქვეყნების მთავრობებისა და ჩვენი თანამშრომლების მუშაობის კულმინაციას. ჩვენ ვამაყობთ იმით, რასაც ერთად მივაღწიეთ," - აღნიშნა მან. ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის ნავთობსადენის თურქეთის 1.076-კილომეტრიანი მონაკვეთის, ჯეიჰანის ტერმინალისა და ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის მთელი სისტემის ოფიციალური ინაუგურაცია ივლისისთვის იგეგმება. **ცნობისთვის:** ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის ნავთობსადენი 1768 კილომეტრი სიგრძისაა, მისი მეშვეობით მოხდება ერთ მილიონამდე ბარელი ნავთობის უსაფრთხო ტრანსპორტირება კასპიის ზღვიდან მსოფლიოს ბაზრებზე. **მედიანიუსი**

# საქართველო-თურქეთის ელექტროგადამცემი ხაზის მშენებლობის პროექტი ინვესტორებისთვის მიმზიდველია

საქართველოს ენერგეტიკის მინისტრი ნიკა გილაური მიიჩნევს, რომ საქართველო-თურქეთის ელექტროგადამცემი ხაზის მშენებლობის პროექტი ერთ-ერთი მიმზიდველი პროექტია იმ ინვესტორებისათვის, რომლებსაც ევროპაში გასვლა უნდათ, - იუწყება საინფორმაციო სააგენტო "ტრენდი". პროექტის ღირებულება 150-მდე დოლარს შეადგენს."ეს ხაზი პოსტსაბჭოური და ევროპული სივრცის ენერგოსისტემების შეხების წერტილია. არსებობს ევროპასა და პოსტსაბჭოურ ქვეყნებს შორის ელექტროენერგიის ექსპორტ-იმპორტის პერსპექტივა. სწორედ ამიტომაც, ეს ერთ-ერთი ყველაზე მიმზიდველი პროექტია პოტენციური ინვესტორებისათვის, მათ შორის, ყაზახი ინვესტორებისათვის, რომლებიც საქართველოს ეკონომიკაში ინვესტიციებს აქტიურად დებენ," - თქვა ნიკა გილაურმა. მან, აგრეთვე, აღნიშნა, რომ პროექტის განსახორციელებლად არსებობენ კონკურენტები - თურქული და ევროპული კომპანიები. **მედიანიუსი**

24 საათი C

© გაზეთი 24 საათი

# სპორტი

თქვენი რეკლამა "სპორტში"

☎ 995 32 31 93 90
995 32 31 93 86

გამოცემის ოფიციალური პარტნიორი:

ატლანტი
უსაფრთხოების სამსახური

„ნეტავ ფეხბურთი"
სულიკო ყოფილა




C2

თუ ძველის გახსენებაა,
ესეც მოვიგონოთ...



C3

ქალი აღმოსავლურად,
ქალი დასავლურად



C4



სულ მალე დაიწყება წლის მთავარი სპორტული მოვლენა - მსოფლიო ჩემპიონატი ფეხბურთში

საზოგადოებრივი არხი და გადაცემა "არენა" ცხრიდან თოთხმეტი წლის ჩათვლით ასაკის ბავშვებს დიდ სპორტულ ვიქტორინაში მონაწილეობის მიღებას სთავაზობს, რომელიც ჩემპიონატამდე სამი კვირით ადრე, 15 მაისს დაიწყება.

ვიქტორინაში გამარჯვებული ბავშვები ფეხბურთის ბურთებით დასაჩუქრდებიან და ასევე გამოვლინდება კვირის საუკეთესო კომენტატორი.

გამარჯვებულებს შეარჩევს კომპეტენტური ჟიური, რომელიც სპორტული ჟურნალისტებითა და საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის წარმომადგენლებით იქნება დაკომპლექტებული.

სამი გამარჯვებული ბავშვი მსოფლიო ჩემპიონატის შემაჯამებელ გადაცემაში მიიღებს მონაწილეობას. მათ აგრეთვე საჩუქრად გადაეცემათ დვდ-პლეიერები და საზოგადოებრივი არხის პროდუქცია დვდ-დისკებზე.

პირველ ადგილზე გასული ბავშვი დასაჩუქრდება ორკაციანი საგზურით ურეკში, სასტუმრო "კოლხიდაში."

მიიღეთ მონაწილეობა ვიქტორინაში!
უყურეთ ფეხბურთს!
უყურეთ პირველს!

**დამატებითი ინფორმაციისთვის დარეკეთ:**

| | |
|---|---|
| **საზოგადოებასთან ურთიერთობის განყოფილება:** | 21 33 67 |
| **სარეკლამო სამსახური:** | 21 33 54, 33 23 11 |
| **სპორტული რედაქცია:** | 33 17 15 |




# „ბარბაროსთა" კაპიტანს ინგლისში „საფერავი" მოენატრება

მარი ჭავახიშვილი



გოგიტა ბუხაიძის ფოტო

„ლოკომოტივის" სტადიონზე გამართულ საუკუნის მატჩში „ბორჯღალოსნების" წინააღმდეგ „ბარბაროსებს" რობერტ ბრაიან, იგივე ბობ სკინსტედი გამოუძღვა.

სამხრეთ აფრიკაში დაბადებულ 30 წლის მორაგბეს აქამდე კარიერაში 7-გზის აქვს ნათამაშევი „ბარბაროსთა" შემადგენლობაში და ანგარიშზე ოთხი ლელოც ერიცხება.

მსოფლიო ნაკრებში ბობ სკინსტედი პირველად ცხრა წლის წინ მოხვდა, 1999 წელს კი მსოფლიო თასზე გუნდის კაპიტანი იყო. „ბარბაროსებს" ოთხჯერ გაუძღვა ბრძოლაში და არასდროს დამარცხებულა.

სკინსტედის თითქმის ათწლიანი კარიერა სულ ია-ვარდით არ ყოფილა მოფენილი - ზიმბაბვეში დაბადებულ მორაგბეს ერთი ხანობა ტრავმები სტანჯავდა. ყველაზე სერიოზული 1999 წელს, ავტოავარიის შედეგად მიიღო. ფეხი ისე დაუზინდა, რომ რაგბის თამაში ეჭვქვეშ დადგა. საბედნიეროდ, ტრავმას მალე დააღწია თავი და იმავე წელს მსოფლიო თასზე ითამაშა. 2000 წლის დასაწყისში ფეხმა ისევ შეახსენა თავი და მთელი წელი აღარ უთამაშია. 2002 წელს ზე-12 სეზონი მხრის ოპერაციის გამო გაუცდა, 2003 წელს კი მსოფლიო თასს ხელის მოტეხვის გამო გამოეთიშა.

ამდენი ტრავმის შემდეგ გამოჯანმრთელებული სკინსტედი ათ მატჩში იყო „ქურციკების" კაპიტანი და ამათგან ხუთში გაიმარჯვა.

თითქმის მთელი კარიერა სამხრეთაფრიკელმა მორაგბემ სამშობლოში გაატარა, თუმცა ორიოდე წლის წინ ინგლისის პირველი დივიზიონის „რიჩმონდში" გადავიდა სათამაშოდ.

როგორც უკვე ვთქვით, თბილისში სტუმრად ჩამოსული „ბარბაროსების" კაპიტანი სწორედ ბობ სკინსტედი იყო. შანსი ხელიდან არ გავუშვით და სამშობლოში „ოქროს ბიჭუნად" მონათლულ მორაგბეს გავესაუბრეთ. ბუნებრივია, ჩვენი საუბარი საქართველოთი დაიწყო:

**- როგორია თქვენი პირველი შთაბეჭდილება საქართველოზე?**

- რა თქმა უნდა, საუკეთესოზე საუკეთესო. მანამდე ცოტა რამ ვიცოდი თქვენს ქვეყანაზე. ბედნიერი ვარ, რომ საკუთარი თვალით ვნახე მსოფლიოს ეს ერთ-ერთი ულამაზესი კუთხე. ჩემი თანაგუნდელებიც მოხიბლული არიან თბილისით, ქართული ღვინითა და აქაური სტუმართმოყვარეობით. საოცარი ტრადიცია გქონიათ - ჯერ ხეირიანად ჩამოსულებიც არ ვიყავით, რომ აეროპორტში კონიაკით დაგვხვდნენ და იქვე შესვეს ჩვენი სადღეგრძელო. მანამდე ასე არც ერთ ქვეყანაში არ დაგვხვედრიან. ჩვენი დალოცვა სასტუმროში ქართული ღვინით გააგრძელეს.

გაგრძელება C2 გვერდზე



დავით კოვზირიძის სვეტი

# „ნტვ ფუტბოლი" სულიკო ყოფილა

კაი ალუჩა, კაი ბალ-ალუბალი, კაი მარწყვი ნაყინით, შამპანსკი, დიდეკრანიანი ტელევიზორი და თვალებანთებული, აღგზნებული საზოგადოება. ეს პირველი ვარიანტია. მეორეში ტელევიზორი, ანთებული თვალები და ადრენალინი რჩება, ხოლო მენიუ იცვლება - ჩაციებული ლუდი თავისი განშტოებებით.

ზუსტად სამ დღეში, საღამოს, საქართველოს მოსახლეობა ამ ორი ვარიანტიდან ერთ-ერთს ამოირჩევს და დაიწყება სიამტკბილობის ერთი თვე, რომელსაც ოთხი წელიწადი ველოდით. დაიწყება დაუმთავრებელი კამათი, ბრძნული აზრების გაცვლა-გამოცვლა, გახშირდება გინება, მოიწევა ზღვა სიგარეტი, საღამოობით შემცირდება მანქანების რაოდენობა, გოგოშკები კიდევ ერთხელ წაიკრუსუნებენ ნესტასა და კაკას დანახვაზე, ბიჭები საფეხბურთო კალენდრებში ყოველდღე ჩაწერენ ანგარიშებს.

მძიმე სამუშაო გრაფიკი ეწყებათ მაზავშიკებს, ტოტალიზატორებთან მონადირე ჯეელებს, რომლებმაც კარგად იციან, რომ ამდენი უცოდინარი წინასწარმეტყველი მხოლოდ ოთხწლედში ერთხელ ბუჩქდება საბუკმეკერო კანტორებთან და ეს ამბავი მაქსიმალურად მაძღრად უნდა აისახოს მათ ფინანსურ კეთილდღეობაზე. ამ მორევში მოყოლილთაგან ნებისმიერი ოცნებობს ზაფხულის ხარისხიანად გატარებაზე, მაგრამ ძალიან ცოტა ახერხებს ამას. დანარჩენებმა კი სწორედ ამ უმცირესობის საზაფხულო რელაქსაციაზე უნდა ღვაროს ლიტრობით ოფლი. ასეთია აზარტული სამყაროს კანონი - ბევრი აგებს, ცოტა იგებს.

ასე იქნება მსოფლიო ჩემპიონატზეც, 31 ნაკრები წააგებს და მხოლოდ ერთი დაუბრუნდება სამშობლოს თავაწეული, ცხოვრების უმთავრესი მისიის შესრულებით კმაყოფილი.

იმ დღეს „24 საათის" რედაქციაში სწორედ ამ ერთადერთის გამოცნობაში ვიჭყლიტეთ ტვინი მე და კახამ. რა თქმა უნდა, საერთო აზრამდე ვერ მივედით და საბოლოოდ ასე მოვიქეცით - მე ჩემი ვერსია დავტოვე, საკმაოდ გულუბრყვილო და სუბიექტური, სადაც ნახევარფინალში ბრაზილიამ მოუგო საფრანგეთს და ფინალში ინგლისს, რომელმაც მანამდე არგენტინას აჯობა. ბომბარდირი - ადრიანო. ალბათ მიხვდით, ვისაც ვგულშემატკივრობ.

საბოლოოდ როგორი სახე მიიღო ჩემმა ვერსიამ, არ ვიცი. აქვე იმასაც გეტყვით, რომ ენთუზიაზმის გამო არ გვიწვალია - რაღაც კონკურსი ტარდება, რომელშიც ჩვენი გაზეთიც მონაწილეობს. უნდა გამოგვეცნო ჯგუფის გამარჯვებულები რიგითობის მიხედვით, მერვედფინალები, მეოთხედფინალები, ნახევარფინალები, ფინალი, ჩემპიონი და ბომბარდირი. სხვათა შორის, პრიზი ყველაზე ცუდ პროგნოზისტსაც ერგება და შანსები აქაც გვაქვს.

ყველა ერთხმად გაიძახის, რომ გერმანიში მაგარი ჩემპიონატი იქნება. მეც სიამოვნებით ვეთანხმები ამ აზრს - ფინალურ ეტაპზე ყველა კარგი გუნდი შეძვრა, მხოლოდ აფრიკამ გაგვაოცა უცნობი დელეგაციით. თუმცა, პირადად ჩემთვის სულ ერთია, კამერუნი ითამაშებს თუ ტოგო, მათ სათამაშო ფილოსოფიას შორის იოტისოდენა განსხვავებასაც ვერ ვხედავ. გარდა ამისა, გერმანია განთქმულია რეპორტაჟების უმაღლესი ხარისხით. იქაურ რეჟისორებს პატარა დეტალებიც არ რჩებათ უყურადღებოდ და ეს ტელევიზორთან მჯდომი ადამიანისთვის ძალიან ბევრს ნიშნავს. აბა, ჩემპიონთა ლიგის ფინალის რეპორტაჟს ერქვა რეპორტაჟი? გოლები ძლივს გაგვიმეორეს, ისიც თითოჯერ. ასე მხოლოდ კომუნისტების დროს გვიგდებდნენ მასხრად.

რეპორტაჟების თემა აუცილებლად „ნტვ ფუტბოლის" ხსოვნის სადღეგრძელოთი უნდა დავამთავრო. სწორედ ახლა გამახსენდა ჩემი მეგობრის ამბავი, რომელსაც მსოფლიოს წინა ჩემპიონატზე ფილტვების ანთება დაემართა და მთელ ტურნირს ჰორიზონტალურად უყურა. უყურა, რა თქმა უნდა, „ნტვ ფუტბოლზე" და მერე თქვა, არ მეგონა ამდენ ხანს თუ ლოგინში გავჩერდებოდი, მაგრამ ასეთი სიამოვნება არასდროს მიმიღია ფეხბურთისგანო. მაშინ თამაშები დილით იყო და მერე მთელი დღე გარჩევებს ეთმობოდა. ჰოდა, რა სჯობს იმის მოსმენას, თუ როგორ ლაპარაკობს ფეხბურთზე რამდენიმე ძალიან განათლებული, იუმორის მქონე, ფეხბურთის ყველაზე ღრმა საცავებში გათვითცნობიერებული, ენაწყლიანი ადამიანი.

უკვე მერიდება კიდეც ამ თემაზე წუწუნი, მაგრამ რა ვქნა, მარტო მე არ ვარ ამ დღეში. ვერაფრით გავიგე, რატომ აღარ გვაქვს ამ არხის ყურების საშუალება, სადაა სულიკო, ბეისბოლის წესები და ის, თუ რა არის ვაუჩერი.

და კიდევ ერთი სიამოვნება, რომელიც ფეხბურთზე შეყვარებულ ხალხს გველოდება. ესაა ფეხბურთის თამაში ჩემპიონატის დროს. ითამაშებ, იჭორავებ წინა დღის სოკერ-პერიპეტიებზე, გადაივლებ და...

კაი ალუჩა, კაი ბალ-ალუბალი, კაი მარწყვი ნაყინით, შამპანსკი, დიდეკრანიანი ტელევიზორი და თვალებანთებული, აღგზნებული საზოგადოება. ეს პირველი ვარიანტია. მეორეში ტელევიზორი, ანთებული თვალები და ადრენალინი რჩება, ხოლო მენიუ იცვლება - ჩაციებული ლუდი თავისი განშტოებებით.

*მომავალ სამშაბათამდე*

# „ბარბაროსთა" კაპიტანს ინგლისში „საფერავი" მოენატრება

პირველი გვერდიდან

**- როგორ მოგეწონათ ქართული ღვინო და კონიაკი?**

- ოოო, დიდებული რამ არის. ნამდვილად განსხვავებული გემოსა და არომატის სასმელია. მართალია, ჯერ ძალიან ცოტა გავსინჯე, მაგრამ ერთი სული მაქვს, როდის ვისადილებთ, რომ კიდევ უფრო მეტი „საფერავი" დავაგემოვნო.

**- ალკოჰოლს ხშირად მიირთმევთ?**

- რა თქმა უნდა, არა, მაგრამ ხანდახან გვიწევს ხოლმე. პირადად მე ლუდს ვანიჭებ უპირატესობას. განსაკუთრებით „შავი გინესი" მიყვარს. თუმცა, ინგლისში ჩასულს „საფერავის" ნოსტალგია ჩამყვება.

**- ორი წელია რაც ინგლისში თამაშობთ. როცა აფრიკელებმა სამშობლოდან თქვენი წასვლის გადაწყვეტილება შეიტყვეს, ამ ამბავს დიდი რეზონანსი მოჰყვა. რატომ გადაწყვიტეთ ინგლისში წასვლა?**

- ჩემი მიზანი ინგლისი არ ყოფილა. უბრალოდ, მინდოდა ახალ ქვეყანაში - ავსტრალიაში, ახალ ზელანდიაში ან ინგლისში მომესინჯა ძალები. ალბიონზე გადასვლა ჩემთვის სუფთა ჰაერივით საჭირო იყო და ჩემს გადაწყვეტილებას არ ვნანობ.

**- სამშობლოში თუ აპირებთ დაბრუნებას?**

- მიუხედავად იმისა, რომ კეიპტაუნში დიდებული დრო მაქვს გატარებული, ჯერჯერობით ინგლისიდან არსად წასვლას არ ვაპირებ. თუმცა, ცხადია, კარიერის დასრულების შემდეგ აფრიკას დავუბრუნდები. მით უმეტეს, რომ იოჰანესბურგში სახლი მაქვს.

**- როდის დაიწყეთ რაგბის თამაში?**

- 4 წლის ვიყავი, როცა მე და მამაჩემი ეზოში ერთმანეთისთვის ბურთის გადაგდებით ვერთობოდით. მამას ძალიან უყვარდა რაგბი და უნდოდა, ამ სახეობას გავყოლოდი. ამიტომ ბავშვობიდან მაჩვევდა რაგბის ბურთთან ურთიერთობას. ჩემს რაგბისტობაზე დიდი გავლენა იქონია ჩემმა პირველმა მწვრთნელმა ალან სოლომონსმაც, რომელიც ახლა „ვესტ პროვინსს" თავკაცობს.



ბობ სკინსტედი და ტონი მარში გასახდელში "ბორჯღალოსნებთან" მატჩის წინ.

გოგიტა ბახსოძის ფოტო

**- სპეციალისტთა აზრით, ნაკრებში ისე ველარ თამაშობთ, როგორც უწინ...**

- სამწუხაროდ, კარიერის განმავლობაში ბევრი ტრავმა გადავიტანე. დღემდე თავს მახსენებს ავტოავარიის შედეგად დაზიანებული ფეხი. თან საერთაშორისო მატჩებში ისე ხშირად აღარ გამოვდივარ. ეს კი ყველა სპორტსმენზე უარყოფითად აისახება.

**- აფრიკულ პრესაში ხშირად იწერებოდა, რომ კარიერის დასრულებას აპირებთ. მართალია?**

- ეს ჩემზე არ არის დამოკიდებული. ყველაფერს ჩემი ჯანმრთელობა განსაზღვრავს. იქამდე ვითამაშებ, სანამ მუხლი მიჭრის. მერე კი ვნახოთ, რა იქნება.

**- რაგბის თამაშის გარდა, სხვა საქმიანობით თუ ხართ დაკავებული?**

- თამაშის გარდა, სარაგბო ბიზნესით ვარ დაკავებული. „სქაი სპორტზე" რაგბის მატჩებსაც ვუძღვები.

**- ამბობენ, რომ ქალების რისხვა ხართ...**

- (იცინის) მართლა? ეს უფრო ადრე იყო. ახლა უკვე ცოლი მყავს. სიგიჟემდე მიყვარს ჩემი მეუღლე დები ვოლფი და მის გარდა არავინ მაინტერესებს.

# მონტე კარლოში ქართველ მონარდეებს ელიან

ვასილ უდუმაშვილი

საქართველოში იშვიათად თუ შეხვედებით ადამიანს, ვისაც ერთხელ მაინც არ გაუგორებია კამათელი და არ უთამაშია ნარდი. უმეტესობისთვის ნარდი უბრალოდ კარგი გასართობია. რა ჯობია ზაფხულში ხის ჩრდილში ჯდომას და ნარდის თამაშს. კარგადაც ისვენებ და ადრენალინსაც ხარჯავ.

ზოგისთვის ნარდი გართობაა. ისე კი, ნარდი სპორტია და, ისე როგორც სპორტის ყველა სახეობაში, ნარდშიც იმართება მსოფლიო ჩემპიონატები.

ქართველები მსოფლიო ჩემპიონობით განებივრებულნი ნამდვილად არ ვართ. ნარდი კი ჩვენია და რატომ არ უნდა ვცადოთ ბედი! ვინ იცის, იქნებ კიდევ ერთი მსოფლიო ჩემპიონი მოგვევლინოს. მერე რა, რომ ეს სპორტის ტრადიციული სახეობა არ არის, ქართველებისთვის ნარდის თამაში ხომ თავისთავად ტრადიციული გასართობია.

მოკლედ, სულ მალე მონტე კარლოში მსოფლიო ჩემპიონატი გაიმართება და თუ ჩვენს მონარდეებს საჭირო მხარდაჭერა ექნებათ, ევროპულ ლას ვეგასში ვინძლო ოქროს მედალსაც გამოვკრათ ხელი.

თუმცა, სანამ მსოფლიო ჩემპიონატზე მოვხვდებით, აქაურობას მივხედოთ.

ცოტა ხნის წინ საქართველოს ნარდის ასოციაციის თაოსნობით ჩატარდა ქვეყნის ღია პირველობა. ტურნირი 26-28 მაისს გაიმართა და საქართველოს დამოუკიდებლობის დღეს მიეძღვნა. როგორც ნარდის ახლად შექმნილი ასოციაციის პრეზიდენტმა ბატონმა თეიმურაზ ქურციკიძემ გვითხრა, ეს ტურნირი ტრადიციული იქნება და მომავალ წელსაც უნდა გაიმართოს.

ამჯერად საქართველოს ღია პირველობაზე 200-მდე მონარდემ მიიღო მონაწილეობა. მათ შორის მრავლად იყვნენ ცნობილი სახეებიც - პარლამენტარი კოტე გაბაშვილი, კინორეჟისორი ნოდარ მანაგაძე, არქიტექტორი კახა ქორიძე, ტელეკომენტატორი ნუგზარ ჯულელი და სხვები. თუმცა, ამ პოპულარული ადამიანებიდან თითქმის ყველას მოეცარა ხელი, თუ არ ჩავთვლით ბატონ ნუგზარ ჯულელს, რომელმაც გრძელ ნარდში გაიმარჯვა.



თეიმურაზ ქურციკიძე გამარჯვებულებს აჯილდოვებს.

სპონსორები რომ არა, ამ საინტერესო ტურნირის გამართვა შეუძლებელი იქნებოდა. საქართველოს ნარდის ასოციაციას დიდი დახმარება გაუწიეს თბილისის მერიის სპორტის საქალაქო სამსახურმა, საქართველოს სპორტისა და ახალგაზრდობის დეპარტამენტმა, სამედიცინო საქმიანობის სახელმწიფო რეგულირების სააგენტომ, ქალაქ თბილისის მერიის ზედამხედველობის სამსახურმა და კიდევ არაერთმა კომპანიამ და კერძო პირმა.

შეჯიბრება გაიმართა ნარდის სხვადასხვა სახეობაში. მეტად საინტერესო გამოდგა ასპარეზობა წყვილთა შორის ანუ ნარდი კონსულტაციებით. ეს სახეობა ერთ-ერთი ყველაზე გავრცელებულია მსოფლიოში. წყვილებში გაიმარჯვა გუნდმა „ვერემ", რომლის შემადგენლობაში თამაშობდნენ ზურაბ გველესიანი და გოგი ჭალაგანიძე. მათ 32 გუნდიდან არც ერთს არ დაუტოვეს შანსი და შესანიშნავი გამარჯვება მოიპოვეს.

იყო, ასე ვთქვათ, მთავარი ტურნირიც, რომელიც მსოფლიოში აღიარებული საერთაშორისო წესებით გაიმართა. გაიმარჯვა ნოდარ მელიამ. მას გადაეცა ტურნირის მთავარი პრიზი „ოქროს კამათელი".

ქალთა შორის გაიმარჯვა ნანა ხაზიურმა. ქართულ მოკლე ნარდში მოყვარულთა შორის ჩემპიონობა არავის დაუთმო რეზო კიკნაძემ. ოსტატებში კი ომარ დვალი გახდა საქართველოს ჩემპიონი.

როგორც ვთქვით, ეს იყო საქართველოს ღია ჩემპიონატი და მასში სხვა ქვეყნების ათამდე მოქალაქემაც მიიღო მონაწილეობა.

ტურნირის ბოლოს გავესაუბრეთ მის ერთ-ერთ ორგანიზატორს ბატონ თეიმურაზ ქურციკიძეს: „აუცილებლად უნდა აღინიშნოს კომპეტენტური ჟიურის მუშაობა. მთელი ტურნირის განმავლობაში შეჯიბრების კომისარმა გივი მარგველაშვილმა მშვენივრად გაართვა თავი დაკისრებულ მოვალეობას - მიუხედავად იმისა, რომ მონაწილე საკმაოდ ბევრი იყო (დაახლოებით 200). ამას ემატებოდა გულშემატკივარიც - ყოველდღიურად ტურნირის სანახავად ხუთასამდე კაცი მოდიოდა. შეჯიბრებამ არაჩვეულებრივად კარგად ჩაიარა. თუმცა, უნდა გითხრათ, რომ სათუოა ქართველი მონარდეების გამგზავრება მონტე კარლოს მსოფლიო ჩემპიონატზე, რომელიც 9-17 ივლისს გაიმართება. მიწვევის მიუხედავად, საფრანგეთის საელჩო ვიზებზე უარს გვეუბნება. შესაძლოა ეს ვინმე სხვების ადრინდელი შეცდომების გამო ხდება, მაგრამ ახლა საქართველოს ნარდის ასოციაცია მზად არის, თუ შანსი მიეცა, მონაწილეობა მიიღოს მსოფლიო პირველობაზე და მონტე კარლოში ბრწყინვალედ იასპარეზოს. მერწმუნეთ, არ არის გამორიცხული, თუ ჩვენი გამგზავრება მოხერხდა, პირველი ქართველი მსოფლიო ჩემპიონიც ვიხილოთ".

## კვირის ფრაზები

„ინგლისის მომავალ მეფესთან ვიცეკვე და ბოლომდე ვერ ვიჯერებ ამას", - ინგლისის ნაკრების თავდამსხმელი პიტერ კრაუჩი გაოცებას ვერ მალავდა, როცა ნაკრებს ვარჯიშზე ინგლისის პრინცი უილიამი დაესწრო.

■ ■ ■

„დღეს გულშემატკივრები კრაუჩის სახელს სკანდირებდნენ, მაგრამ ვერ გავარკვიე, რატომ - იამაიკასთან გატანილი პენალტების თუ პრინც უილიამსთან ცეკვის გამო. ყოველ შემთხვევაში, მე ვფიქრობ, რომ პიტერს ცეკვა უკეთ გამოსდის, ვიდრე პენალტების რეალიზება", - ასე დაახასიათა „ლივერპულის" კაპიტანმა სტივენ ჯერარდმა თანაგუნდელი პიტერ კრაუჩი.

■ ■ ■

„თუ მსოფლიო ჩემპიონები გავხდებით, ყველაფერს გავაკეთებ, რასაც მთხოვთ", - ინგლისის ნაკრების თავკაცი სვენ-გორან ერიქსონი გულშემატკივრებს „რობოკოპის" ცეკვას მხოლოდ ჩემპიონობის შემთხვევაში დაჰპირდა.

■ ■ ■

„ტანში ჟრუანტელი მივლიდა, როცა სტადიონზე შეკრებილი ფანები ტაშს გვიკრავდნენ. გავიფიქრე კიდეც, იქნებ კიდევ არსებობენ ინგლისელები, რომელთაც ჩემი წასვლა არ უნდათ-მეთქი", - ისევ სვენ-გორან ერიქსონი.

■ ■ ■

„ვერ გავიგე, რატომ მადარებენ თეო უოლკოტს?! მის ასაკში ბრაზილიაში უკვე ვარსკვლავი ვიყავი, ინგლისში კი მისი თამაში თვალით არავის უნახავს", - ფეხბურთის მეფე პელე ინგლისის ნაკრების ახალწვეულ, 17 წლის თეო უოლკოტზე.

■ ■ ■

„ჩელსიში" თამაში ინგლისური ენის შესწავლის გამო უფრო გადავწყვიტე. ჩემი ცოლი ამერიკელია, თუმცა იმდენად იშვიათად ვარ სახლში, რომ ინგლისური კარგად ვერ მასწავლა, რის გამოც ერთმანეთთან საუბარი გვიჭირს", - ასე ახსნა ლონდონის „ჩელსიში" გადაბარგება „მილანის" ექს-ფორვარდმა ანდრეი შევჩენკომ.

■ ■ ■

„წელს იტალია ჩემპიონი ვერ გახდება. წარმოუდგენელია, მსოფლიო ჩემპიონატი მოიგოს გუნდმა, რომლის ფეხბურთელები ვარჯიშის ნაცვლად პოლიციაში დაკითხვაზე დადიან", - მსოფლიო ჩემპიონატის ორგკომიტეტის თავმჯდომარე ფრანც ბეკენბაუერი.

■ ■ ■

„რაული ჩემი საყვარელი ფეხბურთელია, რონალდო ერთ-ერთი საუკეთესოა, მაგრამ რონალდინიო უკვე ისტორიაა", - ბრაზილიის ნაკრების თავკაცი კარლოს ალბერტო პარეირა.

■ ■ ■

„ბრაზილია ჩემპიონატის ფავორიტია, მაგრამ, ამის მიუხედავად, ვოცნებობ მათთან შეხვედრაზე. კორეა-იაპონიაში მეოთხედფინალში 1:2 მარცხისთვის რევანში გვაქვს ასაღები", - ინგლისის ნაკრების თავდამსხმელი ფრენკ ლამპარდი.

■ ■ ■

„კატეგორიულად მოვითხოვ, ყველამ, ვინც მსოფლიო ჩემპიონატის წინა დღეებში იურგენ კლინსმანს აკრიტიკებს და მის მომავალზე ბჭობს, შეწყვიტოს კლინსმანზე ურიგო საუბარი. ახლა ამის დრო არ არის", - გერმანიის ეროვნული ნაკრების მენეჯერი ოლივერ ბირჰოფი.

■ ■ ■

„რეალმა" ჩვენს რომელიმე ფეხბურთელთან, ვისაც ჯერ კიდევ მოქმედი კონტრაქტი აქვს, ფარული მოლაპარაკება რომ წამოიწყოს, უეფაში ვუჩივლებთ და რაც მოუვათ, თავის თავს დააბრალონ", - „მილანის" ვიცე-პრეზიდენტი ადრიანო გალიანი საჯაროდ დაემუქრა „სამეფო გუნდს", რომელმაც ცოტა ხნის წინ კაკას შეძენის სურვილი გამოთქვა.

## ინფოთეკა

### ავსტრიული დახმარება

ავსტრიელი პოლიციელები დაეხმარებიან თავიანთ გერმანელ კოლეგებს მსოფლიო ჩემპიონატის უსაფრთხოდ ჩატარების ორგანიზებაში. სააგენტო როიტერის ცნობით, ზალცბურგის პოლიციის 20-კაციანი ჯგუფი გუშინ ჩავიდა გერმანიაში. ამ ჯგუფის დაევალება მიუნხენის აეროპორტის უსაფრთხოების უზრუნველყოფა. ცხადია, 20 ავსტრიელ პოლიციელს გერმანელებიც დაეხმარებიან.

### ხელბურთელი „იუვენტუსში"

„იუვენტუსის" პრეზიდენტად შესაძლოა ფრენბურთის მწვრთნელი ჯიანა პაოლო მონტანი დაინიშნოს. იტალიური მედიის ინფორმაციით, მონტანი უკვე შეხვდა ანიელების ოჯახის წარმომადგენელს. ჯერჯერობით გადაწყვეტილი არაფერია, თუმცა, როგორც იტალიაში ამბობენ, მონტანის პრეზიდენტობის რეალური შანსი აქვს.

### ევროპის ჩემპიონატის ფინალური ეტაპის კენჭისყრა

ა ჯგუფში მასპინძლებთან ერთად მოხვდნენ ავსტრიის, ბელგიისა და ჩეხეთის ნაკრებები, ბ ჯგუფში კი - შოტლანდიის, პორტუგალიის, ესპანეთისა და თურქეთის გუნდები. 18-23 ივლისს ჯგუფური ტურნირის მატჩები გაიმართება. ჯგუფებში პირველ-მესამე ადგილზე გასული გუნდები გაისად 20 წლამდელ ფეხბურთელთა მსოფლიო ჩემპიონატზე ითამაშებენ, თუმცა ევროპის ჩემპიონატის ნახევარფინალში მხოლოდ პირველ-მეორე ადგილზე გასული გუნდები გავლენ - თამაშები 26 ივლისს გაიმართება. ფინალური მატჩი 29 ივლისს პოზნანის „მესკის" სტადიონზე შედგება. ევროპის ჩემპიონატი 19 წლამდე ფეხბურთელთა შორის 1948 წლიდან იმართება, ხოლო უეფა-ს შეფობით - 1955 წლიდან. პირველი 32 წლის მანძილზე ტურნირის ფორმატი ხშირად იცვლებოდა. ამ პერიოდში ინგლისელებმა რვაჯერ მოიგეს ტურნირი, საბჭოთა კავშირის ნაკრებმა - ოთხჯერ, ხოლო ბულგარელებმა - სამჯერ.

## ახალი პრეზიდენტი

თეა თედლიაშვილი

გუშინ, როგორც იქნა, აირჩიეს შიდა ქართლის ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტი. არჩევნები უკვე მეორედ დაინიშნა. გაიმარჯვა სწორედ იმ კანდიდატმა, რომელზეც ფეხბურთის ფედერაციის აღმასკომის წევრები ამბობდნენ, რომ არ იცნობდნენ. თემურ გიგუაშვილის პრეზიდენტად დანიშვნას ხმის მქონე 33 წევრიდან 33-ვემ დაუჭირა მხარი. გიგუაშვილი „ავლაბრის“ სტადიონის ყოფილი დირექტორია. როგორც ის აცხადებს, მან აღმასკომის წევრებს გააცნო საკუთარი პროგრამის მონახაზი და მხარდაჭერაც სწორედ ამის წყალობით მოიპოვა. პრეზიდენტის არჩევნები პირველად 24 მაისს იყო დანიშნული. მაშინ გიგუაშვილი არჩევნებზე არ მისულა. სამაგიეროდ, ესწრებოდა დანარჩენი ორი კანდიდატურა, გურამ ნოზაძე და როლანდ ბერიძე, რომლებიც შიდა ქართლის ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტობაზე იყრიდნენ კენჭს. არჩევნებზე არ გამოცხადებულა ასევე შიდა ქართლის ფეხბურთის ფედერაციის ყოფილი პრეზიდენტი გია რევაზიშვილი. 5 ივნისს გამართულ არჩევნებზე კი მხოლოდ გიგუაშვილი გამოცხადდა და სრული მხარდაჭერაც მიიღო. 24 მაისს ფეხბურთელები აცხადებდნენ, რომ გიგუაშვილი ხელისუფლებისთვის მისაღები კანდიდატურა იყო და მისი დანიშვნა უნდოდათ. გარდა იმისა, რომ არჩევნები გიგუაშვილის არცნობის გამო გადაიდო, შიდა ქართლში სახელმწიფო რწმუნებულის მოადგილემ ზვიად ხმალაძემ განაცხადა, რომ საქართველოს ფეხბურთის ფედერაციიდან წარმომადგენელი აუცილებლად უნდა დასწრებოდა არჩევნებს. ამის მიუხედავად, გუშინდელ არჩევნებს საქართველოს ფეხბურთის ფედერაციიდან არავინ დასწრებია.

ფეხბურთელების თქმით, 26 მაისს ფეხბურთის ფედერაციის აღმასკომი შეიკრიბა, სადაც ზედაპირულად გაეცნენ გიგუაშვილის პროგრამას და მოეწონათ.

გიგუაშვილი თვითონ არ უარყოფს, რომ მას კარგი ურთიერთობა აქვს შიდა ქართლში პრეზიდენტის სახელმწიფო რწმუნებულთან მიხეილ ქარელთან. გიგუაშვილი ქარელის თანასოფლელია. ქალაქში იმასაც ამბობენ, თითქოს გიგუაშვილი ირაკლი ოქრუაშვილის ნათესავია, მაგრამ თვითონ ახალი პრეზიდენტი ამას არ ადასტურებს.

„არ უარვყოფ, რომ ხელისუფლების წარმომადგენლებთან კარგი ურთიერთობა მაქვს, მაგრამ ეს არ არის ნათესაური კავშირი. მართალია, რომ ხელისუფლებისთვის მისაღები კანდიდატურა ვიყავი. არჩევნებამდე შევხვდი მიხეილ ქარელს და ჩემი სამოქმედო გეგმა გავაცანი, რომელიც გუბერნატორს მოეწონა. რა არის ამაში ცუდი? თუ ხელისუფლებასთან კარგი ურთიერთობა არ მექნება, ვერაფერსაც ვერ გავაკეთებ. მე მჭიდრო თანამშრომლობას ვაპირებ მათთან“, - აცხადებს თემურ გიგუაშვილი.

მანამ, სანამ შიდა ქართლის ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტი გახდებოდა, გიგუაშვილმა უკვე მოასწრო ორი ხელოვნური მინდვრის გაკეთება კარალეთსა და ხელთუბანში. როგორც ამბობს, ეს წინასაარჩევნოდ არ გაუკეთებია(?).

„არჩევნებამდე შევხვდი ხმის უფლების მქონე ყველა პირს და ზედაპირულად გავაცანი ჩემი გეგმა. დეტალურად გაცნობას ახლა ვაპირებ. ყველა რაიონის ფეხბურთის გუნდები, რომლებიც შიდა ქართლის ფეხბურთის ფედერაციაში შედიან, მიიღებენ სათანადო დახმარებას და ყურადღებას. პირველად დანიშნული არჩევნების დროს ჩემი გეგმა ყველას იმიტომ არ გავაცანი, რომ ფედერაციაში სერიოზული დარღვევებია. მაგალითად, ბევრი მწვრთნელი მუშაობს სერტიფიკატის გარეშე, არავინ იცის, რა თანხები ერიცხებოდა ფედერაციიდან შიდა ქართლს და რა დახმარებას იღებდნენ ადგილობრივი ხელისუფლებისგან. მინდა ყველა ეს პრობლემა წამოვწიო და შესაბამისი რეაგირება მოვახდინო. არ მინდოდა ვინმე შემეშინებინა.

შიდა ქართლის ფეხბურთის ფედერაციის ახალი პრეზიდენტი მძიმე მემკვიდრეობაზე აკეთებს აქცენტს. მისი თქმით, პირველ რიგში გაუშვებს იმ მწვრთნელებს, რომლებსაც სერტიფიკატები არა აქვთ, მერე კი სასწრაფოდ დაიწყებს თენგიზ ბურჯანაძის სახელობის სტადიონის რეკონსტრუქციას.

## თუ ძველის გახსენებაა, ესეც მოვიგონოთ...

ნოდარ ებრალიძე

ერთი ძველი წესი წლევანდელი თელეთობის საჭიდაო ასპარეზობაზე გაიხსენეს - დამკვრელებისთვის, მადლიერების ნიშნად, მაყურებლებში ფულის შეგროვება („შაბაში“). ცხადია, ვისაც რა შეუძლია, ძალას არავინ ატანს. ალალიცაა! რაღაც უსიამო გრძნობები არ უნდა აღგვიძრას, თუ გავითვალისწინებთ, რომ მუსიკის თანხლების გარეშე ქართულ ჭიდაობაში შეჯიბრების ჩატარება შეუძლებელიცაა და დაუშვებელიც; ხოლო, როგორც წესი, მეტ-ნაკლები მნიშვნელობის ასპარეზობა რამდენიმე საათს გრძელდება და თავმოყვარე დამკვრელი მხოლოდ თავის საკრავს კი არ უნდა ფლობდეს, მას ჭიდაობაც უნდა ესმოდეს. უყვარდეს, რომ ყოველი ორთაბრძოლის მიმდინარეობას, ტემპს იმპროვიზაციულადააყოლოს ჰანგი და მისი როგორც სპორტული, ისე სანახაობრივი მხარე გამოკვეთოს და ხელოვნების დონემდე აამაღლოს. ეს ცალკე ამბავია და საერთოდ სიტყვასაც არ დავძრავდი, წინა სამი თელეთობის საჭიდაოს მნახველს, მე თვითონ რომ არ გამჩენოდა ერთი ძველი ჩვეულების გახსენების, აღდგენის სურვილი. ვაპირებდი კიდეც თელეთის ბავშვთა საფეხბურთო სკოლის დირექტორთან - გივი გურულიშვილთან ამის თაობაზე საუბარს, მაგრამ ადრე არ მომიხერხდა, მერე კი, ამაღლება რომ მოახლოვდა (თელეთობა ისტორიულად ამ დიდი უქმის ადგილობრივი დღეობაა), ვიფიქრე, ამ სპორტული დღის თავკაცს ახალი საზრუნავი რატომ უნდა გავუჩინო-მეთქი, მაგრამ რაკი თვითონვე მოინდომეს ძველის გახსენება, თანაც ქართული ჭიდაობის აღმავლობა ნამდვილად საგრძნობია, გადავწყვიტე ჩემი ჩანაფიქრიც გავამხილო.



რობერტ ბაბოიანის ფოტო

თელეთობის ახალი ფალავანი იაგო ჭავახიშვილი.

ჯერ თვითონ ასპარეზობაზე ვთქვათ ორიოდე სიტყვა. მართალია, წინა წლებისგან განსხვავებით, თელეთობაზე კახეთიდან, ყვარლის რაიონის ახალსოფლიდან მოჭიდავეები არ ჩამოსულან, მაგრამ მაინც ძლიერი ბიჭები შეკრებილიყვნენ. ნამდვილად არ მეგონა, რომ მუხათელი ძმები - გიორგი და იაკობ ბაჯიაშვილები საპრიზო სამეულში ვერ მოხვდებოდნენ, მაგრამ ასეთი მოულოდნელობა მხოლოდ ალამაზებს ყოველგვარ შეჯიბრებას. თანაც ამ ტიპის ტურნირში, როგორც ჩანს, დასაშვებია წონითი კატეგორიების მიჯნების გაზრდა. წელს 4 ჯგუფი მონაწილეობდა - 60, 70, 80 და 90 კგ. წონისა. შემდეგ კი დღეობის ფალავნობის პრეტენდენტები შეებრძოლნენ ერთმანეთს. ძირითადად ზედა ორი კატეგორიიდან ჩაეწერნენ, მაგრამ აქაც მოულოდნელობა გველოდა: ამ ჯგუფში აღმოჩნდა 70 კგ. კატეგორიაში ხელმოცარული 18 წლის ჯაბა მჭედლიშვილი (თბილისი), რომელმაც „თავისივე შეცდომის“ გამოსწორება აქ მოინდომა. როგორც მოსალოდნელი იყო, ეს ვერ შეძლო, მაგრამ კარგი ინტერმედიული სანახაობა კი შესთავაზა მაყურებელს, როდესაც რამდენჯერმე სცადა მეტოქის კისრულით წამოღება (მართალია, ჩოქელა კისრულით, მაგრამ კისრული მაინც ულამაზესი ფანდია).

„ეს რა ბაში-აჩუკისა და აბდუშაჰილის ჭიდაობა გამართე... რომელი უბნელი ხარ?“ - ვკითხე ამჯერად საპატიო შერკინებაში დამარცხებულს, იმის იმედით, რომ ერთ დროს ქართული ჭიდაობის დიდად მოყვარული და თავისივე უბნელი ფალავნების გამომზრდელ ქალაქში ჩაუმქრალ კერას აღმოვაჩენდი. „კახელი ვარ...“ - მიპასუხა. ფშაველიდან ყოფილა; არის ასეთი ულამაზესი სოფელი თელავის რაიონის განაპირას.

ფალავნობის მაძიებელთა ჯგუფში ულამაზესი ჭიდაობა გაიმართა 90 კგ. წონით კატეგორიაში მესამე ადგილზე გასულ ლაშა ბერიძესა (რუსთავი) და დღეობის შარშანწინდელ ფალავანს, თელეთელ შოთა თურმანიძეს შორის. მიუხედავად იმისა, რომ მსაჯობაში იყო ცალკეული ხარვეზები, საჭოჭმანო შეფასებანი, მაყურებელთა ჩარევა (განსჯის დონეზე), თვით სპორტსმენების მოქცევა, თავდაჭერა ნამდვილად სანიმუშო იყო და, ამდენად, ეს შემთხვევა არ გასცილებია საერთო ზრდილობისა და ურთიერთპატივისცემის ფარგლებს. შეხვედრაც გადამწყვეტი ქულის მოპოვებით ბერიძემ მოიგო, მაგრამ ამ უმძიმესი ბრძოლის შემდეგ დამარცხდა ნორიოელ იაგო ჯავახიშვილთან. თელეთელმა ყარამან ჯავახიშვილმა კი მსუბუქი მჭედლიშვილის არცთუ სასურველი მეტოქეობის შემდეგ მშვენიერი ათლეტური აღნაგობის გორელი ზვიად ბაზანდარაშვილი დაამარცხა, რომელმაც 80 კგ. წონაში მე-3 ადგილი დაიკავა. საფალავნო ჯგუფში ზვიადმა თავის კატეგორიაში გამარჯვებულ საგარეჯოელ ლევან გობეჯიშვილს კი მოუგო, მაგრამ, როგორც ზევით ვთქვით, მოგვარეების (ყარამანისა და იაგოს) წყვილი ვერ გახლიჩა. საბოლოოდ ნორიოელმა ჯავახიშვილმა ღირსეულად მოიპოვა თელეთობის მე-10 საჭიდაო ტურნირის ფალავნობა.

თითქოს ამ სქემატური მიმოხილვიდანაც უნდა ჩანდეს, რომ ფალავნობისთვის ბრძოლა სულ თანაბარზომიერად არ მიმდინარეობდა; ფიცხელ შეჭიდებაში გამარჯვებული მორიგ მეტოქეს უნდა შეხვედროდა, რომელსაც კარგა ხანი დამთავრებული ჰქონდა თავისი წარმატებული გამოსვლა. ისე, სიმონ მაისურაძის წიგნი „ქართული ჭიდაობა“ (1984) გვამცნობს, რომ (ერთი და იგივე მოჭიდავისთვის) „დროის შუალედი უნდა იყოს 30 წუთი“. შეიძლება ეს წესი უკვე შეცვლილიცაა და ეს პაუზა შემცირებულია, მაგრამ სულ გაუქმებული ხომ არ იქნება?

აი, ასეთი პაუზების შესავსებად, ახლახან გამარჯვებულის შესაქებლად, ან ადრე ბრძოლაგადახდილი მოჭიდავეების გასახურებლად, აგრეთვე საზეიმო განწყობილების ასაწევად ქართული ჭიდაობის აუცილებელი თანმხლები იყო ხალხური ცეკვა. თვითონ ქართულ ჭიდაობას შინაგანი კავშირი აქვს ცეკვასთან. ყოველ შემთხვევაში, მისი გარეგნული მხარე - წრეზე შემოსვლა, დგომა, მისალმება, შეყოვნების შემდეგ ორთაბრძოლის განახლება მეტ-ნაკლებად ავლენს სპორტსმენის მისწრაფებას, იმპროვიზაციულად მიუსადაგოს ქართული ცეკვის ელემენტები, ზოგადი მოძრაობები თავის საჭიდაო სტილს. ამას, ცხადია, მუსიკის თანხლებაც უწყობს ხელს.

რაც მთავარია, ახლო წარსულის პრესის, ლიტერატურის დამოწმებით, ჩვენთვის საინტერესო მოვლენა ორგანულად ყოფილა ჩართული მე-19, მე-20 საუკუნეების ასპარეზობებზე. კულა გლდანელი წაცეკვებით იწყებდა თურმე თავის გამოსვლას. ხალხმრავალ ასპარეზობებზე ცეკვა მოსათელავ, აზამბარში მოსვლის, სპორტული დატვირთვის შეთანასწორების საშუალებად მიაჩნდათ. ერთ მაგალითსაც ვიკმარებ: მოიგონეთ ქართული ხალხური ყოფის უდიდესი მცოდნისა და გულშემატკივრის მიხეილ ჯავახიშვილის „არსენა მარაბდელის“ პირველივე ეპიზოდები, სადაც საჭიდაო ასპარეზზე ხალხური ცეკვის ჩართვაა აღწერილი.

## „არსენალმა“ საკუთარ კარში გაიტანა

როდესაც ბელგიელი სამართალდამცავები საფეხბურთო კლუბ „ბევერენის“ ფინანსურ საქმეებს სწავლობდნენ, აღმოაჩინეს მილიონ-ნახევარი ევრო, რომელიც კლუბში გაურკვეველმა პირებმა 2001 წელს ჩადეს. სამართალდამცავები ფიქრობდნენ, რომ ეს თანხა მათ მაფიაზე გაიყვანდა, მაგრამ, ყველასთვის მოულოდნელად, კვალი ლონდონის „არსენალისკენ“ წავიდა.

თუმცა, მთელი ეს ისტორია გაცილებით ადრე დაიწყო. 1983 წელს ფრანგულ კლუბ „კაენის“ მწვრთნელმა ჟან-მარკ გიომმა თავის თანაშემწედ 34 წლის არსენ ვენგერი დანიშნა. ახალგაზრდა მწვრთნელი საკმაოდ პერსპექტიული გამოდგა და ერთ წელიწადში გიომის ადგილიც დაიკავა, თუმცა ამას ორ ადამიანს შორის ურთიერთობა არ გაუფუჭებია. მეტიც, გიომისა და ვენგერის მეგობრობა დღემდე გრძელდება.

როდესაც გიომმა საუკეთესო კოტდივუარულ კლუბ asec-თან ერთად საფეხბურთო აკადემია დააარსა, რათა აფრიკელი ტალანტებისთვის ევროპაში გაეხსნა გზა, ამ პროექტში ფინანსური მონაწილეობა „მონაკომაც“ მიიღო. მაშინ მონეგასკურ კლუბს სწორედ ვენგერი ედგა სათავეში. ხოლო როდესაც ვენგერმა 1995 წელს „მონაკო“ დატოვა, სამთავროს ფინანსური დახმარება სპილოსძვლისკუნძულელებს შეუწყდათ, მაგრამ კავშირი ვენგერთან არ გაწყვეტილა. ვენგერმა თავის ათ მეგობართან ერთად საკუთარი ფული ჩადო აკადემიაში. კერძოდ, ვენგერის შენატანი 30 000 გირვანქა სტერლინგი იყო. გამოქვეყნებული დოკუმენტებიდან ნათელი ხდება, რომ არსენ ვენგერის მოგება ფეხბურთელების გაყიდვის შემდეგ 100 000 გირვანქა სტერლინგი უნდა ყოფილიყო. თანხა არც ისე დიდია, მაგრამ „არსენალის“ ახლანდელ მწვრთნელს ამ პროექტში ფული საერთოდ არ აინტერესებდა. ბატონი ვენგერი დღემდე ამტკიცებს, რომ ეს ფინანსური დაბანდება არ ყოფილა და მან უბრალოდ ქველმოქმედების სახით გადაურიცხა საფეხბურთო აკადემიას ზემოხსენებული თანხა.



ვენგერს ფინანსური ალღოც ჰქონია.

აღსანიშნავია, რომ მალე asec-სა და აკადემიას შორის პრობლემები დაიწყო. დავას ფეხბურთელების გაყიდვით შემოსული თანხის განაწილება იწვევდა. ვის ეკუთვნოდა მეტი - asec-ს თუ აკადემიას, ამის გარკვევა ვერაფრით ვერ მოხერხდა. ამის გამო გიომმა კლუბი დატოვა. სამაგიეროდ შეინარჩუნა აკადემია და მეტად ორიგინალური ხერხი მოიფიქრა, რათა აკადემიის აღსაზრდელები ევროპულ არენაზე გაეყვანა. ამისთვის გიომს რომელიმე ევროპული კლუბის ყიდვა სჭირდებოდა. თავადაც ხვდებით, რომ ეს არც ისე იაფი სიამოვნებაა. გიომს ამისთვის საჭირო თანხა არ ჰქონია. გიომმა კლუბიც კი შეარჩია. რაკი ბელგიაში ლეგიონერებზე ლიმიტი არ არსებობს, ფრანგმა ბიზნესმენმა სწორედ ბელგია აირჩია. იმ პერიოდში ფინანსური პრობლემები ჰქონდა „ბევერენს“ და გიომმაც ამ კლუბს დაადგა თვალი. „ბევერენის“ საყიდლად კი მილიონ-ნახევარი გირვანქა სტერლინგი იყო საჭირო.

სწორედ ამ დროს გაიხსენა ჟანმარკ გიომმა ძველი ურთიერთობა ვენგერთან და დახმარებისთვის მას მიმართა. 2001 წლის აგვისტოში არსენალმა კლუბის პრეზიდენტის დევიდ დინის ხელმოწერით გასცა უპრეცედენტო კრედიტი 205 ათასი გირვანქა სტერლინგის ოდენობით. ეს თანხა გადაერიცხა ვინმე რაულ დე ვალეს, რომელიც კომპანია goal-ის მმართველობაში ირიცხებოდა. სწორედ ამ თანხის დახმარებით ჩამოყალიბდა კონსორციუმი, რომელმაც შემდეგ იყიდა კლუბი „ბევერენი“.

ამ კომპანიას ფეხბურთელების გაყიდვით შემოსული მოგების 60 პროცენტი ეკუთვნოდა, გიომს - 30, კლუბს კი - 10. ცოტა ხანში კომპანიამ კლუბის სასარგებლოდ 20 პროცენტი დათმო.

შემდეგ „ბევერენს“ ფინანსური პრობლემები დაეწყო. ერთი შეხედვით რა შუაშია აქ „არსენალი“, თუმცა კავშირი პირდაპირია. „ბევერენის“ პრეზიდენტი ამტკიცებს, რომ კომპანია „გოლი“, რომელიც კლუბის საკონტროლო აქციების პატრონია, ფაქტობრივად „არსენალს“ ეკუთვნის. სწორედ ესაა ახალი სკანდალის მიზეზი. ფიფასა და უეფას კანონებით კლუბებს ეკრძალებათ სხვა კლუბებში ფინანსური წილის ქონა. თუმცა არ არსებობს პირდაპირი მტკიცებულება იმისა, რომ კომპანია „გოლის“ უკან „არსენალი“ დგას.

კლუბის ადვოკატები ამტკიცებენ, რომ „არსენალს“ პრობლემები არ შეექმნება, რადგან ლონდონურ კლუბსა და კომპანია „გოლს“ შორის პირდაპირი კავშირის დამტკიცება ფიზიკურად შეუძლებელია. თუმცა, არავინ იცის, რა მიიღო ამ უპრეცედენტო კრედიტის გაცემის შემდეგ „არსენალმა“. ერთი რამ ფაქტია: „ბევერენის“ საშუალებით ამ ბოლო წლებში „არსენალს“ არც ერთი მნიშვნელოვანი ფეხბურთელი არ შეუძენია.

მიუხედავად იმისა, რომ მტკიცებულებები არ არსებობს, შეიძლება ითქვას, რომ ამ შემთხვევაში „არსენალმა“ საკუთარ კარში გაიტანა გოლი. ჯერ ერთი, ფიფა-უეფამ უკვე დაიწყო საქმის გამოძიება. თუ შემთხვევით დადასტურდა კავშირი „არსენალსა“ და კომპანია „გოლს“ შორის, ლონდონური კლუბი, შესაძლოა, ევროტურნირებიდან მოიკვეთოს. ატეხილმა სკანდალმა საკმაოდ შელახა „მეთოფეთა“ პრეზიდენტის დევიდ დინის იმიჯი - ცოტა ხნის წინ მან დაკარგა ადგილი ინგლისის საფეხბურთო ასოციაციის გამგეობაში. დინს „მანჩესტერ იუნაიტედის“ გენერალური დირექტორი დევიდ ილი ჩაენაცვლა.

## „რენოს“ ახალი სახე

ფორმულა 1-ის გუნდი „რენო“ სილვერსტოუნის ტრასაზე საკუთარ ბოლიდებს ახალი შეფერილობით წარადგენს. ერთი წლის წინ „რენოს“ ლურჯ ბოლიდებს ფენიქსი ამშვენებდა, ახლა კი „რენოს“ ბოლიდებზე ნახტომისთვის მომზადებული ვეფხვი იქნება გამოხატული.

## ხანტი-მანსისკი ოლიმპიადას უმასპინძლებს

2010 წლის საჭადრაკო ოლიმპიადას რუსეთის ქალაქი ხანტი-მანსისკი უმასპინძლებს. ასეთი გადაწყვეტილება მიიღო ჭადრაკის საერთაშორისო ფედერაციამ. ოლიმპიადის მასპინძლობას რუსეთი, პოლონეთი, ესტონეთი, ლატვია, არგენტინა და სერბეთი ეცილებოდნენ ერთმანეთს. ხანტი-მანსისკის გამარჯვება მეტწილად კირსან ილუმჟინოვის ფაქტორმა განაპირობა.

## მეივეზერი და დე ლა ჰოია ერთად

ცნობილი მწვრთნელი ფლოიდ მეივეზერ უფროსი დათანხმდა გააგრძელოს ოსკარ დე ლა ჰოიასთან მუშაობა. საქმე ისაა, რომ დე ლა ჰოია უახლოეს მომავალში მეივეზერ უმცროსს უნდა შეხვდეს. უფროს მეივეზერს კი არ სურდა დე ლა ჰოიას მომზადება საკუთარ შვილთან დაპირისპირებისთვის, თუმცა ბოლო მომენტში მწვრთნელმა გადაიფიქრა.

„ვცდილობდი მამობრივი გრძნობები გამომემჟღავნებინა. არ მინდოდა, რომ ოსკარს ჩემს შვილთან ეჩხუბა. ამიტომ ვამბობდი უარს დე ლა ჰოიას მწვრთნელობაზე, მაგრამ თუ ოსკარმა გადაწყვიტა, რომ ჩემს ბიჭს დაუპირისპირდება და დახმარებას მთხოვს, თანაც მისაღებ ჰონორარს შემომთავაზებს, მასთან მუშაობაზე უარს არ ვიტყვი“, - აცხადებს მეივეზერ უფროსი.

## ვითამაშოთ სუფთა ფეხბურთი

ფიფას პრეზიდენტმა ზეპ ბლატერმა ურჩია მსოფლიო ჩემპიონატზე მომუშავე მსაჯებს, რომ უფრო მკაცრად შეაფასონ ის მომენტები, როდესაც ფეხბურთელი ფეხბურთელს იდაყვს ურტყამს.

„მსაჯებს მხოლოდ ერთი ინსტრუქცია მივეცი. ჩვენ უნდა ვიბრძოლოთ იმისთვის, რომ ლამაზი ფეხბურთი ვიხილოთ. ხშირია შემთხვევა, როდესაც საჰაერო ბრძოლისას ფეხბურთელები იდაყვებს ურტყამენ ერთმანეთს. მსაჯებს ვთხოვე, რომ ასეთ ეპიზოდებში დამნაშავეები მკაცრად დასაჯონ“, - ამბობს ბლატერი.

## უმნიშვნელო მატჩი

ხორვატიის ნაკრების მთავარ მწვრთნელს ზლატკო კრანჩარს მიაჩნია, რომ მისი გუნდისთვის დიდი მნიშვნელობა არა აქვს, თუ როგორ დასრულდება მატჩი ხორვატიისა და ბრაზილიის ნაკრებ გუნდებს შორის.

„ჩვენი მთავარი ამოცანა ავსტრალიასთან და იაპონიასთან გამარჯვებაა და სწორედ ამ მატჩებზე ვფიქრობთ. ბრაზილია მსოფლიოს ხუთგზის ჩემპიონია და მათთან თამაშში ჩვენ დასაკარგი არაფერი გვაქვს. მერწმუნეთ, ჩვენი ნაკრებისთვის ბრაზილიასთან თამაშს არავითარი მნიშვნელობა არა აქვს. მთავარი შემდეგი ორი მატჩი იქნება“, - ამბობს კრანჩარი.

## რაით-ფილიპსი არ ნანობს

ინგლისის ნაკრების ნახევარმცველმა შონ რაით-ფილიპსმა განაცხადა, რომ არ ნანობს „ჩელსიში“ გადასვლას. შეგახსენებთ, რომ ლეგენდარული იან რაითის გერი გასულ სეზონში გადავიდა ლონდონურ კლუბში და სათამაშო პრაქტიკა თითქმის არ ჰქონია. „არც ერთხელ არ მინანია, რომ „ჩელსიში“ გადავედი. როდესაც კონტრაქტს ვაწერდი ხელს, კარგად ვიცოდი, რომ ძირითადში თამაშის გარანტიას არავინ მომცემდა. რაც არ უნდა იყოს, „ჩელსიში“ გამოცდილება შევიძინე და ჩამოვყალიბდი როგორც ფეხბურთელი „, - აცხადებს შონი.

## ყოველი მესამე ტაილანდელი

ტაილანდის ყოველი მესამე მცხოვრები აპირებს, რომ თვალყური ადევნოს მსოფლიო ჩემპიონატის ფინალური ეტაპის მატჩებს. ქვეყანაში ჩატარებული გამოკითხვის შედეგად გაირკვა, რომ 20 მილიონი ადამიანი აპირებს პირდაპირ ეთერში უყუროს მუნდიალის მატჩებს, სამი მილიონი კი ტოტალიზატორშიც ითამაშებს. სავარაუდოა, რომ მარტო ტაილანდში ფსონზე 370 ათასი დოლარი დაიდება.

## ჩვენ მზად ვართ!

ასეთი განცხადება გააკეთა ორშაბათს ინგლისის ნაკრების მთავარმა მწვრთნელმა სვენ გორან ერიქსონმა.

„თუ მსოფლიო ჩემპიონატზე მონაწილე გუნდების მწვრთნელებს შეეკითხებით, ისინი გეტყვიან, რომ პატივს სცემენ ინგლისის ნაკრებს. რუნის გარეშეც საკმაოდ ძლიერი გუნდი გვყავს. ჩვენს ნაკრებში თამაშობს მაიკლ ოუენი. ახლა კი კრაუჩიც გამოჩნდა. ინგლისის ნაკრების ნახევარდაცვას შეხედეთ. ასეთ გუნდს ნებისმიერი მწვრთნელი ინატრებდა. შეკრებაზე კარგად ვივარჯიშეთ და შემიძლია გითხრათ, რომ მსოფლიო ჩემპიონატისთვის ასი პროცენტით მზად ვართ“, - აცხადებს შვედი სპეციალისტი.

## პარაგვაული სასწაული

მიუნხენის „ბაიერნისა“ და პარაგვაის ნაკრების ფორვად როკე სანტა კრუზს მიაჩნია, რომ მის გუნდს მუნდიალის პირველივე მატჩში შეუძლია სიურპრიზის მოწყობა და ინგლისის ნაკრების დამარცხება.

„ვიცი, რომ ჩვენთვის პირველი მატჩი მეტად რთული იქნება. ვფიქრობ, ინგლისის წინააღმდეგ მატჩში პირველ რიგში კარგი ფეხბურთი უნდა ვაჩვენოთ და ამ შემთხვევაში გამარჯვებაც შეგვიძლია. რაც შემეხება მე, მთავარია მსოფლიო ჩემპიონატის დასაწყისს სრულიად ჯანმრთელი შევხვდე და შევძლო მინდორზე გასვლა“, - ამბობს პარაგვაელთა ტრავმირებული ლიდერი როკე სანტა კრუზი.

## კრესპოს ჩემი ეშინია

„ჩელსისა“ და კოტ დ'ივუარის ნაკრების ფორვარდმა დიდიე დროგბამ განაცხადა, რომ მსოფლიო ჩემპიონატზე არგენტინასთან მატჩის დროს დაივიწყებს, რომ ერნან კრესპო მისი თანაგუნდელია.

„კრესპოს ჩემი ეშინია და ეშინია ჩვენი ნაკრების წინააღმდეგ თამაშის. ამის თაობაზე თავად მითხრა, სანამ გერმანიაში გამოფრინდებოდა. მან თქვა: „არგენტინელებს არ უყვართ აფრიკელების წინააღმდეგ თამაში, რადგან ამის ცუდი გამოცდილება აქვთ - არგენტინა კამერუნთან დამარცხდა 1990 წლის მსოფლიო ჩემპიონატზე და ნიგერიასთან - 1996 წლის ოლიმპიურ თამაშებზე. მინდა, რომ არგენტინა პლეიოფების მიღმა დავტოვო. არგენტინის ნაკრებს გოლს გავუტან და დავივიწყებ, რომ ამ გუნდში ჩემი თანაგუნდელი თამაშობს“, - ამბობს დიდიე დროგბა.

## ჯაზ-ფესტივალი მუნდიალზე

ფეხბურთი და მუსიკა უკვე განუყოფელია. ამის კიდევ ერთი დასტური გერმანული მაგალითი იქნება. მსოფლიო ჩემპიონატის მატჩები ბალაქ კიოლნშიც გაიმართება. მუნდიალის ორგანიზატორებმა სპეციალურად ფეხბურთის გულშემატკივრებისთვის კიოლნში ჯაზ-ფესტივალის გამართვაც კი გადაწყვიტეს. ფესტივალი 30 ივნისს დაიწყება და 7 ივლისამდე გასტანს.

## ფრაი „დორტმუნდში“

ფრანგული „რენისა“ და შვეიცარიის ნაკრების წევრი ალექსანდრ ფრაი მომავალი სეზონიდან დორტმუნდის „ბორუსიას“ ღირსებას დაიცავს. ორი კლუბის ხელმძღვანელებმა უკვე მიაღწიეს შეთანხმებას. კონტრაქტს უახლოეს დღეებში პარიზში მოეწერება ხელი.

## ფაბრეგასი და რეიესი

მადრიდის „რეალის“ პრეზიდენტობა ცნობილ ავტომრბოლს კარლოს საინსსაც სწადია. საინსის თქმით, თუ მან 2 ივლისის არჩევნებში გაიმარჯვა, აუცილებლად იყიდის სესკ ფაბრეგასსა და ხოსე ანტონიო რეიესს, რადგან მიაჩნია, რომ „რეალმა“ ახლგაზრდებზე უნდა გააკეთოს აქცენტი. თავად ფაბრეგასს არაერთხელ უთქვამს, რომ მადრიდის „რეალში“ მისი გადასვლა გამორიცხულია.

## ვიდუკა ნაკრებიდან მიდის

ინგლისური „მიდლსბროსა“ და ავსტრალიის ნაკრების ფორვარდმა მარკ ვიდუკამ განაცხადა, რომ მსოფლიო ჩემპიონატის შემდეგ წავა ავსტრალიის ნაკრებიდან.

ავსტრალიის ნაკრების კაპიტანი ამთავრებს სანაკრებო კარიერას, რომ საკლუბო წარმატებები მოიპოვოს.

## კანავარო კაპიტნობას არ დათმობს

„იუვენტუსის“ მცველმა ფაბიო კანავარომ განაცხადა, რომ არ დათმობს იტალიის ნაკრების კაპიტნის სამკლაურს, მიუხედავად იმისა, რომ ფეხბურთელმა საკმაოდ მკაცრი განცხადებები გააკეთა იტალიის ფეხბურთის ფედერაციის მიმართ ქვეყანაში ატეხილი საფეეხბურთო სკანდალის გამო.

ორიოდე დღის წინ კანავარომ განაცხადა, რომ ლუჩანო მოჯის საქციელი არაფრით განსხვავდებოდა სხვა წამყანი იტალიური კლუბების მესვეურების საქციელისგან. „მე არაფერს ვმალავ და არაფრის მრცხვენია. ჩემს წინააღმდეგ ბინძური კამპანია ააგორეს, მაგრამ მწვრთნელი და თანაგუნდელები მენდობიან და კაპიტონობის დათმობას არ ვაპირებ“, - თქვა კანავარომ იტალიელ ჟურნალისტებთან საუბარში.

## ცოლის გარეშე

იმ დროს, როდესაც ინგლისის ნაკრების კაპიტანი დევიდ ბექჰემი ბრიტანეთის ღირსებას დაიცავს მსოფლიო ჩემპიონატზე, მისი ერთგული მეუღლე ვიქტორია ადამსი ინგლისის ნაკრების ფეხბურთელების ცოლებთან ერთად გერმანულ კურორტ ბადენ ბადენში დაისვენებს. რაც შეეხება ინგლისის ნაკრებს, სვენ გორან ერიქსონის გადაწყვეტილებით, ფეხბურთელები სრულ იზოლაციაში იქნებიან და ცოლებთან ურთიერთობა არ ექნებათ.

## მაჰდავიკიამ ვარჯიში დაიწყო

ირანის ნაკრების ნახევარმცველმა მეჰდი მაჰდავიკიამ ვარჯიში დაიწყო და მსოფლიო ჩემპიონატის დაწყებისთვის სრულ მზადყოფნაში იქნება. ირანელთა ერთ-ერთ ლიდერს სერიოზული ტრავმა აწუხებდა, თუმცა, ეტყობა, ყველაფერი მოგვარდა და ფეხბურთელი მსოფლიო ჩემპიონატზე თამაშს შეძლებს.

## კოსტა რიკელთა გეგმა

კოსტა-რიკის ნაკრების მეკარე ხოსე პორასი აცხადებს, რომ მუნდიალის პირველ მატჩში გერმანიის ნაკრების წინააღმდეგ მისი გუნდი გოლის გაშვებას არ აპირებს.

„რთული მატჩი გველის. მთელი ცხოვრება ვოცნებობდი, რომ ასეთ თამაშში მიმეღო მონაწილეობა. ყველა ამტკიცებს, რომ გერმანია იოლად მოიგებს, მაგრამ კოსტარიკელებს გვჯერა, რომ ასე არ იქნება. მეტსაც გეტყვით: გერმანიასთან მატჩში გოლს არ გავუშვებთ“, - აცხადებს პორასი.

## კეჟმანს საფრთხე არ ემუქრება

რამდენიმე დღის წინ სერბეთის ნაკრების წამყვანმა ფორვარდმა მატეი კეჟმანმა ვარჯიშზე ტრავმა მიიღო. სერბი ექიმების თქმით, ტრავმა არც ისე სერიოზულია და ფეხბურთელი მსოფლიო ჩემპიონატის პირველ მატჩში შეძლებს მინდორზე გასვლას. ექიმების თქმით, კეჟმანს ორი-სამი დღე დასვენება სჭირდება და შემდეგ ყველაფერი კარგად იქნება.

## 250 მილიონი მაყურებელი

მსოფლიო ჩემპიონატის საორგანიზაციო კომიტეტის განცხადებით, მუნდიალის ფინალურ მატჩს ტელევიზიით 250 მილიონი გულშემატკივარი ადევნებს თვალყურს.

ჯერჯერობით რეკორდი 2002 წლის მსოფლიო ჩემპიონატის ფინალს ეკუთვნის. ბრაზილიისა და გერმანიის ფინალურ მატჩს ტელევიზიით 218 მილიონმა ადამიანმა უყურა. სავარაუდოდ, რეკორდი 9 ივლისს მოიხსნება.

# პარიზში სენსაციების დრო დადგა

პარიზში გრძელდება საფრანგეთის ღია პირველობა ჩოგბურთში. კვირას მორიგი მატჩები გაიმართა და ტურნირმა პირველი დიდი სენსაციებიც გვაჩუქა. უპირველეს ყოვლისა, ეს ქალთა ასპარეზობაზე ითქმის, რომელსაც 4 ივნისს ამელი მორსემო და მარია შარაპოვა გამოეთიშნენ.

შარაპოვამ თანამემამულე დინარა საფინასთან დათმო შეხვედრა. მარატის დამ უფრო ტიტულოვან თანამემამულეს სამ სეტში მოუგო. მართალია, ეს შედეგი სენსაციურად ჩაითვალა, მაგრამ ამ მოულოდნელობას გარკვეული ლოგიკა აქვს. დავიწყოთ იმით, რომ მარია ტურნირს მომზადებული ვერ შეხვდა, ტრავმირებული იყო და მხოლოდ „როლან გაროს“ დაწყების წინ შეძლო ტრავმის მოშუშება. დინარა საფინამ კი რამდენიმე ტურნირი ითამაშა თიხნარზე და თანაც საკმაო წარმატებით.

რაც შეეხება ტურნირის მთავარი ფავორიტის ამელი მორსემოს მარცხს, ამას კი ნამდვილად არავინ ელოდა. ფრანგების მთავარმა იმედმა ვაიდასოვასთან შეხვედრა კარგად დაიწყო და პირველი სეტი ტაიბრეიკზე მოიგო. შემდეგ კი მორესმოს თითქოს რაღაც დაემართა. მსოფლიოს პირველმა ჩოგანმა საერთოდ შეწყვიტა თამაში და მომდევნო ორი სეტი პირწმინდად წააგო.

რაც შეეხება მამაკაცთა ტურნირს, იგი სენსაციების გარეშე გრძელდება. მომდევნო წრეში გავიდნენ ფედერერი, დავიდენკო, ლუბიჩიჩი და ანჩიჩი. მოულოდნელობად შეიძლება მივიჩნიოთ ფრანგი ჟილ მონფისის თამაში, რომელიც თავადაც არ ელოდა, რომ საფრანგეთის ღია პირველობის მეორე კვირაში ისევ გავიდოდა



ვენუს უილიამსს გულშემატკივრები არ ადარდებს.

კორტებზე. ახალგაზრდა ფრანგი ჩოგბურთელისთვის მეოთხე წრეში გასვლა უდიდეს წარმატებად უნდა ჩავთვალოთ.

მას შემდეგ, რაც ტურნირს გამოეთიშნენ შარაპოვა და მორესმო, საფრანგეთის ღია პირველობის მოგების რეალური შანსი მიეცა ამერიკელ ვენუს უილიამსს, რომელიც წლეულს საკმაოდ კარგად თამაშობს. კვირას ვენუსმა სამ სეტში პატი შნიდერი დაამარცხა და შემდეგ ჟურნალისტებთანაც მოასწრო საუბარი.

**5 ივნისი**

**ვაჟები**

| | |
|---|---|
| იულიენ ბენეტო - ალბერტ მარტინი | 5:1 (მარტინმა თამაში შეწყვიტა) |
| ლეიტონ ჰიუიტი - რაფაელ ნადალი | 2:6,7:5,4:6,2:6 |
| რუბენ რამირეს იდალგო - ივან ლუბიჩიჩი | 3:6,6:3,3:6,6:2 |

**ქალები**

| | |
|---|---|
| სარა პერი - მარტინა ჰინგისი | 3:6,6:2,3:6 |

**- ტურნირზე მეორე კვირა დაიწყო. თქვენი თამაში კი ყოველ მატჩში უკეთესი ხდება. ელოდით თუ არა ამას?**

- გეთანხმებით. ტურნირი მართლაც კარგად დავიწყე. რომ გითხრათ, ამ ეტაპზე გასვლა ჩემთვის მოულოდნელი იყო-მეთქი, მართალი არ ვიქნები. ცხადია, როცა თამაშს ვიწყებდი, ვგეგმავდი, რომ ტურნირს მაქსიმალურად დიდხანს შემოვრჩებოდი.

**- ბოლო ხანს თამაში აშკარად არ გამოგდიოდათ...**

- დიახ. თუმცა საფრანგეთის ღია პირველობისთვის განსაკუთრებულად მოვემზადე.

**- ისევ მამა გავარჯიშებთ?**

- რა თქმა უნდა. ის ახლაც აქაა.

**- სერენას თამაში არ შეუძლია. ვარჯიშისას კორტზე სპარინგპარტნიორად ვის ირჩევთ?**

- როდესაც მე და სერენა ერთსა და იმავე ტურნირში გამოვდივართ, სპარინგსაც ვუწევთ ერთმანეთს. ახლა სერენა ვერ თამაშობს და ამიტომ პარტნიორების მოძებნა მჭირდება. ერთი მუდმივი სპარინგ-პარტნიორი არ მყავს, სხვადასხვას ვეთამაშები.

**- მამაკაცებს თუ ქალებს?**

- უფრო მამაკაცებს.

**- ეს გეხმარებათ?**

- დიახ. უკვე დიდი ხანია, რაც ვარჯიშებზე მამაკაცებთან ვთამაშობ. ისინი უფრო ძლიერები არიან და ეს ძალიან მეხმარება.

**- როგორ გგონიათ, გულშემატკივართა მხარდაჭერა ეხმარება თუ არა მორესმოს, ანუ ფანების ზედმეტი მხარდაჭერა ხომ არ იყო ამელის მარცხის მიზეზი?**

- არ ვიცი. საიდან უნდა ვიცოდე, რას ფიქრობს მორესმო და რა განწყობით თამაშობს. პირადად მე ტრიბუნებს საერთოდ არ ვაქცევ ყურადღებას. თითქოს ბლოკირებას ვახდენ, არც კი მესმის რა ხდება ტრიბუნებზე. ასე რომ, ჩემზე ეს არ მოქმედებს. მორსემოსთან დაკავშირებით კი ნამდვილად ვერაფერს გეტყვით.

# ქალი აღმოსავლურად, ქალი დასავლურად

*„ფიგარო მეგეზინის“ მტკიცებით, ქალთა ჩოგბურთში აღმოსავლეთსა და დასავლეთს შორის საკმაო ზღვარია. ფრანგული გამოცემა საკუთარ ნომერში აანალიზებს „როლან გაროსის“ მონაწილე ქალთა ფიზიკურ მონაცემებს.*

მაშ ასე, მსოფლიო რეიტინგის 50 საუკეთესო ჩოგბურთელიდან 21 სპორტსმენი აღმოსავლეთ „ბლოკზე“ მოდის, 22 - დასავლეთ „ბანაკზე“, ხოლო დანარჩენები აზიაზე, ავსტრალიასა და ლათინურ ამერიკაზეა გადანაწილებული. მართალია, ასეთ გათვლებში გარკვეული გაუგებრობა შეაქვთ შვეიცარიელ მარტინა ჰინგისს, რომელიც ყოფილი ჩეხოსლოვაკიიდანაა, ფრანგ გოლოვინას, რომელიც რუსეთიდანაა და ბელორუს, ახლა კი ისრაელის წარმომადგენელ სმაშნოვას, მაგრამ მაინც.

ფრანგული გამოცემის თანახმად, აღმოსავლეთ „ბლოკის“ ჩოგბურთელები უფრო მაღლები და ნატიფები არიან, დასავლეთი „ბლოკი“ კი უფრო ჩამჯდარი და ჯმუხი სპორტსმენებითაა წარმოდგენილი.

თუ აღმოსავლეთ „ბლოკის“ წარმომადგენელთა საშუალო სიმაღლე 1,75 სანტიმეტრია, დასავლეთის სპორტსმენები 1,71 სანტიმეტრამდე ძლივს ქაჩავენ.

მსოფლიო რეიტინგის 50 საუკეთესო ჩოგბურთელიდან 11 რუსეთზე მოდის. მათი სიმაღლე კი 1,77 სანტიმეტრია. ფიზიკური მონაცემების გამო ჟურნალი რუსებს მანეკენებს ადარებს.



შარაპოვამ აღმოსავლეთ ევროპელი ქალები ასახელა.

„გასაგებია, რომ შარაპოვას, დემენტიევას, პეტროვასა და საფინას „როლან გაროსზე“ ისე უყურებენ, როგორც მანეკენებს“, - კომენტარს აკეთებს „ფიგარო მეგეზინი“.

თუ ჩოგბურთელთა წონასაც გავითვალისწინებთ, მაშინ მათ შორის სხვაობა უფრო თვალშისაცემი გახდება. თემას აგრძელებს ფრანგული გამოცემა. აღმოსავლეთ „ბლოკის“ სპორტსმენები საშუალოდ 61 კილოგრამს იწონიან, დასავლეთ „ბანაკის“ წარმომადგენელთა სასწორი კი 63,4 კილოგრამს უკაკუნებს.

მაგალითად, შარაპოვა (სიმაღლე 184 სანტიმეტრი. წონა 57 კგ.) 10 სანტიმეტრით მაღალი და 11 კილოგრამით მსუბუქია ბელგიელ კიმ კლიისტერსზე, 9 სანტიმეტრით მეტი და 12 კილოგრამით მსუბუქი - ფრანგ ამელი მორსემოზე. რაც შეეხება ვინუს უილიამსს, მისი ზედმეტი სანტიმეტრის (185 სმ.) კომპენსირებას ახდენს 16 ზედმეტი კილოგრამი (ამერიკელი ჩოგბურთელი 73 კგ-ს იწონის).

ეს ციფრები. ახლა კომენტარს აკეთებენ ექიმ-დიეტოლოგები. აქ სიახლე არ არის. ყოველწლიურად ტარბის (საფრანგეთი) ტურნირზე, რომელსაც 12-14 წლამდელთა არაოფიციალურ მსოფლიო ჩემპიონატს უწოდებენ, აღმოსავლეთევროპელ გოგონათა (რუსები, ჩეხები, სლოვაკები) არმადა მოდის. მათი სიმაღლე კი ძალიან ხშირად 175 სანტიმეტრს აღწევს.

„ფიგარო მეგეზინი“ სწორედ ამ მონაცემებში ხედავს წარმატებათა საწინდარს და საკუთარ არგუმენტებს იმით ამტკიცებს, რომ 2000, 2004 და 2005 წელს ტარბის ტურნირზე გამარჯვება რუსებს დარჩათ, ხოლო 2001 წელს - იუგოსლავებს.

იმავე გამოცემის თანახმად, აღმოსავლეთის „ბლოკის“ გრძელფეხება გოგონათა შემოსევამ სპორტულ რეიტინგებზე გავლენა არ უნდა იქონიოს. თუ საუკეთესო ათეული 4-5 რუს გოგოს ითვლის, ქალთა შორის მოწინავე პოზიციები პრაქტიკულად დასავლეთის წარმომადგენლებს - დევენპორტს, ენინს, კლიისტერსს, მორესმოს უკავიათ. თუ, რა თქმა უნდა, ჩამოთვლილ ჩოგბურთელებს გამოვაკლებთ მარია შარაპოვას, რომელიც შარშან რამდენიმე კვირის განმავლობაში რეიტინგის მოწინავე იყო.

გარდა ამისა, დასძენს „ფიგარო მეგეზინი“, თუ რუსეთი სწრაფი ტემპით ამარაგებს მსოფლიოს ნიჭიერი ჩოგბურთელებით, არც ის უნდა დაგვავიწყდეს, რომ მათ დასავლეთი აშალაშინებს: შარაპოვა ამერიკაში გამოიწრთო, კუზნეცოვა - ესპანეთში, გოლოვინა კი - აშშ-სა და საფრანგეთში.

# სტივენ ჯერარდი ფინალში გერმანიას ელის

სტივენ ჯერარდი მომავალი მუნდიალის ერთ-ერთი გამორჩეული ვარსკვლავი იქნება. ჟურნალისტებთან საუბარში ინგლისის ნაკრების ლიდერი მომავალ მსოფლიო ჩემპიონატსა და საკუთარ კარიერაზე საუბრობს.

**- ვინ იყო თქვენი კერპი ბავშვობაში ვინ მოახდინა თქვენზე ყველაზე დიდი გავლენა?**

- უპირველეს ყოვლისა, მამამ! პატარაობიდანვე დამყვებოდა თამაშებზე. ჩემს ბუცებს, მაისურებს და ჩანთას დაატარებდა. რაც ყველაზე მნიშვნელოვანია, ყოველმხრივ მხარში მედგა, მარცხის დროს კი დაუღალავად მამხნევებდა. ახლაც, იშვიათად რომ ჩემი თამაში გააცდინოს - ლივერპულში თუ სტუმრად, მუდამ თან დამყვება. ფეხბურთელად ჩემს ჩამოყალიბებაში არანაკლებ დიდი როლი შეასრულა „ლივერპულის“ საფეხბურთო აკადემიის დირექტორმა სტივ ჰაივეიმ.

**- მსოფლიო ჩემპიონატთან დაკავშირებით, ყველაზე მკაფიოდ რა გაგონდებათ?**

- 1990 წლის ნახევარფინალი გერმანიასთან, რომელიც პენალტების სერიაში წავაგეთ. არასდროს დამავიწყდება პოლ გესქოინის ცრემლები... იმ თამაშს მშობლებთან და ძმასთან ერთად ვუყურე, წაგების შემდეგ კი ისე ვტიროდი, ძლივს დამაწყნარეს...

**- 2002 წლის მსოფლიო ჩემპიონატზე ზურგის ტრავმის გამო ვერ ითამაშეთ, წელს კი პირველად იასპარეზებთ უდიდეს საფეხბურთო ტურნირზე...**

- ტრავმის გამო რომ მსოფლიო ჩემპიონატზე ვერ ითამაშებ... ეს ყველაზე ცუდი მოგონებაა... ამაზე არც ვფიქრობ... კორეა-იაპონიაში რომ მეთამაშა, ამ მსოფლიო ჩემპიონატს მაინც მოუთმენლად დაველოდებოდი, მაგრამ რადგან პირველად მიწევს ასეთი დონის ტურნირზე გამოსვლა, ალბათ ამიტომაა, რომ მოედანზე გასვლამდე წუთებს ვითვლი.

**- რას ნიშნავს თქვენთვის მსოფლიო ჩემპიონატი?**

- ძალიან ბევრს! „ლივერპულისა“ და ნაკრების შემადგენლობაში არაერთი მნიშვნელოვანი მატჩი ჩამიტარებია ჩემპიონთა ლიგასა თუ ევროპის ჩემპიონატზე, მაგრამ ვთვლი, რომ მსოფლიო ჩემპიონატი თავისი მნიშვნელობით ორივე შეჯიბრებაზე მაღლა დგას.

**- როგორ ფიქრობთ, შეძლებს ინგლისის ნაკრები მსოფლიო ჩემპიონატის მოგებას?**

- ხალხის თვალში ბრაზილიაა უპირველესი ფავორიტი, მაგრამ, მე თუ მკითხავთ, გერმანიაში ითამაშებს დაახლოებით შვიდი გუნდი, რომელსაც მსოფლიო ჩემპიონატის მოგების თანაბარი შანსი აქვს. ამ შვიდ გუნდში ვგულისხმობ ინგლისსაც, რომელიც, ჩემი აზრით, ძალიან კარგი გუნდია! თითოეული ჩვენგანი მომწიფებულია ამ დონის შეჯიბრების მოსაგებად.

**- რა შემატა სვენ-გორან ერიქსონმა ინგლისის ნაკრებს?**

- პირველ რიგში, მხიარულება - ნაკრების თითოეული ფეხბურთელი მოუთმენლად ელის მიწვევას და ეს იმ ატმოსფეროს გამო, რომელიც მან შექმნა გუნდში.

**- რა არის ინგლისის ნაკრების ძლიერი და სუსტი მხარე?**

- ჩვენი პლუსია ის საოცარი ატმოსფერო, რომელიც გუნდში სუფევს. მერწმუნეთ, მართლა ძალიან გვსიამოვნებს მოედანზე ერთად გასვლა და ინგლისის ღირსების დაცვა! ამას გარდა, თითოეული ჩვენგანი საკმაოდ ძლიერი მოთამაშეა. რაც მთავარია, ინგლისის პლუსია ჩვენი ერთგული ქომაგი, რომელიც მუდამ მხარში გვიდგას! რაც შეეხება სუსტ მხარეს, ამაზე არ ვისაუბრებ.

**- რამდენად განსხვავდება თქვენი თამაში ინგლისის ნაკრებში და „ლივერპულში“?**

- კლუბში ნახევარდაცვაში ჩემს მხარდამხარ ხაბი ალონსო და დიტმარ ჰამანი მოქმედებენ, რომლებსაც დაცვითი ფუნქციები აკისრიათ. ალბათ ამის გამოა, რომ ხშირად ვერთვები შეტევაში და ბოლო სეზონში კლუბის საუკეთესო ბომბარდირიც გავხდი. რაც შეეხება ნაკრებს, ჩემთან ერთად შუა ხაზში ფრენკ ლამპარდი და დევიდ ბექჰემი არიან. მათ კი არანაკლებ ეხერხებათ შეტევა. ამიტომ ნაკრებში არცთუ ხშირად მივდივარ წინ, თუმცა, როცა ასე ხდება, ლამპარდი და ბექჰემი მაზღვევენ...

**- თქვენს თანამემამულეებს თავი დავანებოთ. როგორ ფიქრობთ, ვის შეუძლია სიურპრიზის შემოთავაზება?**

- ორ ფეხბურთელს დავასახელებ: ლიონელ მესის და კაკას. ორივე ბრწყინვალე მოთამაშეა და ვფიქრობ, გერმანიაში თავიანთ კვალს დატოვებენ.

**- დაბოლოს, წარმოიდგინეთ, რომ მსოფლიო ჩემპიონატის ფინალში გახვედით და თქვენი მეტოქეა გერმანია...**

- ამას არაფერი სჯობს! ინგლისი და გერმანია ორი დიდი საფეხბურთო ქვეყანაა, მდიდარი ტრადიციებით... ოღონდ, თუ გერმანიას შევხვდებით, აუცილებლად უნდა მოვიგოთ!

# საჯარო სამართლის იურიდიული პირი - "ზღვისპირა პარკი" აცხადებს ტენდერს საქონლის შესყიდვაზე და იწვევს ტენდერში მონაწილეობის მისაღებად ყველა დაინტერესებულ პირს

*დანართი N 1*

**"დამტკიცებულია"**
სსიპ "ზღვისპირა პარკი"-ს
სატენდერო კომისიის 2006 წლის
2 ივნისის N 1 ოქმით

1. საჯარო სამართლის იურიდიული პირი - "ზღვისპირა პარკი" (ქ. ბათუმი, ნინოშვილის ქ., N 13) აცხადებს ტენდერს **ბათუმის ზღვისპირა პარკისათვის ავტოსატრანსპორტო (ძირითადი) საშუალებების შეძენა - შესყიდვაზე:**

| N | შესყიდვის ობიექტი | რაოდენობა |
|---|---|---|
| 1 | ნაგვის მანქანა | 2 ც |
| 2 | სატვირთო მინი ავტომანქანა | 1 ც. |
| 3 | სატვირთო ავტომანქანა | 1 ც |
| 4 | საცელავი მანქანა (ბენზინზე) | 5 ც. |
| 6 | ფეხით სავალი ბილიკების სარეცხი მანქანა | 1 ც. |

და იწვევს ტენდერში მონაწილეობის მისაღებად ყველა დაინტერესებულ პირს.

2. ტენდერის შედეგად გამოვლინებული მხოლოდ ერთი გამარჯვებული ვალდებული იქნება მოაწოდოს საქონელი სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების ძალაში შესვლის მე-5 დღიდან 2006 წლის 15 აგვისტოს ჩათვლით.

3. დაინტერესებულმა პირებმა საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასტურებელი დოკუმენტები და სატენდერო წინადადება ქართულ ენაზე, ორ ეგზემპლარად, დახურული კონვერტებით, უნდა **წარმოადგინონ 2006 წლის 6 ივნისიდან 2006 წლის 28 ივნისის 17 საათამდე** შემდეგ მისამართზე: ქ. ბათუმი, ნინოშვილის ქ., N 13, სსიპ "ზღვისპირა პარკის" ოფისი. პაკეტები გაიხსნება 2006 წლის 28 ივნისს 18 საათზე, დაინტერესებული პირებისა და სხვა მსურველთა თანდასწრებით.

4. ტენდერში მონაწილეობის მსურველი პირის საკვალიფიკაციო მონაცემები უნდა შეიცავდეს:

ა) პრეტენდენტის დასახელებას (სახელსა და გვარს), მის იურიდიულ მისამართსა და ფაქტიურ ადგილმდებარეობას (ადგილსამყოფელს), საფოსტო და ელექტრონული ფოსტის მისამართებს, ტელეფონებისა და ფაქსის ნომრებს, საბანკო რეკვიზიტებს, წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირების სახელსა და გვარს;

ბ) შესაბამისი საგადასახადო ინსპექციის ცნობას ბიუჯეტისადმი დავალიანების არ არსებობის შესახებ;

გ) ინფორმაციას ამ განცხადებაში მითითებულის ანალოგიური მომსახურების გაწევის გამოცდილების შესახებ, კონკრეტული მაგალითების და მოცულობების მითითებით. სასურველია, სათანადო სარეკომენდაციო წერილების წარმოდგენა;

დ) ცნობას შესაბამისი მატერიალურ-ტექნიკური ბაზის საკუთრებაში არსებობის ან იჯარაში აღების შესახებ და ფინანსური მდგომარეობის შესახებ, დადასტურებულს დამოუკიდებელი აუდიტური ფირმის მიერ;

ე) საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საინფორმაციო ცენტრის ცნობას იმის თაობაზე, რომ იურიდიული პირის წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი ფიზიკური პირები (ფიზიკური პირის შემთხვევაში - თვით ეს პირი) უკანასკნელი ხუთი წლის განმავლობაში არ იყვნენ მსჯავდებულები და ამჟამად მათ მიმართ არ მიმდინარეობს სისხლის სამართლის საქმე ეკონომიკურ ან სამსახურებრივ საქმიანობასთან დაკავშირებული დანაშაულისათვის.

***იურიდიული პირის შემთხვევაში:***

ვ) ამონაწერს სამეწარმეო რეესტრიდან;

ზ) რეგისტრაციის ადგილის მიხედვით სასამართლოდან ცნობას იმის თაობაზე, რომ მის მიმართ არ მიმდინარეობს გაკოტრების ან სანაციის საქმის წარმოება;

თ) რეგისტრაციის ადგილის მიხედვით საგადასახადო ინსპექციიდან ცნობას იმის თაობაზე, რომ არ მიმდინარეობს მისი რეორგანიზაცია ან ლიკვიდაცია;

ი) მის საკუთრებაში არსებული ქონების რეგისტრაციის ადგილის მიხედვით საჯარო რეესტრის ადგილობრივი სააგენტოს ცნობას ქონებაზე ყადაღის არ არსებობის შესახებ;

კ) მის წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირების პირადობის მოწმობის ასლს;

***ფიზიკური პირის შემთხვევაში:***

ლ) პირადობის მოწმობის ასლს;

მ) შესაბამისი სამედიცინო დაწესებულების ცნობას მისი ქმედუნარიანობის შესახებ;

ნ) საცხოვრებელი ადგილის მიხედვით რაიონული (საქალაქო) სასამართლოს ცნობას იმის თაობაზე, რომ არ მიმდინარეობს მის მიმართ გაკოტრების საქმის წარმოება;

არარეზიდენტმა პირმა საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასტურებელი დოკუმენტები უნდა წარმოადგინოს თავისი ქვეყნის შესაბამისი უფლებამოსილი ორგანოსა და საქართველოში დადგენილი წესით ნოტარიულად დამოწმებული თარგმანის სახით.

ამ პუნქტში ჩამოთვლილი საკვალიფიკაციო მოთხოვნები ასევე ეხება სუბკონტრაქტორებსაც, თუ პრეტენდენტი მათთან ერთად ადგენს სატენდერო წინადადებას.

5. სატენდერო დოკუმენტაცია, ქართულ ენაზე, მსურველებს შეუძლიათ 2006 წლის 22 ივნისამდე, დილის 10 საათიდან 17 საათამდე, მიიღონ სსიპ - "ზღვისპირა პარკის" ოფისში. დოკუმენტაცია გაიცემა აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროს სახაზინო სამსახურის ანგარიშზე N000142101, საქართველოს ეროვნული ბანკის ბათუმის ფილიალი, კოდი 220501102, 200 (ორასი) ლარის სატენდერო მოსაკრებლის ჩარიცხვის დამადასტურებელი დოკუმენტის ორიგინალის წარმოდგენისთანავე. ჩარიცხვის დოკუმენტში უნდა მიეთითოს გადახდის დანიშნულება - სატენდერო მოსაკრებელი, **ბათუმის ზღვისპირა პარკისათვის ავტოსატრანსპორტო (ძირითადი) საშუალებების შეძენა - შესყიდვაზე**.

6. საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასტურებელო დოკუმენტები და სატენდერო წინადადებები უნდა იქნეს წარმოდგენილი 2006 წლის 22 ივნისიდან 2006 წლის 28 ივნისის 17 საათამდე.

7. დაინტერესებულ პირებს დამატებითი ინფორმაციის მიღება შეუძლიათ ქალბატონ თამარ თავართქილაძესთან, სსიპ - "ზღვისპირა პარკის" ოფისში ან საქალაქო ტელეფონით (995222) 74721 ან მობილური ტელეფონით 8(77) 467777.

**სატენდერო კომისია**

---

**1. შპს ბათუმის წყალკანალი (ქ. ბათუმი წერეთლის ქ.N2) "სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის შესაბამისად აცხადებს ტენდერს საწვავის შეძენის სახელმწიფო შესყიდვაზე.**

| N | საქონლის დასახელება | რაოდენობა (ლიტრი) | მიწოდების ადგილი |
|---|---|---|---|
| 1 | ბენზინი სუპერი | 1400 | ქ.ბათუმი |
| 2 | ბენზინი ნორმალი | 7000 | ქ.ბათუმი |
| 3 | დიზელი | 54600 | ქ.ბათუმი |

2. საქონლის მიწოდება განხორციელდება ხელშეკრულების გაფორმების შემდეგ შემუშავებული გრაფიკის მიხედვით.

**3. დაინტერესებულმა პირებმა განცხადება (დალუქვის გარეშე), საკვალიფიკაციო მონაცემები და სატენდერო წინადადება, ქართულ ენაზე, ორ ეგზემპლარად, დალუქული პაკეტებით უნდა წარმოადგინონ 2006 წლის 24 ივნისიდან 2006 წლის 25 ივნისის 16 საათამდე შემდეგ მისამართზე ქ. ბათუმი, წერეთლის ქ. N2. (შპს ბათუმის წყალკანალი).**

4. საკვალიფიკაციო მონაცემები უნდა შეიცავდეს შემდეგ ცნობებსა და ინფორმაციას:

**4.1 იურიდიული პირისათვის:**

ა) ცნობას, რომ არ მიმდინარეობს ტენდერში მონაწილეობის მსურველი პირის რეორგანიზაცია (ცნობა წარმოდგენილი უნდა იქნეს საგადასახადოდან), ხოლო ლიკვიდაცია, გაკოტრებისა და რეაბილიტაციის საქმისწარმოება რომ არ მიმდინარეობს (ცნობა წარმოდგენილი უნდა იქნეს სასამართლოდან);

ბ) ცნობას შესყიდვაში მონაწილეობის მსურველი პირის ქონებაზე ყადაღის არარსებობის შესახებ. (ცნობა წარმოდგენილი უნდა იქნას საჯარო რეესტრის სააგენტოს ადგილობრივი ორგანოს მიერ);

**4.2. ფიზიკური პირისათვის:**

ა) ცნობას, შესაბამისი უფლებამოსილი სამედიცინო დაწესებულებიდან, რომ ფიზიკური პირი ქმედუნარიანია.

ბ) ცნობას, რომ მის მიმართ არ მიმდინარეობს გაკოტრების საქმისწარმოება (ცნობა წარმოდგენილი უნდა იყოს სასამართლოდან).

**4.3. როგორც ფიზიკური, ასევე იურიდიული პირისათვის:**

ა) შესყიდვაში მონაწილეობის მსურველი პირის რეკვიზიტები (მისამართი, ტელეფონი, ფაქსი, საბანკო რეკვიზიტები);

ბ) ამონაწერი სამეწარმეო რეესტრიდან შესყიდვაში მონაწილეობის მსურველი პირის რეგისტრაციის შესახებ.

გ) ცნობა შესაბამისი საგადასახადო ინსპექციიდან ბიუჯეტისადმი დავალიანების არქონის შესახებ;

დ) ინფორმაცია ანალოგიური საქონლის მიწოდების გამოცდილების შესახებ (მიწოდებული საქონლის მითითებით, რომელიც შესრულებული იქნა მონაწილეობის მსურველი პირის მიერ);

ე) ინფორმაცია შესაბამისი მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შესახებ (აუდიტორული დასკვნა).

5. სატენდერო დოკუმენტაცია შედგენილია ქართულ ენაზე. სატენდერო დოკუმენტაციის მიღება 2006 წლის 24 ივნისის 16 საათამდე ტენდერში მონაწილე პრეტენდენტებს 200 (ორასი) ლარის ოდენობის სატენდერო მოსაკრებლის (სს საქართველოს ბანკი ბათუმის ფილიალი ანგარიშის N116467042, ბანკის კოდი 220101506, საინდენტიფიკაციო კოდი 245386498 დანიშნულება სატენდერო მოსაკრებელი) გადახდის შემდეგ, შეეძლებათ მისამართზე: ქ. ბათუმი, წერეთლის ქ. N2.

6. პრეტენდენტებს უფლება აქვთ წარმოადგინონ ერთი სატენდერო წინადადება, ტენდერში გამოვლინდება ერთი გამარჯვებული.

7. დამატებითი ინფორმაცია დაინტერესებულ პირებს შეუძლიათ მიიღონ შემდეგი პირისაგან - დავით მიქელაძე, როინ დიასამიძე ტელ: 7-40-84 მისამართზე: ქ. ბათუმი, წერეთლის ქ. N2.

**სატენდერო კომისია**

---

## ცვლილება სატენდერო განცხადებაში

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ მ\წლის 9 მაისს გაზეთ "24 საათში" გამოქვეყნებულ 30 ახალი სასკოლო ავტობუსების შესყიდვის შესახებ სატენდერო განცხადებაში შევიდეს ცვლილებები, კერძოდ: "მიწოდების სასურველი ვადები, ნაცვლად 2006 1 აგვისტოსი, უნდა იყოს 2006 წლის 15 აგვისტო.

**საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო**

---

## ცვლილება სატენდერო განცხადებაში

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ მ\წლის 9 მაისს გაზეთ "24 საათში" გამოქვეყნებულ 30 ახალი სასკოლო ავტობუსების შესყიდვის შესახებ სატენდერო განცხადებაში შევიდეს ცვლილებები, კერძოდ:

| ლოტი | დასახელება | რაოდენობა | ადგილების რაოდენობა |
|---|---|---|---|
| I | ავტობუსი | 28 | არანაკლებ 21 |
| II | ავტობუსი | 2 | არანაკლებ 35 |

**საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო**

---

# შპს "საქართველოს რკინიგზა"

**მის ბალანსზე რიცხული 6 ერთეული 2 ტე10მ ტიპის თბომავალის რეალიზების მიზნით აცხადებს აუქციონს**

ინფორმაცია სარეალიზაციო ქონების შესახებ:

6 ერთეული 2 ტე10მ ტიპის თბომავალი N 2035 გამოშვების წელი- 1984; N2036 გამოშვების წელი-1984; N2316 გამოშვების წელი-1985; N2461 გამოშვების წელი-1985; N2975 გამოშვების წელი-1987; N0835 გამოშვების წელი-1983;

სარეალიზაციო ქონება მდებარეობს ქ. ხაშურში, შპს "საქართველოს რკინიგზის" ფილიალ "ხაშურის სალოკომოტივო დეპოს" ტერიტორიაზე.

ქონების საწყისი სარეალიზაციო ფასი შეადგენს 1900000 (ერთი მილიონ ცხრაასიათასი) ლარს, (დღგ-ს გარეშე). "ბე"-ს თანხა განისაზღვრება 95000 (ოთხმოცდათხუთმეტი ათასი) ლარით. ბიჯი შეადგენს 10000 (ათი ათასი) ლარს.

მონაწილის ბილეთის ფასი შეადგენს 100 (ასი) ლარს.

თბომავლების გატანას შპს "საქართველოს რკინიგზის" ტერიტორიიდან უზრუნველყოფს მყიდველი, საკუთარი ხარჯებით.

აუქციონში მონაწილეობა შეუძლია ყველა რეზიდენტ ან არარეზიდენტ ფიზიკურ და იურიდიულ პირს.

აუქციონში მონაწილეობის მისაღებად სააუქციონო კომისიას უნდა წარედგინოს შემდეგი დოკუმენტაცია:

განაცხადი, რომელიც შეიცავს ინფორმაციას მონაწილეზე, სარეალიზებო ქონების დასახელებას, საწყის ფასს და კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა მონაცემებს.

"ბე"-ს თანხის და "მონაწილის ბილეთის" ღირებულების გადახდის დამადასტურებელი საბანკო ქვითრები.

პირადობის დამადასტურებელი მოწმობის მონაცემები.

ნოტარიულად დამოწმებული მინდობილობა, თუ იგი მოქმედებს სხვა ფიზიკური ან იურიდიული პირის სახელით.

იურიდიული პირი დამატებით წარმოადგენს სადამფუძნებლო დოკუმენტაციის ნოტარიულად დამოწმებულ ასლს.

თუ ყველა წარმოდგენილი დოკუმენტი აკმაყოფილებს მოთხოვნებს მონაწილე იღებს "მონაწილის ბილეთს", რის შემდეგაც იგი ღებულობს მონაწილის სტატუსს.

აუქციონში გამარჯვებულის გამოვლენის კრიტერიუმია სარეალიზაციო ქონების შესაძენად მაქსიმალური ფასის შემოთავაზება.

"ბე"-ს, "მონაწილის ბილეთის" და სარეალიზებო ქონების გამოსასყიდი თანხის გადახდა უნდა მოხდეს შპს "საქართველოს რკინიგზის" ანგარიშსწორების ანგარიშზე შემდეგ რეკვიზიტებზე: ბანკი რესპუბლიკა ცენტრ. ფილიალი ა/ა N3407003205 ბანკის კოდი N220101757 საიდენტიფიკაცო კოდი N202886010.

აუქციონი ჩატარდება 2006 წლის 6 ივლისს 12 საათზე შპს "საქართველოს რკინიგზის" ადმინისტრაციულ შენობაში.

აუქციონში მონაწილეობაზე განაცხადები მიიღება აუქციონის ჩატარების თარიღამდე ბოლო ორი კვირის განმავლობაში, ყოველდღე, (შაბათ კვირის გარდა) 12 საათიდან 17 საათამდე, შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი თამარ მეფის გამზირი N15, შპს "საქართველოს რკინიგზა" მე-4 სართული, ტელ: .56-33-48, 56-53-18.

აუქციონის შედეგები მტკიცდება აუქციონის ჩატარებიდან 10 დღის განმავლობაში. აუქციონის შედეგების ოქმის დამტკიცების მომენტიდან 20 კალენდარული დღის განმავლობაში "გამარჯვებული" ვალდებულია გამყიდველთან გააფორმოს ხელშეკრულება, (რომელიც უნდა დამოწმდეს სანოტარო წესით), ქონების მიღება-ჩაბარების აქტთან ერთად, რომელიც წარმოადგენს მის განუყოფელ ნაწილს და სრულად გადაიხადოს ქონების გამოსასყიდი თანხა

საბოლოო გამოსასყიდი თანხის გადაუხდელობის შემთხვევაში "მყიდველს" "ბე" არ დაუბრუნდება და არ მიეცემა მესაკუთრის უფლება.

გამარჯვებულს "ბე"-ს სახით გადახდილი თანხა ჩაეთვლება სარეალიზაციო ქონების მთლიან ღირებულებაში.

აუქციონის შედეგებზე ხელმოწერის უარის მთქმელ პირს ერთმევა გამარჯვებულის სტატუსი და შეტანილი "ბე" არ დაუბრუნდება.

"მონაწილეს" "ბე"-ს დაუკავებლად უფლება აქვს, მხოლოდ განაცხადების მიღების პერიოდში განაცხადოს წერილობითი უარი აუქციონში მონაწილეობაზე.

საკუთრების უფლების სანოტარო დამოწმების და აუცილებელი საბუთების გაფორმების ხარჯებს იხდის მყიდველი.

დამატებითი ინფორმაციის მიღება შეგიძლიათ შპს "საქართველოს რკინიგზაში" ქ. თბილისი თამარ მეფის გამზირი N15, მე-4 სართული, ტელ: .56-33-48, 56-53-18.

---

საჯარო სამართლის იურიდიული პირი "საფინანსო სააგენტო" 2006 წლის 15 ივნისს 12 საათზე აცხადებს საჯარო აუქციონს სახელმწიფოს საკუთრებაში მიქცეულ და რეალიზაციას დაქვემდებარებულ ქონებაზე. ქონება წარმოადგენს - ალუმინის მადნის "ბოქსიტს", რომელიც განთავსებულია რკინიგზის სადგურ "ველის" ტერიტორიაზე და მისი მოცულობა შეადგენს მაქსიმუმ 5005 ტონას.

"ბოქსიტში" $AL2O3$ შემადგენლობა სინჯების მიხედვით იცვლება 51,40-52,2%, $Sio2$ 3,70-4,30%, $Fe2O3$ 11,70-14,20%-ის ფარგლებში.

აუქციონზე გამოტანილი ქონების - ალუმინის მადნის "ბოქსიტის" საწყისი ფასი მუდმივ მასამდე გამომშრალი ნაყარი მოცულობითი მასის ერთ ტონაზე შეადგენს 12,66 აშშ დოლარის ეკვივალენტს ეროვნულ ვალუტაში.

აუქციონი გაიმართება საქართველოს ფინანსთა სამინისტროში მისამართზე: ქ. თბილისი, ი. აბაშიძის ქ. №70. აუქციონში მონაწილეობის მსურველებმა 2006 წლის 14 ივნისის 17 საათამდე განცხადებით უნდა მიმართონ "საფინანსო სააგენტოს" (საქართველოს ფინანსთა სამინისტრო ქ. თბილისი ი. აბაშიძის 70).

განმცხადებელმა წინასწარ უნდა გადაიხადოს 10 000 ლარი - "საგარანტიო თანხა" და წარმოადგინოს გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტი. "საგარანტიო თანხა" მყიდველს ჩაეთვლება საბოლოო ანგარიშსწორებისას.

აუქციონის შედეგების დამტკიცების შემდეგ გამარჯვებულთან გაფორმდება ნასყიდობის ხელშეკრულება, რომლის მიხედვითაც აუქციონში გამარჯვებულმა მყიდველმა ერთი თვის ვადაში უნდა გადაიხადოს მთლიანი თანხა და უზრუნველყოს ქონების მიღება, რომლის საბოლოო მოცულობა დადგინდება ქონების გადაცემის დროს (მიღება-ჩაბარების აქტის შედგენისას).

აუქციონზე გასაყიდი ქონების ნახვა და გამარჯვებულთან გასაფორმებელი ნასყიდობის ხელშეკრულების პირობების გაცნობა შესაძლებელია სააგენტოსთან შეთანხმებით.

დამატებითი ინფორმაცია აუქციონზე გასატანი ქონების შესახებ და საჯარო აუქციონის პირობების თაობაზე მსურველს შეუძლია მიიღოს "საფინანსო სააგენტოში".

**საკონტაქტო პირი მარინე ბეგაშვილი.**
**ტელ.: 25-34-21, 25-34-22.**

---

## განცხადებაში ტენდერის ჩატარების შესახებ ცვლილების შეტანის თაობაზე

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს მიერ 2006 წლის 20 მაისს გამოქვეყნებულ განცხადებაში შევიდეს ცვლილება და ლოტი N22 ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით

ლოტი N22 **ხულოს რაიონის სოფელ აგარის საჯარო სკოლის მშენებლობის სამუშაოები;**

სატენდერო კომისია

---

## შპს "საქართველოს რკინიგზის" მიერ გამოცხადებული კონკურსის შესწორება

3 ივნისს, გაზეთ "24 საათში" საკონტეინერო ტერმინალის მოწყობის მიზნით შპს "საქართველოს რკინიგზის" ფილიალ "სადგურ თბილისი-სატვირთოს"საკონტეინერო მოედნის (19305 კვ.მ. მიწის ფართის და მასზე განლაგებული ტექნიკური საშუალებები) დროებით სარგებლობაში იჯარით გაცემის თაობაზე გამოქვეყნდა საკონკურსო პირობები, სადაც არ არის მითითებული კონკურსის ჩატარების თარიღი, კონკურსი გაიმართება 2006 წლის 18 ივლისს, 14 საათზე, მისამართი: ქ.თბილისი, თამარ მეფის გამზირი N 15, შპს "საქართველოს რკინიგზის" ადმინისტრაციული შენობა.

---

# განცხადება

ავეჯის შესყიდვის მიზნით შ.პ.ს. "სახელმწიფო უზრუნველყოფის" მიერ გაზეთ "24 საათის" 25.03.06წ N64(1218)-ში გამოცხადებულ ტენდერში გამარჯვებულად გამოცხადდა ი/მ "ჰამლეტ გოლეთიანი" და 03.05.06წ გაფორმდა შესაბამისი ხელშეკრულება

# განცხადება ტენდერის ჩატარების შესახებ

**1.** აჭარის ა. რ. განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტრო (ქ. ბათუმი, რუსთაველის ქ. N6) აცხადებს ტენდერს ქ. ბათუმის საჯარო სკოლებისათვის ინდივიდუალური სასკოლო მერხებისა და სკამების შეძენის სახელმწიფო შესყიდვაზე და იწვევს ტენდერში მონაწილეობის მისაღებად ყველა დაინტერესებულ პირს.

**შესყიდვა განხორციელდება შემდეგი ლოტების შესაბამისად:**

ლოტი N1 I, II კლასის მოსწავლეთათვის ინდივიდუალური სასკოლო მერხებისა და სკამების შეძენა, მერხის სიმაღლე 580 მმ., სკამის სიმაღლე 340 მმ., მაგიდის ზედაპირი სიგრძე 70სმ, სიგანე 50 სმ, რაოდენობა 2566 ცალი;

ლოტი N2 III, IV კლასის მოსწავლეთათვის ინდივიდუალური სასკოლო მერხებისა და სკამების შეძენა, მერხის სიმაღლე 640 მმ., სკამის სიმაღლე 380 მმ., მაგიდის ზედაპირი სიგრძე 70სმ, სიგანე 50 სმ, რაოდენობა 2649 ცალი;

ლოტი N3 V, VIII კლასის მოსწავლეთათვის ინდივიდუალური სასკოლო მერხებისა და სკამები, მერხის სიმაღლე 700 მმ., სკამის სიმაღლე 420 მმ., მაგიდის ზედაპირი სიგრძე 70სმ, სიგანე 50 სმ, რაოდენობა 5998 ცალი;

ლოტი N4 IX, XII კლასის მოსწავლეთათვის ინდივიდუალური სასკოლო მერხებისა და სკამები ზომით: მერხის სიმაღლე 760 მმ., სკამის სიმაღლე 450 მმ., მაგიდის ზედაპირი სიგრძე 70სმ, სიგანე 50 სმ, რაოდენობა 4707 ცალი;

**2.** მიწოდების სავალდებულო ვადაა ხელშეკრულების გაფორმებიდან **2006 წლის 20 სექტემბრამდე პერიოდი.**

**3. დაინტერესებულმა პირებმა საკვალიფიკაციო მონაცემები და სატენდერო წინადადება, ქართულ ენაზე, ორ ეგზემპლარად, დალუქული პაკეტებით უნდა წარმოადგინონ 2006 წლის 27 ივნისიდან 2006 წლის 28 ივნისის 17 საათამდე შემდეგ მისამართზე: ქ. ბათუმი, რუსთაველის ქ. N6. (აჭარის ა. რ. განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტრო).**

4. საკვალიფიკაციო მონაცემები უნდა შეიცავდეს შემდეგ ცნობებსა და ინფორმაციას:

**4.1 იურიდიული პირისათვის:**

ა) ცნობას, რომ არ მიმდინარეობს ტენდერში მონაწილეობის მსურველი პირის რეორგანიზაცია ან ლიკვიდაცია და მის მიმართ გაკოტრებისა და სანაციის საქმისწარმოება (ცნობა წარმოდგენილი უნდა იქნეს სასამართლოდან, საგადასახადო ინსპექციიდან მისი რეგისტრაციის ადგილის მიხედვით);

ბ) ცნობას შესყიდვაში მონაწილეობის მსურველი პირის ქონებაზე ყადაღის არარსებობის შესახებ. (ცნობა წარმოდგენილი უნდა იქნას საჯარო რეესტრის სააგენტოს ადგილობრივი ორგანოს მიერ);

გ) ამონაწერი სამეწარმეო რეესტრიდან შესყიდვაში მონაწილეობის მსურველი პირის რეგისტრაციის შესახებ.

**4.2. ფიზიკური პირისათვის:**

ა) ცნობას, საგადასახადო ინსპექციიდან რეგისტრაციის შესახებ.

ბ) ცნობას, რომ მის მიმართ არ მიმდინარეობს გაკოტრების საქმისწარმოება (ცნობა წარმოდგენილი უნდა იყოს რაიონული სასამართლოდან).

**4.3. როგორც ფიზიკური, ასევე იურიდიული პირისათვის:**

ა) შესყიდვაში მონაწილეობის მსურველი პირის რეკვიზიტები (მისამართი, ტელეფონი, ფაქსი, საბანკო რეკვიზიტები);

ბ) ცნობა შესაბამისი საგადასახადო ინსპექციიდან ბიუჯეტისადმი დავალიანების არქონის შესახებ;

გ) ინფორმაცია ანალოგიური სამუშაოების წარმოების გამოცდილების შესახებ (სამუშაოების მითითებით, რომელიც შესრულებული იქნა მონაწილეობის მსურველი პირის მიერ) შესაბამისი დოკუმენტის დართვით;

დ) ინფორმაცია შესაბამისი მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შესახებ (აუდიტორული დასკვნა).

**5.** სატენდერო დოკუმენტაცია შედგენილია ქართულ ენაზე. სატენდერო დოკუმენტაციის მიღება 2006 წლის 27 ივნისის 18 საათამდე ტენდერში მონაწილე პრეტენდენტებს 200 (ორასი) ლარის ოდენობის სატენდერო მოსაკრებლის (აჭარის ა. რ. ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროს სახაზინო სამსახურის ანგარიში N000142101, ბანკის კოდი 220501102, საიდენტიფიკაციო კოდი N245444844 დანიშნულება სატენდერო მოსაკრებელი) გადახდის შემდეგ, შეეძლებათ მისამართზე: ქ. ბათუმი, რუსთაველის ქ. N6 (აჭარის ა. რ. განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტრო).

6. პრეტენდენტებს უფლება აქვთ წარმოადგინონ მხოლოდ ერთი სატენდერო წინადადება. ტენდერში ლოტების მიხედვით შესაძლებელია რამდენიმე გამარჯვებულის გამოვლენა;

7. ტენდერში გამოიყენება სატენდერო წინადადების უზრუნველყოფის გარანტია 1%-ის ოდენობით.

8. ტენდერის შედეგად გამოვლენილ გამარჯვებულთან ხელშეკრულების გაფორმებისას გამოყენებული იქნება ხელშეკრულების შესრულების უზრუნველყოფის გარანტია, ხელშეკრულების ჯამური ღირებულების 5%-ის ოდენობით

**8.** დამატებითი ინფორმაცია დაინტერესებულ პირებს შეუძლიათ მიიღონ შემდეგი პირისაგან - ინგა დავითაძე ტ. 7-16-50, მისამართზე: ქ. ბათუმი, რუსთაველის ქ. N6, აჭარის ა. რ. განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტრო..

**სატენდერო კომისია**

---

**საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისიის**

# განცხადება

**საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისია აცხადებს საქართველოს ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლობითი ორგანოს - საკრებულოს არჩევნებისათვის საოლქო საარჩევნო კომისიის წევრთა შესარჩევ ხელახალ კონკურსს შემდეგ ვაკანტურ თანამდებობაზე:**

**საოლქო საარჩევნო კომისია:**

| № | საოლქო საარჩევნო კომისიის № და დასახელება | საოლქო საარჩევნო კომისიებში არსებული ვაკანსიები | თანამდებობრივი განაკვეთი |
|---|---|---|---|
| 1. | N1 მთაწმინდა | 1 წევრი | 250 ლარი |
| 2. | N1 მთაწმინდა | 1 წევრი | 250 ლარი |

საბუთები მიიღება საქართველოს ცენტრალურ საარჩევნო კომისიაში 2006 წლის **6 ივნისიდან-15 ივნისის** ჩათვლით, ყოველდღე შაბათ-კვირის გარდა, 11-დან 17 საათამდე, შესვენება 13-დან 14-საათამდე, შემდეგ მისამართზე: **ქ.თბილისი,** რუსთაველის **გამზ,** 29, მე-3 სართული, ოთახი N327.

დამატებითი ინფორმაციიისათვის დაგვიკავშირდით:

**ტელ: 98-70-12, 98-70-13.**

---

გაერთიანებული ერების ორგანიზაციის განვითარების პროგრამის (UNDP) წარმომადგენლობა საქართველოში აცხადებს ღია ტენდერს კომპიუტერული ტექნიკის შესყიდვაზე. გამარჯვებულ კომპანიასთან გაფორმდება გრძელვადიანი ხელშეკრულება. ტენდერის დეტალური პირობები შესაძლებელია ჩამოიტვირთოს გაეროს განვითარების პროგრამის ოფიციალური ვებ-გვერდიდან: www.undp.org.ge/News/tenders.html.

---

# განცხადება

ქალაქ ბათუმის არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის მართვისა და განკარგვის კომისია აცხადებს კონკურსს ქალაქ ბათუმში, შ. ხიმშიაშვილის ქუჩაზე, არდაგანის ტბაში მდებარე კუნძულზე 1500 კვ.მ. მიწის ნაკვეთის სარგებლობაში (იჯარა) განკარგვის მიზნით

**შესავალი**

ქ. ბათუმის მთავრობის 2006 წლის 30 მაისის N150 დადგენილების შესაბამისად თანამედროვე ტიპის ორი ერთეული კაფე-ბარის მოწყობის მიზნით, ქალაქ ბათუმის ადგილობრივი თვითმმართველობის მიწის მართვისა და განკარგვის კომისია აცხადებს კონკურსს ქალაქ ბათუმში, შ. ხიმშიაშვილის ქუჩაზე, არდაგანის ტბაში მდებარე კუნძულზე 1500 კვ.მ. მიწის ნაკვეთის სარგებლობაში (იჯარა) განკარგვაზე.

**1. კონკურსის მიზანი:**

კონკურსის მიზანია ქ. ბათუმში, შ. ხიმშიაშვილის ქუჩაზე, არდაგანის ტბაში მდებარე კუნძულზე 1500 კვ.მ. მიწის ნაკვეთის სარგებლობაში 39 წლიანი იჯარით განკარგვა თანამედროვე ტიპის საზოგადოებრივი დასვენებისა და გართობის ობიექტის მშენებლობისათვის.

**2. ინფორმაცია მიწის ნაკვეთის შესახებ:**

მიწის ნაკვეთის მისამართი: ქალაქი ბათუმი, შ. ხიმშიაშვილის ქუჩა, არდაგანის ტბა;

მიწის ნაკვეთის განკარგვის წესი: კონკურსი;

მიწის ნაკვეთის განკარგვის ფორმა: იჯარა;

მიწის ნაკვეთის გამოყენების ფორმა (მიზნობრივი) - მიწის ნაკვეთზე თანამედროვე ტიპის საზოგადოებრივი გართობისა და დასვენების ობიექტის მშენებლობა;

მიწის ნაკვეთის ფართობი: 1500 კვ.მ;

მიწის ნაკვეთის საწყისი საიჯარო ფასი 1 კვ.მ-ზე - 10 ლარი, სულ 15 000 ლარი.

იჯარის ხელშეკრულების ვადა: 39 წელი.

**3. საკონკურსო პირობები:**

კონკურსის ძირითადი პირობებია:

1. მიწის ნაკვეთის საწყისი საიჯარო ფასი ყველა მონაწილისათვის ერთნაირია და შეადგენს 1 კვ.მ. 10 ლარს, ჯამში 15 000 ლარს, ხოლო იჯარის ხელშეკრულების ვადა 39 წელს;

2. სარგებლობაში გადაცემულ მიწის ნაკვეთზე თანამედროვე ტიპის საზოგადოებრივი დასვენებისა და გართობის ობიექტის მშენებლობა;

3. კონკურსში გამარჯვებული პირი ვალდებულია მშენებლობა დაიწყოს ხელშეკრულების ძალაში შესვლის დღიდან არაუგვიანეს 1 თვისა და დაასრულოს მშენებლობის ნებართვის მიღებიდან 3 თვის ვადაში;

4. საკუთარი მატერიალურ-ტექნიკური საშუალებებით უზრუნველყოს აშენებული ობიექტის ინფრასტრუქტურის მოწყობა.

5. კონკურსში გამარჯვებულმა ძირითადად უნდა უზრუნველყოს მომხმარებელთა მაღალი დონის მომსახურება, მიმდებარე ტერიტორიის კეთილმოწყობა და სანიტარიულ-ჰიგიენური წესების დაცვა. გამარჯვებული (შემდგომში მოიჯარე - ოპერატორი) ვალდებულია დაასუფთავოს მასზე განპირობებული და მიმდებარე ტერიტორია, არ შექმნას დისკომფორტული ხმოვანი ფონი, უზრუნველყოს საკანალიზაციო და ნარეცხი წყლების ცენტრალურ საკანალიზაციო ქსელში ჩართვა. Gგამარჯვებულმა ასევე უნდა უზრუნველყოს: გამოყოფილ ტერიტორიაზე ნაპირსამაგრი სამუშაოების განხორციელება, ტბის მოვლა და მისი მიმდებარე ტერიტორიის გამწვანება, კუნძულისა და ნაპირის დამაკავშირებელი 2 ერთეული საცალფეხო ხიდის მოწყობა;

6. კონკურსში გამარჯვებული ვალდებულია უზრუნველყოს პროექტების წარმოდგენა და ქ. ბათუმის ქალაქგეგმარებისა და სივრცითი მოწყობის ადგილობრივ სამსახურთან სათანადო შეთანხმების შემდეგ ერთიანი გენგეგმის მიხედვით მათი რეალიზება;

7. საკონკურსო წინადადება ითვლება ხელშეკრულების შემადგენელ ნაწილად იმ შემთხვევაშიც, თუ იგი ხელშეკრულებაში არ არის შეტანილი და მათი შეუსრულებლობა წარმოადგენს საფუძველს კონკურსის შედეგების გაუქმების, გამარჯვებულთან შესაბამისი ხელშეკრულების გაფორმების ან დადებული ხელშეკრულების მოშლისათვის. კონკურსში გამარჯვებულთან დადებული იჯარის ხელშეკრულების მოიჯარის მიერ ცალმხრივად შეწყვეტის საფუძველს წარმოადგენს ასევე მოიჯარის მიერ იჯარით გადაცემულ მიწის ნაკვეთზე საკონკურსო წინადადებით დადგენილ ვადაში მშენებლობის განუხორციელობლობა ან/და საკონკურსო პირობების სხვა დარღვევა.

**4. კონკურსში გამარჯვებულის გამოვლენის პირობები:**

კონკურსში გამარჯვებულის გამოვლენის პირობაა პრეტენდენტის მიერ წარმოდგენილი საპროექტო წინადადება, მათ შორის ისეთი საპროექტო წინადადება, რომლითაც უზრუნველყოფილი იქნება სარგებლობაში (იჯარა) გადასაცემ მიწის ნაკვეთზე ასაშენებელი ობიექტის არქიტექტურული ერთიანობა, შემოთავაზებული მაღალი საიჯარო ქირა, სხვა პირობები და მომსახურების სახეები, რომლებიც საუკეთესოდ იქნება მიჩნეული.

**5. კონკურსში მონაწილეობის პირობები:**

1. კონკურსში მონაწილეობა შეუძლია ნებისმიერ ფიზიკურ და იურიდიულ პირს, რომელიც აიღებს ვალდებულებას, რომ კონკურსში გამარჯვების შემთხვევაში გააფორმებს შესაბამის ხელშეკრულებას ქალაქ ბათუმის მთავრობასთან.

2. კონკურსში მონაწილეობის მისაღებად საკონკურსო კომისიას უნდა წარედგინოს შემდეგი დოკუმენტები:

ა) დამტკიცებული ფორმის მიხედვით შევსებული განაცხადი;

ბ) პრეტენდენტის მიერ წარმოდგენილი წინადადებები (მათ შორის სა-პროექტო) ცალკე დალუქული სახით;

გ) ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოს საანგარიშსწორებო ანგარიშზე სავალდებულო შენატანის სახით თანხის დეპონირების დამადასტურებელი დოკუმენტი;

ე) პირადობის დამადასტურებელი მოწმობის მონაცემები;

ვ) ნოტარიალურად დამოწმებული მინდობილობა, თუ პრეტენდენტი მოქმედებს სხვა პირის სახელით;

3. იურიდიული პირები დამატებით წარადგენენ სადამფუძნებლო დოკუმენტაციას.

4. ა) კონკურსში მონაწილე პრეტენდენტის მიერ წარმოდგენილი საკონკურსო წინადადებები (მათ შორის საპროექტო) საკონკურსო ტერიტო-რიაზე განსათავსებელი კომერციული დანიშნულების ობიექტების შესახებ აუცილებელია წარმოდგენილი იყოს მინიმალური მოცულობით (ესკიზის სახით). პროექტში ასევე გათვალისწინებული უნდა იყოს თანამედროვე ტექნოლოგიათა გამოყენება და უნდა იძლეოდეს წარმოდგენას შენობის ძირითადი გეგმარებითი და ტექნიკურ-ეკონომიკური მახასიათებლების შესახებ.

ბ) პრეტენდენტის მიერ წარმოდგენილი საკონკურსო წინადადების თითოეული ფურცელი ხელმოწერილი უნდა იყოს უფლებამოსილი პირის მიერ, ხელმოწერის ფაქტი დადასტურებული უნდა იყოს ნოტარიალური წესით.

5. ა) კონკურსში მონაწილეობის გარანტიისათვის პრეტენდენტმა კომისი-ის სასარგებლოდ უნდა შეიტანოს დეპოზიტი 750 ლარის ოდენობით, რაც წარმოადგენს 1500 კვ.მ. მიწის ნაკვეთის საიჯარო ქირის 15 000 ლარის 5%-ს თვითოეული ფართობისათვის.

ბ) პრეტენდენტმა უნდა წარმოადგინოს საბანკო ან/და სადაზღვევო დაწესებულებისაგან გაცემული თანხმობა, რომ მისი გამარჯვების შემთხვევაში საბანკო ან/და სადაზღვევო დაწესებულება გასცემს საბანკო გარანტიას კონკურსში გამარჯვებული პირის ვალდებულების უზრუნველ-საყოფად არანაკლებ 50 000 ლარის ფარგლებში, ხოლო გამარჯვებულის გამოვლენის, კომისიის შემაჯამებელი ოქმის დამტკიცების და შეტყობინების გამარჯვებულის მიერ მიღებიდან 10 საბანკო დღის ვადაში გამარჯვებულმა უნდა წარმოადგინოს საბანკო გარანტია, რომლითაც უზრუნველყოფილი იქნება გამარჯვებულის მიერ ნაკისრი ვალდებულება არანაკლებ 50 000 ლარით.

აღნიშნული მოთხოვნის შეუსრულებლობა შესაბამისად წარმოადგენს საფუძველს პრეტენდენტის საკონკურსო პირობების განუხილველობისათვის, კონკურსის შედეგების გაუქმებისა და გამარჯვებულთან შესაბამისი ხელშეკრულების გაფორმებაზე უარის თქმისათვის, რა დროსაც კონკურსში გამარჯვებულს პირგასამტეხლოს სახით დაეკისრება 10 000 ლარის გადახდა.

**6. სხვა პირობები:**

1. კომისიის გადაწყვეტილება მიიღება კომისიის საჯარო სხდომის დამთავრების შემდეგ არა უგვიანეს 30 დღისა. გადაწყვეტილება მიიღება კომისიის წევრთა ღია კენჭისყრით, ხმათა უბრალო უმრავლესობით და შეიტანება სხდომის ოქმში.

2. სახელმწიფო და მისი ოფიციალური პირები პასუხს არ აგებენ მატერიალურ დანახარჯებზე, რომლებსაც გასწევენ პრეტენდენტები საკონკურსო პროცესში მონაწილეობისათვის.

3. საკონკურსო დოკუმენტაციის პაკეტისა და სხვა ინფორმაციის მისაღებად პრეტენდენტმა უნდა მიმართოს საკონკურსო კომისიას შემდეგ მისამართზე: ქ. ბათუმის ეკონომიკური პოლიტიკის ადგილობრივი სამსა-ხური, ლუკა ასათიანის ქ. N25. ტელ: 7-26-45; 7-20-03.

4. კონკურსში განაცხადის მიღება შეწყდება 2006 წლის 10 ივლისს, 1500 სთ-ზე.

5. კომისიის სხდომაზე პრეტენდენტის მიერ წარმოდგენილი დალუქული პაკეტების გახსნა და საჯარო განხილვა მოხდება 2006 წლის 10 ივლისს, 1600 სთ-ზე.

6. კონკურსში მონაწილეობისათვის პრეტენდენტმა "ზე" უნდა შეიტანოს შემდეგ ანგარიშზე:

აჭარის ცენტრალური ბანკი 220501102

მიმღები - ქ. ბათუმის საფინანსო სამსახური.

საიდენტიფიკაციო კოდი 245428531.

ანგარიშსწორების ანგარიშის N000142402

---

# შპს 'საქართველოს რკინიგზა" აცხადებს ტენდერს ქსეროქსის ქაღალდის შესყიდვის შესახებ

***შ.პ.ს. "საქართველოს რკინიგზა"***, ქ. თბილისი თამარ მეფის გამზ. №15, აცხადებს ღია ტენდერს ქსეროქსის ქაღალდის შესყიდვის შესახებ და იწვევს ყველა დაინტერესებულ ფიზიკურ და იურიდიულ პირს ტენდერში მონაწილეობის მისაღებად.

დაინტერესებულმა პირებმა უნდა გადაიხადოთ სატენდერო მოსაკრებელი 200 (ორასი) ლარის ოდენობით (ს/ს ბანკი ***"რესპუბლიკა"*** ცენტრალური ფილიალი, კოდი: 220101757, ანგარიშის №3407003205) და წარმოადგინოთ თანხის გადახდის დამადასტურებელი ქვითარი შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, თამარ მეფის გამზ. №15, შ.პ.ს. "საქართველოს რკინიგზა"-ს შესყიდვების სააგენტო (შენობის მე-3 სართული), რის შემდეგაც გადაეცემათ ქართულ ენაზე შედგენილი სატენდერო დოკუმენტაცია.

**2. შესყიდვის ობიექტი :**

| | პროდუქციის დასახელება | განზომილების ერთეული | რაოდენობა |
|---|---|---|---|
| 1 | 2 | 3 | 4 |
| ლოტი N1 | თეთრი ფერის ქსეროქსის ქაღალდი A4 210X297 mm, 80 გრ. | შეკვრა | 7 500 |

**მიწოდების ადგილი:**

- **DDP** ქ. თბილისი, მ. ქავთარაძის №11

მიწოდების ვადები: ხელშეკრულების გაფორმებიდან ერთი თვე

სატენდერო წინადადების ღირებულება წარმოდგენილი უნდა იქნას ეროვნულ ვალუტაში.

პრეტენდენტებმა საკვალიფიკაციო მონაცემები და სატენდერო წინადადება ქართულ და/ან რუსულ ენაზე უნდა წარმოადგინონ ორ ეგზემპლარად (ერთი ორიგინალი და ერთი ასლი) 26 ივნისს 9სთ 00 წთ დან - 18 სთ და 00 წთ მდე, მისამართზე: ქ. თბილისი, ქ. თბილისი, თამარ მეფია გამზ. №15, მე-3 სართული, შპს "საქართველოს რკინიგზის" შესყიდვების სააგენტო.

საკვალიფიკაციო მონაცემები უნდა შეიცავდეს შემდეგ ცნობებსა და ინფორმაციას:

**იურიდიული პირებისათვის :**

ა) ამონაწერი სამეწარმეო რეესტრიდან;

ბ) ცნობა საგადასახადო ინსპექციიდან, რომ არ ხორციელდება მისი რეორგანიზაცია ან ლიკვიდაცია;

გ) ცნობა სასამართლოდან რომ მის მიმართ არ მიმდინარეობს გაკოტრების ან სანაციის საქმე;

დ) სატენდერო წინადადების უზრუნველყოფისათვის სატენდერო თანხის 1%-იანი საბანკო გარანტიის წარმოდგენა, **რომლის მოქმედების ვადა ერთი თვით უნდა აღემატებოდეს სატენდერო წინადადების მოქმედების ვადას.**

**ფიზიკური პირებისათვის :**

ა) ცნობა სასამართლოდან, რომ მის მიმართ არ მიმდინარეობს გაკოტრების საქმის წარმოება;

ბ) პირადობის დამადასტურებელი მოწმობის ასლი;

გ) ინდ/მეწარმის რეგისტრაციის საბუთი;

დ) სატენდერო წინადადების უზრუნველყოფისათვის სატენდერო თანხის 1%-იანი საბანკო გარანტიის წარმოდგენა, **რომლის მოქმედების ვადა ერთი თვით უნდა აღემატებოდეს სატენდერო წინადადების მოქმედების ვადას.**

ყველა პრეტენდენტმა აუცილებლად უნდა წარმოადგინოს :

1. ხელმოწერილი (იურიდიული პირებისა და ინდივიდუალური მეწარმეთათვის ასევე ბეჭდით დამოწმებული), სატენდერო წინადადება (ნიმუში წარმოდგენილია სატენდერო წინადადებაში), რომელშიც აუცილებლად უნდა იყოს მითითებული ლოტის ღირებულება, სატენდერო წინადადების მოქმედების ვადა, პრეტენდენტისათვის სასურველი ანგარიშსწორების პირობები, საქონლის მიწოდების ვადები.

2. ხელმოწერილი (იურიდიული პირებისა და ინდივიდუალური მეწარმეთათვის ასევე ბეჭდით დამოწმებული) ფასების ცხრილი (ნიმუში წარმოდგენილია სატენდერო წინადადებაში), (ნიმუში წარმოდგენილია სატენდერო წინადადებაში) საქონლის მახასიათებლების მითითებით.

პრეტენდენტები ვერ გაივლიან შერჩევას თუ მათ მიერ წარმოდგენილი საკვალიფიკაციო მონაცემები და სატენდერო წინადადება არ შეესაბამება სატენდერო დოკუმენტაციისა და სატენდერო განცხადების მოთხოვნებს.

დამატებითი ინფორმაცია დაინტერესებულ პირებს შეუძლიათ მიიღონ შპს „საქართველოს რკინიგზა"-ს შესყიდვების სააგენტოში, ტელ:56-33-51; 56-46-24

*სატენდერო კომისია*

1. უცხო ქვეყნების წარმოამადგენლების მიერ საკვალიფიკაციო მონაცემები წარმოდგენილი უნდა იქნას შესაბამისი ქვეყნის სახელმწიფო ორგანოდან კანონით დადგენილი წესითა და ლეგალიზებული სახით.

# განცხადება ტენდერის ჩატარების შესახებ

**1.** აჭარის ა. რ. განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტრო (ქ. ბათუმი, რუსთაველის ქ. N6) აცხადებს ტენდერს აჭარის ადმინისტრაციულ ტერიტორიაზე არსებული სკოლების II, III და IV კლასის მოსწავლეთათვის სასკოლო სახელმძღვანელოების შეძენის სახელმწიფო შესყიდვაზე და იწვევს ტენდერში მონაწილეობის მისაღებად ყველა დაინტერესებულ პირს.

**შესყიდვა განხორციელდება შემდეგი ლოტების შესაბამისად:**

**ლოტი N1** აჭარის ადმინისტრაციულ ტერიტორიაზე არსებული სკოლების II კლასის მოსწავლეთათვის სასკოლო სახელმძღვანელოების შეძენა;

**ლოტი N2** აჭარის ადმინისტრაციულ ტერიტორიაზე არსებული სკოლების III კლასის მოსწავლეთათვის სასკოლო სახელმძღვანელოების შეძენა;

**ლოტი N3** აჭარის ადმინისტრაციულ ტერიტორიაზე არსებული სკოლების IV კლასის მოსწავლეთათვის სასკოლო სახელმძღვანელოების შეძენა;

**2.** მიწოდების სავალდებულო ვადაა ხელშეკრულების გაფორმებიდან **2006 წლის 15 აგვისტომდე პერიოდი.**

**3. დაინტერესებულმა პირებმა საკვალიფიკაციო მონაცემები და სატენდერო წინადადება, ქართულ ენაზე, ორ ეგზემპლარად, დალუქული პაკეტებით უნდა წარმოადგინონ 2006 წლის 27 ივნისიდან 2006 წლის 28 ივნისის 17 საათამდე შემდეგ მისამართზე: ქ. ბათუმი, რუსთაველის ქ. N6. (აჭარის ა. რ. განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტრო).**

4. საკვალიფიკაციო მონაცემები უნდა შეიცავდეს შემდეგ ცნობებსა და ინფორმაციას:

**4.1 იურიდიული პირისათვის:**

ა) ცნობას, რომ არ მიმდინარეობს ტენდერში მონაწილეობის მსურველი პირის რეორგანიზაცია ან ლიკვიდაცია და მის მიმართ გაკოტრებისა და სანაციის საქმისწარმოება (ცნობა წარმოდგენილი უნდა იქნეს სასამართლოდან, საგადასახადო ინსპექციიდან მისი რეგისტრაციის ადგილის მიხედვით);

ბ) ცნობას შესყიდვაში მონაწილეობის მსურველი პირის ქონებაზე ყადაღის არარსებობის შესახებ. (ცნობა წარმოდგენილი უნდა იქნას საჯარო რეესტრის სააგენტოს ადგილობრივი ორგანოს მიერ);

გ) ამონაწერი სამეწარმეო რეესტრიდან შესყიდვაში მონაწილეობის მსურველი პირის რეგისტრაციის შესახებ.

**4.2. ფიზიკური პირისათვის:**

ა) ცნობას, საგადასახადო ინსპექციიდან რეგისტრაციის შესახებ.

ბ) ცნობას, რომ მის მიმართ არ მიმდინარეობს გაკოტრების საქმისწარმოება (ცნობა წარმოდგენილი უნდა იყოს რაიონული სასამართლოდან).

**4.3. როგორც ფიზიკური, ასევე იურიდიული პირისათვის:**

ა) შესყიდვაში მონაწილეობის მსურველი პირის რეკვიზიტები (მისამართი, ტელეფონი, ფაქსი, საბანკო რეკვიზიტები);

ბ) ცნობა შესაბამისი საგადასახადო ინსპექციიდან ბიუჯეტისადმი დავალიანების არქონის შესახებ;

გ) ინფორმაცია შესაბამისი მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შესახებ (აუდიტორული დასკვნა).

**5.** სატენდერო დოკუმენტაცია შედგენილია ქართულ ენაზე. სატენდერო დოკუმენტაციის მიღება 2006 წლის 27 ივნისის 18 საათამდე ტენდერში მონაწილე პრეტენდენტებს 200 (ორასი) ლარის ოდენობის სატენდერო მოსაკრებლის (აჭარის ა. რ. ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროს სახაზინო სამსახურის ანგარიში N000142101, ბანკის კოდი 220501102, საიდენტიფიკაციო კოდი N245444844 დანიშნულება სატენდერო მოსაკრებელი) გადახდის შემდეგ, შეეძლებათ მისამართზე: ქ. ბათუმი, რუსთაველის ქ. N6 (აჭარის ა. რ. განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტრო).

6. ტენდერში ლოტების მიხედვით შესაძლებელია რამდენიმე გამარჯვებულის გამოვლენა.

7 ტენდერის შედეგად გამოვლენილ გამარჯვებულთან ხელშეკრულების გაფორმებისას გამოყენებული იქნება ხელშეკრულების შესრულების უზრუნველყოფის გარანტია, ხელშეკრულების ჯამური ღირებულების 5%-ის ოდენობით

**8.** დამატებითი ინფორმაცია დაინტერესებულ პირებს შეუძლიათ მიიღონ შემდეგი პირისაგან - ინგა დავითაძე ტ. 7-16-50, მისამართზე: ქ. ბათუმი, რუსთაველის ქ. N6, აჭარის ა. რ. განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტრო..

**სატენდერო კომისია**

# განცხადება ტენდერის ჩატარების შესახებ

1. საქართველოს ს.ს.ი.პ. ილია ჭავჭავაძის სახელმწიფო უნივერსიტეტი ქ. თბილისი, ი. ჭავჭავაძის გამზ. N32, 2006 წლის სახელმწიფო ბიუჯეტით გათვალისწინებული ასიგნებების ფარგლებში, "სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის შესაბამისად, აცხადებს ტენდერს კომპიუტერული ტექნიკისა და ორგტექნიკის შესასყიდად და გიწვევთ ყველა დაინტერესებულ პირს ტენდერში მონაწილეობის მისაღებად, შემოთავაზებული საქონელი უნდა შეესაბამებოდეს ქვემოთ ჩამოთვლილ მახასიათებლებს შემდეგი ლოტების მიხედვით:

| | ლოტი | შესყიდვის ობიექტი | ცალი |
|---|---|---|---|
| 1 | პერსონალური კომპიუტერი | **მინიმუმ:**<br>**CPU:** 2.0 Ghz;<br>**MotherBoard:** Integrated Video, Lan, Sound;<br>**Memory:** 512MB<br>**HDD: 80**GB;<br>**DVD/CDRW:** Combo;<br>**Case:** ATX;<br>**Keyboard:** PS/2;<br>**Mouse:** PS/2, Optical;<br>**Speaker:** Stereo;<br>**Monitor:** 17" CRT | 11 |
| 2 | პერსონალური კომპიუტერი (მსოფლიო მნიშვნელობის კლასი "ბრენდი") | **მინიმუმ:**<br>**CPU:** 2,4 Ghz;<br>**MotherBoard:** Integrated Video, Lan, Sound;<br>**Memory: 512**MB;<br>**DVD/CDRW:** Combo;<br>**HDD: 80**GB;<br>**Case:** ATX;<br>**Keyboard:** PS/2;<br>**Mouse:** PS/2, Optical;<br>**Speaker:** Stereo;<br>**Monitor:** LCD 15"; | 153 |
| 3 | უწყვეტი კვების წყარო | **მინიმუმ:**<br>650VA, შემავალი ძაბვის დიაპაზონი 180-260V | 164 |

2. ტენდერში მონაწილეობის მიღება შეუძლიათ ყველა დაინტერესებულ ფიზიკურ და იურიდიულ პირებს.

3. ზემოაღნიშნული საქონლის მოწოდება უნდა მოხდეს **DDP** პირობით შემდეგ მისამართზე: **ს.ს.ი.პ. ილია ჭავჭავაძის სახელმწიფო უნივერსიტეტი, მის: ქ. თბილისი, ი. ჭავჭავაძის გამზ. N32.**

4. საქონლის მიწოდება უნდა განხორციელდეს შემდეგ ვადებში:

საქონლის მიწოდება მოხდება სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულების ძალაში შესვლიდან არაუგვიანეს 2 თვის განმავლობაში.

5. დაინტერესებულმა პირებმა ქართულ ენაზე შედგენილი განაცხადი, სატენდერო წინადადება და საკვალიფიკაციო მონაცემები დახურულ კონვერტში უნდა წარმოადგინონ 2006 წლის 23 ივნისიდან 28 ივნისის 17 საათამდე შემდეგ მისამართზე: ს.ს.ი.პ. ილია ჭავჭავაძის სახელმწიფო უნივერსიტეტი, მის: ქ. თბილისი, ი. ჭავჭავაძის გამზ. N32. მე-1 სართული, უნივერსიტეტის კანცელარია.

6. საკვალიფიკაციო მონაცემები უნდა შეიცავდეს შემდეგ ცნობებსა და ინფორმაციას:

6.1. **იურიდიული პირებისათვის**:

ა) ცნობა, საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოდან, რომ მის ქონებაზე არ არის დადებული ყადაღა;

ბ) ცნობა, საგადასახადო სამსახურიდან, რომ არ ხორციელდება კომპანიის რეორგანიზაცია ან ლიკვიდაცია;

ბ) ცნობა სასამართლოდან, რომ მის მიმართ არ მიმდინარეობს ლიკვიდაცია, გაკოტრება და სანაციის საქმის წარმოება

გ) ცნობა შინაგან საქმეთა სამინისტროდან, რომ ტენდერში მონაწილე პირის ხელმძღვანელი ან ხელმძღვანელები უკანასკნელი 5 (ხუთი) წლის განმავლობაში არ იყვნენ მსჯავრდებულნი ან შესყიდვის დაწყების მომენტისათვის მათ მიმართ არ არის აღძრული სისხლის სამართლის საქმე, ეკონომიკურ და სამსახურეობრივ საქმიანობასთან დაკავშირებული დანაშაულისათვის.

6.2 **ფიზიკური პირებისათვის:**

ა) ცნობა სასამართლოდან, რომ სასამართლის მიერ მას მთლიანად ან ნაწილობრივ არ აქვს შეზღუდული ქმედუნარიანობა;

ბ) ცნობას სასამართლოდან, რომ მის მიმართ არ მიმდინარეობს გაკოტრების საქმის წარმოება;

გ) ცნობას შინაგან საქმეთა სამინისტროდან, რომ იგი უკანასკნელი 5 წლის განმავლობაში არ იყო მსჯავრდებული და შესყიდვის დაწყების მომენტისათვის მის მიმართ არ არის აღძრული სისხლის სამართლის საქმე მის ეკონომიკურ და სამსახურეობრივ საქმიანობასთან დაკავშირებული დანაშაულისათვის.

6.3. **როგორც ფიზიკური, ასევე იურიდიული პირებისათვის:**

ა) ცნობა, საგადასახადო ორგანოდან, რომ ბიუჯეტის მიმართ დავალიანება არ გააჩნიათ.

7. ზემოაღნიშნული საკვალიფიკაციო მონაცემების შეფასების კრიტერიუმს წარმოადგენს მათი შესაბამისობა მოთხოვნილ დოკუმენტაციებთან.

8. სატენდერო წინადადებები არ ჩაითვლება მისაღებად და არ დაიშვება შეფასებისათვის თუ პრეტენდენტი მე-5 პუნქტში დადგენილ ვადებში არ წარმოადგენს სატენდერო განცხადების მე-6 პუნქტში მოთხოვნილ ყველა ცნობასა და ინფორმაციას, რომელიმე მათგანი ყალბი აღმოჩნდება ან ვერ დააკმაყოფილებს სატენდერო დოკუმენტაცით მოთხოვნილ პირობებს.

9. სახელმწიფო შესყიდვის განხორციელებისას გამოყენებული იქნება ხელშეკრულებუს შესრულების უზრუნველყოფის გარანტია. გარანტიის შესახებ დეტალურ ინფორმაცია ასახული იქნება სატენდერო დოკუმენტაციაში.

10. ტენდერის შედეგად შესაძლებელია ერთი ან რამდენიმე გამარჯვებულის გამოვლენა.

11. დასაშვებია ალტერნატიული სატენდერო წინადადებების წარმოდგენა.

12. ქართულ ენაზე შედგენილი სატენდერო დოკუმენტაციის მიღება ტენდერში მონაწილე პრეტენდენტებს შეეძლებათ 200 (ორასი) ლარის ოდენობის სატენდერო მოსაკრებლის გადახდის შემდეგ 6 ივნისად 26 ივნისის 17 საათამდე, შემდეგ მისამართზე: ს.ს.ი.პ. ილია ჭავჭავაძის სახელმწიფო უნივერსიტეტი, მის: ქ. თბილისი, ი. ჭავჭავაძის გამზ. N32. მე-1 სართულზე სატენდერო კომისიის აპარატი. შემსყიდველი ორგანიზაციის მიერ მითითებულ შესაბამის ანგარიშზე:

საბანკო რეკვიზიტები: "თი-ბი-სი" ბანკის ცენტრალური ფილიალი,

კოდი: 220101830

ანგარიშსწორების ანგარიში: N340800011

საიდენტიფიკაციო ნომერი: 204861970 (სატენდერო მოსაკრებელი)

13. ტენდერში მონაწილეობის მსურველ პირებს უფლება აქვთ საკვალიფიკაციო მონაცემებისა და სატენდერო წინადადების წარმოდგენამდე გაეცნონ სატენდერო დოკუმენტაციას შემსყიდველ ორგანიზაციაში.

14. სატენდერო დოკუმენტაციის გატანა და დამატებითი ინფორმაციის მიღება დაინტერესებულ პირებს შეუძლიათ მიიღონ სატენდერო კომისიის აპარატში, შემდეგ მისამართზე: ს.ს.ი.პ. ილია ჭავჭავაძის სახელმწიფო უნივერსიტეტი, მის: ქ. თბილისი, ი. ჭავჭავაძის გამზ. N32, პირველი სართული, ტელ: **294709.**

**ს.ს.ი.პ. ილია ჭავჭავაძის სახელმწიფო უნივერსიტეტი**
**სატენდერო კომისია**

# განცხადება

ქალაქ თბილისი მიწის მართვისა და განკარგვის (საკონკურსო) კომისია აცხადებს კონკურსს ვარდების რევოლუციის მოედნის მიმდებარე მიწის ნაკვეთების საკუთრებაში და სარგებლობაში განკარგვის მიზნით.

საქართველოს კანონი "სახელმწიფო საკუთრებაში არსებული არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის მართვისა და განკარგვის შესახებ" და საქართველოს იუსტიციის მინისტრის N65 ბრძანების თანახმად, ადგილობრივი მმართველობის აღმასრულებელ ორგანო განკარგავს სახელმწიფო საკუთრებაში არსებული არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის საკუთრების ან სარგებლობის წესით.

საქართველოს კანონი "სახელმწიფო საკუთრებაში არსებული არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის მართვისა და განკარგვის შესახებ", საქართველოს მთავრობის 29. 09. 05 N400, 05. 04. 06. 3166, 26. 04. 06 N192 განკარგულებების თანახმად, ქ. თბილისის მთავრობას მიეცა ნებართვა განკარგოს სახელმწიფო საკუთრებაში არსებული არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთები, რომლებიც მდებარეობს:

**1.** რუსთაველის გამზირი N37-ში მელიქ აზარიანცის შენობის და სავაჭრო კომპლექს "სავანეს" შორის ე.წ. "თაღების" და ნაგებობების დემონტაჟის შედეგად მიღებული მიწის ნაკვეთი 614კვ.მ.

**2.** ვარდების რევოლუციის მოედანის მიმდებარედ - რ.თაბუკაშვილის ქუჩის ბოლოს არსებული გვირაბის გაგრძელება მ. ჯავახიშვილის ქუჩა მიწის ნაკვეთი 2608კვ.მ.

**3.** საქანელას ქუჩა N2 მდებარე მიწის ნაკვეთი 6360 კვ.მ. რომელზეც განთავსებული დროებითი ნაგებობები ექვემდებარება დანგრევას.

საკონკურსო პროგრამა შემუშავებულია Q ქალაქ თბილისი მიწის მართვისა და განკარგვის კომისიის 02.05.06 N12 ოქმის ქ. თბილისის მთავრობის N11.17.226 08.05.2006წ. დადგენილების და მომქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

***დოკუმენტაციისა და საკონკურსო წინადადებების წარდგენა***

დაინტერესებულმა პირებმა საკვალიფიკაციო მონაცემები და საკონკურსო წინადადებები უნდა წარმოადგინონ ქართულ ენაზე 2006 წლის 07.06. 11 სთ-დან 2006 წლის 07.07. 17-სთ-მდე შემდეგ მისამართზე:

ქ.თბილისი, თავისუფლების მოედანი N2, ქალაქ თბილისის მიწის მართვისა და განკარგვის (საკონკურსო) კომისაში.

***კონკურსში მონაწილეობისათვის პრედენდენტმა საკონკურსო კომისიას უნდა წარუდგინოს:***

- განცხადება კონკურსში მონაწილეობის შესახებ;

-განაცხადი დალუქული პაკეტის სახით, რომელიც უნდა აკმაყოფილებდეს საკონკურსო პროგრამის პუნქტებით გათვალისწინებულ მოთხოვნებს.

- ფიზიკური ან იურიდიული პირის რეკვიზიტები;

- შემდეგი ცნობები:

- იურიდიული პირისათვის:

-ცნობა საგადასახადო და სასამართლო ორგანოდან ადგილმდებარეობის მიხედვით, რომ არ ხორციელდება იურიდიული პირის რეორგანიზაცია ან ლიკვიდაცია და არ მიმდინარეობს გაკოტრების ან სანაციის საქმე;

-ცნობა საჯარო რეესტრიდან, რომ მის ქონებაზე არ არის დადებული ყადაღა;

-ამონაწერი სამეწარმეო რეესტრიდან;

-სადამფუძნებლო დოკუმენტაციის (წესდება და ოქმი) ასლი;

- "ბე"-ს გადახდის დამადასტურებელ საბუთს, საწყისი ფასის 5 პროცენტის ოდენობით ლარებში;

- გადახდილი თანხის 25%-ის საბანკო გარანტია, რომელიც ძალაში იქნება 1 წლის ვადით.

ფიზიკური პირისათვის;

- პირადობის მოწმობის ასლი;

- ცნობა სასამართლო ორგანოდან ადგილმდებარეობის მიხედვით, რომ არ ხორციელდება ფიზიკური პირის გაკოტრების საქმე;

- ცნობა შესაბამისად უფლებამოსილი სამედიცინო დაწესებულებიდან, რომ ფიზიკური პირი ქმედუნარიანია;

- "ბე"-ს გადახდის დამადასტურებელ საბუთს, საწყისი ფასის 5 პროცენტის ოდენობით ლარებში;

- გადახდილი თანხის 25%-ის საბანკო გარანტია, რომელიც ძალაში იქნება 1 წლის ვადით.

**"ბე"-ს გადახდა უნდა მოხდეს:P**
**მიზნობრივი "ბე"-ს ანგარიში N145532300**
**ს/კ 203827074**
**ს/ს "საქართველოს ბანკი"-ს ცენტრალური ფილიალი**
**კოდი 220101502**

იურიდიული და ფიზიკური პირი ვერ გაივლის საკვალიფიკაციო შერჩევას თუ იგი ზემოთ დადგენილ ვადაში არ წარმოადგენს ყველა მოთხოვნილ ცნობას და ინფორმაციას, ან რომელიმე მათგანი ყალბი აღმოჩნდება.

საკონკურსო კომისია ერთი კვირის ვადაში კონკურსის საჯარო მოსმენიდან აცნობებს კონკურსში მონაწილე ყველა პირს კონკურსის შედეგების შესახებ.

კონკურსში გამარჯვებულთან გაფორმდება სათანადო ხელშეკრულება, სადაც გათვალისწინებული იქნება გამარჯვებულის საკონკურსო წინადადება და მხარეთა შორის ურთიერთობათა რეგულირების სხვა პირობები.

დამატებითი ინფორმაცია დაინტერესებულ პირებს შეუძლიათ მიიღონ:

**ქ.თბილისის მიწის მართვისა და განკარგვის აპარატი, საკონტაქტო ტელეფონი 93.45.73, მისამართი: ქ.თბილისი, თავისუფლების მოედანი N2;**

**ქ.თბილისის მერიის ურბანული დაგეგმარების საქალაქო სამსახური, ტელ: 96.91.26 (111), მისამართი: დ.აღმაშენებლის გამზ: 89/24.**

**ქალაქ თბილისის მერი**

**ბრძანება № 20**

" 31 " მაისი 2006 წ.

31 მაისი 2006
010.260.030.38.101.008.651

"ქალაქ თბილისის მერიის ხანძარსაწინააღმდეგო საქალაქო სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ" ქ. თბილისის მერის 2006 წლის 18 იანვრის N3 ბრძანებაში ცვლილების შეტანის შესახებ

"საქართველოს დედაქალაქის-თბილისის შესახებ" საქართველოს კანონის 22-ე მუხლის მე-3 პუნქტის "ნ" ქვეპუნქტის, "ნორმატიული აქტების შესახებ" საქართველოს კანონის 36-ე მუხლისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის შესაბამისად,

**ვბრძანებ:**

1. "ქალაქ თბილისის მერიის ხანძარსაწინააღმდეგო საქალაქო სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ" ქ. თბილისის მერის 2006 წლის 18 იანვრის N3 ბრძანებით დამტკიცებული ქ. თბილისის მერიის ხანძარსაწინააღმდეგო საქალაქო სამსახურის დებულების (დანართი1) მე-7 მუხლი ჩამოყალიბდეს Dშემდეგი რედაქციით:

" მუხლი 7

1. სამსახური შედგება შემდეგი სტრუქტურული ქვედანაყოფებისაგან:

ა) საფინანსო-ეკონომიკური განყოფილება;

ბ) კადრების, ტექნიკის ექსპლუატაციისა და პირადი შემადგენლობის მომზადების განყოფილება;

გ) ხანძრებზე ზედამხედველობის ორგანიზაციის განყოფილება;

დ) ძალებისა და საშუალებების მართვის განყოფილება;

ე) ქ. თბილისის მთაწმინდა-კრწანისის რაიონული განყოფილება (ხანძარსაწინააღმდეგო რაზმი), მასში შემავალი ოთხი ნაწილით;

ვ) ქ. თბილისის ისანი-სამგორის რაიონული განყოფილება (ხანძარსაწინააღმდეგო რაზმი), მასში შემავალი ოთხი ნაწილით;

ზ) ქ. თბილისის დიდუბე-ჩუღურეთის რაიონული განყოფილება (ხანძარსაწინააღმდეგო რაზმი), მასში შემავალი ერთი ნაწილით;

თ) ქ. თბილისის ვაკე-საბურთალოს რაიონული განყოფილება (ხანძარსაწინააღმდეგო რაზმი), მასში შემავალი ოთხი ნაწილით;

ი) ქ. თბილისის გლდანი-ნაძალადევის რაიონული განყოფილება (ხანძარსაწინააღმდეგო რაზმი), მასში შემავალი ერთი ნაწილით.

2. საფინანსო-ეკონომიკური განყოფილების ძირითადი ფუნქციები და ამოცანებია: სამსახურის საფინანსო-ეკონომიკური საქმიანობის განხორციელება, საბუღალტრო აღრიცხვა-ანგარიშგების უზრუნველყოფა და სახელმწიფო შესყიდვების ორგანიზება.

3. კადრების, ტექნიკის ექსპლუატაციისა და პირადი შემადგელობის მომზადების უზრუნველყოფის. განყოფილების ძირითადი ფუნქციები და ამოცანებია: საკადრო საქმიანობის წარმართვა, ადამიანური რესურსების მართვის ორგანიზება, ტექნიკის აღრიცხვა და მიზნობრივად ექსპლუატაციის კონტროლი.

4. ხანძრებზე ზედამხედველობის ორგანიზაციის განყოფილების ძირითადი ფუნქციები და ამოცანებია: ხანძარსაწინააღმდეგო ზედამხედველობის განხორციელება, ხანძრებისა და მათი შედეგების აღრიცხვა, საზოგადოების ინფორმირების ორგანიზება, სახანძრო უსაფრთხოების წესებთან დაკავშირებით.

5. ძალებისა და საშუალებების მართვის განყოფილების ძირითადი ფუნქციები და ამოცანებია: შემოსული ინფორმაციების დამუშავება, ოპერატიული კავშირგაბმულობის უზრუნველყოფა და ხანძრების ჩაქრობის, საავარიო-სამაშველო სამუშაოების წარმოების ორგანიზება.

6. რაიონული განყოფილებების (ხანძარსაწინააღმდეგო რაზმები) ძირითადი ფუნქციები და ამოცანებია: ხანძრების პროფილაქტიკა, მათი ჩაქრობა და საავარიო-სამაშველო სამუშაოების წარმოება."

2. ეს ბრძანება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

ქალაქ თბილისის მერი გიორგი უგულავა

# შპს "საქართველოს რკინიგზა" აცხადებს კონკურსს

**შპს "საქართველოს რკინიგზის" ბალანსზე რიცხულ ვაგზალ "თბილისი-საკვანძოს" შენობის და შენობაზე დამაგრებული მიწის ფართის დროებით სარგებლობაში, იჯარის ფორმით, გადაცემის მიზნით.**

*1. ძირითადი საინფორმაციო მონაცემები*

- **საიჯარო ქონების იურიდიული მისამართი** ქ. თბილისი მოსკოვის გამზირი N2
- **შენობის საერთო ფართი შეადგენს** 6741,56 კვ/მ, შენობაზე დამაგრებული მიწის ფართი - 5592 კვ/მ.
- **იჯარით გასაცემი შენობის საერთო ფართი შეადგენს** 6651,74 კვ/მ.
- **საიჯარო ქონების (შენობის) დახასიათება** - ექსპლუატაციაში შესულია 1978 წელს, შედგება 4 სართულისა და სარდაფისაგან.
- **საწყისი თვიური საიჯარო ქირა 29 670** აშშ დოლარის ექვივალენტი ლარებში, დღგ-ს გარეშე.
- **"ბე" 29 670** აშშ დოლარის ექვივალენტი ლარებში.
- **იჯარის ვადა** 20 წელი.
- **განაცხადების მიღების ადგილი -** ქ. თბილისი, თამარ მეფის გამზირი N15, შპს "საქართველოს რკინიგზის" ადმინისტრაციული შენობა, მე-3 სართული, ტელ.: 56-33-48, 56-3-18.
- **განაცხადების მიღების ვადა -** 2006 წლის 6 ივნისიდან 2006 წლის 26 ივნისის ჩათვლით, 12.00 საათიდან 17.00 საათამდე.
- **კონკურსის ჩატარების თარიღი (მონაწილის წინადადებების შემცველი კონვერტების გახსნის თარიღი) ადგილი და დრო -** 2006 წლის 27 ივნისი, ქ. თბილისი, თამარ მეფის გამზირი N15, შპს "საქართველოს რკინიგზის" ადმინისტრაციული შენობა, 14.00 საათი.
- **შპს "საქართველოს რკინიგზის" საბანკო რეკვიზიტები -** "ბანკი რესპუბლიკა", ცენტრალური ფილიალი, ა/ა N3407003205, ბანკის კოდი N220101757, საიდენთიფიკაციო კოდი N202886010.
- **კონკურსში მონაწილეობის მიღება შეუძლიათ -** საქართველოს ან უცხო ქვეყნის ფიზიკურ და იურიდიულ პირებს.

*2. კონკურსის პირობები*

- მოიჯარის მიერ საიჯარო ქირის ყოველთვიურად გადახდა.
- მოიჯარის მიერ ქონების (მათ შორის მიწის), კომუნალური და კანონმდებლობით გათვალისწინებული სხვა გადასახადების, აგრეთვე საიჯარო ქონების დაცვის ხარჯების დროულად და სრულად გადახდა.
- მოიჯარე ვალდებულია, კანონმდებლობის დადგენილი წესით შეათანხმოს (დაამკიცოს) "მეიჯარის" მიერ მოწონებული მთლიანი შენობის სარემონტო-სარეკონსტრუქციო სამუშაოების პროექტი უფლებამოსილ სახელმწიფო სტრუქტურებთან იმის გათვალისწინებით, რომ ამ ხელშეკრულების გაფორმებიდან არა უგვიანეს 3 თვის ვადაში დაიწყოს და 8 თვის განმავლობაში დაასრულოს არანაკლებ 500 000 ა.შ.შ დოლარის ღირებულების სარემონტო-სარეკონსტრუქციო სამუშაოების შესრულება შპს "საქართველის რკინიგზის" მიერ მოწონებული პროექტის მიხედვით (პროექტი მოიჯარემ თან უნდა დაურთოს საკონკურსო განაცხადს. პროექტში სავალდებულოა განსაზღვრული იქნეს სამუშაოების შესრულების გრაფიკი). თუ მოიჯარე დაარღვევს სამუშაოების დაწყების ვადას, სამუშაოების შესრულების გრაფიკს ან სამუშაოების დასრულების ვადას, კონკურსის შედეგები გაუქმდება და მოიჯარეს "ბე", გადახდილი საიჯარო ქირა და საგარანტიო თანხა არ დაუბრუნდება, აგრეთვე არ აუნაზღაურდება ამ პერიოდში სარემონტო-სარეკოსტრუქციო სამუშაოებზე გაწეული ხარჯები.
- მოიჯარე მოვალეა წარადგინოს საბანკო გარანტია არანაკლებ საინვესტიციო თანხის 10%-ისა.
- იჯარის ხელშეკრულების დადებიდან 7 კალენდარული დღის ვადაში მოიჯარემ სრულად უნდა გადაუხადოს შპს "საქართველოს რკინიგზას" ის დებიტორული დავალიანება, რომელიც ამ უკანასკნელის მიმართ გააჩნიათ შენობაში არსებული ფართების სხვა მოქმედ მოიჯარეებს ან იმ მოიჯარეებს, რომელთაც იჯარის ვადა ამოეწურათ, მაგრამ არ გამოუნთავისუფლებიათ დაკავებული ფართები. თუ მოიჯარე არ შეასრულებს ამ ვალდებულებას, კონკურსის შედეგები გაუქმდება და მოიჯარეს "ბე" არ დაუბრუნდება. დავალიანების ზუსტი ოდენობა დგინდება იჯარის ხელშეკრულების დადების დღის მდგომარეობით და წერილობით ეცნობება მოიჯარეს იმავე დღეს. ამასთან, შპს "საქართველოს რკინიგზა" გადასცემს მოიჯარეს უფლებას რეგრესის წესით ამოიღოს ეს თანხა შესაბამისი დავალიანების მქონე მოიჯარეებისაგან.
- მოიჯარემ უნდა უზრუნველყოს საიჯარო ვადის მოქმედების პერიოდში სამგზავრო სადგურის ნორმალური ფუნქციონირება, მათ შორის ვაგზლის შენობაში გამოყოს სათანადო ფართები მოსაცდელი დარბაზის, ბარგის შესანახი საკნის, ვაგზლის მორიგის ოთახის, კავშირგაბმულობის კვანძისა და სამედიცინო პუნქტის მოსაწყობად და უზრუნველყოს მათი შეუფერხებლად მუშაობა, აგრეთვე გამოყოს ფართი დაცვის პოლიციის განსათავსებლად. ამასთან აღნიშნული ფართები გათვალისწინებული უნდა იქნეს საკონკურსო კომისიისათვის წარმოდგენილ სარემონტო-სარეკონსტრუციო პროექტში. მოიჯარეს უფლება არა აქვს არამიზნობრივად გამოიყენოს ვაგზლის ბაქნები და მასთან მისასვლელი ინფრასტრუქტურა და ამით ხელი შეუშალოს მგზავრთა მომსახურებას.
- მოიჯარე უზრუნველყოფს ვაგზალ "თბილისი-საკვანძოს" შენობის გამონთავისუფლებას შენობაში რეგისტრირებული იძულებით გადაადგილებული პირებისაგან მათთვის შესაბამისი კომპენსაციების გაცემით, რომელიც არ შედის ინვესტიციის მოცულობაში. კომპენსაციის ოდენობას განსაზღვრავს მოიჯარე აღნიშნულ პირებთან მოლაპარაკებით.
- მოიჯარემ საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად უნდა დაიცვას ტექნიკური უსაფრთხოების, ხანძარსაწინააღმდეგო და სანიტარულ-ჰიგიენური ნორმები, უზრუნველყოს საიჯარო ქონების მოვლა-პატრონობა, აგრეთვე იმგვარად ისარგებლოს აღნიშნული ქონებით, რომ საფრთხე არ შეუქმნას სარკინიგზო მოძრაობასა და მოქალაქეთა უსაფრთხო გადაადგილებას შენობასა და მის მიმდებარე ტერიტორიაზე. თუ მოიჯარის ბრალეული ქმედებით შენობასა და მის მიმდებარე ტერიტორიაზე ზიანი მიადგა მესამე პირებს, მოიჯარე ვალდებულია აუნაზღაუროს მათ ეს ზიანი.
- მოიჯარეს ეკრძალება, შპს "საქართველოს რკინიგზის" წინასწარი წერილობითი თანხმობის გარეშე, მოახდინოს შენობის რეკონსტრუქცია ან განახორციელოს მნიშვნელოვანი მიშენებები, გარდა იჯარის ხელშეკრულებით გათვალისწინებული სარემონტო-სარეკონსტრუქციო სამუშაოებისა, აგრეთვე ქვეიჯარით გასცეს ან სხვაგვარად უფლებრივად დატვირთოს საიჯარო ქონება.
- იჯარის ხელშეკრულების ვადის გასვლის შემდეგ საიჯარო ქონება უბრუნდება შპს "საქართველოს რკინიგზას" ნორმალური ფუნქციონირებისათვის ვარგის მდგომარეობაში. ამასთან, შენობის (მ.შ. მეიჯარის საკუთრებაში დარჩენილი 89,82 კვ.მ. ფართი) სარემონტო-სარეკოსტრუქციო სამუშაოებზე დახარჯული თანხები მოიჯარეს არ აუნაზღაურდება.
- იჯარის ხელშეკრულების ვადამდე მოშლის ერთ-ერთ საფუძველს წარმოადგენს საქართველოს ეკონომიკური განვითარების მინისტრის N1-1/209 ბრძანებით დამტკიცებული "სახელმწიფოს 50%-ზე მეტი წილობრივი მონაწილეობით არსებული საწარმოების ბალანსზე რიცხული ძირითადი საშუალებების განკარგვისა და გადაცემის წესის შესახებ" დებულების მე-5 მუხლის მე-5 პუნქტით გათვალისწინებული პირობის დადგომა.

*3. საუკეთესო წინადადებების გამოვლენის კრიტერიუმები*

- საუკეთესო წინადადების გამოვლენის კრიტერიუმია მაქსიმალური საწყისი საიჯარო ქირის შემოთავაზება, რომელიც უნდა აღემატებოდეს გამოცხადებულ საწყის საიჯარო ქირას და ვაგზლის საუკეთესო სარემონტო-სარეკონსტრუქციო პროექტის წარმოდგენა.
- თუ კონკურსში მონაწილე რამდენიმე პრეტენდენტის მიერ შემოთავაზებული წინადადება ფასისა და სხვა კრიტერიუმების მიხედვით დააკმაყოფილებს კონკურსის პირობებს, მაშინ კომისია უფლებამოსილია რიგითობის მიხედვით (წინადადებების ხელსაყრელობის გათვალისწინებით) დაადგინოს საუკეთესო წინადადებები და შემდგომში მათ ავტორებთან აწარმოოს მოლაპარაკებები დადგენილი რიგითობის მიხედვით. ამასთან, პრეტენდენტი ვალდებულია, გაუმჯობესებული ფინანსური წინადადების წარმოდგენისას შემოთავაზებაში ქონების იჯარით ასაღებად მიუთითოს ფიქსირებული თანხა.

*4. იჯარის ხელშეკრულების დადება*

- კონკურსის ჩატარებიდან 30 კალენდარული დღის განმავლობაში გამარჯვებული მონაწილე ვალდებულია შპს "საქართველოს რკინიგზასთან" გააფორმოს იჯარის ხელშეკრულება, რომელიც უნდა დამოწმდეს ნოტარიული წესით. ხელშეკრულების ნოტარიულად დამოწმების, საჯარო რეესტრში რეგისტრაციისა და ამისათვის აუცილებელი საბუთების წარდგენის ხარჯებს ფარავს მოიჯარე.
- მოიჯარე ვალდებულია, ყოველ 6 თვეში ერთხელ, შპს "საქართველოს რკინიგზას" წარუდგენს ანგარიში იჯარის ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების თაობაზე.
- სახელშეკრულებო ვალდებულებების შეუსრულებლობის ფაქტის გამოვლენის შემთხვევაში მოიჯარე იღებს გაფრთხილებას წერილობითი ფორმით, სადაც მიეთითება ვადა დარღვევის აღმასაფხვრელად. ამასთან, თუ მოიჯარე დაარღვევს საიჯარო ქირის გადახდის ვადებს იგი ჯარიმდება ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე თვიური საიჯარო ქირის 5%-ის ოდენობით (ჯარიმა მოიჯარეს ეკისრება წინასწარი გაფრთხილების გარეშე).
- თუ გაფრთხილებით გათვალისწინებულ ვადაში მოიჯარე არ აღმოფხვრის დარღვევას ან უარს განაცხადებს ჯარიმის გადახდაზე შპს "საქართველოს რკინიგზას" უფლება აქვს ცალმხრივად მოშალოს იჯარის ხელშეკრულება. ამ შემთხვევაში მოიჯარე ჰკარგავს გაწეული ხარჯებისა და ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის უფლებას.

*5. კონკურსში მონაწილეობის მისაღებად წარსადგენი დოკუმენტები*

- დამტკიცებული ფორმის მიხედვით შევსებული განაცხადი, რომელშიც სავალდებულოა აისახოს საიჯარო ქონების დასახელება და კონკურსანტის თანხმობა გამოცხადებული საკონკურსო პირობების შესრულებაზე.
- კონკურსანტის მიერ წარმოდგენილი წინადადებები, მოთავსებული ცალკე კონვერტში, რომელიც ილუქება მის მიერ. წინადადებები საიჯარო ქირის შესახებ მოცემული უნდა იყოს კონკრეტული რიცხვის სახით. დაუშვებელია აპელირება სხვის წინადადებაზე (ასეთი წინადადებები არ განიხილება).
- "ბე"-ს გადახდის ქვითარი ("ბე" გადაიხდება შპს "საქართველოს რკინიგზის" ანგარიშსწორების ანგარიშზე, საზოგადოების საბანკო რეკვიზიტების მიხედვით).
- კონკურსში მონაწილე ფიზიკური პირის პირადობის დამადასტურებელი მოწმობის მონაცემები ან ნოტარიულად დამოწმებული მინდობილობა თუ იგი მოქმედებს სხვა პირის სახელით.
- იურიდიული პირები დამატებით წარადგენენ სადამფუძნებლო დოკუმენტების ნოტარიულად დამოწმებულ ასლებს.
- კონკურსში მონაწილეთა ზონარგაყრილ დავთარში განაცხადის რეგისტრაციის მომენტიდან, განმცხადებელი იძენს კონკურსში მონაწილის სტატუსს.
- კონკურსის მონაწილეს ან მის უფლებამოსილ წარმომადგენელს უფლება აქვს დაესწროს მხოლოდ კონვერტის გახსნას. ამასთან, მონაწილეთა წინადადებებს საკონკურსო კომისია იხილავს მათი დასწრების გარეშე.
- გადაწყვეტილება კონკურსში საუკეთესო წინადადების გამოვლენის შესახებ ცხადდება, როგორც წესი, კონვერტის გახსნის დღეს. ამასთან, საკონკურსო კომისიას უფლება აქვს გადაწყვეტილება საუკეთესო წინადადების გამოვლენის შესახებ გამოაცხადოს კონვერტის გახსნიდან არაუმეტეს 5 სამუშაო დღის განმავლობაში.
- კონკურსი ითვლება არშემდგარად, თუ კონკურსის გამოქვეყნებიდან დადგენილ ვადაში არ იქნა შეტანილი არც ერთი განაცხადი ან წარმოდგენილი განაცხადებიდან არც ერთი არ შეესაბამება კონკურსის პირობებს.

*6. შენიშვნები და დათქმები*

- იჯარით გასაცემ ფართში არ შედის შენობის I სართულზე არსებული 89,82 კვ.მ. ფართი (ფართის განლაგება მითითებულია შენობის ტექნიკურ პასპორტში), რომელშიც განთავსებული იქნება შპს "საქართველოს რკინიგზის" ბილეთების სარეალიზაციო სალაროები. ამასთან, მოიჯარე ვალდებულია უზრუნველყოს ვაგზლის მთლიანი შენობის რემონტი-რეკონსტრუქცია, მათ შორის იმ ფართისა (89,82 კვ.მ.), რომელიც რჩება მეიჯარის საკუთრებაში.
- შენობაში განთავსებული ზოგიერთი ფართი დატვირთულია მოქმედი იჯარის ხელშეკრულებებით. კონკურსში გამარჯვებულ პირს გადაეცემა ამ ხელშეკრულებებთან დაკავშირებით შპს "საქართველოს რკინიგზის" არსებული უფლებები და ვალდებულებები.
- თვიური საიჯარო ქირის ოდენობა, მეიჯარის მოთხოვნით, შეიძლება გადაიხედოს ყოველ 2 წელიწადში ერთხელ.
- საიჯარო ქირის გადახდა ხორციელდება ანგარიშსწორების მომენტისათვის ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი სავალუტო კურსის მიხედვით. ამასთან, პირველი 8 თვის განმავლობაში (სარემონტო-სარეკონსტრუქციო სამუშაოების პერიოდი) "მოიჯარეს" უფლება აქვს გადაიხადოს ყოველთვიური საიჯარო ქირის ნახევარი, ხოლო შემდგომი 8 თვის განმავლობაში იგი ვალდებულია სრულად დაფაროს საიჯარო ქირის გადახდასთან დაკავშირებით წარმოქმნილი სხვაობა.
- მოიჯარეს გადახდილი "ბე" ჩაეთვლება ბოლო თვის საიჯარო გადასახადში იმ დროისათვის არსებული სავალუტო კურსის შესაბამისად.
- დადგენილი ვადის შემდეგ შემოსული საკონკურსო განაცხადი არ მიიღება.
- განაცხადის შემოსვლის თარიღი განისაზღვრება მისი რეგისტრაციის თარიღით.
- თუ განაცხადების მიღების ბოლო დღე ემთხვევა დასვენების დღეს, მაშინ განაცხადების მიღება გრძელდება და შეწყდება მომდევნო პირველსავე სამუშაო დღის იმავე საათზე.
- მეიჯარეს უფლება აქვს ნებისმიერ დროს შეუფერხებლად დაათვალიეროს იჯარით გაცემული ქონება, მათ შორის შეამოწმოს სარემონტო-სარეკონსტრუქციო სამუშაოების შესრულების გრაფიკი, ვაგზალზე ტექნიკური უსაფრთხოების, ხანძარსაწინააღმდეგო და სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების დაცვის მდგომარეობა.

**საიჯარო ქონებისა და კონკურსის პირობების შესახებ დამატებითი ინფორმაციის მიღება შესაძლებელია შპს "საქართველოს რკინიგზაში".**

*შპს "საქართველოს რკინიგზა"*







**www.interes.ge**
**სიახლე**
**ინტერნეტის**
**მომხმარებლებისათვის!!!**

**გაიხსნა ახალი ქართულენოვანი საძიებო სისტემა.**
**გვესტუმრეთ და მიიღეთ თქვენთვის საჭირო ინფორმაცია**
ვებ კატალოგი, ახალი ამბები, ინტერნეტ რადიო, ინტერნეტ **TV**, გურმანი, **sms**-ების უფასო გაგზავნა, ონლაინ თამაშები, **Chat**, უფასო პროგრამები, მისალოცი ბარათების გაგზავნა და სხვ.

**ცენტრ პოინტ ჯგუფი**

**იწყებს თბილისის ელიტარულ უბნებში პატარა სახლების მშენებლობას მთაწმინდა, სოლოლაკი, ავლაბარი, ხარფუხი და სამების ეკლესიის მიმდებარე ტერიტორიაზე.**
**სხვა მიმდინარე მშენებლობებს თბილისის ყველა უბანში, ასევე ბათუმში, გუდაურში და ბაკურიანში. განვადება უპროცენტოა.**
**მსურველები დაგვიკავშირდნენ: რუსთაველის პროსპექტი 48. ტელ.: 92-20-80, 99-67-69, 899 46-92-22, 899 46 51 21, 893 34 20 02, 899 96 96 57.**


# განცხადება ტენდერის ჩატარების შესახებ

**1.** აჭარის ა. რ. განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტრო (ქ. ბათუმი, რუსთაველის ქ. N6) აცხადებს ტენდერს აჭარის ადმინისტრაციულ ტერიტორიაზე არსებული სკოლების I, II, III და IV კლასის მოსწავლეთათვის სასკოლო ფორმების შეძენის სახელმწიფო შესყიდვაზე და იწვევს ტენდერში მონაწილეობის მისაღებად ყველა დაინტერესებულ პირს.

**2.** მიწოდების სავალდებულო ვადაა ხელშეკრულების გაფორმებიდან **2006 წლის 20 სექტემბრამდე პერიოდი.**

**3. დაინტერესებულმა პირებმა საკვალიფიკაციო მონაცემები და სატენდერო წინადადება, ქართულ ენაზე, ორ ეგზემპლარად, დალუქული პაკეტებით უნდა წარმოადგინონ 2006 წლის 27 ივნისიდან 2006 წლის 28 ივნისის 17 საათამდე შემდეგ მისამართზე: ქ. ბათუმი, რუსთაველის ქ. N6. (აჭარის ა. რ. განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტრო).**

4. საკვალიფიკაციო მონაცემები უნდა შეიცავდეს შემდეგ ცნობებსა და ინფორმაციას:

**4.1 იურიდიული პირისათვის:**

ა) ცნობას, რომ არ მიმდინარეობს ტენდერში მონაწილეობის მსურველი პირის რეორგანიზაცია ან ლიკვიდაცია და მის მიმართ გაკოტრებისა და სანაციის საქმისწარმოება (ცნობა წარმოდგენილი უნდა იქნეს სასამართლოდან, საგადასახადო ინსპექციიდან მისი რეგისტრაციის ადგილის მიხედვით);

ბ) ცნობას შესყიდვაში მონაწილეობის მსურველი პირის ქონებაზე ყადაღის არარსებობის შესახებ. (ცნობა წარმოდგენილი უნდა იქნას საჯარო რეესტრის სააგენტოს ადგილობრივი ორგანოს მიერ);

გ) ამონაწერი სამეწარმეო რეესტრიდან შესყიდვაში მონაწილეობის მსურველი პირის რეგისტრაციის შესახებ.

**4.2. ფიზიკური პირისათვის:**

ა) ცნობას, საგადასახადო ინსპექციიდან რეგისტრაციის შესახებ.

ბ) ცნობას, რომ მის მიმართ არ მიმდინარეობს გაკოტრების საქმისწარმოება (ცნობა წარმოდგენილი უნდა იყოს რაიონული სასამართლოდან).

**4.3. როგორც ფიზიკური, ასევე იურიდიული პირისათვის:**

ა) შესყიდვაში მონაწილეობის მსურველი პირის რეკვიზიტები (მისამართი, ტელეფონი, ფაქსი, საბანკო რეკვიზიტები);

ბ) ცნობა შესაბამისი საგადასახადო ინსპექციიდან ბიუჯეტისადმი დავალიანების არქონის შესახებ;

გ) ინფორმაცია შესაბამისი მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შესახებ (აუდიტორული დასკვნა).

**5.** სატენდერო დოკუმენტაცია შედგენილია ქართულ ენაზე. სატენდერო დოკუმენტაციის მიღება 2006 წლის 27 ივნისის 18 საათამდე ტენდერში მონაწილე პრეტენდენტებს 200 (ორასი) ლარის ოდენობის სატენდერო მოსაკრებლის (აჭარის ა. რ. ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროს სახაზინო სამსახურის ანგარიში N000142101, ბანკის კოდი 220501102, საიდენტიფიკაციო კოდი N245444844 დანიშნულება სატენდერო მოსაკრებელი) გადახდის შემდეგ, შეეძლებათ მისამართზე: ქ. ბათუმი, რუსთაველის ქ. N6 (აჭარის ა. რ. განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტრო).

6. პრეტენდენტებს უფლება აქვთ წარმოადგინონ მხოლოდ ერთი სატენდერო წინადადება..

7. ტენდერში გამოიყენება სატენდერო წინადადების უზრუნველყოფის გარანტია 1%-ის ოდენობით.

8. ტენდერის შედეგად გამოვლენილ გამარჯვებულთან ხელშეკრულების გაფორმებისას გამოყენებული იქნება ხელშეკრულების შესრულების უზრუნველყოფის გარანტია, ხელშეკრულების ჯამური ღირებულების 5%-ის ოდენობით

**8.** დამატებითი ინფორმაცია დაინტერესებულ პირებს შეუძლიათ მიიღონ შემდეგი პირისაგან - ინგა დავითაძე ტ. 7-16-50, მისამართზე: ქ. ბათუმი, რუსთაველის ქ. N6, აჭარის ა. რ. განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტრო..

**სატენდერო კომისია**